ყოველკვირეული ჟურნალი. გამოდის ოთხშაბათობით ფასი: 1 ლარი

# სარკე

№40
2-8.X
2013





ინგა გრიგოლიამ ნოდარ მელაძე სამუშაოდ აიყვანა

„ერთმანეთს ჭორებს ვუვრცელებთ“

გვ.22



ჯანეტ ქერდიყოშვილი: „მგონია, რომ კონსტანტინ მელაძეს ვაწყენინე“

გვ.24



რა თხოვნა აქვს მედეა ლორთქიფანიძეს ლევან ყოჩიაშვილის ცოლთან

გვ.30

დიმიტრი: „ანდრიამ ბებიობა და ბაბუობა დაგვავიწყა!“

ხათუნა კეკელია: „ამ ასაკში დედობა სულ სხვა გრძნობაა“

## დიმიტრი ლორთქიფანიძე მერვე შვილის მამა 45 წლის ასაკში გახდა

გვ.6



ვანო ჯავახიშვილი: „ვაყალიბებ არასამთავრობო ორგანიზაციას „ჯამბაზები საქართველოსთვის““

გვ.33



დიანა ტრაპაიძე „მაესტროდან“ „იმედზე“ გადასულ ქმარს ეკინკლავება

გვ.8



ირმა გიგანი და ბორის ბედია უნარების გამოცდამ კონსერვატორიის გარეთ დატოვა

გვ.9



„ძალიან სასაცილოა, რომ მათემატიკის გამო ხელოვანი ადამიანები უმაღლესში ვერ მოვხვდით“

ISSN 1987-9369

„ჩემი ძმისთვის პატარა გოგოს სიყვარული საბედისწერო აღმოჩნდა“ გვ.13



გვ.31

## ია სუხიტაშვილი: „ქმარი ჩემზე წარმატებული მსახიობია“



გვ.38

## მორაგბემ და მისმა რჩეულმა ხელი სტადიონზე მოაწერეს

ხაჭაპურის და პრინცესას ქორწილის დეტალები



## თინა მახარაძემ მაისურების მოხატვა დაიწყო

გვ.36

რას აკეთებს ეკრანიდან გაუჩინარებული გოგონა გარეუბნიდან



გვ.37

## მაკა შალიკაშვილი: „ღირსეული მამაკაცისგან მალე ბიჭს გავაჩენ“

# სამშენებლო კომპლექსში „m² იპოდრომთან“ ბინების რემონტი დაიწყო

დეველოპერულმა კომპანიამ „m² უძრავი ქონება“ საქართველოში პირველი პრეცედენტი შექმნა, როდესაც ახალი კორპუსების მშენებლობა დაგეგმილ ვადებს წინ უსწრებს. საცხოვრებელი კომპლექსი „m² იპოდრომთან“ მშენებლობის ბოლო ეტაპზეა. კორპუსების გადახურვა დასრულებულია და ახლა ბინების სარემონტო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. ამ ეტაპზე 170 ბინაში სარემონტო სამუშაოები უკვე დასასრულს უახლოვდება. იმისათვის, რომ ბინის მყიდველებს უკეთესი წარმოდგენა ჰქონდეთ თავიანთი მომავალი სახლის ინტერიერზე, კომპანიამ მშენებარე კომპლექსში საჩვენებელი ბინა, იგივე შოურუმი წარმოადგინა.

„m² იპოდრომთან“ მშენებლობა 2012 წლის აპრილში დაიწყო და 2014 წლის სექტემბერში დასრულდება. ამ დროისათვის ბინების 76% უკვე გაყიდულია.

„m² იპოდრომთან“ მშენებლობის ხარისხისა და ვადების მონიტორინგს ამერიკული სამშენებლო-საინჟინრო კომპანია „AECOM“-ი ახორციელებს, რაც ხარისხიანი მშენებლობის გარანტია. კომპლექსის მშენებლობისა და რემონტისათვის გამოიყენება მხოლოდ მაღალი ხარისხის სამშენებლო და სარემონტო მასალები.





ირაკლი ბურდილაძე

**ირაკლი ბურდილაძე, „m² უძრავი ქონების“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე:**

– საცხოვრებელი კომპლექსის „m² იპოდრომთან“ მშენებლობა 2012 წლის აპრილში დავიწყეთ და დღეისათვის ცხრავე საცხოვრებელი კორპუსი აშენებული და გადახურულია. 170 ბინაში სარემონტო სამუშაოები უკვე სრულდება.

***– ბევრი კომპანია მომხმარებელს არ სთავაზობს ბინის რემონტს. რით არის თქვენი შეთავაზება მიმზიდველი კლიენტისათვის?***

– ბინის რემონტი დეველოპერული კომპანიისათვის ზედმეტი თავის ტკივილია, მაგრამ ამავდროულად კლიენტისათვის უზარმაზარი კომფორტია. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს, პირველ რიგში ის, რომ მობინადრეები ერთდროულად გადმოვლენ დასრულებულ კომპლექსში საცხოვრებლად და არ ექნებათ გაუთავებელი რემონტები სადარბაზოში. ამას გარდა, კლიენტმა დამოუკიდებლად რომ აწარმოოს სარემონტო სამუშაოები, სულ ცოტა ორჯერ ძვირი დაუჯდება. ბინის მფლობელებს დიდი არჩევანი აქვთ სარემონტო მასალების შერჩევაში.

„m² უძრავი ქონება“ ახალი საცხოვრებელი კომპლექსების მშენებლობას გეგმავს. ირაკლი ბურდილაძის თქმით, ახალ პროექტებთან დაკავშირებით ინტერესი ძალიან დიდია. სამშენებლო სამუშაოები და, შესაბამისად, გაყიდვებიც დეკემბერში დაიწყება. ახალი პროექტებიდან ერთი ყაზბეგის გამზირზე, ხოლო მეორე კი – მარიჯანისა და ნუცუბიძის ქუჩების კუთხეში მდებარეობს. ორივე პროექტის დასრულება დაგეგმილია ორი წლის ვადაში. ამ პროექტების შემთხვევაშიც ბინების საკმაოდ დიდი არჩევანი იქნება როგორც ფართის, ასევე სარემონტო მასალების თვალსაზრისით.

# ნომერში


### ოჯახური სიხარული
დიმიტრი ლორთქიფანიძე მერვე შვილის მამა 45 წლის ასაკში გახდა 6

### ტელესახე
დიანა ტრაპაიძე „მაესტროდან“ „იმედზე“ გადასულ ქმარს ეკინკლავება 8

### მედლის ორი მხარე
ირმა გიგანი და ბორის ბედია უნარების გამოცდამ კონსერვატორიის გარეთ დატოვა 9

### პროგრესი
გიორგი ლოლაძე: „ამ მეთოდით ადამიანები 150 წელს იცოცხლებენ“ 10

### გულახდილი საუბრები 12

### პოლიტიკა
- თინა ხიდაშელი: „იმის დრო არ არის, რომ ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლა ვიგლოვოთ“ 16
- გიორგი ვოლსკი: „რუსეთთან ურთიერთობიდან სიტყვა „მიყვარხარ“ უნდა ამოვიღოთ“ 17
- „ყველა რომ წავიდეთ, მაშინ დაიცლება სოფელი და ალბათ გადასახვევამდე ჩავლენ ოსები“ — რეპორტაჟი დვანიდან 18

### მწვავე თემა
დაბალი ენერგოტარიფები სვანეთის დატბორვის ფასად? 20

### ტანდემი
ინგა გრიგოლია და ნოდარ მელაძე ერთმანეთს ქორებს უვრცელებენ 22

### ახალი ამპლუა
- რატომ დატოვა ჯანეტ ქერდიყოშვილმა შოუ „ხაჩუ გ ვია გრუ“ 24
- თამუნა ნიკოლაძის და მომავალმა ქმარმა ხიზილალის ტორტით მოხიბლა 25

### კინონოსტალგია
„ცხელი ზაფხულის სამი დღე“ — საბჭოთა ხელისუფლებისთვის გაწნული სილა 26

### მოზარდები 28

### სერიალის გმირები
რა თხოვნა აქვს მედეა ლორთქიფანიძეს ლევან ყოჩიაშვილის ცოლთან 30

### სცენა
ია სუხიტაშვილი: „ქმარი ჩემზე წარმატებული მსახიობია“ 31

### შოუმენი
ვანო ჯავახიშვილი: „ვაყალიბებ არასამთავრობო ორგანიზაციას „ჯამბაზები საქართველოსთვის“ 33

### ავტომოყვარული
გიორგი ბოჭორიშვილი სიდედრის ნაჩუქარ მანქანას ემადლიერება 35

### ნაცნობი სახე
- თინა მახარაძემ მაისურების მოხატვა დაიწყო 36
- მაკა შალიკაშვილი: „ღირსეული მამაკაცისგან მალე ბიჭს გავაჩენ“ 37

### ბედნიერების დღე
ქართველმა მორაგბემ და მისმა რჩეულმა ხელი სტადიონზე მოაწერეს 38

### ცხოვრება ჩემოდნებზე
მამუკა ღლონტი: „ცოლი მოტოციკლზე შემოვისვი და ასე ავედი ოლიმპოს მთაზე“ 43

### მეგზური
პორტუ — პორტვეინის სამშობლო 44



№40(805) 2 — 8 ოქტომბერი, 2013

ჟურნალი სტამბას დასაბეჭდად გადაეცა 30.09.2013, 21.00 სთ-ზე.



### მარტოხელა
მშობლის წარმატებას შეწირული ბავშვობა 46

### მხოლოდ ქალებისთვის 48

### დედიკოების სკოლა 49

### ვარსკვლავი
ამბერკ ტაბიძე: „ქართველების კარში ბურთს არასოდეს გავიტანდი!“ 50

### სპორტის მიღმა 51

### ადამიანის ინსტიტუტი 52


## ქართული კინოს კეთილი გოლიათი



### ზაზა აბაშიძე: „მამას ბოლომდე ჰქონდა იმედი, რომ დედაჩემი შეურიგდებოდა“

დოდო აბაშიძე — მსახიობი, რომელსაც თამამად შეიძლება უწოდო ლეგენდარული. ის კინოშიც ლეგენდებს ქმნიდა და ცხოვრებაშიც. მასზე დღემდე ყვებიან მითებს, გარეგნობითაც ზღაპრულ გმირს ჰგავდა — გოლიათს, ოღონდ კეთილს.

მამის ცხოვრების მნიშვნელოვან ეპიზოდებს მსახიობის ერთადერთი შვილი, ისტორიკოსი ზაზა აბაშიძე „სარკესთან“ იხსენებს.

**„ფილმში „მე ვიტყვი სიმართლეს" დედაჩემი, მარინა ახვლედიანი, ქეთევანის როლს ასრულებდა, დოდო კი — უშანგის როლს. ამ ფილმის მთავარი შედეგი მე ვარ... ბოლო სცენების გადაღებაზე დედა ჩემზე იყო ორსულად".**

**„მათი შეუღლება ახვლედიანების ოჯახებისთვის დიდი ტრაგედია იყო. მათ არ უნდოდათ სიძე — მსახიობი, რომელიც განთქმული მოქეიფე და მოჩხუბარი იყო".**


გვ.14



### შეშლილი, შეშლილი, შეშლილი მსოფლიო 54

### სახალისო 56

### იყავით ჯანმრთელი 58

### კროსვორდები 60

### აბდაუბდა 62

### სიცილის გვერდი 63

### უცხოური დეტექტივი
წითელი სახლის საიდუმლოება (გაგრძელება) 64

### ქალური მოთხრობები
თინათინ ბონი. ოცნების ძიებაში (გაგრძელება) 66

### კინოს სამყარო
ეკრანის დიდოსტატები ბათუმის წვიმაში 71

### წმინდანები
ვისაც უყვარს ღმერთი, ის არასდროს კვდება, უკვდავია 72

### კითხვები მოძღვარს
„იუდას შენდობა და პატიება რომ ეთხოვა, უფალი მასაც წამოაყენებდა ფეხზე“ 74

### საბავშვო გვერდი 76

### კულინარიული შედევრები 77

### ხელსაქმე 78

# ივანიშვილი სააკაშვილის ჭკუა-დარიგებას არ მოუსმენს



„მიხეილ სააკაშვილი კარგ მასწავლებლად ვერ გამოდგება“, — ასე გამოეხმაურა საქართველოს პრემიერმინისტრი ბიძინა ივანიშვილი მიხეილ სააკაშვილის შეთავაზებას თანამშრომლობაზე. ივანიშვილის თქმით, დღეს საქართველო სწორედ მისი „ჭკუის“ შედეგებს იმკის.

— არავინ ამართლებს რუსეთის აგრესიას, რომ ოკუპირებულია ტერიტორიები, მაგრამ მათი დიდი უმეცრების გარეშე ეს არ მოხდებოდა. მათ გააკეთეს უამრავი სისულელე სწორედ მიხეილ სააკაშვილის თამადობით. ახლა რომ პოზიციას იჭერენ, სულ უნდათ, გვასწავლონ, რომ ისინი კორექტულები იყვნენ. სანამ მოხდებოდა 2008 წელი, განა მანამდე არ მოხდა ურთიერთობების გაფუჭება რუსეთთან და ჩიხში შეყვანა? ამ კაცს არა აქვს ლომის წილი ამაში, დღეს უნდა ვისწავლოთ მისგან ჩვენ? იმავე რიტორიკას აგრძელებს და ჰგონია, რომ მაგ რიტორიკით რამე მოიგო და რამე გააკეთა? შესაბამისად, უნდა ვისწავლოთ მისგან, ვისაც კარგი მაგალითები აქვს, ვისაც აქვს მიღწევები...

რაც ე.წ. საზღვრებთან ხდება, ესეც იმის შედეგია, რაც მათ გააკეთეს. ეს არის შედეგი ზუსტად მათი უმეცრებისა და სისულელეების. თუ ნახავთ თქვენ კარგ მასწავლებელს, ვისაც აქვს კარგი მიღწევები, მე სიამოვნებით ყველას მოვუსმენდი, მაგრამ ის ვერ გამოდგება კარგ მასწავლებლად. სააკაშვილს აქვს ლომის წილი ყველაფერში, რაც ხდება და ახლა დავუჯდე და მასწავლოს ჭკუა?! — აცხადებს ბიძინა ივანიშვილი.

პრემიერი ირწმუნება, რომ მთავრობა პრინციპული და თანმიმდევრული იქნება და მიხეილ სააკაშვილის მთავრობის მიერ „გაფუჭებულ საქმეს“ აუცილებლად გამოასწორებენ, მაგრამ ამას დრო დასჭირდება.

# მამაკაცმა თბილისის მერიის წინ თავის დაწვა სცადა

30 სექტემბერს თბილისის მერიის წინ საპროტესტო აქცია შეხლა-შემოხლაში გადაიზარდა. სოციალურად დაუცველმა მოქალაქეებმა და იპოთეკით დაზარალებულებმა იქ სამგლოვიარო გვირგვინი, ცოცხზე მიმაგრებული ვარდები და გიგი უგულავას გადიდებული ფოტო მიიტანეს. მათი თქმით, ამ აქციით თბილისის მერს გლოვობდნენ, რადგან ის თავის ფუნქციას ვერ ასრულებს.



მერიის თანამშრომელმა აქციის მონაწილეებს მოუწოდა, გვირგვინი და სურათი გაეტანათ მერიის მიმდებარე ტერიტორიიდან, მაგრამ მათ უარი თქვეს, რასაც შეხლა-შემოხლა მოჰყვა. მოგვიანებით კი ერთ-ერთმა მონაწილემ ბენზინი გადაისხა და თავის დაწვა სცადა. თქვა, რომ მის სიცოცხლეს ფასი არ აქვს. საბედნიეროდ, აქციის მონაწილეებმა და თბილისის მერიისა და პოლიციის წარმომადგენლებმა მოახერხეს მამაკაცის შეჩერება. ბოთლი და ასანთი წაართვეს და პიჯაკი გახადეს, რომელზეც ბენზინი ჰქონდა გადასხმული.

აქციას მერიის სოციალური მომსახურების სამსახურის უფროსი მამუკა ქაცარავა გამოეხმაურა და პრობლემა ჯანდაცვის სამინისტროსა და პარლამენტისკენ გადაამისამართა. ის ამბობს, რომ მერია ამ ფორმებით პროტესტის გამოხატვას ვერ წაახალისებს, რადგან ამას ქაოსი მოჰყვება. მისივე განცხადებით, ქვეყანას აქვს სოციალური დაცვის პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს სოციალურად ყველაზე დაუცველი მოსახლეობის მხარდაჭერას, რომელიც სარეიტინგო ქულებით ფასდება და ჯერჯერობით მერია ამ პოლიტიკას მიჰყვება, ხოლო სოციალურ ბაზას ჯანდაცვის სამინისტროს სააგენტო ადგენს და შეიძლება იქ იყოს ხარვეზები, მაგრამ ეს ხარვეზები ყოველწლიურად სწორდება.

მამუკა ქაცარავას თქმით, ჯერჯერობით ქვეყანას საბინაო პოლიტიკა არ აქვს და ამაზე პარლამენტმა უნდა იმუშაოს, რომ საბინაო ფონდი შეიქმნას. რადგან დღეს ის არ არსებობს, მერია შესაბამის დახმარებას ვერავის გაუწევს.

# პრეზიდენტს ერთი წლით დააგვიანდა!

აშშ-დან დაბრუნებული საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მზადაა, ხელისუფლებასთან ერთად შეებრძოლოს რუსეთის მიერ განხორციელებულ მცოცავ ანექსიას.

— სამწუხაროდ, ჩვენ გასახარებელი და თავმოსაწონი არაფერი გვაქვს, რადგან ბოლო თვეებში უფრო მეტ სახნავ-სათესზე და სასოფლო-სამეურნეო მიწებზე დავკარგეთ კონტროლი, ვიდრე 2008 წლის ცხელი ომის დროს ქურთაში და თამარაშენში... და ეს ყველაფერი ისე მოხდა, რომ პრაქტიკულად ვერავინ გაიგო მსოფლიოში ამის შესახებ. ამიტომ ახლა არ არის ქიშპობის დრო, მე მზად ვარ, დავჯდე საქართველოს მთავრობასთან ერთად და ჩემს ხელთ არსებული ყველა რესურსი გამოვიყენო, მათ შორის საერთაშორისო. ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად, თუ როგორ შევაჩეროთ ჩვენი მიწების ასეთი ჩუმი და ძალიან საშიში ანექსია!



ნებისმიერ ქმედებას დავუჭერ მხარს, რომელსაც საქართველოს მთავრობა გააკეთებს და ამ ანექსიას შეაჩერებს. მწყობრად და კოორდინებულად უნდა ვიმოქმედოთ! მთავარი გაკვეთილი არის ის, რომ ძალა ერთობაშია. ჩვენ რუსეთის ამ მცოცავ ანექსიას აუცილებლად შევაჩერებთ, — აცხადებს მიხეილ სააკაშვილი.

საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე კი პრეზიდენტისგან თანამშრომლობის შეთავაზებას დაგვიანებულს უწოდებს.

— ის პრეზიდენტი მხოლოდ ერთი თვე იქნება. ეს ერთი წელი ე.წ. კოაბიტაციის, გარკვეულწილად თანამშრომლობის წელი უნდა ყოფილიყო, რაც იყო კიდეც ზოგიერთ საკითხში, მაგრამ ეს შეთავაზება აქტიური თანამშრომლობისა უკვე დაგვიანებულია, — განაცხადა მინისტრმა.

ფანჯიკიძის აზრით, საქართველოს მთავრობა ძალიან ბევრ რამეს აკეთებს იმისთვის, რომ სიტუაცია განიმუხტოს და რუსეთის ქმედებების წინააღმდეგ საერთაშორისო მხარდაჭერა იყოს.

— ვმასპინძლობთ ევროკავშირის პოლიტიკისა და უსაფრთხოების კომიტეტის 28 ელჩს და მათ თანმხლებ პირებს. ისინი სწორედ ე.წ. საზღვრის მიდამოებში იმყოფებოდნენ, რათა თავიანთი თვალით ენახათ ის მავთულხლართები, რომლებსაც რუსეთი აბამს. ჩვენ მათთან მთელი დღის განმავლობაში გვაქვს შეხვედრები. დარწმუნებული ვარ, მათი განცხადება საქართველოსთვის ძალიან სასარგებლო იქნება, — ამბობს ფანჯიკიძე.

სარკე — ჟურნალი გამოდის 1998 წლის 23 იანვრიდან

დამფუძნებელი — შპს „სარკე“
მთავარი რედაქტორი — მედეა სანაია
კომერც. დირექტორი — ვაჟა შენგელია

მთავარი რედაქტორის მოადგილეები — ირინე მჭედლიძე, ირმა გოგინაძე, ავთო ჩიტიძე.

პოლიტიკა — მანანა გეგია. საზოგადოება, სამართალი, შოუბიზნესი — ირინე მჭედლიძე, რუსუდან ადვაძე, ლანა კიკნაძე, სოფიო ბოჭორიძე, მანანა ნოდია, ავთო ჩიტიძე, ქეთი დინოშვილი, ეკა ლემონჯავა, თათია ბოჭორიძე. მედიცინა — აზა გაგოშიძე, ნათია ტოტიკაშვილი. ფოტო — ქეთი ყორიშელიშვილი. მხატვარი — ქეთი ხარატიშვილი.
კომპიუტერული მომსახურება: დაკაბადონება — ირმა გოგინაძე, ნონა კანდელაკი. ოპერატორი — მარინა ქლენტი, მაია ფიფია. კორექტურა — ლანა გაბუნია, მაია ფიფია.
სარეკლამო სამსახური — მამუკა ბარბაქაძე; 599 975-699; e-mail: mgb7@mail.ru
მდივანი — იზა ბარბაქაძე.

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის ქ.№50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 296-75-43. ფაქსი: 296-75-43.
ელ.ფოსტა: SARKE@MAIL.RU ვებგვერდი: SANA.GE

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. სტატიაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. ჟურნალისტის მიერ ჩაწერილი აუდიო მასალა ინახება 14 დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ სტატიის შესახებ პრეტენზიები არ მიიღება. „სარკეში“ გამოქვეყნებული ნაბეჭდი და ფოტომასალის გამოყენება რედაქციასთან შეუთანხმებლად აკრძალულია.



Cyan Magenta Yellow Black



## დავით ბაქრაძე დეპუტატებს სიმშვიდეს ურჩევს

პრეზიდენტობის კანდიდატი დავით ბაქრაძე საპარლამენტო უმრავლესობას და უმცირესობას მოუწოდებს, პოლიტიკური დებატები კინკლაობად არ გადააქციონ.

— მინდა, მოვუწოდო საპარლამენტო უმრავლესობასაც და საპარლამენტო უმცირესობასაც, ნუ გამოვიყენებთ დებატებს პოლიტიკური კინკლაობისთვის. მესმის, რომ დებატებში ბრალდებები და პოლიტიკური დაპირისპირება ყოველთვის იქნება, მაგრამ მინდა, ყველას ვთხოვო, ეს დებატები მხოლოდ ერთმანეთის დაპირისპირების, კრიტიკის და ერთმანეთზე გადაბრალებისთვის კი არგამოვიყენოთ, არამედ იმისთვის, რომ, როგორც პარლამენტის წევრებმა, გამოსავალი მოვძებნოთ. ხელისუფლებას შევთავაზოთ გზები, რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ეკონომიკა წინ წავიდეს, სამუშაო ადგილები შეიქმნას, ხალხი დასაქმდეს და სიღარიბე შემცირდეს, — განაცხადა პრეზიდენტობის კანდიდატმა.

## ირინე იმერლიშვილის კანონპროექტს არასამთავრობო სექტორი უპირისპირდება

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ გაუმართლებელს უწოდებს საპარლამენტო უმრავლესობის წევრების, ირინე იმერლიშვილისა და ზურაბ აბაშიძის საკანონმდებლო ინიციატივას, რომლის მიხედვითაც, ქვეყნის საზღვრების დატოვება საქართველოს მოქალაქეს შეიძლება შეეზღუდოს „სახელმწიფო და/ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე“.

ინიციატივის მიხედვით, კონკრეტულად ცვლილება შედის „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ კანონის მე-10 მუხლში, რომელიც საქართველოდან დროებითი გასვლის უფლების შეზღუდვის საფუძვლებს ადგენს.

მუხლის მოქმედი რედაქციით, საქართველოს მოქალაქეს შეიძლება უარი ეთქვას საქართველოდან დროებითი გასვლისთვის საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემაზე ან პასპორტის მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, აგრეთვე საზღვრის გადაკვეთაზე: ა) თუ იძებნება სამართალდამცავი ორგანოების მიერ; ბ) თუ წარმოადგენს ყალბ ან ძალის არმქონე საბუთებს. ინიციატორების წინადადებით, მუხლს ემატება შემდეგი შინაარსის პუნქტი: გ) სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე.

ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ ამასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს:

„დეპუტატების მიერ შემოთავაზებული ცვლილება ძალიან ზოგადია, კანონს უფრო ბუნდოვანს ხდის და არაფერს აზუსტებს. ეს ცვლილება გამართლებული იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შემოგვთავაზებდა კონკრეტულ მიზეზებს, რაც შეიძლება გახდეს ქვეყნიდან გასვლის შეზღუდვის საფუძველი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამის მოხელეს და სასაზღვრო პოლიციის წარმომადგენელს ენიჭება ზედმეტად ფართო დისკრეცია, რაც ადამიანის უფლებების შეზღუდვის გაუმართლებელ რისკებს ქმნის.

მიგვაჩნია, რომ დაუშვებელია მოქალაქის თავისუფალი მიმოსვლისათვის დამატებითი ბარიერების შექმნა და საზღვრის გადაკვეთის შეზღუდვა შესაბამისი უფლებამოსილი პირისათვის ნათელი სამართლებრივი ინსტრუქციის გარეშე“.

არასამთავრობო ორგანიზაცია კიდევ უფრო შემაშფოთებლად მიიჩნევს დეპუტატების ახსნა-განმარტებას იმის თაობაზე, რომ მოქალაქეს, რომელსაც ქვეყნიდან გასვლა ეზღუდება, არ მიეწოდება ინფორმაცია ამ უფლების შეზღუდვის მიზეზების შესახებ.

„განმარტებითი ბარათი ამბობს, რომ ასეთი შეზღუდვის შესახებ დასკვნა დროებითია და შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში კი შეზღუდვა გაუქმდება. გვსურს, ცალსახად აღვნიშნოთ, რომ სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზეზით მოქალაქის თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვის გადაწყვეტილების მისაღებად უნდა არსებობდეს მკაფიო სამართლებრივი საფუძველი“, — აცხადებს „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ და მოუწოდებს საქართველოს პარლამენტს, არ მიიღოს ამგვარი ბუნდოვანი ნორმა კანონში, ვინაიდან სახელმწიფოს ისედაც გააჩნია მოქალაქეებისთვის ქვეყნიდან გასვლის შეზღუდვის შესაძლებლობა ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში.

„კანონის მუხლში მკაფიოდ უნდა ჩაიწეროს ყველა ის საფუძველი, რომლითაც მოქალაქეს შეიძლება ქვეყნიდან გასვლა შეეზღუდოს“, — ნათქვამია განცხადებაში.

## ანაკლიის პორტი აშენდება, ლაზიკის — არა

მთავრობა ანაკლიის პორტის პროექტზე მუშაობს. ამის შესახებ ცნობილი გახდა თანაინვესტირების ფონდის პრეზენტაციაზე, სადაც განცხადება პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა. მისი თქმით, ისეთ გლობალურ პროექტს, როგორიცაა ანაკლიის პორტი, პარალელურ რეჟიმში განიხილავდნენ.

— საქართველო გახლავთ სატრანზიტო ქვეყანა და ჩვენ ეს ფუნქცია იდეალურად და საუკეთესოდ უნდა შევასრულოთ. ამისთვის უნდა აშენდეს პორტი, რომელსაც ექნება წელიწადში 110 მლნ ტონამდე გამტარიანობა. სამი პორტის ვარიანტი გვქონდა. ეს არის საუკეთესო, რომელიც იმუშავებს 12 თვე 24 საათის განმავლობაში. ასეთი ფონდის დაფუძნებით პორტის მშენებლობა გაცილებით იოლი იქნება. პორტებზე სულ საუბრობდა წინა ხელისუფლება, მაგრამ მისი არც პროექტი არსებობდა და არც ნორმალური დაფინანსების ვარიანტი, ჩვენ კი ეს ყველაფერი რეალობაში შეიძლება მოვიყვანოთ.

თქვენ იცით, რომ სააკაშვილის აკვიატებული იდეაა ლაზიკის პორტი, თუმცა, როცა გავარჩიეთ სამი ვარიანტი, ლაზიკა გაცილებით აგებს ანაკლიის პორტთან. ეს არის სიმძლავრით რამდენჯერმე უფრო დიდი, ამავე დროს, ჩვენ არ გვიწევს ჭაობის ამოშრობა, რამაც შეიძლება დიდი კატაკლიზმები გამოიწვიოს. ასეთი პორტის მშენებლობის დაწყებისთვის მიდის სერიოზული მზადება. ეს პროექტი შეიძლება უმოკლეს დროში გახდეს ყველაზე დიდი და რეალისტური პროექტი საქართველოში, — აცხადებს ბიძინა ივანიშვილი.

## საქართველოს პრემიერმა ევროკავშირს გააქტიურებისკენ მოუწოდა

ევროკავშირის პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტის ელჩები საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებს შეხვდნენ. პირველი ვიზიტი პრემიერთან შედგა. ბიძინა ივანიშვილმა მათ სიტყვით მიმართა და აქცენტი გააკეთა ქვეყნის ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ვითარებაზე:

— მინდა, საქართველოს მთავრობის სახელით მივმართო ევროკავშირს: არსებული სერიოზული საგარეო გამოწვევების გათვალისწინებით, გააძლიეროს აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორი ქვეყნების მხარდაჭერა და უზრუნველყოს უკვე შეთანხმებული მიზნების რეალიზაცია ვილნიუსის სამიტისთვის... გააგრძელოს ქმედითი არაღიარების პოლიტიკა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ; მკვეთრად დააფიქსიროს თავისი პრინციპული პოზიცია, რომ დაუშვებელია ჟენევის მოლაპარაკებების დაკნინება არსებული ფორმატის შეცვლის მიუღებელი მცდელობებით; სათანადო რეაგირება მოახდინოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციული ხაზის გასწვრივ მიმდინარე საგანგაშო ვითარებაზე და მოუწოდოს რუსეთს, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ეს უკანონო ქმედება; მოუწოდოს რუსეთს, გამოიჩინოს კონსტრუქციულობა ძალის გამოუყენებლობის ვალდებულების აღებასთან დაკავშირებით; ხელი შეუწყოს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ეფექტიან ფუნქციონირებას; რეალურად გამოიყენოს მის ხელთ არსებული რესურსები ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთარ საცხოვრებელ ადგილებში უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების საერთაშორისოდ აღიარებული უფლებების რეალიზაციისათვის.

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი
(შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა)
დისბაქტერიოზი
მიიღეთ
ლაქტო-ჯი
www.laqto.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



Cyan Magenta Yellow Black

# დიმიტრი ლორთქიფანიძე მერვე შვილის მამა 45 წლის ასაკში გახდა

## „ანდრიამ ბებიობა და ბაბუობა დაგვავიწყა!“



■ ანდრია მშობლებთან ერთად

„ბიჭია, ბიჭი!“ — ეს სიტყვები ადამიანის უფლებათა ცნობილმა დამცველმა, დიმიტრი ლორთქიფანიძემ, „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე 25 სექტემბერს დაწერა. 45 წლის ასაკში მას მერვე შვილი შეეძინა. ბავშვის დაბადებიდან რამდენიმე საათის შემდეგ ნაბოლარა შვილის ფოტოც გამოაქვეყნა.

ბიჭუნას ანდრია დაარქვეს. ის ლორთქიფანიძეების დიდ ოჯახში მეხუთე ვაჟია. ახალდაბადებული ანდრია უკვე ბიძაცაა, ბატონ დიმიტრის და მის მეუღლეს, 43 წლის ხათუნა კეკელიას, ორი შვილიშვილი ჰყავთ — 4 წლის დიმიტრი და 1 წლის ანა.

„სარკე“ ლორთქიფანიძეებს ბედნიერების მისალოცად მაშინ ესტუმრა, როცა დედაშვილი სამშობიაროდან ორი დღის გამოწერილები იყვნენ.

**— გილოცავთ ამ უდიდეს სიხარულს და წყალობას, ბედნიერება მოეტანოს პატარა ანდრიას თქვენი ოჯახისთვის! როგორი ბიჭი დაიბადა?**

**ხათუნა:** ანდრია 25 სექტემბერს, დღის 4 საათზე დაიბადა, 3 კილო და 100 გრამი იყო. მან ჩვენს ოჯახში უდიდესი სიხარული და სითბო შემოიტანა. ამ დღეს ყველანი მოუთმენლად ველოდით. სხვათა შორის, ანდრია 2 კვირით ადრე გაჩნდა.

**— ბუნებრივად და ადვილად გააჩინეთ ბავშვი?**

**ხათუნა:** დიახ და ძალიან დიდი მადლობა ბატონ დავით გაგუას, რადგან ბავშვი რომ ჯანმრთელია, ამაში დიდი წვლილი მას მიუძღვის.

**— ბატონო დიმიტრი, უკვე მერვედ გახდით მამა. ეს ემოცია თქვენთვის ალბათ უკვე ძალიან ნაცნობია.**

**დიმიტრი:** სიმართლე რომ გითხრათ, მეგონა, ზუსტად იგივე რეაქცია მექნებოდა, რაც თავის დროზე დანარჩენი შვიდი ბავშვის შემთხვევაში, მაგრამ ყველა მოლოდინს გადა-

**დიმიტრი: „ვისაც გაქვთ შანსი, რომ ამ ასაკში შვილი გყავდეთ, გნებავთ — მანდილოსანს, გნებავთ — მამაკაცს, ამაზე უარი არ თქვათ!“.**

აჭარბა იმ გრძნობამ, რაც პატარა ანდრიას პირველი ნახვისას დამეუფლა. განსხვავებული შეგრძნებაა, როცა 45 წლის ასაკში შვილი შეგეძინება. ვისაც გაქვთ შანსი, რომ ამ ასაკში შვილი გყავდეთ, გნებავთ — მანდილოსანს, გნებავთ — მამაკაცს, ამაზე უარი არ თქვათ! ეს უდიდესი, განსაკუთრებული სიხარულია, რომელსაც ვერ გადმოსცემ, თუ არ განიცდი, ვერ გაიგებ. როცა ანდრია დავინახე, წამიერად მთელი განვლილი ცხოვრების ანალიზი მოვახდინე. მისმა დაბადებამ ჩემი და ხათუნას ბიოლოგიური ასაკი უნდა გაახანგრძლივოს, რადგან ჩვენ მას ვჭირდებით. მეტი სტიმული, მეტი შემართება და მოტივაცია გვაქვს იმისთვის, რომ ცხოვ-

**დიმიტრი: „მისმა დაბადებამ ჩემი და ხათუნას ბიოლოგიური ასაკი უნდა გაახანგრძლივოს, რადგან ჩვენ მას ვჭირდებით“.**

რებას სხვანაირად შევხედოთ, რომელიც ნამდვილად მშვენიერია.

**— ბატონო დიმიტრი, მშობიარობას ხომ არ დასწრებიხართ?**

**დიმიტრი:** არა, ასეთი რაღაცეების მომხრე არ ვარ და ვერც იქ ყოფნას გავუძლებდი.

**— ქალბატონო ხათუნა, მერვე შვილი, თან 43 წლის ასაკში — ეს შეიძლებოდა ბევრ ქალს ვერ გაერისკა. ექიმებიც ძალიან სკეპტიკურად უყურებენ ამ ასაკში ზოგადად შვილის გაჩენის შანსს. თქვენ კი ყველა სკეპტიკოსის აზრი გააბათილეთ.**

**ხათუნა:** ეს ბავშვი მართლა ღვთის საჩუქარია. პირველი შვილი რომ შემეძინა, 19 წლის ვიყავი, მაშინაც უზარმაზარი სიხარული განვიცადე. პირველ შვილს დიდი სიხარული მოაქვს, მაგრამ ამ ასაკში დედობა სულ სხვა გრძნობაა. ყველას ვურჩევდი, რომ ეს უდიდესი შეგრძნება გამოსცადონ. მინდა, ყველა დედას ვუთხრა, რომ ბევრი შვილის ყოლის არ შეეშინდეთ! დედებმა ერს, ღმერთს და საკუთარ თავს შვილები უნდა აჩუქონ, რადგან ეს ყველაფერი თავის ნაყოფს აუცილებლად გამოიღებს.

პატარას დაბადება საოცარი შეგრძნებაა, ეს პირველად არ განმიცდია, მაგრამ ახლა დედობრივი ინსტინქტები, სიყვარული უფრო მოზღვავებულად მქონდა.

**— როგორი ბავშვია ანდრია, მშვიდია?**

**ხათუნა:** საოცარი, მშვიდი ბიჭია, კარგად იქცევა, ღამე კარგად სძინავს, ჭამს და არის ასე. ფეხმძიმობისას სულ მეშინოდა, ანდრიას რაიმე პრობლემა არ შექმნოდა, მაგრამ, ღვთის წყალობით, აბსოლუტურად ჯანმრთელი დაიბადა.

**დიმიტრი:** ხათუნა საკუთარ თავზე ვერ ილაპარაკებს, არც ჩემგან ეგების განსაკუთრებული საქებარი სიტყვების საჯაროდ ფრქვევა, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს ის განსაკუთრებული გმირობა, რომელიც მან ჩაიდინა. მთელი მისი ორსულობის პერიოდი მრავალი რისკის შემცველი იყო, მიუხედავად ამისა, ღვთის შეწევნით და ხათუნას გამბედაობით, ყველაფერი მშვიდობით დასრულდა. ჩემი მეუღლე პროფესიით პედიატრია, ახალშობილთა ექიმი, ალბათ ყოველივე ამან მერვე შვილის დედობის ხვედრი შეუმსუბუქა.

**— ანდრია სულ რამდენიმე დღისაა, ბევრჯერ შეეცვლება გარეგნობა, მაგრამ ახლა ვის ამსგავსებთ?**

**ხათუნა:** ერთმანეთს — ნაკლებად, უფრო ბავშვებს ვამსგავსებთ. ზოგიერთის ცხვირი აქვს, ზოგიერთის — თვალი. მგონი, ყველას ჰგავს.

**დიმიტრი:** და მეც მგავს. საერთოდ, მშობელი ვერ აღიქვამს, როცა შვილი მას ჰგავს. „ფეისბუქის“ ჩემს გვერდზე ანდრიას ფოტო რომ ავტვირთე, უმრავლესობა ამბობდა, შენ გგავსო. შეუძლებელია, ყველა ტენდენციური ყოფილიყო.

**— ქალბატონო ხათუნა, ბავშვის მოვლაში მამა ჩართულია?**

**ხათუნა:** კი, თან დიმა ახლა ბევრად უფრო გამოცდილი მამაა. განსაკუთრებით ღამის საათებში ძალიან აქტიურად მეხმარება, ისევე, როგორც სხვა შემთხვევებში. შეძლებისდაგვარად ერთმანეთს ვეხმარებით.

**დიმიტრი:** მთავარი ღამის საათებია. ხა-



■ ოჯახი

**ხათუნა: „მინდა, ყველა დედას ვუთხრა, რომ ბევრი შვილის ყოლის არ შეეშინდეთ! დედებმა ერს, ღმერთს და საკუთარ თავს შვილები უნდა აჩუქონ“.**

თუნა ცდილობს, თავმდაბალი იყოს, მაგრამ ამ ჯაფის დიდი წილი, რა თქმა უნდა, მასზეა. ის კი, რომ მასთან ერთად ვფხიზლობ, მისთვის მორალური შეღავათია. ჩემი დახმარება ძირითადად არის რაღაცის მიწოდება-მოწოდება, ბავშვის შეხვევა და ა.შ. ერთი სიტყვით, ხათუნას ასისტენტის დონეზე ვეხმარები.

**— ბავშვი დედის რძეზეა თუ ხელოვნურ კვებაზე?**

**ხათუნა:** ბუნებრივზე და ვეცდები, რაც შეიძლება დიდხანს იკვებოს ასე. ეს ბავშვის ჯანმრთელობისთვისაც კარგია.

**— როგორი იყო ანდრიას დასახვედრად სამზადისი?**



Cyan Magenta Yellow Black

**ხათუნა:** მთელი ფეხმძიმობის პერიოდში მეტნაკლებად ვემზადებოდით, განსაკუთრებით და აქტიურად — ბოლო დღეებში. ყველა საჭირო ნივთი ჩალაგებული მქონდა, მაგრამ დიმა სამშობიაროში რომ მოვიდა, ანდრიას გამოსაყვანი კალათა არ წამოუღია, ჩემი მომზადებული კალათა სახლში დამიტოვეს.

**დიმიტრი:** რამდენიმე დღე მივლინებით საზღვარგარეთ მომიწია ყოფნა, იქიდან ანდრიას პატარა ფეხსაცმელი ჩამოვუტანე. ერთი სიტყვით, სანამ დაიბადებოდა, წინასწარ გამოვაწყვეთ. როგორც მოგეხსენებათ, ახლა ბავშვებს საფენებით აღარ კოჭავენ, თავისუფლად აცმევენ, მე კი ეს მომზადებული ნივთები თავის კალათიანად სახლში დამრჩა. ანდრია სამშობიაროდან ისე გამოვიყვანეთ, როგორც იქიდან არავინ გამოჰყავთ. ხალხი გაკვირვებული იყო, ასეთი მოუმზადებელი რომ ვჩანდით. ყველა ცდილობს, ბავშვი სამშობიაროდან პომპეზურად გამოიყვანოს, ამაცხოვრების წესიდან გამომდინარე, მის სულიერ სამყაროსაც გაუფრთხილდებიან.

— **დღევანდელ რთულ ეკონომიკურ მდგომარეობაში რვა შვილის, შვილიშვილების პატრონობას როგორ ართმევთ თავს?**

**დიმიტრი:** რა თქმა უნდა, ეს ურთულესია. მეორე მხრივ, ეს იმას არ ნიშნავს, როცა ბევრი შვილი გყავს, ცხოვრების ტვირთიც პროპორციულად მძიმდება. არაფრის დიდებით! პირიქით, უფროსი შვილები გვეხმარებიან აღზრდაშიც, გაზრდაშიც, ფიზიკურ, სულიერ შრომაში, განათლების მიღების პროცესშიც და ა.შ. ამის პრობლემა ჩვენ არ გვაქვს. რვა შვილიდან სამი სტუდენტია, ერთი აბიტურიენტია, დანარჩენები სკოლის მოწაფეები არიან.

ქართველების გადარჩენის ფორმულა მრავალშვილიანობაა. ხათუნას ორსულობის აფიშირებას არ ვახდენდით, თუ ბოლო თვეს არ ჩავთვლით, სანამ პრესამ

**დიმიტრი: „მომზადებული ნივთები თავის კალათიანად სახლში დამრჩა. ყველა ცდილობს, ბავშვი სამშობიაროდან პომპეზურად გამოიყვანოს, ამ შემთხვევაში ანდრია ჩაუცმელი დაგვრჩა, უბრალოდ სახვევში იყო გადახვეული".**

საც თავისი რიტუალური დატვირთვა აქვს, ამ შემთხვევაში ანდრია ჩაუცმელი დაგვრჩა, უბრალოდ სახვევში იყო გადახვეული.

— **უფროსი და-ძმები მონაწილეობენ ნაბოლარას მოვლაში?**

**ხათუნა:** კი, ყველა აქტიურობს, დიდი ინტერესით აკვირდებიან, რომელი ნაკვთით ვის ჰგავს და ა.შ. ძალიან დიდ სიყვარულს გამოხატავენ, ბავშვის დაჭერაში ერთმანეთს ეცილებიან. ერთი რომ წამოიტიროს, არა მე ავიყვან, არა მეო, ამბობენ. ყურადღებით ვარ, რომ პატარა ლუკამ ანდრიას შემთხვევით არაფერი ატკინოს.

— **ანდრიას ნათლობაც წინ არის. ვის მოანათვლინებთ?**

**დიმიტრი:** მეორმოცე დღეს, მას შემდეგ, რაც დედას განწმენდის ლოცვა წაეკითხება, ანდრიაც მოინათლება და ქრისტიანთა რიცხვში ჩაეწერება. რაც შეეხება ნათლიებს, გადაჭრით თქმა არ შემიძლია, თუ ვინ იქნებიან, რადგან ამაზე წინასწარ არ მიფიქრია. ამ დღეებში ჩამოვყალიბდები. როგორც წესი, ის ჩემი ძალიან ახლო გარემოცვიდან იქნება, რადგან ნათლიობა ფუფუნება ნამდვილად არაა, ეს ძალიან რთული და დიდი პასუხისმგებლობაა. ვეცდები, ნათლიათა რიცხვში ისეთი ადამიანი ან ადამიანები შევარჩიო, რომელთაც ანდრიას ნათლოიბა მძიმე ტვირთად არ დააწვებათ და, საკუთარი და, მათ შორის თქვენმა ჟურნალმა, რომელსაც ძალიან დიდ მადლობას ვუხდი, გულთან ახლოს არ მიიტანა ეს საკითხი.

— **საოცარია, ანდრია უკვე ბიძაა, თქვენი შვილიშვილები თქვენს შვილზე უფროსები არიან.**

**დიმიტრი:** კი. ანდრიას დაბადებით ბებიობა და ბაბუობა დაგვავიწყდა. ჩვენი ანდრია, რომელიც თავის ძმისშვილებზე, დიმიტრიზე და ანაზე, უმცროსია, უკვე ბიძაა. დარწმუნებული ვარ, როცა წამოიზრდება, საამაყოდ ექნება, რომ თავისზე უფროსი ძმისშვილები ჰყავს.

— **სახელი ვინ შეურჩია?**

**ხათუნა:** ბავშვებმა, მე და დიმამ ერთად შევურჩიეთ.

**დიმიტრი:** გარდა იმისა, რომ ეს სახელი ძალიან მოგვწონდა, რაღაც სიმბოლოც ჩავდეთ იმაში, რომ მერვე შვილი ანდრია პირველწოდებულის მოსახელე ყოფილიყო. ყველა წმინდანი ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ქართველებისთვის ანდრია პირველწოდებული ისეთივე მნიშვნელობისაა, როგორიც წმინდა გიორგი, რომლის პატივსაცემადაც უმრავლესობა ვაჟებს გიორგის არქმევს. ჩვენც გვყავს გიორგი და, სხვათა შორის, გიორგობას არის დაბადებული, ლუკა კი — ლუკა მახარებლის დღეს. ვიფიქრეთ, რომ უპრიანი იქნებოდა, ჩვენი მერვე შვილი ამ უდიდესი წმინდანის მოსახელე ყოფილიყო.

✓ ეკა ლემონჯავა



## გიორგი უშიკიშვილს პირველი შვილი შეეძინა

ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ხელმძღვანელი, ქართული ხალხური სიმღერების ცნობილი შემსრულებელი, გიორგი უშიკიშვილი, ცოტა ხნის წინ ბიჭის მამა გახდა. მისთვის და მისი ცოლისთვის, ნანუკა კუპატაძისთვის, ეს პირველი შვილია. ბავშვს სახელად საბა დაარქვეს.

გიორგი და ნანუკა 2011 წელს დაქორწინდნენ. როგორც გიორგი „სარკეში" ყვებოდა, საყვარელი გოგონას გულის მოსაგებად ბევრი „საგმირო საქმე" ჩაიდინა. სიყვარულისთვის ბრძოლაში მას მთელი სამეგობრო ეხმარებოდა. გიორგი თავის რჩეულს უფლის საჩუქარს უწოდებს.

„სარკე" უერთდება მილოცვებს და ცოლ-ქმარს პატარა საბასთან ერთად ბედნიერ ცხოვრებას უსურვებს.

## ჰამლეტ გონაშვილის 85-ე დაბადების დღე კონცერტით აღნიშნეს



რუსთაველის თეატრში ფონდ „ქართული გალობის" ინიციატივით ლეგენდარული ქართველი მომღერლის, აწ გარდაცვლილი ჰამლეტ გონაშვილის დაბადებიდან 85-ე წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კონცერტი გაიმართა, რომელსაც მისი მეგობარი და კოლეგა, ცნობილი ლოტბარი ანზორ ერქომაიშვილი უძღვებოდა. დარბაზი ხალხით სავსე იყო. მომღერლის მეგობრებმა და მისი ნიჭის თაყვანისმცემლებმა მისი ცხოვრებიდან ბევრი საინტერესო მომენტი გაიხსენეს. პოეტმა ჯანსულ ჩარკვიანმა მის ხსოვნას ლექსი მიუძღვნა.

საიუბილეო საღამო ანსამბლ „რუსთავის" სიმღერებმა გაალამაზა. რუსთაველის თეატრში შეკრებილ საზოგადოებას საშუალება ჰქონდა, საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივში დაცული უნიკალური ვიდეომასალებიც ეხილა. ამავე საღამოს შედგა ჰამლეტ გონაშვილის განახლებული ორი კომპაქტდისკის და დივიდი ალბომის პრეზენტაციაც.

ფონდ „ქართული გალობის" ინიციატივით უახლოეს მომავალში კიდევ რამდენიმე ღონისძიება იგეგმება — გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლის შენობის რემონტი და ამ სასწავლებლის კურსდამთავრებულთათვის დასაქმების პროგრამის დაწყება, გალობის სასწავლო აუდიოალბომის გამოცემა, ღვაწლმოსილ ლოტბართა საღამოების გამართვა რეგიონებში, ასევე — ქართული კულტურის საგანძურის მოვლასა და შენარჩუნებასთან დაკავშირებული ღონისძიებები.


კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი
(შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა)
დისბაქტერიოზი

მიიღეთ
ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.




Cyan Magenta Yellow Black

# დიანა ტრაპაიძე „მაესტროდან“ „იმედზე“ გადასულ ქმარს ეკინკლავება

## „სულაც არ ვოცნებობ დიდი ტოქ შოუს წაყვანაზე“



ვასულ ზაფხულს ტელეკომპანია „მაესტრომ“ „დანაკარგები“ განიცადა მისი თანამშრომლების, არხის სახეების გადასვლით კონკურენტ „იმედზე“, თუმცა მნიშვნელოვანი ბირთვი მაინც დარჩა და მათ შორის ერთ-ერთი ტელეჟურნალისტი და ტელეწამყვანი დიანა ტრაპაიძეა. ზაფხულის შემდეგ, ახალ სეზონზე, ის ისევ „მაესტროს“ ეთერშია იმავე გადაცემით „სუბიექტური აზრი“, მიუხედავად იმისა, რომ მისი ქმარი, ტელეპროდიუსერი ჯონი კალანდაძეც მათ შორისაა, ვინც „იმედი“ ამჯობინა და იქ გადავიდა.

— **დიანა, როგორ გაატარეთ ეს ცივი, მაგრამ პოლიტიკურად ცხელი ზაფხული?**

— შვებულება ჩემს სახლში, ქობულეთში გავატარე. სულ მინდა, სადმე სხვაგან დავისვენო, მაგრამ ყოველთვის მაინც ჩემს მშობლიურ სახლში ვისვენებ. ფამუქის „სტამბული“ წავიკითხე, სადაც წერს, ყოველ ახალ წელს მინდა, სხვაგან შევხვდე, მაგრამ ისე ხდება, რომ მაინც მშობლიურ სახლში ვხვდებიო. მეც ასე მემართება — ვერც ერთ ზაფხულს გავცდი ქობულეთს. ეს არ იყო დასვენება, რადგან იმდენი ვიშრომე, რომ ოცნება ავისრულე — მართვის მოწმობა ავიღე. მანქანას კი ვატარებდი, მაგრამ მართვის მოწმობა არ მქონდა, რის გამოც მეუღლე სულ მსაყვედურობდა. როგორც კი შვებულება დამეწყო, იმ დღიდან დავიწყე მეცადინეობა. შვებულების დამთავრებამდე რამდენიმე დღით ადრე ავიღე მართვის მოწმობა. ასე რომ, ამ ძალზე მნიშვნელოვან ამბავს შევწირე ჩემი საზაფხულო არდადეგები.

— **ადვილად ჩააბარეთ გამოცდა მართვაში?**

— ორჯერ ჩავიჭერი პრაქტიკის გამოცდაზე და მესამე ცდაზე ავიღე ქალაქ გორში. ისეთი ბედნიერი ვიყავი, რომ მკითხონ, რა არის ბედნიერებაო, შემიძლია ამ ჩამონათვალში ის წუთები შევიტანო. ბედნიერებაა, როცა ქალის კომპიუტერული ხმა გეუბნება, გილოცავთ, თქვენ წარმატებით ჩააბარეთ გამოცდაო. ისე გადმოვხტი მანქანიდან და ისე მიხაროდა!..

მითხრეს, ერთი კვირის შემდეგ მართვის მოწმობა შეგიძლია უფასოდ აიღოო. რა უფასოდ, ახლავე მომეცით, ყველაფერს ვიხდი-მეთქი, ვყვიროდი. ეს იყო ჩემი საზაფხულო მონაპოვარი. ერთი ამბავი ატყდა ჩემს „ფეისბუქზე“, არიქა, სუფრა გაშალეო, მაგრამ მომერიდა, ასე წვალებ-წვალებით აღებული მართვის მოწმობა აღმენიშნა. ხანდახან მართვის მოწმობის გარეშეც დავდიოდი და პოლიციელს რომ ვხედავდი, ვპატარავდებოდი. ისეთი შეშინებული ალბათ არასოდეს არავის ვუნახივარ. გაიარა ამ შიშმა და ახლა სრულფასოვანი, მოწმობიანი მძღოლი ვარ! მანქანა გვყავდა და მინდოდა, მეც მეტარებინა. მერე აღარ გვყავდა და გადამიარა ამ მოთხოვნილებამ. ახლა ისევ ვიყიდეთ და მართვის მოწმობის გარეშე არასრულფასოვნად ვგრძნობდი თავს.

„გავიზარდე გარემოში, სადაც ჩემი ოჯახი იყო ქრისტიანული, მაგრამ ბებია იყო ქართველი მუსლიმი. მისი ყველა შვილი და შვილიშვილი ქრისტიანად არის მონათლული. ბებიასაც უნდოდა გაქრისტიანება, მაგრამ უთქვამთ, არ მოინათლო, თორემ 60 წლის წინ გარდაცვლილ შენს ქმარს იმქვეყნად ვეღარ ნახავო და ასე გადააფიქრებინეს“.

— **როცა მშობლიურ ქობულეთში ხართ, დიდი სტუმრიანობა გექნებათ ზაფხულში, ალბათ ჩამოდიან მეგობრები და კოლეგები თბილისიდან.**

— კი, სულ სტუმრიანობა გვაქვს. მუდმივად ჩამყავდა მეგობრები ზღვაზე დასასვენებლად. თანამშრომლები, ნაცნობები მუდმივად გვსტუმრობენ. წელს ისე მოხდა, რომ მხოლოდ მამუკა ღლონტი გვყავდა სტუმრად. მოტოციკლეტით ჩამოგვაკითხა შეკვეთილიდან. ვისადილეთ, მოვყევით ამბები.

— **მთავარი თემა „მაესტროდან“ „იმედზე“ ჟურნალისტებისა და სხვა თანამშრომლების გადასვლა იქნებოდა. მამუკა ღლონტი ამ ამბავმა ძალიან აღაშფოთა. ამბობდა, რომ „იმედის“ საშუალებით ვიღაც მისი ტელეკომპანიის ჩაძირვას ცდილობდა. თქვენ როგორ ფიქრობთ, რა პროცესები მიდის დღეს ქართულ მედიაში?**

— მეც მომიწია მამუკა ღლონტის დამშვიდება მაგ დღეებში. მასთან კარგი ურთიერთობა მაქვს და „მაესტროში“ მუშაობას ის ხიბლიც აქვს, რომ მამუკასთან მიწევს ურთიერთობა. ხანდახან ისე ვჩხუბობთ ხოლმე, ვეუბნები, ახლა მე უფრო ვგავარ დამქირავებელს, ვიდრე შენ-მეთქი. მამუკა ურთიერთობისთვის ძალიან კარგი ადამიანია. ცოტა ჯიჯღინაა. პოლემისტია ისიც და მეც და დიდ ამბავში ვართ ხოლმე.

„მამუკამ დამირეკა ასეთი ტექსტით: „შენც, დიანა?“ რა ხდება-მეთქი, ვკითხე. სიჭინავა წავიდა, ჟიჟილაშვილი ფიქრობს, წავიდეს თუ არა და შენ რას აპირებო. ვაწყნარებდი, არსად მივდივარ, მამუკა, ნუ გეშინია, არავის ვჭირდები, კალთებს არავინ მახევს-მეთქი“.

როცა ჩემი მეგობრები, თეა სიჭინავა და პროდიუსერი მაია თაბაგარი, „იმედზე“ წავიდნენ, მამუკამ დამირეკა ასეთი ტექსტით — „შენც, დიანა?“ რა ხდება-მეთქი, ვკითხე. თეა წავიდა, ჟიჟილაშვილი ფიქრობს, წავიდეს თუ არა და შენ რას აპირებო. ვაწყნარებდი, არსად მივდივარ, მამუკა, ნუ გეშინია, არავის ვჭირდები, კალთებს არავინ მახევს-მეთქი.

— **მართლა არ გქონიათ შემოთავაზებები?**

— რამდენიმე შემოთავაზება იყო, მაგრამ ამ ეტაპზე მივიღე გადაწყვეტილება, რომ მუშაობა „მაესტროზე“ გავაგრძელო. აქ ნორმალური გარემოა ჩემთვის და ძალიანაც მიყვარს ის გადაცემა, რომელიც მიმყავს. შევეჩვიე და საერთოდ ადვილად ვერ ვიცვლი ხოლმე გარემოს. იცით, ინტუიციით, სხეულით ვგრძნობ, რომ „მაესტროში“ ჯობია. როცა აღარ აჯობებს, ამასაც ვიგრძნობ. იმ შემოთავაზებების განხილვაც კი არ დამიწყია. მხოლოდ მაშინ მიყვარს წინადადების განხილვა, როცა რეალურად ვფიქრობ რაღაცის შეცვლაზე. როცა ვხვდები, რომ ამ ფიქრისთვის მზად არ ვარ, არც მოლაპარაკებას ვიწყებ.

— **ამბიცია არ გაქვთ, დიდი ტოქ შოუ წაიყვანოთ?**

— ასეთი რამ არავის შემოუთავაზებია და არც მინდა, ჩემს თავზე დიდი პასუხისმგებლობა ავიღო. იმ გარემოში, სადაც ყველა არხზე, ყოველ საღამოს გრანდიოზული ტოქ შოუები გადის, არ ვფიქრობ, რომ მეც იგივე უნდა ვაკეთო. ახლა მშვენივრად ვგრძნობ თავს. როცა ასეთ დროს ტოქ შოუ მიგყავს, ან ფორმატი უნდა იყოს ორიგინალური, ან წამყვანი უნდა იყოს ძალიან სახასიათო, რომ თავის დამკვიდრება და თავის გადაცემაზე მაყურებლის მიბმა შეძლოს. ჩემი და თეონა გეგელიას გადაცემა ის შემთხვევაა, როცა ფორმატი მართლაც ორიგინალურია.

ჟურნალისტების გადასვლა სხვადასხვა არხზე ჩვეულებრივი პროცესია. ზოგს გარემოს შეცვლა უნდა, ზოგს — უკეთესი პირობები ან სულაც ის, რომ თავის პროფესიაში უფრო და უფრო მეტი გააკეთოს. რომელიღაცა ტელემენეჯერის სურვილი ემთხვევა რომელიღაც ჟურნალისტის სურვილს და ახლა ეს პროცესი მიმდინარეობს. ეს ჩვეულებრივი ამბავია, პოლიტიზირებულად არ ვუყურებ. არ მიმაჩნია, რომ რაღაც უხილავი ხელი მართავს ამ ყველაფერს.

ქვეყანაში მედიაგარემო ძალიან შეიცვალა. ძალიან მნიშვნელოვანი საპარლამენტო არჩევნების წინ, მგონი, მხოლოდ 4 →75

# ირმა გიგანი და ბორის ბედია უნარების გამოცდამ კონსერვატორიის გარეთ დატოვა

## „ძალიან სასაცილოა, რომ მათემატიკის გამო ხელოვანი ადამიანები უმაღლესში ვერ მოვხვდით"



წელს ეროვნულმა გამოცდებმა უმაღლესი სასწავლებლის გარეშე დატოვა ორი ცნობილი ახალგაზრდა ხელოვანი — პიანისტი ირმა გიგანი და მომღერალი ბორის ბედია. მათ უნარების გამოცდაზე გამსვლელი ქულა ვერ მოაგროვეს, გიგანს 2 ქულა დააკლდა, ბედიას — 3 და მინიმალური ზღვარი ვერ გადალახეს. ასე დარჩნენ სტუდენტობის მიღმა, თუმცა სპეციალობაში უმაღლესი ქულები დაიმსახურეს. ასეთივე ბედი ეწია განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ კიდევ რამდენიმე ბავშვს, რომელთაც სპეციალობაში უმაღლესი ქულები აიღეს, უნარ-ჩვევებში მიღებული დაბალი ქულების გამო კი უმაღლესში ვერ მოხვდნენ.

**ირმა: „ჩვენ მართლა სულ სხვანაირი გრაფიკი გვაქვს. ჩვენ ვართ მუსიკოსები, რომლებიც ვუკრავთ ბრამსს, მოცარტს და უნარების ვერბალური და მათემატიკური ნაწილი არანაირად გვეხმარება, პირიქით, ხელს გვიშლის".**

კონსერვატორიისა და სამხატვრო აკადემიის ხელმძღვანელობამ განათლების სამინისტროს წერილი გაუგზავნეს, რომლითაც კანონპროექტში ცვლილების შეტანას, ხელოვნების განსაკუთრებული ნიჭის მქონე ბავშვებისთვის გამონაკლისის დაშვებას და სასწავლებლებში უნარ-ჩვევების გამოცდის გარეშე მათ მიღებას ითხოვდნენ. ამ თხოვნას პარლამენტის განათლების კომიტეტის თავმჯდომარემ ვანო კიღურაძემაც დაუჭირა მხარი. განათლების და მეცნიერების საპარლამენტო კომიტეტმა მოამზადა კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც, განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩაირიცხებიან, თუ მათ საერთაშორისო ოლიმპიადაში ან სახელოვნებო-შემოქმედებით კონკურსში უმაღლესი შეფასება აქვთ მიღებული.

კანონპროექტის მიხედვით, მთავრობის მიერ დადგინდება სასწავლო გრანტით დაფინანსების წესი, რომელსაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო განსაზღვრავს. გარდა ამისა, კანონს უკუძალა მიეცემა და სასწავლებლებში სწავლის უფლება შეუნარჩუნდებათ 2013 წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილე იმ პირებს, რომლებმაც ვერ გადალახეს ამა თუ იმ საგანში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და, მათი განსაკუთრებული ნიჭის მიუხედავად, სწავლის უფლების გარეშე დარჩნენ. აღნიშნული ცვლილებები განათლებისა და მეცნიერების საპარლამენტო კომიტეტმა მოამზადა და „უმაღლესი განათლების შესახებ" კანონში შედის.

კანონში ცვლილებების შეტანას კატეგორიულად ეწინააღმდეგება გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი მაია მიმინოშვილი. მისი არგუმენტით, ეს ცვლილება შესაძლოა კონკრეტულ პიროვნებაზე იყოს ფოკუსირებული. მიმინოშვილისთვის არადამაჯერებელია ცნებაც „საერთაშორისო ოლიმპიადაში გამარჯვებული". იგი აცხადებს, რომ მსოფლიოში უამრავი საერთაშორისო ოლიმპიადა იმართება და გაურკვეველია, რომელს გულისხმობს კანონპროექტი. ქალბატონი მაიასთვის ასეთი გამონაკლისების დაშვება მიუღებელია.

შექმნილ ვითარებას ეხმაურება საპარლამენტო უმცირესობის წევრი, ნაციონალი დეპუტატი სერგო რატიანიც და ასახელებს იმ ახალგაზრდების ვინაობას, კონკრეტულად ვის გამოც კანონში ცვლილებების შეტანა იგეგმება: „ამ კანონპროექტზე მუშაობა მას შემდეგ დაიწყო, რაც განათლების კომიტეტს ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიამ და აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემიამ მომართეს. სამხატვრო აკადემია თამაზ დონაძის, დავით თომაშვილის, დავით მამაგულიშვილისა და ანა შანიანის მოხვედრას ითხოვს უმაღლეს სასწავლებელში, ხოლო კონსერვატორია — ირმა გიგანის, ბორის ბედიას, ხატია კიკნაძისა და დავით დარბაზიანის".

სერგო რატიანი კანონპროექტის მიღების კატეგორიული წინააღმდეგია, რადგან მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში გამონაკლისის დაშვება ანგრევს განათლების სისტემას და კორუფციის საფუძველს ქმნის.

■



17 წლის პიანისტ ირმა გიგანის ბიოგრაფია ძალიან მდიდარია. 5 წლისა შევიდა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პირველ ცენტრალურ სამუსიკო სასწავლებელში. 2002 წლის 16 ივნისს ქალაქ მინერბიოში შემსრულებელთა მეორე საერთაშორისო კონკურსზე 8-13 წლის ბავშვებს შორის გრან პრის მფლობელი გახდა. 2002 წლის 9 ივლისს თბილისის მწერალთა კავშირის საკონცერტო დარბაზში კამერული ორკესტრის თანხლებით შეასრულა ბახის კონცერტი რევაზ ტაკიძის დირიჟორობით. 2002 წლის 25 ივლისს მონაწილეობა მიიღო საკონცერტო მარათონში „ნიჭიერი ბავშვები" და პირველ საერთაშორისო ფესტივალში „ხელოვნების ზეიმი". 2003 წლის თებერვალში თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გამართა სოლო კონცერტი, სადაც შეასრულა ბახის კონცერტი ზაალ აზმაიფარაშვილის დირიჟორობით. 2010 წელს ირმა გიგანი შოპენის სახელობის პიანისტთა მეორე კონკურსის პირველი პრემიის მფლობელი გახდა.

**ბორისი: „არც ერთ ქვეყანაში არ ითხოვენ კონსერვატორიაში უნარ-ჩვევების ჩაბარებას".**

წლევანდელ საგამოცდო პერიპეტიებზე ახალგაზრდა პიანისტი „სარკეს" ესაუბრება.

**ირმა გიგანი:**

— წელს ექსტერნად ჩავაბარე. გადავწყვიტე, აქ ჩამებარებინა და დამემთავრებინა ჩემი პედაგოგის, ბატონი თენგიზ ამირეჯიბის (პიანისტი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, საქართველოს სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი — ავტ.), რომელიც, სამწუხაროდ, გარდაიცვალა. ექსტერნად ჩაბარება იმიტომ გადავწყვიტე, რომ ჩემთვის, მუსიკალური თვალსაზრისით, წელს ჩავაბარებდი თუ მომავალ წელს, მნიშვნელობა არ ჰქონდა და მერჩივნა, წელს გავსულიყავი გამოცდებზე. კონსერვატორიაში 100 ქულით ჩავაბარე. ეროვნულ გამოცდებზე ქართულსა და ინგლისურში მაღალი ქულები ავიღე. უნარებში კი, იმის გამო, რომ უბრალოდ დრო არ მქონდა მომზადებისთვის, პრობლემები შემექმნა.

აღმოჩნდა, რომ მარტო მე არ ვარ ასე. ძალიან ნიჭიერი ბავშვები, რომლებმაც თავიანთ სპეციალობაში უმაღლესი ქულები აიღეს, სასწავლებლების მიღმა დარჩნენ. ეს ძალიან სასაცილოა. ვინც იცის მუსიკოსის, მხატვრის, ზოგადად, ხელოვანი ადამიანის განრიგი, სწორად გაიგებს ჩვენს მდგომარეობას და იმას, რომ უნარების მომზადებას დრო უნდა.

მუსიკოსი ვარ და ვიცი, რა შრომასთან არის ეს დაკავშირებული. მარტო ჩემს თავზე არ ვამბობ, რადგან, საბედნიეროდ, ძალიან მაგარი ბავშვები გვყავნან, რომლებმაც სპეციალობაში უმაღლესი ქულები აიღეს. წელიწადში დაახლოებით ასი კონცერტის ჩატარება მიწევს არამარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებგარეთ. დატვირთული წელი მქონდა. ყველას ვერ ჩამოვთვლი, რადგან ხანდახან კვირაში ორი კონცერტი მაქვს. წელს შოპენის პირველი კონცერტი შევასრულე აქ, ვიყავი ბერლინში გასტროლებზე. იქ რვა კონცერტი ჩავატარე. ბატონი თენგიზ ამირეჯიბის ფესტივალი იყო წელს და უამრავი კონცერტი მქონდა.

**— ვინ მიმართა განათლების სამინისტროს კანონის შეცვლის მოთხოვნით?**

— კონსერვატორიამ და სამხატვრო აკადემიამ მიმართეს განათლების სამინისტროს წერილით, რომ არ სურთ ისეთი ბავშვების დაკარგვა, რომლებმაც თავიანთ სპეციალობაში 100 ქულა მიიღეს. პარლამენტის განათლების კომიტეტის თავმჯდომარე ვანო კიღურაძემ აბსოლუტურად სწორად და პროფესიონალურად გაუგო ხელოვან ადამიანებს და ჩვენ გვერდით დადგა. მინდა, მას მადლობა გადავუხადო არამარტო ჩემი სახელით. უნარებთან დაკავშირებული ცვლილებების მოთხოვნა ეხება მხოლოდ სახელოვნებო უმაღლეს სასწავლებლებს, რადგან ჩვენ მართლა სულ სხვანაირი გრაფიკი გვაქვს. ჩვენ ვართ მუსიკოსები, რომლებიც ვუკრავთ ბრამსს, მოცარტს და უნარების ვერბალური და მათემატიკური ნაწილი არანაირად გვეხმარება, პირიქით, ხელს გვიშლის.

**— კანონპროექტში ცვლილების შეტანამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. მას ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა, მათ შორის პირველი —**

→10

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით. წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65. ქალბატონი ქეთათო



Cyan Magenta Yellow Black

**ეროვნული გამოცდების ცენტრის დირექტორი მაია მიმინოშვილი. მათ განცხადებებზე რას ფიქრობთ?**

— ერთ რამეს ვიტყოდი: ვფიქრობ, რომ სასაცილოა, უნარ-ჩვევებზე დამოკიდებული გავხდეთ ბავშვები, რომლებიც ქვეყანას ვასახელებთ და ჩვენს საქმიანობაში, პროფესიაში ას ქულას ვიღებთ.

— **უცხოეთის სხვადასხვა სასწავლებლებიდან შემოთავაზება გაქვთ, შეგიძლიათ, იქ ისწავლოთ. მაინცდამაინც თბილისის კონსერვატორია რატომ აირჩიეთ?**

— მინდა, ხაზი გავუსვა: საქართველოში სწავლა მხოლოდ და მხოლოდ ჩემი სურვილია. მინდა, აქ ჩავაბარო, ქალბატონ მანანა დოიჯაშვილთან ვისწავლო. საზღვარგარეთიდან მიწვევები მაქვს, მაგრამ... ყველაზე მეტად აქ, საქართველოში მიყვარს დაკვრა... გული მწყდება!

■

ბორის ბედიას ვოკალური მონაცემები ცნობილია, ის საკმაოდ წარმატებული მომღერალია და რამდენიმე საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებული. ახალგაზრდა ხელოვანი აპროტესტებს იმ ფაქტს, რომ სპეციალობაში 100 ქულით კონსერვატორიის გარეთ დარჩა, რადგან უნარების გამოცდაზე 3 ქულა დააკლდა. ეს მას დიდ უსამართლობად მიაჩნია და იმედი აქვს, რომ მდგომარეობა კანონში შეტანილი ცვლილებით გამოსწორდება.

### ბორის ბედია:

— ეროვნულ გამოცდებზე ინგლისური და ქართული ენა ჩავაბარე, მაგრამ უნარ-ჩვევების გამოცდაზე 3 ქულა დამაკლდა. კონსერვატორიის გამოცდაზე, ჩემს სპეციალობაში უმაღლესი, 100 ქულა ავიღე. რატომ უნდა დავრჩე ქუჩაში მათემატიკაში მიღებული დაბალი ქულის გამო, როცა სპეციალობაში უმაღლეს ქულას ვიღებ?! რა შუაშია მათემატიკის გამოცდა ხელოვნებასთან?! განათლების სამინისტროში შემუშავებულ ახალ კანონპროექტს, რა თქმა უნდა, მივესალმები და არ მესმის, რატომ გამოუჩნდა მოწინააღმდეგეები. მომღერლები, მხატვრები, მუსიკოსები და სხვა ხელოვნების წარმომადგენლები უმაღლეს სასწავლებელში მათემატიკის გამო რატომ ვერ უნდა მოხვდნენ?! საერთოდ სხვა საგანია... არც ერთ ქვეყანაში არ ითხოვენ კონსერვატორიაში უნარ-ჩვევების ჩაბარებას.

— **იმედი გაქვთ, რომ კონსერვატორიაში ჩაირიცხებით?**

— რა თქმა უნდა, ველი, რომ განათლების სამინისტრო სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს და ერთი წლის გაცდენა არ მომიწევს იმ გამოცდის გამო, რომელსაც ჩემს სპეციალობასთან არანაირი კავშირი არ აქვს.

✓ **მანანა ნოდია**

## პროგრესი

# „ამ მეთოდით ადამიანები 150 წელს იცოცხლებენ“

## მინუს 196 გრადუსზე გაყინული ღეროვანი უჯრედების სასწაული

21-ე საუკუნეში დაავადებებთან ბრძოლის თითქმის ერთადერთი მეთოდი ღეროვანი უჯრედების გადანერგვა იქნება — ასეთი დასკვნა მსოფლიო მეცნიერებმა გააკეთეს. აღნიშნული მეთოდი 1988 წლიდან იღებს სათავეს და დღემდე 25 ათასი ტრანსპლანტაციაა განხორციელებული. ლეიკემია, დიაბეტი, ცერებრალური დამბლა, ღვიძლის ციროზი, გულის უკმარისობა — ეს არის არასრული ჩამონათვალი იმ დაავადებებისა, რომელთაგან განკურნებისთვის ახალშობილის სისხლში არსებული უნიკალური უჯრედები გამოიყენება. ასაკით რაც უფრო პატარაა ადამიანი, მის ორგანიზმში მეტი ღეროვანი უჯრედია, ყველაზე მეტი კი — ჭიპლარის სისხლშია. უნიკალური უჯრედების შენახვა მინუს 196 გრადუსზეა შესაძლებელი.

საქართველოს უჯრედული ტექნოლოგიებისა და თერაპიის ცენტრის დირექტორი გიორგი ლოლაძე ამბობს, რომ, ვინც საკუთარ ღეროვან უჯრედებს შეინახავს, შესაძლოა 150 წელი იცოცხლოს და მუდმივად ახალგაზრდულად გამოიყურებოდეს. თავად ბატონი გიორგი ლიპოსაქციის გაკეთებას აპირებს, რათა საკუთარ ორგანიზმში არსებული ღეროვანი უჯრედები ცხიმს გამოაცალოს და თავის გასაახალგაზრდავებლად გამოიყენოს.

— **ბატონო გიორგი, ღეროვან უჯრედებზე წლების წინ ალაპარაკდნენ, როგორც უნიკალურ მასალაზე. ამბობდნენ, რომ ამ უჯრედების გადანერგვით კიბოს დაამარცხებდნენ. დღეს რა ეტაპზეა კვლევები?**

— ღეროვანი უჯრედები დღეს ძვლის ტვინის გადანერგვის სრული ალტერნატივაა ლეიკემიის დროს. ის ძალიან მაღლა სწევს გამოჯანმრთელების პროცენტს. შეიძლება ლეიკემიით დაავადებული პაციენტი ძვლის ტვინის გადანერგვის დროს გამოჯანმრთელდეს 52%-ით და ვისაც ჭიპლარის სისხლი აქვს შენახული, გამოჯანმრთელების პროცენტი კიდევ 27-ით მატულობს და 80%-მდე ადის. ეს უზარმაზარი ციფრია.

ყველაზე მთავარი მიღწევა ის არის, რომ პაციენტი ბანკებში აღარ ეძებს ძვლის ტვინის დონორს. შედარებით იაფიც ჯდება, რადგან დონორს ფულს აღარ უხდის. ჭიპლარის სისხლიდან მიღებული ღეროვანი უჯრედები უნიკალურია თავისი პატრონისთვის და ბევრი დაავადების მკურნალობა შეიძლება. და-ძმაზე ვარგისია 25%-ში. დედ-მამაზე კი ჯერჯერობით არ შეიძლება. არსებობს 6 ანტიგენი. ბავშვი 3-ს დედისგან იღებს და 3-ს — მამისგან. ოთხი მაინც უნდა დაემთხვეს, რომ წარმატებული ტრანსპლანტაცია მოხდეს. მეცნიერები მუშაობენ იმაზე, რომ სამი ანტიგენის დამთხვევის დროსაც კი გააკეთონ წარმატებული ტრანსპლანტაცია. ეს თუ დადასტურდა, გამოდის, რომ მშობლებისთვის თავიანთი შვილის ჭიპლარის სისხლი იქნება გამოსადეგი. ამ უჯრედების გამოყენება აქტიურად დაიწყეს რეგენერაციულ მედიცინაში. მაგალითად, გამოიყენება ინფარქტის გამო დაზიანებული გულის კუნთის აღდგენისთვის. თუ დროზე მოხდა ამ უჯრედების ჩანერგვა გულის კუნთში, საერთოდ აღარ ყალიბდება ნაწიბური და თრომბი, ანუ ადამიანი ინვალიდი აღარ რჩება ინფარქტის გამო. ამ პროცედურას ჩვენ უკვე ვაკეთებთ, ოღონდ თავად ინფარქტგადატანილი ადამიანების ძვლის ტვინიდან ვიღებთ ღეროვან უჯრედებს.

— **რომელ ასაკამდე შეიძლება ძვლის ტვინიდან მიიღო ღეროვანი უჯრედი?**

— მოხუცისგან ღეროვანი უჯრედების აღებას უკვე აზრი არ აქვს. 25 წლამდეც არ შეიძლება, რადგან ორგანიზმი იზრდება და მას თავად სჭირდება ეს უჯრედები. ეს ორგანიზმისთვის საშენი მასალაა. 25-დან 50 წლამდე შეგვიძლია ავიღოთ ღეროვანი უჯრედები და შევინახოთ. ჩვენს ორგანიზმში არსებული ღეროვანი უჯრედები მუდმივ მოქმედებაშია და ბევრ დაავადებას ავტომატურად კურნავს. თუ ჭიპლარის სისხლს ბავშვობაშივე შეინახავ, აღარ დაგჭირდება ზურგის ტვინიდან მისი აღება. ჭიპლარის სისხლიდან მიღებული უჯრედები გაცილებით ძლიერია, ვიდრე თუნდაც 25 თუ 50 წლის ასაკში აღებული.

**„ღეროვანი უჯრედები დღეს ძვლის ტვინის გადანერგვის სრული ალტერნატივაა ლეიკემიის დროს".**

ზოგი სკეპტიკოსი თვლის, რომ შენახული ჭიპლარის მასალის გამოყენების შანსი ძალიან დაბალია. შანსი, რომ ადამიანს ლეიკემია დაემართოს, დაბალია, მაგრამ ღვიძლის, გულის კუნთის, დიაბეტის და სხვა დაავადების სამკურნალოდაა გამოსადეგი. აქედან ერთ-ერთი დაავადება მაინც დაემართება ადამიანს ცხოვრების განმავლობაში და შეიძლება 100-დან 100-ვეს დასჭირდეს. დროს უკან ვერ დააბრუნებ. დღეს გვაქვს დრო, რომ ბავშვის ჭიპლარის მასალა შევინახოთ. ჭიპლარის სისხლიდან აღებული ღეროვანი უჯრედებით ჯერ არავისთვის გვიმკურნალია, რადგან მხოლოდ 6 წელია, რაც ვინახავთ.

— **ღეროვან უჯრედებს მსოფლიოში კანის გასაახალგაზრდავებლადაც იყენებენ.**

— საოცარი შედეგები აქვს კოსმეტიკურ ქირურგიაში. თუ ბავშვი მთელი ცხოვრება ჯანმრთელი იქნება, შეიძლება ჭიპლარით მიღებული უჯრედები ამ მიზნით იქნეს გამოყენებული ბევრი დეფექტის აღსადგენად. სახის კონტურული პლასტიკისთვის, ნაოჭების გასასწორებლად.

— **ბოტოქსის მაგივრად გამოიყენება?**

— ღეროვანი უჯრედებით გამდიდრებული ცხიმის მასა შეჰყავთ ნაოჭის ქვეშ და ის მუდმივად რჩება. სტაბილურ ეფექტს იღებ და ყოველ 6 თვეში თავიდან გასაკეთებელი არ არის. მეცნიერები თვლიან, რომ ადამიანის დაბერებას ორგანიზმში ზუსტად ღეროვანი უჯრედების რაოდენობის კლება იწვევს. ითვლება, რომ 30 წლის ასაკიდან, როცა ორგანიზმი უკვე დაბერებას იწყებს, სჭირდება თუ არა, გაყინული ღეროვანი უჯრედების ნაწილი უნდა გავადნოთ და პაციენტს გადავუსხათ. ამ მეთოდით ადამიანმა შესაძლებელია 150 წელი იცოცხლოს. თუმცა ისე არ უნდა იფიქროთ, რომ ეს პანაცეაა და ღეროვანი უჯრედები ყველაფრისგან გვიხსნის.

ზოგი ხალხს აფრთხილებს, ნუ შეინახავთ ამ მასალას, რადგან 200 ათასიდან ერთს ემართება ლეიკემიაო. მართალია, ასეა, მაგრამ კაცმა არ იცის, ვის დაემართება, რადგან ლეიკემიის გამომწვევი ვირუსიც არსებობს, რომელიც ჰაერწვეთოვანი გზით გადადის. ისიც შეიძლება, ეს ვირუსი მთელი ცხოვრების განმავლობაში ატარო და ლეიკემია სულაც არ დაგემართოს. არ შეგეშინდეთ, ეს ვირუსი ყოველთვის არსებობდა და ეპიდემიის სახე არასოდეს ექნება.

— **წლების წინ საუბარი იყო ხელოვნური განაყოფიერებით მიღებული ემბრიონისგან გამოყოფილი ღეროვანი უჯრედების უნიკალურობაზე. ეს მეთოდი ამჟამად გამოიყენება?**

— არა, აღარ ითვლება ასე. მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ემბრიონულმა ღეროვანმა უჯრედებმა შეიძლება პირიქით, კიბოც კი გამოიწვიოს, იმდენად აქტიურად, სწრაფად მრავლდება. ემბრიონული უჯრედების გამოყენება ჩემთვის ეთიკურადაც მიუღებელია, რადგან ცოცხალი ორგანიზმი უნდა მოკლა, რომ ღეროვანი უჯრედი მიიღო. ამიტომ ამაზე არასოდეს ვიმუშავებ. აბორტის მასალაზე კი მიმუშავია. მეც ვთვლი და ჩემი მოძღვარიც, რომ ეს დასაშვებია.

— **საბორტო მასალა ყველასთვის უნიკალურია?**

— არა. ერთი პერიოდი ფიქრობდნენ, რომ ყველაზე შეიძლებოდა მისი გამოყენება, მაგრამ, როცა ორგანიზმში ინერგება და გამრავლებას იწყებს, ჩნდება მისი პატრონის გენეტიკური თვისებები და ორგანიზმი მაინც იცილებს.

— **როგორია ისტორია, როგორ მიაგნეს ჭიპლარის სისხლში ღე-**



Cyan Magenta Yellow Black

**როგან უჯრედებს?**

— საქართველოში იყო ტრადიციად — ბავშვი რომ იბადებოდა, მის ჭიპლარს ახმობდნენ და ინახავდნენ. მას მხოლოდ სუვენირისმაგვარი დანიშნულება ჰქონდა, მაგრამ მენტალურად, როგორც ჩანს, გრძნობდნენ, რომ ჭიპლარი ერთ დროს მედიცინის ისტორიას შეცვლიდა. ჯერ კიდევ ძველად არსებობდა ვარაუდი, რომ ჭიპლარი სამკურნალო იყო, მაგრამ იმას რომ გაახმობ, უკვე მკვდარია შიგნით ყველაფერი და აღარაფრისთვის გამოდგება. იყო მიმდინარეობა, რომელიც ახალშობილის სისხლს იყენებდა სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ, რადგან ხვდებოდნენ, რომ კარგ უჯრედებს შეიცავდა. ფიქრობდნენ, რომ ეს საუკეთესო საშუალება იყო ლეიკემიასთან საბრძოლველად.

1988 წელს კი პირველად მოხდა ჭიპლარის სისხლის გამოყენება ფრანგი მეცნიერის მიერ. 2006 წელს ჩვენ დავიწყეთ ჭიპლარის სისხლის ბანკის შექმნა და იმ დროისთვის, 1988 წლიდან სულ 11 ათასი ტრანსპლანტაცია იყო განხორციელებული. დღეისათვის უკვე 25 ათასი ოპერაციაა ჩატარებული. საკმაოდ სწრაფად ვითარდება ეს დარგი და იზრდება იმ დაავადებათა რიცხვიც, რომელთა მკურნალობაც ღეროვანი უჯრედებით არის შესაძლებელი. ამერიკაში ცერებრალური დამბლით დაავადებული ბავშვები ამ მეთოდით უკვე მთლიანად იკურნებიან. ეს ის ბავშვები არიან, რომლებსაც საკუთარი ჭიპლარის სისხლი აქვთ შენახული.

**— ცერებრალური დამბლა თანდაყოლილი დაავადებაა. ამ დროს ახალშობილის სისხლი დაავადებული არ არის?**

— არა, რადგან ამ დროს ტვინი ზიანდება და არა — სისხლი. უკვე 400-ზე მეტი ბავშვია ნამკურნალევი ჭიპლარის სისხლით. 3 წლის ბავშვი აუზში ჩავარდა. ფაქტობრივად კლინიკური სიკვდილი იყო დამდგარი, როცა სასწრაფო მივიდა. 20 წუთის შემდეგ გააცოცხლეს ბავშვი — გულმა დაიწყო მუშაობა, მაგრამ ტვინი ველარ აღდგა. ჟანგბადის უკმარისობის გამო ტვინის ქერქი დაზიანდა. ბავშვი განწირული იყო ინვალიდობისთვის. მშობლებს ამ ბავშვის ჭიპლარის სისხლის ღეროვანი უჯრედები ჰქონდათ შენახული და შეიყვანეს მის ორგანიზმში. ბავშვი ახლა სრულიად ჯანმრთელია.

**— როგორია უშუალოდ ღეროვანი უჯრედების შენახვის პროცედურა?**

— განუვითარებელ უჯრედს ვინახავთ თხევად აზოტში, მინუს 196 გრადუსზე. ამ დროს ცოცხალი უჯრედი წყვეტს მოქმედებას და არ ბერდება. ასე ვთქვათ, დროს ვყინავთ. დაბადების მომენტში რომ აქვს ადამიანს უჯრედები, ასეთივე ექნება სამოცი წლის მერეც. რომ გავადნობთ, მერე იწყებს გაზრდას, გამრავლებას. ის ტექნოლოგია, რაც ჩვენ გვაქვს, იძლევა საშუალებას, ცოცხალი უჯრედების 98% შევინარჩუნოთ. მივაღწიეთ იმას, რომ ღეროვანი უჯრედი 70-ჯერ გავამრავლოთ. ესეც ერთ-ერთი არგუმენტია იმ ადამიანებისთვის, ვინც ამბობენ, რომ ჭიპლარის სისხლი არ ვარგა შესანახად, რადგან ცოტაა და მხოლოდ 50 კილომდე ადამიანის სამკურნალოდ გამოდგება. ლეიკემიაზე გადაანგარიშებით მართლა ასეა, მაგრამ, თუ 70-ჯერ გავამრავლებთ, ჩათვალეთ, რომ, რამდენიც გინდა, იმდენს გამოიყენებ. როცა აბორტის მასალაზე ვმუშაობდით, 300 ათასჯერ შევძელით უჯრედის გამრავლება ისე, რომ გენეტიკურად არაფერი შეეცვალა და აბსოლუტურად გამოსადეგი იყო. უჯრედების გამრავლება დღეისათვის ძვირადღირებული პროცესია, მაგრამ ტექნოლოგიის განვითარებასთან ერთად აუცილებლად გაიაფდება.



■ გიორგი ლოლაძე

**„თუ ჩვენ მუდმივად გვექნება ღეროვანი უჯრედების საქმიო რაოდენობა, ან საერთოდ არ დავბერდებით, ან — ძალიან ნელა".**

**— არის თუ არა საქართველოში იმის ტექნიკური შესაძლებლობა, რომ ორგანიზმში უჯრედების გადატანა შეძლოთ?**

— ეს არის უჯრედული ტექნოლოგიების და თერაპიის ცენტრი. ამ კლინიკის შექმნის მთავარი მიზანიც ეგ იყო, რომ პრაქტიკაში დაგვენერგა. ჩვენთან უკვე აქტიურად ხორციელდება სამი სახის პროგრამა. საქართველოს პრეზიდენტმა გამოყო თანხა, რომლითაც ვმკურნალობთ ღვიძლის პათოლოგიებით დაავადებულ ადამიანებს მათივე ძვლის ტვინიდან აღებული ღეროვანი უჯრედებით. მეორე პროგრამაა ზურგის ტვინის ტრავმებთან დაკავშირებით. ბევრ პაციენტს, ვინც წელქვემოთ მოწყვეტილი იყო, დაზიანებულ ადგილას შევუყვანეთ ღეროვანი უჯრედები და ძალიან კარგი შედეგი მივიღეთ. მესამე პროგრამა კი გულის უკმარისობას უკავშირდება. ამ ადამიანებს ჭიპლარის სისხლი რომ ჰქონოდათ, ათჯერ მეტ შედეგს მივიღებდით. ზუსტად იმავე აპარატურით ვმუშაობთ, როგორიც მსოფლიოს წამყვან კლინიკებში აქვთ.

ამერიკაში ერთი ორსული ქალი ლეიკემიით იყო დაავადებული. როგორც იქნა, მიიყვანეს ორსულობა ბოლომდე. იმ ბავშვის ჭიპლარის სისხლის ღეროვანი უჯრედები შეინახეს. ქალს ჩაუტარდა ქიმიოთერაპია და სხვა პროცედურები. გარკვეული პერიოდი განიკურნა, მაგრამ მერე ისევ განმეორდა დაავადება და აღარ დაემორჩილა ქიმიოთერაპიას. მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ სამი ანტიგენის თანხვედრა იყო, ექიმებს სხვა გზა არ ჰქონდათ — ქალი იღუპებოდა და შვილის ღეროვანი უჯრედები გადაუნერგეს. მას შემდეგ 7 წელი გავიდა და ისევ ცოცხალია. ამ ქალზე ფილმიც კი გადაიღეს.

**— თავად თუ გაქვთ თქვენი ღეროვანი უჯრედები შენახული?**

— 47 წლის ვარ და ახლაც რომ შევინახო, შეიძლება. აქტიურად ვიწყებთ ცხიმიდან მიღებული ღეროვანი უჯრედების შენახვას, რომლებიც ძალიან კარგი ხარისხის აღმოჩნდა. ოქტომბრის შუა რიცხვებში ჩვენთან ჩამოდის მაიამის მეცნიერთა ჯგუფი და საქართველოში ამ მეთოდს დანერგავს. ბევრი ქალი გასახდომად იკეთებს ლიპოსაქციას. ზუსტად ეს ცხიმი ყოფილა მდიდარი ღეროვანი უჯრედებით და ამით შეიძლება ბევრი დაავადების მკურნალობა. როცა ლიპოსაქციას იკეთებენ, ორგანიზმი ღარიბდება ღეროვანი უჯრედებით. ჯობია, ლიპოსაქციით ცხიმი მოშორდეს და ღეროვანი უჯრედები ქალს უკან დავუბრუნოთ. ღეროვანი უჯრედები, რომლებიც ცხიმშია, ნერვული და სისხლძარღვოვანი ქსოვილების აღსადგენად კარგია.

ამ მეთოდის დანერგვას დაველოდები, რადგან 30 კილოთი მეტი ვარ, ცხიმი ბევრი მაქვს და იქიდან შევინახავ, თორემ ძვლის ტვინიდან ამოღება ჩხვლეტასთან და უსიამოვნო პროცედურებთან არის დაკავშირებული.

**— დიაბეტზე რა შედეგები აქვს ღეროვან უჯრედებს?**

— თუ პანკრეასში შევიყვანთ ღეროვან უჯრედებს, ის შეძლებს ინსულინის გამომუშავებას. ეს მეთოდი ამერიკაში უკვე გამოიყენეს და ბევრ პაციენტს საერთოდ მოუხსნეს ინსულინი, ზოგს შეუმცირეს დოზა.

**— რაიმე პრეპარატის შექმნა ღეროვანი უჯრედებისგან შეუძლებელია?**

— ამერიკაში შექმნეს პრეპარატი, მაგრამ ის უნდა იყოს შენახული მინუს 196 გრადუსზე. ვერც აფთიაქში გაიყიდება და ვერც ვერავინ გამოიყენებს თავისით.

21-ე საუკუნის მედიცინა სწორედ ამ თვალსაზრისით განვითარდება. პრეპარატებმა ამოწურა თავისი თავი. როცა ეს უჯრედები არსებობს, შეგვიძლია მაღალდოზირებული ქიმიო თუ სხივური თერაპია ჩავატაროთ და მერე ამ უჯრედებით აღვადგინოთ დაზიანებული უჯრედები.

**— როგორი ჭიპლარის სისხლის შენახვა არ შეიძლება?**

— ვისი სისხლიც დაბინძურებულია. დაბინძურება ორი სახის შეიძლება იყოს — ბაქტერიული და ვირუსული. ბაქტერიული დაბინძურება ფიზიოლოგიური მშობიარობის დროს ხდება, როცა საშო დაბინძურებულია ან მეანს აქვს არასუფთა ხელი, რაც ახლა იშვიათად ხდება. საკეისრო კვეთის დროს უფრო ნაკლებია ასეთი დაბინძურების შანსი. ვირუსული კი შიდს-ით, ჰეპატიტებით დაბინძურებულია და მის შენახვას აზრი არ აქვს.

■

ჭიპლარის სისხლის ბანკის სამედიცინო დირექტორმა, გოჩა შათირიშვილმა, თხევადი აზოტით სავსე კონტეინერების საცავი დაგვათვალიერებინა. როგორც ბატონი გოჩა ამბობს, გაყინულ მდგომარეობაში შენახული ღეროვანი უჯრედები სიცოცხლისუნარიანია 1000-დან 2000 წლის განმავლობაში. ბუნებრივია, მას დავუსვით კითხვა, რომელიც ალბათ ამ სტატიის ყველა წამკითხველს გაუჩნდა:

**— ბატონო გოჩა, ამ მეთოდით ადამიანის გაყინვაც შესაძლებელია, როგორც ეს ფანტასტიკურ ფილმებში გვინახავს?**

— როცა უჯრედებს ვყინავთ, კრიოდამცავ საშუალებებს ვიყენებთ. ეს სპეციალური ნივთიერებებია, რომლებიც უჯრედისთვის საშიში არ არის. ადამიანის გაყინვა ძალიან რთული პროცედურა იქნება. მაშინ ადამიანი სისხლისგან უნდა გამოცალო, შეურიოთ დიდი რაოდენობით კრიოპროტექტანტი, რამაც შეიძლება დააზიანოს თავის ტვინი და სხვა ორგანოები. მსოფლიოში ამაზე ალბათ მუშაობენ, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ ფანტასტიკის დონეზეა. ჯერ ერთი, უსასრულოდ დიდი თანხა დაჯდება და შეიძლება ველარც გააცოცხლო.

✓ **რუსუდან ადვაძე**


**მამაკაცებისთვის!**

სქესობრივი სისუსტის, პროსტატის დაავადებების: პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (ხშირი შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი), ვირუსული და მიკრობული დაინფიცირების მკურნალობა. ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, დეპრესიის, შიშების, უძილობის მკურნალობა; ორგანიზმის განმენდა უჯრედულ დონეზე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებისა და გვერდითი მოვლენების გარეშე. შედეგი და ანონიმურობა 100%-იანია.

☎ 514-246-446. ექიმი ქ-ნი მზია.




Cyan Magenta Yellow Black



# „ქმრის დეპრესიას ვეღარ ვუძლებ“

ისეთ ოჯახში ვარ გაზრდილი, სადაც ერთმანეთის პატივისცემა და სიყვარული ყველაზე მაღლა იდგა. ჩემი მშობლები ერთმანეთს თვალებში შესციცინებდნენ. დედა შვილებს და ქმარს შეწირული ქალი იყო. დღემდე ვერ ვხვდები, როდის იძინებდა ან როდის იღვიძებდა. დილით, თვალს რომ ვახელდი, ის უკვე სახლში ფუსფუსებდა, დასაძინებლად რომ ვწვებოდი, ისევ რაღაცას აკეთებდა. სულ მამაჩემის გარშემო ტრიალებდა, იმას აკეთებდა, რაც ქმარს ესიამოვნებოდა. ღმერთმა დიდხანს მიმყოფოს მისი თავი, ახლაც ასეა.

დედაჩემის მაგალითი იმიტომ მოვიყვანე, რომ კარგად ვიცი, ქმრისთვის, ოჯახისთვის ყველაფერი უნდა გააკეთო. ამის სწავლება არავისგან მჭირდება, მაგრამ რაც ჩემს თავს ხდება, უკვე ნამეტანია. ქმრის დეპრესიას ვეღარ ვუძლებ. მის გვერდით ცხოვრება აუტანელი გახდა.

ჩემი ქმარი დედისერთა, მშობლებისგან განებივრებული ბიჭია. მიყვარდა და იმიტომ გავყევი, თორემ მისი ქონებისთვის ან მამის თანამდებობისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. სანამ მისი მშობლები მყარად იდგნენ ფეხზე, ჩვენც კარგად ვცხოვრობდით, მაგრამ, როგორც კი ჩემს ქმარს დააწვა ოჯახი მხრებზე, აი, მაშინ გაგვიჭირდა. სამსახური, სადაც თავისი პროფესიით მუშაობდა, დაკარგა. მერე დიდხანს ელოდა, როდის დაუძახებდნენ სადმე. ამასობაში სახლი გამოვაცარიელეთ, ხან რა გავიტანეთ გასაყიდად და ხან — რა. ბავშვი გვყავდა ძალიან ავად და მისი მკურნალობა დიდი თანხა დაგვიჯდა. მაშინ მხოლოდ შვილზე ვფიქრობდი და მატერიალური მხარე სულ არ მადარდებდა. არც ახლა მივტირი არაფერს, მაგრამ ძალიან გვიჭირს.

ჩემი ქმარი ხან ვინ მოაწყო სამსახურში, ხან — ვინ, მაგრამ ვერსად ჩერდება. თვლის, რომ მისი შესაფერისი სამუშაო არსად არის. ადამიანებთან კომუნიკაციაც უჭირს, ჩემ გარდა, მეგობარი არავინ ჰყავს. ადრე კი ძმაკაცობდა ერთ-ორ ბიჭთან, მაგრამ ისინიც ჩამოშორდნენ. მუდამ მოტირალ და მოწუწუნე ადამიანთან ურთიერთობა ძალიან ძნელია, მათ ვერც ვამტყუნებ.

მთელი დღე სახლში ზის. ან საერთოდ არ ლაპარაკობს, ან ყველას ლანძღავს. დედამისი ახლაც ფეხებს უსინჯავს, „ბავშვს“ გაყინული ხომ არ აქვსო. ისიც ამას ჩვეულებრივ ამბად თვლის, ისევ პატარა ბიჭი ჰგონია თავი. შვილებზე, ცოლზე სულ არ ფიქრობს. მხოლოდ თავის უბედობას უჩივის, რომ ასეთ მაგარ სპეციალისტს, ასეთ განათლებულს ვერავინ ამჩნევს.

მე ერთ-ერთ სავაჭრო ქსელში მენეჯერად ვმუშაობ, მაღალი ხელფასი კი მაქვს, მაგრამ იმდენი — არა, რომ მთელი ოჯახის რჩენა შევძლო. ქმარს სულ ვეჩიჩინები, რომ რამე სამუშაო უნდა მოძებნოს, თუნდაც მშენებლობაზე, მაგრამ ამას ისეთ შეურაცხყოფად იღებს, თითქოს ვაგინებდე. ერთხელ დედამთილმა მითხრა, ისეთ ადგილას, სადაც შენ მუშაობ, ჩემი შვილი არ იმუშავებს, შენ შეგეფერება, მას — არაო. შვილისთვის მხოლოდ კაბინეტიანი სამსახური ემეტება, იმას კი ვერ ხვდება, რომ ახლა სათაკილო არაფერია. მშობლების პენსიით რომ ყიდულობს სიგარეტს, ის არ არის სათაკილო?!

სახლში მისვლა აღარ მინდა. რომ არა ჩემი შვილები, ერთ დღეს მათგან მართლა წამოვიდოდი. მე რომ გამიგოთ, ჩემს მდგომარეობაში უნდა აღმოჩნდეთ, ამას არც ერთ ქალს ვუსურვებ. აღარ ვიცი, რა მოვიმოქმედო. ასეთ ადამიანებს იქნებ ფსიქოლოგები შველიან. თუ ასეა, მაშინ შევეცდები, რომ ვუმკურნალო. სხვა შემთხვევაში შეიძლება ოჯახი მართლა დავანგრიო.

**„სარკის“ ერთგული მკითხველი**

# „მოძალადე სიძემ და მომიკლა“

მინდა, „სარკის“ მკითხველებს ჩემი პირადი ტრაგედიის შესახებ ვუამბო და დახმარება ვთხოვო. იქნებ მიმითითონ გზა, რომლის საშუალებითაც სამართალს ვიპოვი, სამართლს, რომელსაც 2004 წლიდან ვეძებ, მაგრამ უშედეგოდ. ჩემი ამბავი გულთან ახლოს არავინ მიიტანა, ამიტომ ისღა დამრჩენია, საჯაროდ ვითხოვო დახმარება.

მშობლებს ქალ-ვაჟი ვყავდით. ჩემი და ბავშვობიდან ინვალიდი იყო. როგორც დედამ მითხრა, არასწორი მკურნალობის შედეგად დაკარგა სმენა, მეტყველება არ შეეძლო. მისთვის საკომუნიკაციო საშუალება ჟესტიკულაციის ენა იყო. სპეციალურ სკოლაში დაგვყავდა ჯერ ქუთაისში, შემდეგ — თბილისში. სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო მკერავად, სადაც ასევე სმენადაქვეითებულები მუშაობდნენ. ეს იყო სპეციალური საწარმო მოსკოვის გამზირზე. მერე ეს საწარმო გადაკეთდა და პოლიეთილენის პარკებს უშვებდნენ.

ჩემს დას თანამშრომლებმა აზერბაიჯანელი ბიჭი გააცნეს, მასავით სმენადაქვეითებული. ჩემი წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც დაქორწინდნენ, გაიპარნენ. ამაში ხელი მეგობრებმა შეუწყვეს. ჩემს დას ეუბნებოდნენ, თუ გასათხოვარი დარჩები, შენი ძმის ოჯახის მოსამსახურედ იქცევი, იატაკს მოგაწმენდინებენ, შვილს შენ გაგაზრდევინებენო. მოკლედ, მათ უფრო დაუჯერა, ვიდრე მე.



გათხოვებიდან ერთი თვის შემდეგ ქმართან ერთად სახლში მომადგა. მომთხოვეს, ან 200 დოლარი მოგვეცი, ან ბინა დაგვიცალეო. მათთან ასეთი წესი ყოფილა, კალიმას ეძახიან, გოგოს ოჯახმა სიძის ოჯახს მატერიალური დახმარება უნდა გაუწიოს. მე ამის შესაძლებლობა არ მქონდა, უმუშევარი ვიყავი და, რაც გამაჩნდა, ისიც ბანკმა შემიჭამა. ამიტომ ისინი უარით გავისტუმრე.

ამის შემდეგ ჩემი დის ტანჯვა დაიწყო. ქმარი საშინლად სცემდა. სამსახურში დალურჯებული მიდიოდა, მეზობლებსაც მისი ტირილის ხმა ხშირად ესმოდათ. ჩემი სიძე პოლიციაში ორჯერ მივიყვანე, სადაც გაფრთხილება მისცეს, რომ ასე აღარ მოქცეულიყო, მაგრამ უარესი რაღაცეები გააკეთა. როგორ გაბედეთ, რომ პოლიციაში მიჩივლეთო და ცოლს უფრო მეტად სცემდა. ერთხელ ჩემი და სახლში წამოვიყვანე, ქმარს გავაშორე, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ მეგობრებმა შეარიგეს.

სიძის ძალადობამ ბოლოს ის შედეგი გამოიღო, რომ ჩემს დას ცემისგან ტვინში სისხლი ჩაექცა. ქმრის ნათესავებმა საავადმყოფოში უგონო მდგომარეობაში მიიყვანეს. საუბედუროდ, ექიმებმა ჩემი დის გადარჩენა ვერ შეძლეს, ისე გარდაიცვალა, გონებაზე არ მოსულა. მე ამ ტრაგედიის შესახებ ღამის პირველ საათზე შემატყობინეს.

დის ცხედარი მშობლიურ სოფელში წავასვენე და იქ დავკრძალე. ის 44 წლის იყო.

მას შემდეგ სამართლს ვეძებ, რომ ჩემი დის მკვლელი დაისაჯოს, მაგრამ ყურადღებას არავინ მაქცევს. მივმართავ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც ძალადობის წინააღმდეგ მუშაობენ, იურისტებს, სამართალდამცავებს, საზოგადოებას, რომ ჩემი ტკივილი გულთან ახლოს მიიტანონ და სამართლის პოვნაში დამეხარონ!

**„სარკის“ ერთგული მკითხველი**

**გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:**
**296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე**
**ან იზა ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.**

**თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:**
1. ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დააწკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ“ და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.
2. გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან.
1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.
3. ელფოსტაზე:irmchedlidze@mail.ru

**ანონიმურობა დაცულია**



Cyan Magenta Yellow Black

# „ჩემი ძმისთვის პატარა გოგოს სიყვარული საბედისწერო აღმოჩნდა“



ირგლივ ბევრი გაბრიყვებული ადამიანია, ერთ-ერთი მათგანი ჩემი ძმაა. ქალებში არასოდეს უმართლებდა, რატომღაც ისეთს ირჩევდა, ვინც მისი შესაფერისი არ იყო. ყველა ქალმა უღალატა, ყველამ იზრუნა, რომ ის უბედური, იმედგაცრუებული ყოფილიყო.

სკოლის ასაკიდან ერთი გოგო უყვარდა. ის ჩვენც მოგვწონდა. მათ სიყვარულზე ლეგენდები დადიოდა. ჩემი ძმის გვერდით მხოლოდ ის გოგო წარმომედგინა, ისე უყვარდათ ერთმანეთი, სხვანაირად ვერც ვიფიქრებდი. როცა ქორწილზე დავიწყეთ ფიქრი, ერთ დღეს გავიგეთ, რომ ის გოგო გათხოვდა. ჩემი ძმისთვის ეს წარმოუდგენელი ტრავმა აღმოჩნდა. უკან დავდევდით, რომ რამე სისულელე არ ჩაედინა. იმ გოგოს პასუხი რომ მოვთხოვე, ჩემს ძმას ასე რატომ მოექეცი-მეთქი, მითხრა, სხვა უფრო შემიყვარდაო. მისგან მეხდაცემული წამოვედი. თურმე ჩემს ძმას ატყუებდა, არ ჰყვარებია.

ამ ამბის შემდეგ ჩემი ძმის გვერდით კარგახანს არავინ ყოფილა, უფრო სწორად, სერიოზული გატაცება არ ჰქონია. მერე ერთ გოგოს შეხვდა და თვალებში ისევ ჩაუდგა სინათლე. მაშინ უკვე 30 წლის იყო. ამბობდა, თუ დამთანხმდება, ცოლად მოვიყვანო. ბედნიერები ვიყავით, გახარებულს რომ ვხედავდით, მაგრამ ისევ გაგვიცრუვდა იმედი. აღმოჩნდა, რომ ის გოგო პარალელურად სხვა ბიჭსაც ხვდებოდა, ჩემს ძმას ისიც ატყუებდა. ამან საერთოდ გაანადგურა. ერთხელ ნასვამი მოვიდა სახლში და გამოგვიცხადა, ქალი აღარ მიხსენოთ, შეეგუეთ, რომ ცოლს არასოდეს მოვიყვანო.

39 წლის ასაკში ისევ შეუყვარდა, ამჯერად ასაკით ბევრად უმცროსი, 22 წლის გოგონა. განათხოვარი იყო, ერთი შვილი ჰყავდა. ჩემი ძმის არჩევანი ოჯახში არავის მოგვწონდა, მაგრამ არაფერი გვითქვამს. მთავარი იყო, რომ ის ყოფილიყო ბედნიერი, ამიტომ ხელი არ შეგვიშლია. ის გოგო ჩვენთანაც მოიყვანა. გვიამბო, რომ მისი ყოფილი ქმარი ნარკომანი იყო. თურმე ცოლს სცემდა, დედასაც კი ურტყამდა. მე და დედაჩემს გული ჩაგვეწვა. ვიფიქრეთ, იმდენი ტკივილი აქვს გამოვლილი, კარგ ქმარს გაუფრთხილდება, მის ფასს გაიგებს-თქო.

ჩემმა ძმამ ეს პატარა გოგო ცოლად მოიყვანა. მას და მის შვილს თან ჰყვებოდა. ამბობდა, შეიძლება ჩემი შვილი ასე ძალიან არ შემიყვარდესო. ის ბავშვი მართლა საყვარელი იყო, ჩემ გვერდით ვაძინებდი, საოცრად მიყვარდა. ერთ დღეს ძმამ გამოგვიცხადა, ცალკე უნდა ვიცხოვროთო. არაფერი გვითქვამს, არც გაგვკვირვებია. სახლი იყიდა და ცოლს გაუფორმა. უთხრა, ეს შენი შვილისთვის იყოს, რომ გაიზრდება, ცოლთან ერთად აქ იცხოვრებს, ჩვენი შვილებისთვის კი ცოტა გვიან სხვა სახლს ვიყიდითო. ის ბინა გაურემონტა, კოვზიდან დაწყებული ავეჯით დამთავრებული, ყველაფერი უყიდა. მე და დედას ისევ არაფერი გვითქვამს, თვითონ ამით ბედნიერი იყო და ჩვენც მეტი არაფერი გვინდოდა. როცა ცოლისთვის სახლს ყიდულობდა, დედამ ერთი კი უთხრა, შენს სახელზე გაიფორმეო, მაგრამ მისი სიტყვები ისე ეწყინა, მეორედ აღარ უთქვამს.

სიტყვა ძალიან რომ არ გამიგრძელდეს, ჩემს ძმას ისევ უღალატეს. იმ პატარა გოგომ ჩემი ძმის გვერდით ცხოვრება არ მოისურვა. მიზეზად ის მოიყვანა, რომ ასაკით უფროს კაცს თურმე ვერ უგებდა. გაშორდა და ახლახან გავიგე, რომ სხვას ხვდება. მოვთხოვე, ბინა დაეცალა, მაგრამ მომიგო, ამდენი ხანი საყვარლად რომ ვყოლოდი, ერთი სახლი მაინც უნდა ეყიდა ჩემთვის, მე კი ცოლი ვიყავიო. ძმა ძალიან გამიბრაზდა, როცა ჩემი საქციელი გაიგო. მითხრა, ეგრე როგორ დაწვრილმანდი, ბავშვი ამდენი წელი ჩემ გვერდით იზრდებოდა და მას სახლს როგორ წავართმევო.

გული მეფლითება იმაზე ფიქრით, რომ ჩემი ალალი ძმა ასე გამოიყენეს და მერე მოისროლეს. ისეთი ამაყია, არასოდეს დაიწუწუნებს, რომ რამე აწუხებს, მაგრამ, მე ხომ ვხვდები, მის გულში რა ცეცხლიც ტრიალებს. არ ვიცი, როგორ დავეხმარო, ტკივილი როგორ შევუმსუბუქო. ძალიან მინდა, ბედნიერი იყოს, ამას ნამდვილად იმსახურებს.

რატომ ექცევიან ასე? ჩემს თავს სულ ამ კითხვებს ვუსვამ, რატომ ვერ ხედავენ მის სიკეთეს, მის სიყვარულს? ამ კითხვებზე პასუხი არ მაქვს

**„სარკის“ მკითხველი**



# „მინდა, ვიპოვო ქალი, რომელიც ფიზიკურ ნაკლს ყოველ წუთში არ შემახსენებს“

ვარ 35 წლის, ერთ დროს ვსწავლობდი და ვმუშაობდი თბილისში. ამჟამად ვცხოვრობ თბილისთან ახლოს, ერთ-ერთ სოფელში. გავიზარდე პედაგოგების ოჯახში. არ მიყვარს ადამიანების დაჩაგვრა, ტყუილები, არც დალევა და მოწევა. ერთხელ აფეთქებაში მოვყევი და დავინვალიდდი, მაგრამ იმედი მაინც არ დამიკარგავს. ჩემი გასართობი საქმე შრომაა, უქმად ვერ ვჩერდები, მაგრამ ვატყობ, ხალხი სხვა თვალით მიყურებს, მათთვის სხვანაირი ვარ.

ერთი გოგო შვიდი წლის განმავლობაში მიყვარდა, მინდოდა, სიყვარულით შემექმნა ოჯახი, მაგრამ მისმა მშობლებმა ჩემ შესახებ რომ გაიგეს, ჩემთან ურთიერთობა სასტიკად აუკრძალეს. უთხრეს, მახინჯი რად გინდაო. ძალიან გულნატკენი დავრჩი.

მას შემდეგ მარტო ვარ. ვფიქრობ, გამოჩნდება ადამიანი, რომელიც გამიგებს, შევუყვარდები და ჩემს ნაკლს ყოველ წუთში არ შემახსენებს. ძალიან მინდა პატიოსანი და თბილი ოჯახის შექმნა.

**„სარკის“ ერთგული მკითხველი**

✓ რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ


კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.





Cyan Magenta Yellow Black

# ქართული კინოს კეთილი გოლიათი

## ზაზა აბაშიძე: „მამას ბოლომდე ჰქონდა იმედი, რომ დედაჩემი შეურიგდებოდა“



დოდო აბაშიძე — მსახიობი, რომელსაც თამამად შეიძლება უწოდო ლეგენდარული. ის კინოშიც ლეგენდებს ქმნიდა და ცხოვრებაშიც. მასზე დღემდე ჰყვებიან მითებს, გარეგნობითაც ზღაპრულ გმირს ჰგავდა — გოლიათს, ოღონდ კეთილს.

რუსთაველის თეატრის სცენაზე რამდენიმე მნიშვნელოვანი როლი აქვს ნათამაშევი, მაგრამ, როგორც ხდება ხოლმე, დიდი პოპულარობა ეკრანმა მოუტანა. მისი დებიუტი კინოში 1954 წელს შედგა ფილმ „ჭრიჭინაში“, სადაც ბიჭიკოს როლი შეასრულა. ეკრანზე ერთი გამოჩენა საკმარისი გახდა, რომ ხალხს შეჰყვარებოდა. ამას მოჰყვა ბევრი ცნობილი ფილმი. ყველა რეჟისორისთვის საოცნებო მსახიობი გახდა. და მაინც, სიცოცხლის ბოლო წლებში ინანა, რომ თეატრი მიატოვა. შექსპირის ტრაგედიების გადაკითხვა დაიწყო, ოცნებობდა, სცენაზე რიჩარდ მეფე ან ოტელო ეთამაშა, მაგრამ არ დასცალდა. დოდო აბაშიძე 65 წლის ასაკში გარდაიცვალა.

მამის ცხოვრების მნიშვნელოვანი ეპიზოდები მსახიობის ერთადერთმა შვილმა, ისტორიკოსმა ზაზა აბაშიძემ, „სარკესთან“ გაიხსენა.

### რეპრესიების სუსხი

— დოდო 1924 წლის 1 მაისს დაიბადა. მისი მშობლები მსახიობები იყვნენ, მაგრამ სხვა განათლება ჰქონდათ მიღებული. დედას, ნინო ანდრონიკაშვილს, საფინანსო ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული, მამა, ვანიკო აბაშიძე, კონსერვატორიაში სწავლობდა ვოკალის განხრით, საბოლოო ჯამში კი, მსახიობი გახდა. ეს იმან განაპირობა, რომ ბევრ მსახიობთან, რეჟისორთან, ხელოვანთან მეგობრობდა, მათ შორის — სანდრო ახმეტელთან. ბაბუა რუსთაველის თეატრის მსახიობი იყო.

როგორც იცით, სანდრო ახმეტელი რეპრესიების მსხვერპლი გახდა, ისევე როგორც ბევრი მისი მეგობარი მსახიობი. ვანო აბაშიძე 1937 წელს სწორედ მათთან ერთად დახვრიტეს. ამ დროს ის რუსთაველის თეატრის მსახიობი აღარ იყო, რადგან, როგორც კი რეპრესიები დაიწყეს, იქაურობას გაარიდეს, ლანჩხუთის თეატრის ორგანიზატორად გაგზავნეს. 1936 წელს ჩამოაყალიბა დასი და სეზონიც გახსნეს. ორი სპექტაკლის დადგმა მოასწრო, თავადაც თამაშობდა. მესამე სპექტაკლზე მუშაობის დროს კი დააპატიმრეს და მალევე დახვრიტეს.

მამა რომ დაუხვრიტეს, იმ პერიოდში დოდო ლანჩხუთში ცხოვრობდა, 12-13 წლის ბიჭი იყო. ბებიაჩემი თბილისში დაბრუნდა შვილთან ერთად. რუსთაველის თეატრში არ მიიღეს, როგორც რეპრესირებულის ცოლი. მერე მუსკომედიის თეატრში გადავიდა. მოწოდებით მუსიკალური კომედიის თეატრის მსახიობი არ იყო, მაგრამ რამდენიმე როლი შეასრულა. შემდეგ უკვე დასის ადმინისტრატორი გახდა. თავის ბიძაშვილ ნატო ვაჩნაძესთან ერთად სხვადასხვა სოფლებში ხშირად ჩაჰყავდა მსახიობები და მოსახლეობას ახვედრებდა.

### ეზოს თეატრიდან დიდ თეატრამდე

— მამას ბავშვობიდან ჰქონდა მსახიობური ნიჭი. თურმე ამხანაგებთან ერთად ეზოში სპექტაკლებს დგამდა. თეატრალურ ინსტიტუტში ჩააბარა. არავის ეგონა, რომ კარგად ისწავლიდა, მაგრამ, როგორც ნიჭიერ სტუდენტს, მალევე მარჯანიშვილის სახელობის სტიპენდია მიანიჭეს (კაკო დვალიშვილთან ერთად). ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ რუსთაველის თეატრში დაიწყო მუშაობა, სადაც 6-7 წელი ითამაშა და რამდენიმე კარგი როლიც შეასრულა. რეჟისორები თვლიდნენ, რომ თეატრში მას დიდი მომავალი ჰქონდა. სპექტაკლში „ყაჩაღები“ როლერის როლი ითამაშა. წლების წინ იმავე სცენაზე სწორედ ეს როლი ითამაშა მამამისმაც. სცენაზე დოდოს იმ კოსტიუმით გასვლა მოუხდა, რომლითაც სცენაზე მამამისი გადიოდა. მასზე ამოტვიფრული იყო ინიციალები „ვ.ა“, ანუ ვანიკო აბაშიძე.

დოდოს პრობლემა იყო ის, რომ ძალიან უჭირდა ტექსტის დამახსოვრება. თურმე თეატრში ოიდიპოსის როლი მისცეს, მაგრამ აღარ უთამაშია, რადგან იქიდან წამოვიდა.

> „ფილმში „მე ვიტყვი სიმართლეს" დედაჩემი, მარინა ახვლედიანი, ქეთევანის როლს ასრულებდა, დოდო კი — უშანგის როლს. ამ ფილმის მთავარი შედეგი მე ვარ... ბოლო სცენების გადაღებაზე დედა ჩემზე იყო ორსულად".

შემდეგ ამბობდა, ოიდიპოსის როლს რა დამამახსოვრებინებდაო. ასე გადაინაცვლა თეატრიდან კინოსტუდიაში. იმ პერიოდში ის უკვე ორ ფილმში იყო გადაღებული: „ჭრიჭინა“ და „მაგდანას ლურჯა“. მამამ 52 როლი შეასრულა კინოში, თუმცა აქედან მთავარი როლი მხოლოდ 12 იყო.

### გადასაღებ მოედანზე ნაპოვნი სიყვარული

— 1957 წელს ლევან ხოტივარმა გადაიღო ფილმი „მე ვიტყვი სიმართლეს“, რომელშიც დედაჩემი, მარინა ახვლედიანი, ქეთევანის როლს ასრულებდა, დოდო კი — უშანგის როლს. ვამბობ ხოლმე, რომ ამ ფილმის მთავარი შედეგი მე ვარ. ისინი ერთმანეთს მანამდეც იცნობდნენ, თუმცა გადაღებების დროს მათი ურთიერთობა სიყვარულში გადაიზარდა და იქორწინეს. ბოლო სცენების გადაღებაზე დედა ჩემზე იყო ორსულად. ვხუმრობ ხოლმე, რომ ამ ფილმში მეც ვთამაშობ, რადგან დედაჩემის მუცელში ვზივარ.

დოდოს და მარინას გაცნობა დედაჩემის მშობლების სახლში მოხდა, სადაც ახლა მე ვცხოვრობ. ეს იყო შემთხვევითი შეხვედრა. დეიდაჩემის დაბადების დღე გახლდათ, სადაც ეროსი მანჯგალაძე იყო დაპატიჟებული. მან კი თან მამაჩემიც გაიყოლა. დედა იმ დღეს სახლში გვიან დაბრუნებულა, როცა სტუმრები უკვე წასვლას აპირებდნენ. ოთახში იდგა როიალი, მასზე კი დედაჩემის ფოტო იდო, რომელიც თურმე დოდომ მოიპარა და სახლში წაიღო.

მარინა უცხო ენების ინსტიტუტში მუშაობდა, მამამ მისი ხათრით ინგლისური ენის ფაკულტეტზე ჩააბარა, რომ მასთან ახლოს ყოფილიყო. მისმა მეგობარმა, ასევე მსახიობმა გივი თოხაძემაც ჩააბარა. მან კი დაამთავრა უცხო ენების ინსტიტუტი, მაგრამ დოდომ სწავლას თავი მალევე მიანება. ამის შემდეგ დედაჩემთან ურთიერთობა ნელ-ნელა შეწყვიტა. 4 წლის შემდეგ კი ერთმანეთს ისევ შეხვდნენ გადასაღებ მოედანზე. იქ, როგორც ჩანს, გრძნობებმა თავი ისევ იჩინა და მალევე შეუღლდნენ.

### დოდო — მითების გარეშე

— ჩემი მშობლების ქორწინება ახვლედიანების ოჯახებისთვის დიდი ტრაგედია იყო. მათ არ უნდოდათ სიძე — მსახიობი, რომელიც განთქმული მოქეიფე და მოჩხუბარი იყო. სინამდვილეში მამაჩემი არც ისეთი მსმელი იყო და არც ისეთი მოჩხუბარი. მასზე ლეგენდები დადიოდა და ყველას ეგონა, რომ ლიტრობით ღვინოს სვამდა. არადა მისი მეგობრები იხსენებდნენ, რომ მასთან ერთად თუ ვიყავით სუფრასთან, ფეხები ყველას სველი გვქონდა, რადგან ღვინოს ნახევრად ძირს აქცევდაო.

ჩხუბს არასდროს იწყებდა. ჩხუბობდა ვიღაცის დაცვის ან გაშველების მიზნით. დოდო და მისი მეგობრები ხშირად ძალების მოსასინჯად ჩხუბობდნენ. თუ ნახავდნენ კარგი აღნაგობის ბიჭს, შესთავაზებდნენ, შევეჯიბროთო. მამაჩემი „ძველი ბიჭი“ არასდროს ყოფილა. თუ ვინმესთან იჩხუბებდა, ხშირ შემთხვევაში მერე მისი მეგობარი ხდებოდა. ასე დაუმეგობრდა ძალიან ბევრ ადამიანს.

პატარაობისას მამას ფილმებიდან გამორჩეულად „ბაში-აჩუკი“ მიყვარდა. ერთი პერიოდი უშანგი ჩხეიძის ქუჩაზე ვცხოვრობდით. ჩვენი მეზობელი ბევრი ცნობილი მსახიობი თუ რეჟისორი იყო, მათ შორის — ოთარ კობერიძე და ლია ელიავა. უბნის ბავშვებს „ბაში-აჩუკი“ ამიტომაც გვიყვარდა. ოთარისა და ლიას ქალიშვილი ნანა სულ მაბრაზებდა, მამაჩემმა მამაშენი წააქცია, აჯობაო. ეზოდან სახლში ატირებული ავდიოდი და მამას შევჩივლებდი ხოლმე. ერთხელაც დოდო გაბრაზდა და მითხრა, თავი ნუ მომაბეზრე, თორემ ჩავალ ქვევით და ნახავ, ოთარს რას ვუზამო.

თავად ოთარ კობერიძე ფილმის გადაღებებს იხსენებს ხოლმე. თურმე დოდოს წაქცევა იოლი არ ყოფილა. ოთარი ვერ ერეოდა,

> „მათი შეუღლება ახვლედიანების ოჯახებისთვის დიდი ტრაგედია იყო. მათ არ უნდოდათ სიძე — მსახიობი, რომელიც განთქმული მოქეიფე და მოჩხუბარი იყო".

დოდოც თავისი ნებით არ ეცემოდა. ამის გამო რამდენიმე დუბლი ჩაშლილა. რეჟისორი ლეო ესაკიაც ბრაზობდა, მერამდენე დუბლს მიფუჭებთო. ბოლოს მამას ოთარისთვის უთქვამს, დღეს „თეთრ დუქანში“ პურმარილს თუ იკისრებ, მაშინ წავიქცევიო. ისიც დათანხმებულა. იმ საღამოს მართლაც იქეიფეს.

### დარღვეული ოჯახი

— დოდო მთელ თავის დროსა და ენერგიას მეგობრებთან ხარჯავდა. ეს ცოლებისთვის ხშირ შემთხვევაში მიუღებელია. ვინ მოითმენს, რომ მისი ქმარი მუდამ გარეთ იყოს? დედა და მამა 1970 წელს გაშორდნენ ერთმანეთს. მერე კი ჰქონდათ შერიგების რამდენიმე მცდელობა, მაგრამ არ გამოუვი-



Cyan Magenta Yellow Black

დათ. ისინი სხვადასხვა აზროვნებისა და ხასიათის ადამიანები იყვნენ და ერთმანეთს ვერ ეწყობოდნენ. თუმცა დოდოს მაინც დედაჩემი უყვარდა და ბოლომდე იმედი ჰქონდა, რომ მარინა შეურიგდებოდა. ის მამასთვის ყველაფერი იყო, თავი და ბოლო. სხვა ქალთან ურთიერთობაზე არც უფიქრია. მშობლები რომ დაშორდნენ, 13 წლის ვიყავი. მე დედასთან ვცხოვრობდი. როცა დავოჯახდი, მერე გადავედი მამასთან.

ოჯახში მამა სულ სხვანაირი, ძალიან წყნარი იყო. არ მახსოვს, სახლში დიდი ჩხუბები ყოფილიყო. ჩემმა მშობლებმა ერთადერთხელ იჩხუბეს ძალიან და ისიც ჩემ გამო. ეს ამბავი დღემდე მწარედ მახსოვს. რაღაც დავაშავე და ამის გამო მამამ ლოყაზე მომჩმიტა. ავტირდი და ამას მოჰყვა პატარა კონფლიქტი. რომ გითხრათ, დოდო სახლში ძალიან ხალისიანი იყო-მეთქი, ასე ნამდვილად არ ყოფილა. შეეძლო, საათობით ხმა არ ამოეღო. თავის ოთახში იჯდა და ბევრს კითხულობდა.

## მუშაობის სტილი

— ჩემს უმცროს შვილს, სანდროს, მსახიობობა უნდა. მე სულ ვეუბნები, რომ მსახიობისთვის ან რეჟისორისთვის მთავარი წიგნიერებაა.



მამას კოლეგები დათო კურცხალია და სოსო ლალიძე იხსენებდნენ — ერთხელ თურმე მანქანით ქუთაისიდან თბილისში ბრუნდებოდნენ. ეროსის და დოდოს შეჯიბრება დაუწყიათ, ვინ მეტ ლექსს იტყოდა როგორც ქართველი, ასევე რუსი პოეტების. მთელი გზა არ გაჩერებულან, ერთი რომ დაამთავრებდა, მეორე იწყებდა. ბოლოს დოდომ ბოდლერი წაიკითხა. ეროსის ჯერი რომ დადგა, თქვა, კარგი, გვეყოფა, მეტი აღარ ვიციო.

მიუხედავად იმისა, რომ მამამ უამრავი ლექსი იცოდა, თავისი როლების ტექსტებს მაინც ვერ იმახსოვრებდა. გიგა ლორთქიფანიძე იხსენებდა, რომ ფილმ „დათა თუთაშხიას“ გადაღების დროს დოდოს მთელ ტექსტს კარნახობდნენ. გიორგი შენგელაიაც იმავეს იხსენებს, „ვერის უბნის მელოდიების“ გადაღებისას უკნიდან ვკარნახობდით, როდის რა ეთქვაო.

მამა იმპროვიზაციას ხშირად მიმართავდა. მაგალითად, „ვერის უბნის მელოდიებში“ არის ასეთი სცენა, როდესაც პოლიციის უფროსი (დოდო) და ვაჭარი (რამაზ ჩხიკვაძე) საუბრობენ. იქვე იხვი ზის, რომელმაც ხმა გამოსცა, რაც სცენარში გათვალისწინებული არ ყოფილა. ამ დროს დოდომ იკითხა, ეს რა არისო. რამაზიც არ დაიბნა და უპასუხა, ჩიტია, გულნარაო.

როლზე განმარტოებით მუშაობდა. პუნქტუალური იყო. შუაღამეს რომ მოსულიყო სახლში, თუნდაც ნაქეიფარი, დილით მაინც დროულად ადგებოდა. გადაღებაზე დაგვიანება არ უყვარდა.

ბოლო წლებში სცენა მოენატრა და განიცდიდა, რომ თეატრიდან წამოვიდა. ენატრებოდა სცენაზე თამაში, ოცნებობდა, შექსპირის ტრაგედიებიდან რომელიმე როლი ეთამაშა. მის მაგიდაზე შექსპირის წიგნი მუდმივად იდო. რიჩარდ მეფესა და ოტელოს ხშირად კითხულობდა. მესმოდა, რომ თავისთვის თამაშობდა. შემდეგ მიხეილ თუმანიშვილმა კინომსახიობთა თეატრში მიიწვია, მაგრამ იმ პერიოდში ავად გახდა. ასე რომ, სცენაზე დაბრუნება და შექსპირის პერსონაჟების განსახიერება აუხდენელ ოცნებად დარჩა.

## რეალურ ცხოვრებაში განმეორებული კინოროლი

— მამას უკანასკნელი ფილმი იყო „ფესვები“, რომლის გამოსვლასაც ვეღარ მოესწრო. სხვათა შორის, შემომთავაზა, რომ იქ მეც მეთამაშა. დოდოს ხანდაზმული გიორგის როლი ჰქონდა და ახალგაზრდა გიორგის როლზე რეჟისორს ჩემი აყვანა უნდოდა. გუგული მგელაძემ მამას გაანდო თავისი სურვილი, მამამ კი მე მითხრა. მაშინ 30 წლის ვიქნებოდი. ჩემსა და მამას შორის ფიზიკური მსგავსება იყო. ერთი შეხედვით, ეს ჩემთვის რთული არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ უარი ვთქვი. შემდეგ ამ როლზე სოსო ჯაჭვლიანი აიყვანეს.

**„ბოლო წლებში სცენა მოენატრა და განიცდიდა, რომ თეატრიდან წამოვიდა. ენატრებოდა სცენაზე თამაში, ოცნებობდა, შექსპირის ტრაგედიებიდან რომელიმე როლი ეთამაშა. მის მაგიდაზე შექსპირის წიგნი მუდმივად იდო. რიჩარდ მეფესა და ოტელოს ხშირად კითხულობდა. მესმოდა, რომ თავისთვის თამაშობდა".**



დოდო 65 წლის ასაკში გარდაიცვალა. საოცარია, რომ „ფესვებში“ რაც მის გმირს დაემართა, მალევე მამაც იმავე მდგომარეობაში ჩავარდა — ინსულტი ჰქონდა, ვეღარ მოძრაობდა, 2 წელი ასე იყო. ფილმის პრემიერა რომ შედგა, დოდო საავადმყოფოში გვეწვინა. მთელი მედპერსონალი დავპატიჟეთ ფილმის ჩვენებაზე. კინოს სახლიდან დაბრუნებულ ექთნებს მამას პალატაში შესვლა აღარ უნდოდათ, ცრემლებს ვერ იკავებდნენ. ის ისეთივე მდგომარეობაში იყო, როგორშიც მისი გმირი გიორგი.

მამა ორ შვილიშვილს მოესწრო. ჩემი უფროსი შვილი, ნუცა, 5 წლის იყო, შუათანა დავითი კი — 4-ის. ის ბაბუას მოსახელეა, რადგან მამას ნამდვილი სახელი დავითი იყო. ნუცას კი ჩემი დიდი ბებიის სახელი ჰქვია. დოდოს მამის მხრიდან ბებია ჰყავდა — ნინო კლდიაშვილი და ნუცას ეძახდნენ. ჩემს მეუღლესაც ნინო ჰქვია. მოკლედ, სულ ნინოები გვყავს.

მამას ძალიან უყვარდა შვილიშვილები. იმედი ჰქონდა, რომ მალე გამოჯანმრთელდებოდა. ამბობდა ხოლმე, როცა ავდგები, დათუნას აუზში ჩავაგდებ და ცურვას ისე ვასწავლი, მერე კი ქობულეთში წავიყვან და იქ ერთად გავცურავთო. თავის დროზე მეც ასე მასწავლა ცურვა. თვითონ კარგი მოცურავე იყო. სამი კაცი ჰყავდა დახრჩობას გადარჩენილი და მედლებიც აქვს მიღებული. ერთი ადამიანი მტკვარში გადაარჩინა, ორი — ზღვაზე.

შვილიშვილებით ტკბობა არ დასცალდა, თუმცა ეს უფრო სამწუხარო ჩემი შვილებისთვის არის, რადგან არ დასცალდათ ბაბუასთან ურთიერთობა. დარწმუნებული ვარ, მისგან ბევრ რამეს ისწავლიდნენ. მამას თავისუფლად შეეძლო, კიდევ 10 წელი მაინც ეცოცხლა, მაგრამ ინსულტმა ყველაფერი დააჩქარა.

## შთამომავლობა

— მსახიობობა არც ჩემმა უფროსმა შვილებმა ისურვეს. ერთი პერიოდი ნუცას კი ჰქონდა სურვილი, მაგრამ მალევე მიივიწყა. სამაგიეროდ მისი ქმარი, სანდრო კაკულია, სერიალში „ჩემი ცოლის დაქალები“ თამაშობს. სიმართლე რომ გითხრათ, მე არ მინახავს, რადგან ზოგადად სერიალებს, არც ქართულს და არც უცხოურს, არ ვუყურებ.

მიხარია, რომ ჩემი ქალიშვილის მეუღლე შემოქმედებითი პიროვნებაა, მსახიობობს, კარგად წერს, იურისტია და სარეკლამო კომპანიაშიც მუშაობს. თანაც ცოლად აბაშიძის ქალი შეირთო. სანდროს ყველა პუნქტში ათიანი ეკუთვნის, კარგი ბიჭია.

ჩემი რძალიც კარგი გოგონაა. სხვათა შორის, მასაც ნუცა ჰქვია. მას და დათუნას პატარა ანდრო აბაშიძე ჰყავთ, ნუცას და სანდროს კი — ელენე კაკულია.

ჩემი მეუღლე ნინო ჩიკვილაძეც ისტორიკოსი-ეთნოგრაფია და ერთმანეთი ამ პროფესიამ გაგვაცნო. უნივერსიტეტში ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტი იყო, მე კი მისი საკურსოს ხელმძღვანელი ვიყავი. დაოჯახების შემდეგ მამასთან გადავედი, რადგან ჩემი ქორწილიდან შვიდი დღის შემდეგ ბებია (დოდოს დედა) გარდაიცვალა. დოდო სახლში მარტო დარჩა. დედის დაკარგვა დიდი დანაკლისი იყო, რადგან მისთვის ყველაფერი იყო. მამას მარტო დატოვება არ შეიძლებოდა. ამ დროს უკვე ავადმყოფობდა, დიაბეტი სჭირდა. მე და ჩემი მეუღლე, როგორც შეგვეძლო, გვერდით ვედექით. მას დიდ ყურადღებას აქცევდნენ მეგობრებიც, მათი მეუღლეები.

ის 2 წელი ძალიან იწვალა. მეგობრებს დავრდომილი დოდოს ნახვა ძალიან უჭირდათ. ერთი მეგობარი ჰყავდა — ნოდარ ყანჩაველი. ერთხელ საავადმყოფოში მოვიდა მის სანახავად. იქიდან გამოსულს ფერი აღარ ედო. ისე ცუდად გახდა, ორი კვირა იწვა. მას მერე დოდოს სანახავად აღარც მოსულა.

## დიდი სინანული

— ავადმყოფობის ბოლო თვეებში დოდომ მარინას დაურეკა და სთხოვა, მასთან მისულიყო, მაგრამ დედა არ მივიდა. მეც არ მინდოდა, მამა ასეთ მდგომარეობაში ენახა. თავიდან გაყრის თაობაზე განცხადება სასამართლოში მამაჩემმა შეიტანა, მაგრამ პროცესზე არ გამოცხადდა. ეგონა, მარინა არ დათანხმდებოდა. დედა დათანხმდა და მოსამართლემაც გაყრა უცებ გააფორმა. სიცოცხლის ბოლო თვეებში დოდო ამბობდა, ეგ მამაძაღლი მოსამართლე, ვინ ეკითხებოდა, ასე უცებ რომ გაგვყარა, 6 თვე მაინც მოეცა საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებადო. წლების გასვლის შემდეგ თავის გადაწყვეტილებას ორივე ნანობდა, მაგრამ თავიანთი სიჯიუტის გამო აღარ შერიგდნენ.

✓ თეონა კენჭიაშვილი



Cyan Magenta Yellow Black

# თინა ხიდაშელი: „იმის დრო არ არის, რომ ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლა ვიგლოვოთ“



თავისუფლების ხანა დადგა ქვეყანაში, ხოლო, როცა ადამიანი თავისუფალია, ძალაუნებურად პოზიტიური ხდება, ამბობს რესპუბლიკელი დეპუტატი თინა ხიდაშელი და ამ ხანის დადგომას ივანიშვილის ხელისუფლების ერთ-ერთ ძირითად მიღწევად მიიჩნევს. მაშ რატომ დაიკლო „ქართული ოცნების“ რეიტინგმა? ამ და სხვა ბოლოდროინდელ აქტუალურ კითხვებზე „სარკეს“ უმრავლესობის წევრი თინა ხიდაშელი პასუხობს.

— **ქალბატონო თინა, საუბარი გაერო-ში სააკაშვილის ბოლო გამოსვლით დავიწყოთ. რამდენად სწორად იყო გაკეთებული მისი აქცენტები?**

— არ მიყურებია, მაგრამ, რასაც პრესაში გადავხედე, მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკულად ვიზიარებ ყველა სიტყვას, რაც სააკაშვილმა რუსეთთან მიმართებაში თქვა, მაინც ვერ გაიგო, რომ საქართველოში ამ ტერმინოლოგიით, ასეთი ფრაზეოლოგიით აღარ ლაპარაკობს ხელისუფლება. კიდევ ერთხელ ვამბობ, სიტყვასიტყვით ვეთანხმები მას ამ ნაწილში, თუმცა, როგორც ქვეყნის პრეზიდენტი, ასე არ უნდა საუბრობდეს გაერო-ს ტრიბუნიდან. ამის თქმა შეიძლება სხვა ტონით და სხვა სიტყვებითაც.

— **სხვა ტონმა რუსეთთან ურთიერთობები მაინც ვერ მოაგვარა, ამას ბოლო მოვლენებიც გვიჩვენებს.**

— ტონზე არ არის დამოკიდებული, რუსეთთან ურთიერთობა მოგვარდება თუ არა. ეს არის ჩვენი ზრდილობის საკითხი, არ არის აუცილებელი, იყო უზრდელი, რომ რაიმე მიიღო. კორექტულობა არ ნიშნავს პრობლემის მოგვარებას, მაგრამ საკუთარი თავის პატივისცემას კი ნამდვილად ნიშნავს. ეს არის ქვეყანა, რომელსაც პატივს სცემენ და არ მინდა, იყოს ქვეყანა, რომელსაც ერთი უზრდელი პრეზიდენტი ჰყავს.

— **ამბობენ, რომ უზრდელი პრეზიდენტი ჰყავს?**

— ეს უკვე წარსულია და იცით კარგად, რომ არ მიყვარს პრესასთან იმაზე საუბარი, რაზე ლაპარაკობენ კულისებში.

— **სააკაშვილის სიტყვის შემდეგ გაკეთდა დასკვნა, რომ ის ქართულ პოლიტიკაში რჩება.**

— დარჩება თუ არა პოლიტიკაში, ეს მისი პარტიის წევრების გადასაწყვეტია. ვწუხვარ, რომ ვერ გამოვიდა სკამზე დამოკიდებულის მდგომარეობიდან. ეს არც მაწუხებს და არც მაინტერესებს.

— **ამ კვირაშივე იყო პრემიერის და ექსპერტების შეხვედრაც, რომელსაც არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა. თქვენი აზრი როგორია ამ შეხვედრაზე?**

— საინტერესო თემებზე იყო საუბარი. პრემიერი პრინციპულად განსხვავებულ კულტურას ამკვიდრებს ქართულ პოლიტიკაში. ძნელად წარმოსადგენია, რომ სააკაშვილი შეხვედროდა დაპირისპირებულ ხალხს პირდაპირ ეთერში და სამი საათის განმავლობაში ესაუბრა მათთან.

— **ექსპერტების შენიშვნებზე რას იტყვით? პრემიერის მოსაზრებას იზიარებთ, მაგალითად, ეკონომიკაზე თუ ექსპერტებისას?**

— ეკონომიკაში ვითარება მართლაც უკეთესია, ვიდრე აქამდე იყო. მანამდე უკეთესი რიცხვები იყო, ეკონომიკა კი არ ვითარდებოდა. ახლა ვითარდება, გვაქვს გეგმა და დანახული პერსპექტივები. თუ იმ პერიოდზე ვსაუბრობთ, როცა ამ შენობის (პარლამენტის. ავტ.) აშენებაზე დახარჯული ფული შედიოდა ბიუჯეტში, მაშინ უკეთესი მაჩვენებელი იქნებოდა, მაგრამ, თუ იმაზე ვსაუბრობთ, ეს გრძელვადიანი იყო თუ არა, მაშინ გაცილებით უარესად იყო ვითარება. ასე მარტივად არ არის. პრემიერმაც უთხრა ერთ-ერთ ექსპერტს, იქნებ ანალიზი ჩავატაროთ, რა ხდებოდა ამ რიცხვების მიღმაო. მთავარი ის არის, რომ ამომრჩევლები არ მოგვიტყუებია. ვთქვით, რომ რეალური, თვალშისაცემი ცვლილება მესამე წლიდან დაიწყება, მანამდე კი დადებითი ძვრები იქნებოდა. პირველი წელი რომ იქნებოდა მძიმე, ამაზე თავიდანვე ითქვა და ამისთვის მზადყოფნა უნდა ყოფილიყო ქვეყანაში.

— **კრიმინოგენური სიტუაციის გაუარესება-არგაუარესებაზე იკამათეს ივანიშვილმა და არეშიძემ.**

— შსს-ს აქვს სტატისტიკა და ის სრულიად განსხვავებულია იმისგან, რასაც ჩვენი ოპოზიციონერი კოლეგები საუბრობენ.

— **მოსახლეობაც ამბობს, რომ გაუარესებულია.**

— მოსახლეობა ამბობს იმას, რასაც ტელევიზორში ამბობენ. ვინც თბილისში ცხოვრობს, მარტვილში რა დანაშაული ხდება, რა იცის, თუ მასმედიიდან არ გაიგო? ანუ იცით ის, რასაც ტელევიზორში ამბობენ. ადრე კი ტელევიზიაში აკრძალული იყო ამაზე ლაპარაკი.

— **ფიქრობთ, ახლა უფრო უსაფრთხოა ქვეყანაში ცხოვრება?**

— არ ვფიქრობ, დამადასტურებელი ფაქტები მაქვს, სტატისტიკა მაქვს, რომელიც ამას მიჩვენებს.

— **„ოცნების“ რეიტინგმა საგრძნობლად დაიწია. თქვენი აზრით, ამის მიზეზი რა არის?**

— არჩევნების შემდეგ რეიტინგი დაბლა იწევს. ასე რომ არ იყოს, დიქტატურა იქნება,

> **„ეშინიათ ივანიშვილზე რამის თქმა და რესპუბლიკელებზე ლაპარაკობენ".**

რადგან პირველი მოლოდინი არის ძალიან მაღალი. მერე ჩნდებიან გულგატეხილი ადამიანები. თუ ეს ხდება მუდმივად და დიდი ხნის განმავლობაში გრძელდება, რა თქმა უნდა, უკვე რეიტინგის კლებაა.

— **თქვენს შემთხვევაში რომელია? უკმაყოფილო საუბრები მოსახლეობაში გახშირდა.**

— თქვენ ვერ იქნებით სოციოლოგიური სურათის მომტანი მოსახლეობიდან. რამდენი ადამიანისგან ისმენთ? მნიშვნელოვანია ყველა ადამიანის დამოკიდებულება, მაგრამ ეს არ ქმნის საზოგადოების საერთო განწყობას.

— **ენდიაი-ს გამოკითხვითაც იგივე გამოჩნდა.**

— ენდიაი-ს მიმართ ჩემი განწყობები ცნობილია. არასოდეს გავაკეთებ მის კვლევებზე სერიოზულად კომენტარს, რადგან არ მჯერა იმ მეთოდების, რითიც აკეთებს კვლევას. ეს გამოჩნდა 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებზეც.

— **მაინც გკითხავთ, მათი მონაცემებით, გიორგი მარგველაშვილს აქვს 38 პროცენტი და 19 — დავით ბაქრაძეს, ანუ მეორე ტური გარდაუვალია.**

— ამას ვნახავთ 27 ოქტომბერს.

— **დარწმუნებული ხართ, რომ დიდი უპირატესობით გაიმარჯვებს „ოცნების“ კანდიდატი?**

— ზუსტად არ ვიცი, რამდენით, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ პირველ ტურში გაიმარჯვებს.

— **მეორეზე ვინ გავა?**

— ჩვენ გამარჯვებისთვის ვიბრძვით, მეორისთვის იბრძვის დანარჩენი სპექტრი და ერთმანეთში გაარკვიონ.

— **თქვენც გგონიათ, რომ „ოცნებამ“ ყველა დაპირება შეასრულა გადაჭარბებით, როგორც პრემიერი ამბობს?**

— ჩვენ მოვედით 4 წლით და ანგარიშს ამ დაპირებების შესახებ შემდეგ საპრეზიდენტო არჩევნებზე ჩავაბარებთ. ერთ წელიწადში რომ სრულდებოდეს, მაშინ პარლამენტიც ერთწლიანი იქნებოდა. რაც შეეხება იმას, რა გავაკეთეთ, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა, ნამდვილად იმაზე მეტი გავაკეთეთ. არ გვითქვამს, რომ წიგნები უფასო იქნებოდა ბავშვებისთვის, მაგრამ არის. არც იმის დაპირება ყოფილა, რომ ჯანდაცვის სიტემა ამ მასშტაბით ამოქმედდებოდა, მაგრამ ამოქმედდა...

— **მაგრამ რისთვისაც აგირჩიეს, სამართლიანობის აღდგენა იყო.**

— მაგალითად, რა იგულისხმება ამაში?

— **თუნდაც ბაჩო ახალაიას საქმე. აქლემის ქურდი ნემსის ქურდობაზე ზის და იმასაც ვერ უმტკიცებენ, სოციალურ ქსელებში წერენ.**

— დაჭერილია და სასამართლოშია საქმე, მეტი რა უნდა გვექნა?! თქვენ თუ ის გინდათ, რომ ჩვენი მთავრობაც ისე მოიქცეს, როგორც სააკაშვილის ხელისუფლება იქცეოდა, ამას არ ვაპირებთ. ზუსტად რომ ვიცოდე, ამის გამო ხვალ არჩევნებს წავაგებ, მაინც არ გავაკეთებ. ყველაფერს აქვს თავისი ვადა.

— **ახალაია თვითონ მივიდა, არ დაუჭერიათ. პრეტენზიები პროკურატურის მიმართ სერიოზულია — ბრალდებები სუსტი არისო.**

— თქვენ რომელიმე საბრალდებო დასკვნა წაგიკითხავთ?

— **სამწუხაროდ, არა, სამართლის ჟურნალისტი არ ვარ. იმას ვამბობ, რასაც წერენ.**

— და მერე ვინ წერს? ისევ ის, ვისაც არ აქვს წაკითხული.

— **იმავეს ამბობენ ექსპერტებიც, ადვოკატებიც...**

— ბრალი შეიძლება ძალიან კარგადაც იყოს დაწერილი, მაგრამ სასამართლომ სხვანაირად ჩათვალოს. მოსამართლე გადაწყვეტილებას იღებს შინაგანი რწმენით და შეიძლება არ დააყენოს გამამტყუნებელი განაჩენი, მაგალითად, იმიტომ, რომ დიდი დროა გასული, საფრთხეს აღარ წარმოადგენს და ა.შ. მაგრამ ეს რატომ არის ასეთი მნიშვნელოვანი, ის მაინტერესებს, თან იმათგან, ვინც სამართლიანობის აღსადგენად არაფერს აკეთებს. მქონია შემთხვევა, ასეთი კრიტიკოსისთვის მიკითხავს, სარჩელი შეტანილი გაქვს-მეთქი და უთქვამს, არა, მე არ შემიძლია, ჩემით არაო. მერე მოდის და მე მეუბნება, სამართლიანობა რატომ არ აღდგაო.

— **საგამოძიებო კომისიის მუშაობა რა ეტაპზეა და თუ ხართ კმაყოფილი?**

— ერთ თვეში დასკვნას დავწერთ. ვმუშაობთ ისე, როგორც უნდა ვიმუშაოთ და მერე საზოგადოებამ უნდა თქვას, რამდენად დარჩა ჩვენი მუშაობით კმაყოფილი.

— **სააკაშვილის დაკითხვაც გარდაუვალია?**

— მე არ ვიცნობ სააკაშვილის საქმეს, მაგრამ, თუ გამოძიებას აქვს კითხვები, უნდა უპასუხოს. ამის გაბუქების აუცილებლობას ვერ ვხედავ. დაველოდოთ, რა იქნება.

— **გასულ კვირას მარეგულირებელი კომისიის ყოფილი უფროსები დაკითხეთ.**

— კი, დავამთავრეთ მომჩივანთა დაკითხვა და დავიწყეთ კომისიის დაკითხვა. კომისიის სხდომაზე ბევრი ადამიანი ბევრ რამეს ამბობს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ ყველაფერს ისე ვიღებთ, როგორც გვაწვდიან. რა დავუჯეროთ და რა — არა, დასკვნაში იქნება.

— **თქვენი მმართველობის მთავარ მიღწევად რას**



Cyan Magenta Yellow Black

**მიიჩნევთ?**

— თავისუფლების ხანა დადგა ქვეყანაში. როცა ადამიანი თავისუფალია, ძალაუნებურად პოზიტიური გახდება. ეს არის მნიშვნელოვანი. ყველა სხვა დანარჩენი — წარმატებები სოფლის მეურნეობაში, ჯანდაცვაში — არის სახელმწიფო პოლიტიკის კონკრეტული მიმართულებები. მთავარი ის არის, რომ ადამიანი გახდა ცენტრალური ფიგურა და დიდი იმედი მაქვს, უფრო მეტად იქნება მომდევნო წლების განმავლობაში.

— **ამბობენ, რომ ივანიშვილის წასვლა ამ ეტაპზე უდროოა.**

— ივანიშვილის წასვლა უდროოა თუ დროული, ამაზე საუბარს დღეს აზრი არ აქვს, რადგან ის ადამიანი მიდის. იმის დროც არ არის, რომ ვიგლოვოთ. ჯობია, მივიღოთ მოცემულობა, როგორც არის და ვიფიქროთ იმაზე, მერე როგორ იქნება. მოცემულობაში ვგულისხმობ, რომ პრეზიდენტი იქნება გიორგი მარგველაშვილი და პრემიერი ის არ იქნება, ვინც ახლა არის.

— **პრემიერის შემცვლელად თქვენი მეუღლე დავით უსუფაშვილიც დასახელდა.**

— ამაზე კომენტარს რომ ვერ გაგიკეთებთ, ხომ ხვდებით?

— **მე მაინც ვცადე. ვარაუდობენ, რომ კოალიცია ხუხულასავით ჩამოიშლება.**

— არ ველოდებით კოალიციის დაშლას, მაგრამ, თუ ვინმე წავა, ის აღიარებს საკუთარ მარცხს, რომ ვერ გაუძლო ხელისუფლებაში ყოფნის ზეწოლას. ხელისუფლებაში ყოფნა ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა.

— **ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზეც აქტიურად საუბრობენ. თქვენი აზრი როგორია?**

— აქტიურად — არა, ამაზე საუბრობენ ნინო ბურჯანაძე და პარლამენტის მიღმა დარჩენილი სხვა პარტია. აქტუალური მაშინ არის, როცა ასიათასობით ადამიანი გამოდის ქუჩაში. ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ინიშნება მხოლოდ მაშინ, როცა სახეზეა კრიზისი. თუ კრიზისი არ არის, თუ ბიუჯეტი სრულდება, თუ ურთიერთობა პარლამენტსა და მთავრობას შორის ნორმალურია, რატომ უნდა დადგეს ეს საკითხი?

— **რესპუბლიკელებს ის არ ეკუთვნით, რაც აქვთო.**

— ბევრ სხვა რამესაც ამბობენ, მაგრამ ამ პარტიებს ავიწყდებათ, რომ ბიძინა ივანიშვილმა თავის პარტნიორად პირველივე წერილში რესპუბლიკური პარტია დაასახელა. ასე რომ, როცა „ქართულ ოცნებას“ მისცეს ხმა, რესპუბლიკურ პარტიასაც მისცეს, როგორც მთავარ პარტნიორს. ვისაც როგორ უნდა, ისე მიიღოს, მაგრამ, იცით, როგორ არის? ეშინიათ ივანიშვილზე რამის თქმა და რესპუბლიკელებზე ლაპარაკობენ. ჩემთვის ასეთი მშიშარა ადამიანების აზრები მაინცდამაინც საინტერესო არ არის.

# გიორგი ვოლსკი: „რუსეთთან ურთიერთობიდან სიტყვა „მიყვარხარ“ უნდა ამოვიღოთ“

საქართველოს ხელისუფლება ჟენევაში რუსეთთან ეკონომიკურ თემებზე საუბრობს, რუსეთი კი საქართველოს მიწას ნელ-ნელა თავისკენ იღობავს. ჟენევიდან დაბრუნებული საქართველოს პრემიერმინისტრის სპეციალური წარმომადგენელი, ზურაბ აბაშიძე, დამაიმედებელ პასუხებს ვერ იძლევა. პარლამენტში, სპეციალურ სხდომაზე მისი მოსმენიდან ირკვევა, რომ რუსეთის ხელისუფლების ქმედება არ არის ადეკვატური პასუხი საქართველოს ახალი ხელისუფლების მიდგომებზე. დამოუკიდებელი ქვეყნების მთავრობებს (ანუ აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთს“) ამგვარად ვეხმარებით სასაზღვრო ზოლის შექმნაშიო, უთქვამთ რუსებს აბაშიძისთვის. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ ქართველი დიპლომატი ისეთი სკეპტიკური განწყობით დაბრუნდა, რომ ქართული პროდუქციისთვის რუსული ბაზრის ისევ ჩაკეტვასაც არ გამორიცხავს.

დიპლომატის მიერ ჩამოტანილი ამბების კომენტირება „სარკემ“ პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის საკითხთა დროებითი კომისიის თავმჯდომარეს, გიორგი ვოლსკის სთხოვა.

— **ბატონო გიორგი, რამდენად დაგაკმაყოფილათ იმ პასუხებმა, რაც ზურაბ აბაშიძემ ჟენევიდან ჩამოიტანა?**

— შედეგით არ შეიძლება კმაყოფილი იყოს არც ზურა, არც პრემიერი, არც ოპოზიცია და არც ხელისუფლება, მაგრამ ინფორმაცია და ანალიტიკა, რომელიც მოვისმინეთ, საშუალებას იძლევა, გავაანალიზოთ ვითარება და ის მიმართულებები, საითაც მივდივართ. დღეს ძალიან რთულ ვითარებაში ვართ. ეს სხდომა, რომელიც პირდაპირ ეთერში გავიდა, საზოგადოებას აძლევს შესაძლებლობას, შეაფასოს, ვინ უფრო სწორი გზისკენ მიდის. რაღაც ეტაპზე მივედით და რაღაც ახალი იწყება.

— **თქვენ ახალ ეტაპზე საუბრობთ, უმცირესობის წევრმა აკაკი მინაშვილმა კი პირდაპირ გითხრათ, აბაშიძის სკეპტიკური განწყობა ხომ არ არის აღიარება, რომ თქვენი პოლიტიკური კურსი დამარცხდაო.**

— ოპოზიციის მთავარი შეცდომა რაც არის, ისაა, რომ ცდილობენ, თემა პოლიტიკურ ჭრილში გადაიტანონ და ამით აღიდგინონ ის დაკარგული დივიდენდები, რაც ნაცმოძრაობას ჰქონდა. ეს თამაშია, რომ წარმოაჩინონ, თითქოს ისინი არიან მხოლოდ დასავლური ღირებულების დამცველები და უპირისპირდებიან ბნელ ძალას, რომელსაც უნდა, რომ საქართველო წაათრიოს იქით, სადაც არ აწყობს. მეორე მიმართულება მათი არის ის, რომ საქართველოში, საზოგადოებაში შექმნან განწყობა ნიჰილიზმის, ცუდი დამოკიდებულების დასავლეთის მიმართ.

— **ეს როგორ?**

— ხშირ შემთხვევაში იმდენად გამაღიზიანებელია დასავლური პოლიტიკის და ღირებულებების დაცვა უმცირესობის ზოგიერთი ოდიოზური წევრისგან, რომ საზოგადოება, რომელიც ღრმად არ იხედება, რას წარმოადგენს ევროატლანტიკური სივრცე და ევრაზიული გაერთიანებისკენ სწრაფვა, უყურებს გამოხატვის ფორმას, იმ ადამიანებს, ვის მიმართაც საზოგადოების დიდი ნაწილი გაღიზიანებულია.

— **და ამით ნაციონალები რუსეთის საქმეს აკეთებენ?**

— ასევე მოხდა 2008 წლის ომის წინა პერიოდშიც. 2004-06 წლებში ვმუშაობდი სახელმწიფო სტრუქტურაში კონფლიქტების მოგვარების საკითხზე და ხშირად დასავლეთიც კი ვერ აღწევდა მიზანს, როცა სააკაშვილს ან მის წარმომადგენელს უმტკიცებდა, რომ ეს ფსევდოპატრიოტული რიტორიკა იმის წისქვილზე ასხამდა წყალს, ვის წინააღმდეგაც იყო მიმართული. 2006 წლის ივლისში ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა საჭიროდ ჩათვალა, თავისი პოზიცია ძალიან მკაფიოდ გამოეხატა და თქვა, რომ მოსალოდნელი გადაწყვეტილება დსთ-ის სამშვიდობო შენაერთის გაყვანის თაობაზე იყო არასწორი, რადგან რუსეთი ისარგებლებდა და ცისფერჩაფხუტიანებს ხაკისფერჩაფხუტიანებით შეცვლიდა. ევროპელების და სხვათა ჩართვით მათ შემოგვთავაზეს პროცესების სულ სხვა განვითარება. საჭირო იყო, გვეზრუნა საერთაშორისო გავლენის გაზრდაზე.

2006 წლის ივლისისთვის ცხინვალში უკვე გახსნილი იყო ბიზნესცენტრი, ჩატარებული იყო საერთაშორისო კონფერენცია, რომლისთვისაც უშველებელი ფინანსური რესურსი გამოიყო და პირველად ვხედავდით იმას, რომ რუსეთის გავლენა ბალანსდებოდა. სწორედ ამ დროს მოხდა სამშვიდობო პროცესზე დარტყმა. ეს სწორედ მაშინ მოხდა, როცა რუსეთი მთელ მსოფლიოს ვერ უპირისპირდებოდა და ცდილობდა, ამ ვითარებიდან დივიდენდი თვითონაც მიეღო. ამის ნაცვლად კი შეგვრჩა „კოკოითი ფანდარასტ!“ და რიტორიკა, რომელსაც დღემდე თავი არ დაანებეს.

— **ანუ ქვეყანას უღალატეს?**

— ქვეყნის ღალატი გავიგონე პირველად აკო მინაშვილისგან, როცა თქვა, რომ რუსეთთან მოლაპარაკებები თურმე არის ქვეყნის ღალატი. არ მაქვს სურვილი, ვინმეს მოღალატე დავუძახო, მაგრამ ფაქტია, რომ აშშ აფრთხილებდა მათ, თუ კონსტრუქციულ გზას ასცდებოდნენ, დასავლეთის მხარდაჭერას დაკარგავდნენ.

2007 წლის დეკემბერში კი, როცა სააკაშვილი პრეზიდენტობის კანდიდატი იყო, თქვა, ცხინვალის რეჟიმი არის მოყანყალებული, როგორც ამოსაღები კბილი და დარწმუნებული ვარ, 5 იანვრის არჩევნების კარგად ჩატარების შემთხვევაში, ანუ მე თუ ამირჩევთ, ეს კვირების ან თვეების ამბები იქნებაო. თქვა, რუსებსაც წამოსცდათ, რომ სამხრეთ ოსეთი არ აინტერესებთო. ვინ დაარწმუნა სააკაშვილი, რომ რუსეთს სამხრეთ ოსეთი არ აინტერესებდა? სად ვეძებოთ მოღალატეები — იქ, სადაც მოლაპარაკებები მიმდინარეობს თუ იქ, სადაც წყდებოდა, როგორ შეეწყვიტათ სამშვიდობო მოლაპარაკებები?

— **მაგრამ ფაქტია, რომ მცოცავი ოკუპაცია ახლა უფრო აგრესიულად მიმდინარეობს.**

— სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული ოლქის საზღვრის დემარკაცია მოხდა 2007 წლის 10 მაისის ბრძანებულებით, სადაც წერია, რომ სანაკოევის ადმინისტრაციის მოქმედების არეალი განისაზღვროს სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის ფარგლებში. ამ ბრძანებულების გამო კი არ ხდება მხოლოდ, რაც ხდება, მაგრამ გამოდის, რომ სწორედ ამ ტერიტორიისთვის იყო ომი და სწორედ ამ ტერიტორიის ოკუპაცია მოახდინა რუსეთმა. საზღვარი ცნობილი იყო, სააკაშვილს კი არ ჩამოუყალიბებია, მაგრამ დემარკაციის ნიშნები მისცა. ახლა კი ცდილობენ თავიანთი პოზიციის გამართლებას და ამბობენ, რომ რუსეთი ყოველთვის აგრესორი და ცუდი იყო.

— **იგივე თქვა სააკაშვილმა გაერო-ში ბოლო**

→18

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი
(შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა)
დისბაქტერიოზი
მიიღეთ
ლაქტო-ჯი
www.laqto.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.



Cyan Magenta Yellow Black

გამოსვლაზეც.

— რუსეთი რაც არის, ზურაბ აბაშიძემ, თედო ჯაფარიძემ და მე კარგად ვიცით, რუსეთს ცრემლების არ სჯერა და არც თბილისს უნდა სჯეროდეს. „მიყვარხარ“ უნდა ამოვიღოთ ტერმინებიდან. აქ არის პრაგმატული პოლიტიკა და საქართველოს გარეთ კიდევ სხვა პროცესები მიდის. ის მემკვიდრეობა, რაც მივიღეთ, სამმაგი ჩიხია, სახელწოდებით სააკაშვილი. დღევანდელი მთავრობა ცდილობს, როგორმე გამოსავალი იპოვოს.

**— უმცირესობამ საყვედური გითხრათ იმ მუხლის შესახებ, რომელიც გულისხმობს ჩანაწერს — საქართველო არ იყოს წინააღმდეგობის თემა დასავლეთსა და რუსეთს შორის.**



— რომელი სულელი იტყვის იმას, რომ არ გვინდა დასავლეთის დახმარება? ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, რომ საქართველო უნდა იქცეს შეთანხმების საგნად და არა — კონფლიქტის. ჩვენი საშველი სხვანაირად არ იქნება. შვეიცარიის ბედს წყვეტს მთელი მსოფლიო იმიტომ, რომ აინტერესებთ, იქ იყოს სიმშვიდე.

**— მაგრამ ჩაწერა რა აუცილებელია?**

— ეს არის პასუხი, როცა საგარეო კურსზე გეკითხებიან. საქართველოს ხელისუფლებამ გადაწყვიტა, არ გამოიყენოს უხეში რიტორიკა და თქვას, რომ ევრაზიული კავშირი აინტერესებს და უყურებს, მაგრამ ის არ შეესაბამება ევროპულ ღირებულებებს, საითკენაც ჩვენი ქვეყანა მიდის და ეს გადაწყვეტილია.

**— მაინც გკითხავთ, მართლა გადაწყვეტილია, რომ იქით მივდივართ? თურმე ამაში ეჭვი ლიტვის პრეზიდენტსაც შეეპარა.**

— როცა ჭკვიანი მთავრობა ხარ, წივილკივილი არ უნდა ატეხო იმ ქვეყნის მიმართ, რომელთანაც მოლაპარაკებებში ხარ ჩართული. მეორე მიმართულება არის, არ დაიკარგოს ეკონომიკური კავშირები რუსეთთან. ეს მნიშვნელოვანი მარტო გლეხისთვის და მეწარმისთვის კი არ არის, საფრთხის პრევენციისთვისაც აუცილებელია. როცა არის მიმოსვლა, ეს არ აძლევს იმ ქვეყნის მთავრობას საშუალებას, სხვანაირად იფიქროს, რადგან საზოგადოებაში არის განსხვავებული განწყობა.

**— აბაშიძემ ისიც თქვა, რუსული ბაზარი საფრთხის შემცველიაო.**

— ევროპის ბაზარიც გახდება საფრთხე, თუ ხარისხს გააფუჭებ. რუსეთის არასტაბილური დამოკიდებულება და აგრესიული პოლიტიკა მართლაც საფრთხის შემცველია, ამიტომ არის საჭირო კომპლექსური ფიქრი, მაგრამ მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია?

**— აბაშიძემ თქვა, ჩვენ გზებს გავხსნით და მერე კონკრეტულმა გლეხმა ან კომპანიამ გადაწყვიტოს, რას იზამსო. ანუ სახელმწიფო გარანტიებისგან ხელს იბანს?**

— აბაშიძის და სახელმწიფოს ვალია, არა — ხელი დაიბანოს, არამედ ბიზნესწრეს გარემო და მაქსიმალური გარანტია შეუქმნას. 100 პროცენტიან გარანტიას ვერც წიკლაური მოგცემთ და ვერც — ჩიორა. გარანტიას ქმნის პოლიტიკური მოლაპარაკებები. პოლიტიკურ საერთაშორისო ასპარეზზე არ უნდა გადააჭარბო, მაგრამ მთელ მსოფლიოს უნდა დაამახსოვრო თავი იმ გაგებით, რომ არსებობ, წითელი ხაზები გაქვს, მისი დაცვის გარანტიები შენ არ ხელგეწიფება და გჭირდება საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარება.

**— ის რატომ უნდა დაგვეხმაროს?**

— მათ საქართველო აინტერესებთ, რადგან დემოკრატიული აზროვნების თვალსაზრისით წინ ვართ წასული. ამასთანავე აინტერესებთ თავიანთი გავლენის გაძლიერება კავკასიაში და ეს ბალანსი ჩვენთვის სასარგებლოა. ევროატლანტიკური კურსი — ეს არ არის ვიღაცის მიმართ პრანჭიაობა. ეს ის კურსია, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკის სტაბილურობას და ქვეყნის უსაფრთხოებას.

**— ეს მიმართულებები გამოიყვანს ქვეყანას იმ ჩიხიდან, სადაც სააკაშვილმა შეიყვანა?**

— ცუდ ხასიათზე გაღვიძებულმა პოლიტიკოსმა შეიძლება თქვას, რომ ვერ გამოიყვანს. პოლიტიკოსი, რომელიც შეეცდება, ხმები მიიღოს არჩევნებზე, იტყვის, რომ ერთი ხელის მოსმით მოხსნის ამ მავთულხლართებს.

**— ეს ივანიშვილმაც თქვა საარჩევნო დაპირებებში.**

— მაგრამ მას არ უთქვამს, რომ ამას 9 თვეში გააკეთებდა. გაცილებით მეტი უბედურება დაგვხვდა, ვიდრე ველოდით. არის საკითხები, რაც ვერ გავითვალისწინეთ, რომ ასე ცუდად იქნებოდა.

**„მათ, ვინც სახლებს შლიან, მავთულხლართების მეორე მხრიდან ქართულად მოლაპარაკე ოსი მიადგა, წყალი, რაღაც პაკეტი მიუტანა და იქიდან გადააწოდა. ამის იმედი გვაქვს".**

**— აფხაზებთან და ოსებთან პირდაპირ დიალოგზე ბევრს საუბრობდით. ამ კუთხით რაიმე ძვრები არის?**

— იმ დღეს კომისიის სხდომაზე რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია გვესწრებოდა. არ ჩავთვალე საჭიროდ, რომ მას ელაპარაკა გარკვეულ პოზიტივებზე, რადგან შეიძლებოდა, ეს ვიღაცეებს გამოეყენებინათ და ეს მიმართულება ჩაეკეტათ. რატომღაც დარწმუნებული ვარ, სააკაშვილის ბოლო ქმედება იქნება ის, რომ ჩვენ ვერ განვავითაროთ ურთიერთობები რუსეთთან და დავბრუნდეთ იქ, სადაც თვითონ იყვნენ. მეორე მხრივ, ევროპაში არ გვქონდეს გაძლიერებული პოზიცია, თუნდაც ასოცირების ხელშეკრულებით. ჭორ-მართლით შეზავებული ამბები გადის უცხოეთში, რომ მათ მიეცეთ საშუალება, ხელისუფლებაში ისევ მოვიდნენ.

**— როგორ ფიქრობთ, უკვე ჩაუყარეთ საფუძველი რუსეთთან კონფლიქტის მოგვარების პრაგმატულ სტრატეგიას?**

— კი და კონტურებიც გამოჩნდა. საქართველო ევროპასაც აინტერესებს და ამერიკასაც. მაგრამ არის კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი დეტალი — როცა კონფლიქტზე ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსებმა მავთულხლართებში მოაქციეს ოსური საზოგადოებაც, რომელიც ძნელად მიდის როკის გვირაბამდე. ფაქტობრივად რეზერვაციაში ჰყავთ, რამდენიმე ოსური ოჯახი დაზარალდა კიდეც, მაგრამ ჩვენ ვაძლევთ მათ საშუალებას, გადმოვიდნენ და მიწას მოუარონ. ერთ-ერთი ოჯახი დაღუპული შვილის ნაკვეთს უვლის. ქართული მხარე უფრო ზარალდება, მაგრამ გუშინ (ინტერვიუ ჩაწერილია 27 სექტემბერს. ავტ.) დმენისში ისეთი რამ ვნახე, არასოდეს დამავიწყდება. მათ, ვინც სახლებს შლიან, მავთულხლართების მეორე მხრიდან ქართულად მოლაპარაკე ოსი მოადგა, წყალი, რაღაც პაკეტი მიუტანა და იქიდან გადააწოდა. ამის იმედი გვაქვს. ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენ ვეფხისა და მოყმის და ვაჟაფშაველას ქვეყნიდან ვართ. ეს აუცილებლად ითამაშებს დადებით როლს შეზავებულ პრაგმატულ პოლიტიკურ გათვლებთან ერთად.

# „ყველა რომ წავიდეთ, მაშინ დაიცლება სოფელი და ალბათ გადასახვევამდე ჩავლენ ოსები“

## რეპორტაჟი დვანიდან

ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის ეგრეთ წოდებულ სასაზღვრო ზოლთან მდებარე ქართული სოფლების ბაღებსა და სახნავ-სათესებს რუსი ოკუპანტები ნელნელა ეპატრონებიან. სოფელი დვანი უკვე ორადაა გაყოფილი. რუსეთისა და დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სასაზღვრო ძალების წარმომადგენლებმა „საზღვრის“ სადემარკაციო სამუშაოებისთვის სოფლის განაპირას არსებულ მიწის ნაკვეთებში ბოძები უკვე მიიტანეს და ტერიტორიებიც მონიშნეს. ადგილობრივი მოსახლეობის განცხადებით, მესაზღვრეებმა რამდენიმე ასეული მეტრით გადმოსწიეს ე.წ. საზღვარი, რის გამოც ათეულობით ჰექტარი მიწა ოკუპირებულ ტერიტორიაზე ხვდება. დვანელების ნაწილმა გასულ კვირას მოსავალიც მათი მეთვალყურეობის ქვეშ აიღო. როგორც რუსულმა მხარემ მათ განუცხადა, თუკი ორ დღეში არ დააბინავებდნენ მოსავალს, შემდეგ საკუთარ ნაკვეთებში შესვლის უფლება აღარ ექნებოდათ.

რუსული ბოძების მიღმა 3 ქართული სახლიც აღმოჩნდა. მათაც ორი დღე მისცეს. ქართველებმა სახლებიდან ნივთები გაიტანეს, რკინის მასალა აჭრეს, ვაზი აჩეხეს, ახლა კი სახლებს შლიან და აგურ-აგურ გამოაქვთ. გამოაქვთ, მაგრამ სად მიაქვთ, ჯერ არ იციან. ახლა მთავარია, აქედან გავიტანოთო, ამბობენ. 300 კომლიანი სოფელი ახალი დღის გათენებას შიშით ელოდება.

ეს ზოგადი ინფორმაცია „სარკემ“ დვანიდან 28 სექტემბერს ჩამოიტანა, უფრო კონკრეტულად ქვემოთ სოფლის მოსახლეობა მოგვითხრობს.

**მარიამ მამაგულაშვილი:**

— წარმოშობით ცხინვალელი ვარ. 1991 წელს ომის გამო დევნილები გავხდით და დვანში დავსახლდით ნათესავის სახლში. ძირძველი დვანელები ვართ, პაპა იყო წასული ცხინვალში და ისევ აქ დავბრუნდით. მაშინ 21 წლის ვიყავი. თავიდან გაგვიჭირდა, მაგრამ მერე ერთი პერიოდი ისე დაწყნარდა ყველაფერი, რომ ცხინვალშიც დავდიოდით.

**— ერგნეთის ბაზრობა რომ იყო, იმ პერიოდს გულისხმობთ?**

— მაშინაც და მერეც. ოსები და ქართველები ისე ვიყავით ერთმანეთთან, თითქოს არაფერი მომხდარა. ძველ მეზობლებთანაც მივდიოდით, ჩვენს სახლშიც მივედით, მაგრამ სხვა ცხოვრობს. დედას დეიდაშვილები ოსები ჰყავს, ცხინვალში ცხოვრობენ, მათთანაც გვქონდა კონტაქტი, მაგრამ 2008 წლის შემდეგ არაფერი ვიცით მათზე. შინაურებს, ნაცნობებს ძველებურად გვცემდნენ პატივს, მაგრამ ზოგადად ფაქტია, რომ ქართველები არ უყვართ. ალბათ ეს უკვე პოლიტიკის შედეგია.

**— აგვისტოს ომის დროს აქ იყავით?**

— კი, აქ ვიყავი. ჯარმა შემოსვლა რომ დაიწყო, ხალხთან ერთად მეც გავედი. მაშინ სახლი არ დაწვეს, მაგრამ ყველაფერი წაიღეს.



Cyan Magenta Yellow Black

ახლაც ჩვენი ნაკვეთი არ მოყოლილა სასაზღვრო ზოლში, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, ხვალ მოყვება, რადგან ამბობენ, სკოლასაც შემოღობავენო. ომის მერე დვანელები 3 თვეში დაბრუნდნენ, ჩვენ ორ წელიწადში დავბრუნდით.

ომის პერიოდში 48 სახლია დამწვარი, ზოგი აღდგენილია, ზოგი — არა. ზედ საზღვართან 3 მოსახლე ცხოვრობს — მაჭახაშვილი გივი, ყორაშვილი აკაკი და მეკარიშვილი მერაბი. ომის დროს დაუწვეს, ახლა იმ დამწვარ სახლებსაც აცლევინებენ. 50 მეტრით გადმოწიეს საზღვრები და იქით მოყვნენ.

**— 2008 წლამდე ე.წ. საზღვრის გადმოწევის მცდელობა თუ ყოფილა?**

— არა, არასდროს, 2008 წლის მერე დაიწყო.



**— ალბათ ღამე სახლიდან არ გამოდიხართ. როგორ ცხოვრობთ?**

— შიშით, ნერვიულობით, ბრაზით! ჩვენ რა შეგვიძლია, გარდა იმისა, რომ სოფელი მოსახლეობისგან არ დაიცალოს. მთავრობამ ამაზე უნდა იფიქროს და მხარში ამოგვიდგეს. ახლა სკოლაში 140 ბავშვია, მანამდე 180 მაინც გვყავდა. არა მგონია, სკოლის შენობა იქით დარჩეს, მაგრამ ზედ ეზომდე მოდის საზღვარი და ვინ გაუშვებს მერე სკოლაში ბავშვს? ვინ იცის, იქნებ საზღვრის იქიდან ვინმემ რამე ისროლოს, ან ღამე რომ დანაღმონ? ქართველი კაცი გამძლეა, მაგრამ შინაგანად ძალიან განვიცდით.



**მზია ზურაბაშვილი:**

— 2008 წლამდე კარგი ურთიერთობა გვქონდა ოსებთან. პური რომ არ ჰქონდათ, ჩვენგან სესხულობდნენ. ქორწილი იყო თუ ქელეხი, გადავდიოდით და გადმოვდიოდით. ისინიც გვეპატიჟებოდნენ და ჩვენც ვეპატიჟებოდით. საავადმყოფოსთვის, ბაზრისთვის ცხინვალში მივდიოდით. 40 წუთის გზაა.

2008 წლის აგვისტოს ომი რომ დაიწყო, თბილისში გავიქეცით. ომის მერე ბევრი, ვინც შიგ სოფელში ცხოვრობდა, შემოდიოდა და გადიოდა. ჩვენ აქ, ზედ საზღვარზე რომ ვართ, ვერ ვბედავდით შემოსვლას. ფიზიკურადაც შეუძლებელი იყო და არც არაფერი გაგვიტანია. რომ დავბრუნდით, ჩვენი მეზობლობა არ გაგრძელდა. მეორე წელსვე გააბეს ეს მავთულხლართები. ახლა კი ახალი მავთულხლართი 50-70 მეტრით გადმოიწევა, ამ სახლის კუთხეში გაივლის და ჩვენი ხეხილის ბაღები შიგ მოყვება. იქით გაყოლებაზე მოსახლეობაც ცხოვრობს და არ არის გამორიცხული, ის ტერიტორიაც მიაყოლონ.

**— გამოდის, რომ თქვენი სახლის უკან სასაზღვრო ზოლი იქნება?**

— კი, თუ მთავრობა არ ჩაერია, ჩვენ რა შეგვიძლია!

**— სააკაშვილს ადანაშაულებთ, რომ ასე გაგირთულდათ ცხოვრება?**

— არც სააკაშვილი ტყუის და არც ივანიშვილი, მაგრამ ვის მივმართოთ, ისიც არ ვიცით, არც არაფერს გვეუბნებიან.

**— რატომ, არ გელაპარაკებიან, არ გნახულობენ?**

— მოდიან და მიდიან, მაგრამ ვერაფერს ამბობენ. აქამდე არც არავინ მოსულა.

**— ბაღებს რომ ჩამოგაჭრიან, შემოსავალი სხვა რა გრჩებათ?**

— ბაღებს კი არა, ჩვენს თავებს ვჩივით, რა უნდა ვქნათ. კი, ამ სამ ოჯახს, რაც დაემართა, საშინელებაა, მაგრამ აგერ ცხვირწინ რომ გაგივლებენ სასაზღვრო ზოლს, როგორ უნდა

**„2008 წლამდე კარგი ურთიერთობა გვქონდა ოსებთან. პური რომ არ ჰქონდათ, ჩვენგან სესხულობდნენ. ქორწილი იყო თუ ქელეხი, გადავდიოდით და გადმოვდიოდით. 40 წუთის გზაა".**

ვიცხოვროთ? რა მოუვათ თავში და რას იზამენ, ღმერთმა იცის. შეიძლება მესაზღვრე კი არა, ვილაც გაუბედურებული ადამიანი გადმოვიდეს და საშინელება დაატრიალოს.

**— რუს სამხედროებს ხედავთ ხოლმე?**

— ყოველდღე, აგერ გადმომდგრები არიან და ვუყურებთ. 3 ოჯახი ვართ ასეთ დღეში.

**თინიკო მამაგულაშვილი:**

— ჩვენი სახლი ზედ საზღვარზე დგას. 2008 წლის 21 სექტემბერს დაიწვა, ღვთისმშობლობადღეს. მაშინ თბილისში ვიყავით შეკედლებული რომელიღაც სასწავლებლის შენობაში. შეგვატყობინეს სოფლიდან, რომ 3 სახლი ერთად დაწვეს. მე 4 აგვისტოს გავედი აქედან, სროლები უკვე დაწყებული იყო და პატარები მოვარიდეთ ომს. ერთი წლის მერე დავბრუნდი. დედა 21 სექტემბერს უკვე შემოსული იყო. რომ დავბრუნდით, დედამ მიწა მოგვცა და მთავრობამ 24 კვადრატული ფართის კოტეჯი აგვიშენა. მასში 6 სული ვცხოვრობდით. ვერ ვეტევით და ჩემი მაზლის სახლი გავარემონტეთ. ძველ დამწვარ სახლს კი სათავსოდ ვიყენებდით. ახლა ის სახლი საზღვრის იქით ხვდება, საზღვრის იქით ყვება ამ სახლის უკანა მხარეც — ბოსტანი და ხეხილის ბაღი მთლიანად.

**— მთავრობამ რა გითხრათ?**

— შეგვპირდნენ, დაგეხმარებითო, მაგრამ არ ვიცით, კონკრეტულად რა იქნება. ჩვენ სოციალური დახმარება გვქონდა, მაგრამ აპრილის თვეში მოგვიხსნეს. დახმარებები სოფელში ისეთ ხალხს აქვს, მანქანებიც რომ ჰყავთ და ტრაქტორებიც, ჩვენ, სახლდამწვარ, განადგურებულ ხალხს კი მოგვიხსნეს. მერე ვიარეთ დევნილის სტატუსზე, მაგრამ რადგან სახლი ბუფერულ ზონაში იყო, არ გეკუთვნითო, გვითხრეს. ახლა იქნებ რომელიმე სტატუსი მაინც მოგვცენ, რომ ვიარსებოთ. ახლა მამამთილის პენსიაზე ვართ 6 კაცი. ჩვენი შემოსავალი იყო ხეხილის ბაღი და რა გვეშველება, არ ვიცი.

**— ახლა რომ სახლს შლით, სად მიგაქვთ?**

— რაც გამოდგება სახლის საშენებლად, გამოგვაქვს, მაგრამ ჯერ არ ვიცით, სად მიგვაქვს. სიმართლე რომ გითხრათ, არ ვიცით, ხვალ რა იქნება, შეიძლება ერთი თვის მერე ეს სახლიც დაგვაცლევინონ... სააკაშვილს აურზაური რომ არ წამოეწყო, ეს სიტუაცია არ იქნებოდა. ამ მთავრობის იმედი გვქონდა, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი ჩანს.

**— როგორ წარმოგიდგენიათ აქ ცხოვრება, როცა საზღვარი სახლის კედელს გაუყვება?**

— ალბათ დედაჩემთან წავალ საცხოვრებლად. წარმოიდგინეთ, რა იქნება, სახლის უკან რომ ოსი დადგება. ახლა ბაღი გვაშორებდა. ან როგორ დავიძინებ? ისედაც მთელ დღეებს შიშით ვატარებთ.

**— ღამე პატრულირება არ ხდება?**

— პოლიცია მოდის ხოლმე, მაგრამ აქ — არა, სოფლის შემოსასვლელში დგანან, აქედან კი ჩვენ ვიცავთ პოლიციას. ხომ ფაქტია, რომ ჩვენ ვიცავთ ოსებისგან პოლიციას?! მათაც ვუთხარი, თუ რამე მოხდა, მე უნდა გავიგო პირველმა და გამოვიქცე-მეთქი.

**— არ ფიქრობთ აქედან წასვლაზე?**

— აქაურობას ვერ დავტოვებთ, ჩვენი წინაპრების მიწაა. სოფელი ასე მივატოვოთ? ყველა რომ წავიდეთ, მაშინ დაიცლება სოფელი და ალბათ გადასახვევამდე ჩავლენ ოსები. მთავრობა თუ არ მოგვხედავს, სოფელი აუცილებლად დაცარიელდება.

**— რუსი მესაზღვრეები შევამჩნიე. ოსებიც არიან ხოლმე მათთან?**

— არა, ოსებს ვერ ვხედავთ, როგორც ჩვენ, ალბათ მათაც ისე ეშინიათ.

✓ პოლიტიკის რუბრიკა მოამზადა
მანანა გეგიამ

გახდომა 5-დან 20 კგ-მდე თვეში
გასუქება 2-დან 5 კგ-მდე თვეში

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივითერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე, შეინარჩუნებთ სტაბილურად შედეგს და საბოლაოდ დაივიწყებთ ამ პრობლემას.

სიმაღლეში ზრდის უახლესი პროგრამები:

სწრაფი და ეფექტიური ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსით 3-5სმ-ის მომატებით. ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა-დანიშნულებით. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. შედეგები 100%-იანია. ქ-ნი ქეთევანი.

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# დაბალი ენერგოტარიფები სვანეთის დატბორვის ფასად?



### ხუდონჰესი — სიკეთე თუ საფრთხე მთელი ქვეყნისთვის

■ ხუდონის ხეობა

სვანეთის რამდენიმე სოფლის მოსახლეობას მამაპაპეული მიწიდან აყრა და გადასახლება ელის, რადგან ენგურისა და ხაიშურას ხეობაში დიდი ჰიდროელექტროსადგურის, ხუდონჰესის მშენებლობა იწყება. სვანები ასეთ პერსპექტივას არ ეგუებიან, ხატზე დაიფიცეს, რომ მშობლიურ სოფლებს არ დატოვებენ. „ჩვენ არ გავხდებით სვანეთის მესაფლავეები!“ — აცხადებენ ისინი და მათ მხარს გარემოს დაცვის ექსპერტები და არასამთავრობო ორგანიზაციებიც უმაგრებენ. დათმობას არც ხელისუფლება აპირებს. ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძის განცხადება საკმაოდ ხისტია: „რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის ახირებას ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობას ვერ გადავაყოლებთ!“. ხუდონჰესის აშენება, რისი მცდელობაც საქართველოში რამდენიმე ხელისუფლებას მარცხით დაუმთავრდა, სავარაუდოდ, არც ახლანდელ ხელისუფლებას გამოუვა იოლად.

ხუდონჰესის მშენებლობა 1979 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ დაიწყო. პროექტის განხორციელებას მაშინაც ჯერ სვანებმა შეუშალეს ხელი, მერე კი — სსრკ-ის ნგრევამ. ხუდონჰესის აშენების იდეით მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებაც მოიხიბლა, ინვესტორიც მოიზიდა და მას სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი ერთ დოლარად გადასცა. აღმოჩნდა, რომ მიწის ნაწილი, რომელიც სააკაშვილმა ერთპიროვნულად მიჰყიდა ინდურ-ბრიტანულ კომპანიას, ადგილობრივ მოსახლეებს წაართვა. ახლა სვანები ამ წართმეულ მიწებს აღარ ნაღვლობენ, უფრო დიდი საფიქრალი გაუჩნდათ — სვანეთის განადგურების საფრთხეს ხედავენ. ხუდონჰესის აშენებით დაიტბორება 528 ჰექტარი ტერიტორია, წყლის ქვეშ მოექცევა სოფლები — ხაიში, დაკარი, გალმა ხაიში და ტობარი, ასევე ქრისტიანული სიწმინდეები — ხაიშის წმინდა გიორგის ეკლესია და სასაფლაოს ტერიტორია. საპროექტო არეალში ექცევა კიდევ 10-მდე დასახლებული პუნქტი.

სამშენებლო სამუშაოებს ინდურ-ბრიტანული კომპანია „ტრანს ელექტრიკა ჯორჯია“ განახორციელებს, რომელსაც, როგორც ხაიშელები ამბობენ, მათი კუთვნილი 1400 ჰექტარი მიწა წინა ხელისუფლებამ სიმბოლურ ფასად მიჰყიდა. „ტრანს ელექტრიკა ჯორჯიას“ წარმომადგენელი,**ნინო ასათიანი** ამბობს, რომ კომპანიამ მიწა სახელმწიფოსგან მიიღო და არა — მოსახლეობისგან.

— სახელმწიფომ გადმოგვცა თავის საკუთრებაში არსებული მიწები. მთავრობას მოსთხოვონ იმის გარკვევა, ვისი იყო ეს მიწები. ჩვენ არაფერ შუაში ვართ. მოხდება ქონების ინვენტარიზაცია და შესაბამისი თანხის გადახდა. ასევე მოხდება იმდენი თანხის გადახდა, რომ რაიმე სახის ბიზნესის წამოწყება შეძლონ და ადამიანურ პირობებში იცხოვრონ, ანუ რაც ჰქონდათ, იმაზე მეტს მიიღებენ კომპენსაციის სახით, — ამბობს ნინო ასათიანი.

ბრიტანულ-ინდური კომპანიის მიერ მომზადებულ ანგარიშში წერია, რომ ხუდონჰესის მშენებლობა მნიშვნელოვნად შეამცირებს უძვირესი ელექტროენერგიის იმპორტს მეზობელი ქვეყნებიდან. ჰესი გამოიმუშავებს 500 მილიონ კილოვატსაათ ელექტროენერგიას და უზრუნველყოფილი იქნება ქვეყნის ენერგოუსაფრთხოება. ჰესის მშენებლობაზე დასაქმდება 4.000-მდე ადამიანი, ხოლო ექსპლოატაციის შემდეგ — 250.

რეკომენდაციებში კი, რომლებიც საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრომ ნიდერლანდების კომისიასთან ერთად მოამზადა,

## ლაშა ჩხარტიშვილი: „მილიონების შოვნის მიზნით წირავენ სვანეთს და იქ მცხოვრებ ადამიანებს"

არცთუ დამაიმედებელი დასკვნებია გაკეთებული ხუდონჰესის მშენებლობის შედეგებთან დაკავშირებით, კერძოდ, მთავარ პრობლემად სახელმწიფოში ენერგოპოლიტიკის, ასევე ენგურის აუზში წყლის რესურსების მართვის გეგმის არარსებობა დასახელდა. პრობლემას ქმნის აგრეთვე ის, რომ სვანეთში გზა ვიწროა და შედეგად, რომელიმე ავარიის შემთხვევაში, მთელი სვანეთი და ჰესის სამშენებლო სამუშაოები გარესამყაროს მოსწყდება. ექსპერტების თქმით, მდინარე ენგურში რომ შენარჩუნდეს თევზის მარაგი, ჰესთან მას უნდა გაუკეთდეს ალტერნატიული გასასვლელი და მსგავსი გასასვლელები ენგურჰესზეც უნდა იყოს.

არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივის“ წარმომადგენელი,**ირაკლი მაჭარაშვილი**ამბობს, რომ პროექტის მშენებლობა არაკანონიერი გზით ხდება:

— სახელმწიფო უწყებაში არ შესულა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, რის მიხედვითაც უნდა გადაწყდეს, კარგია თუ არა ეს პროექტი ხალხისთვის. სახელმწიფოს პირველი პირები უკვე ამბობენ, რომ ეს აუცილებლად განხორციელდება. ეს არის ზეწოლა გარემოს დაცვის სამინისტროზე და მოსახლეობაზე. ივანიშვილი და კალაძე ისე საუბრობენ, რომ ჰესის აშენება ხუდონზე უკვე გადაწყვეტილი აქვთ. ეს ყველაფერი კანონმდებლობის და ადამიანის უფლებების უხეში დარღვევაა.

■

ხუდონჰესის მშენებლობა ნებართვის გაცემიდან 6 წელიწადში უნდა დასრულდეს. პროექტში ერთი მილიარდი დოლარის ინვესტიციის ჩადება იგეგმება. აქედან 600 მილიონი დოლარი კაშხლის აშენებას უნდა მოხმარდეს, 400 მილიონი კი — მოსახლეობის განსახლებას და სოციალურ მოთხოვნილებებს. ხუდონჰესი საქართველოში სიმძლავრით მეორე იქნება. ხელისუფლება ვარაუდობს, რომ ის მოგებას უკვე 2017 წლიდან მოიტანს. ექსპლოატაციაში გაშვების შემდეგ ქვეყნიდან ელექტროენერგიის იმპორტი და ელექტროენერგიის ტარიფის შემცირება განხორციელდება.

ინდურ-ბრიტანული კომპანია, რომელმაც საქართველოში ხუდონჰესი უნდა ააშენოს, ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე, ოფშორულ ზონაშია დარეგისტრირებული, რომლის ოფიციალურ გვერდზე წერია, რომ მათი მიზანი საქართველოში არსებული ჰიდროენერგორესურსების ათვისებაა. თუ ვინ, რა გამოცდილების კომპანია დგას მის უკან, ვერ დავადგინეთ. ქართული მხარე კომპანიის აქციებს არ ფლობს.

■

სვანეთისა და ამ კუთხის შვილების სატკივარსა და პროტესტზე „სარკეს“ მწერალი **ერეკლე საღლიანი** ესაუბრება:

— სოფელ ხაიშის მოსახლეობამ ხატზე დაიფიცა, რომ თავის ადგილ-მამულებს არ დათმობენ და იქიდან არ აიყრებიან. თაღოვანი, მაღალი კაშხალი 205 მეტრის სიმაღლის უნდა აშენდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ სვანეთი თავის სახეს დაკარგავს. ლაპარაკია იმაზეც, რომ მხოლოდ ხუდონჰესს არ დასჯერდებიან. ეს მშენებლობა ჯერ კიდევ კომუნისტებმა დაიწყეს, 5 ჰესი უნდა აეშენებინათ. მაშინ დაიწყო აქციები, რასაც ცხონებული თორნიკე ფიფია ჩაუდგა სათავეში, მთელი დასავლეთი საქართველო ფეხზე დადგა. სოფლები ხაიში, ვედი, ჭუბერის ქვედა სოფლები, ვაჰაბი ყვება დატბორვაში, ენგურის და ხაიშურას ხეობა.

უნიკალური ძეგლები აღმოჩნდება წყალქვეშ — ხაიში, ვარივარია, ვარაკვაკვა... ანტიკური ძეგლებია. ნორმალურმა, განვითარებულმა ქვეყნებმა ხელი აიღეს გიგანტურ ჰესებზე და პატარ-პატარა კაშხლებზე გადავიდნენ... იქ ჩვენი მამა-პაპათა საფლავებია. თურმე, იცით, ხალხს რა შესთავაზეს? ამოთხარეთ და სადაც გადახვალთ, იქ წაასვენეთო. ყველაფერზე ხომ არ უნდა წახვიდე?! სვანები ამას შეეგუებიან?! ვფიქრობ, თავად ბატონი ბიძინა ივანიშვილიც შეცდომაშია შეყვანილი.

ამ ჰესის აშენება სვანეთის მიკროკლიმატს მთლიანად შეცვლის. ენგურჰესმა ისე შეცვალა, სვანეთი ის აღარ არის, რაც იყო. საშინელი ნესტია მას მერე. იქნებ დავჯერდეთ ენგურჰესს და ისეთივე შეცდომა აღარ გავიმეოროთ.

■

პროფესიით ეკოლოგი, ადამიანის უფლებათა დამცველი ლაშა ჩხარტიშვილი, ბუნების დამცველ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად აქციებს მართავს ხუდონჰესის მშენებლობის შეჩერების მოთხოვნით და ცდილობს, ხელისუფლებას მოსალოდნელი სავალალო შედეგები დაანახოს.

**ლაშა ჩხარტიშვილი:** ჩვენი და საქართველოს აბსოლუტური უმრავლესობის პროტესტი გამოწვეულია იმ დამანგრეველი შედეგებით, რასაც დიდი ჰესები იწვევს გარემოს დაცვის კუთხით. ეს მხოლოდ სვანეთის კულტურულ მემკვიდრეობას კი არ დააყენებს საფრთხის ქვეშ, არამედ მოსახლეობის ჯანმრთელობასაც. მთელ ზემო სვანეთში შეიცვლება კლიმატი. გამოიწვევს მეწყერებს, ღვარცოფებს, ზვავების გახშირებას, რაც მრავალი ადამიანის სიცოცხლეს შეიწირავს.

დასატბორად განწირულია მე-10-11 საუკუნეების 7 სოფელი. შედეგად მხოლოდ სვანეთში კი არა, მიმდებარე რეგიონებშიც შეიცვლება კლიმატი. მიწისძვრამ შეიძლება კატასტროფა გამოიწვიოს. საქართველოს ხელისუფლებას არ გააჩნია ეკონომიკური და



Cyan Magenta Yellow Black

ენერგოსისტემის განვითარების გეგმები. მილიონების შოვნის მიზნით წირავენ სვანეთს და იქ მცხოვრებ ადამიანებს.

ბიძინა ივანიშვილის საარჩევნო პროგრამაში ეწერა, რომ დიდი ენერგოჰესების მშენებლობებს აკრძალავდნენ. მე ვიყავი კოალიციის გარემოს დაცვის ჯგუფის ხელმძღვანელი და საარჩევნო პროგრამის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის ავტორი. დაპირების შესრულების მაგივრად საპირისპიროს აკეთებენ.

ტარიფის შემცირებას საქართველოს დატბორვის ხარჯზე გვპირდებიან?! ბიძინა ივანიშვილმა დაარღვია საკუთარი დაპირება. აქამდე მისთვის მიუღებელი იყო ეკლესიებისა და საფლავების დატბორვა. ახლა კი, როგორც ჩანს, გაუჩნდათ პოლიტიკური და ფინანსური ინტერესი და პირობასაც არღვევენ. სახეზეა ავტორიტარული მმართველობის დამყარების ნიშნები. მოვითხოვთ მშენებლობის აკრძალვას და ბრძოლას ბოლომდე ვაპირებთ.

**ერეკლე საღლიანი: „უნიკალური ძეგლები აღმოჩნდება წყალქვეშ — ხაიში, ვარივარია, ვარაკვაკვა... ანტიკური ძეგლებია".**

**— იმის დადგენას, რომ საქართველო დაიტბორება, იქნება მეწყერი და ღვარცოფი, ექსპერტიზა სჭირდება. არა მგონია, ასეთ უგუნურ ნაბიჯზე წავიდნენ.**

— იმას, რომ წყლის რეზერვუარიდან თუ ნებისმიერი ჭურჭლიდან ხდება წყლის აორთქლება, ექსპერტიზა არ სჭირდება, სკოლაში გვასწავლიან. დიდი ადგილის დატბორვაზეა ლაპარაკი, რაც ბუნებრივად გამოიწვევს მეწყერს. სამარცხვინო იყო გარემოს დაცვის მინისტრის განცხადება, რომ ეს მშენებლობა კლიმატის ცვლილებაზე ზეგავლენას არ იქონიებს. მართვადი და მორჩილი ჩინოსანი აღმოჩდა ხათუნა გოგალაძე!

სამწუხაროდ, კალაძეს და ივანიშვილს ფინანსური ინტერესი აქვთ, ასევე — ვიწრო-პოლიტიკური ინტერესიც. ისინი საკუთარი სკამის გარანტიებს იქმნიან ამგვარი პროექტებით კავშირების გაბმის გზით. საუბარია თურქეთსა და რუსეთზე. აქ რუსული კაპიტალის ფარულ მონაწილეობაზეც არის ეჭვი, რადგან ხუდონჰესი შენდება რუსეთთან კონფრონტაციის ფრონტის ხაზზე და ეს მათი ჩარევის გარეშე ვერ მოხდებოდა, მით უმეტეს, რომ ის ენგურის კაშხლის ნაწილია. ინვესტორებს ეპატიჟებიან და ამით საქართველოს დატბორვაზე კონკურსი გამოაცხადეს. საქართველოს მდინარეების 90%-ის გამოყენებას გეგმავენ კაშხლებისთვის, რაც ლანდშაფტს გაანადგურებს და მალე მდინარეც კი აღარ გვექნება.

■

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე, ირაკლი ხმალაძე ირწმუნება, რომ მოსახლეობის ინტერესს აუცილებლად გაითვალისწინებენ, ქვეყნის ეკოლოგიას კი საფრთხეს არ შეუქმნიან. მისი სიტყვებიდან გამომდინარე, ხუდონჰესის აშენება გარდაუვალი აუცილებლობაა, რომელსაც ვერ გავექცევით.

**ირაკლი ხმალაძე:** ხუდონჰესის აშენება ჩვენი ქვეყნისა და ხალხისთვის არის საჭირო. ეს მთავარი გარემოებაა, როცა ვამბობთ, რომ აუცილებლად უნდა აშენდეს. ჩვენ არ გვქონდა იმის ილუზია, რომ ამ პროექტის განხორციელებას ყველა მოეკიდებოდა გაგებით. ჩვენი მოვალეობაა, ხალხს მივაწოდოთ ინფორმაცია, რომ ამ კაშხლის აშენება მნიშვნელოვანია არა ენერგეტიკის სამინისტროსთვის, არამედ ქვეყნისთვის.

**— რამდენი ოჯახის გადასახლებაზეა საუბარი?**

— დაახლოებით 175 კომლს მოუწევს თავისი საცხოვრებელი ადგილის დატოვება, გვჯერა, რომ ამ ხალხის დაყოლიებას შევძლებთ. ყველა, ვინც ამ პროექტით დაზარალდება, მიიღებს ადეკვატურ, სამართლიან კომპენსაციას.

ხუდონჰესი ძვირადღირებული პროექტია და მას სახელმწიფო არ აშენებს, ინვესტორი ახორციელებს. დღეს საქართველოში, განსხვავებით 10-15 წლის წინანდელი პერიოდისგან, არსებობს საინვესტიციო კლიმატი. აშენდა საქართველო-თურქეთის დამაკავშირებელი ელექტროგადამცემი ხაზი. ქვეყანას აქვს კარგი საექსპორტო პოტენციალი და კარგი ბაზარი თურქეთის რესპუბლიკაში.

**— ბუნების დამცველები გვაფრთხილებენ, რომ ხუდონჰესის აშენება სვანეთის და მეზობელი რეგიონის კლიმატს შეცვლის და ეკოლოგიურ კატასტროფასაც გამოიწვევს.**

— საუკეთესო ექსპერტები დადებენ დასკვნას და შეაფასებენ საფრთხეებს. თუ ვნახეთ, რომ რაღაცას ცუდ შედეგთან მივყავართ, შევთავაზებთ ალტერნატიულ პროექტს. გამორიცხულია, რომ ამ ჰესის მშენებლობის აშენების შესაძლებლობა არ არსებობდეს.

**— რა კომპანიაა, რა გამოცდილება აქვს „ტრანს ელექტრიკა ჯორჯიას"?**

— კომპანია ფურცელზე დაწერილი სახელწოდებაა. მთავარია ის გუნდი, ვინც ამ კომპანიას მართავს და ვინც ემსახურება მის განხორციელებულ პროექტებს. ეს არის ინდურ-ბრიტანული გუნდი. შპს „ტრანს ელექტრიკა ჯორჯია" ახალი შექმნილია და მას არანაირი გამოცდილება არ აქვს, მაგრამ ვინც მას მართავს, დიდი გამოცდილება აქვს.

**— ენერგეტიკის მინისტრის, კახი კალაძის ფინანსურ დაინტერესებაზე საუბრობენ ძალიან ბევრს — ჰიდროსამშენებლო კომპანიებში წილებს ფლობსო.**

— სისულელეა! კანონი არ კრძალავს, რომ თანამდებობის პირს წილი ჰქონდეს რომელიმე სამშენებლო კომპანიაში, მაგრამ კალაძემ თავისი წილები მაინც გაასხვისა. ამ ამბავში რაიმე ლოგიკა რომ იყოს, კახი აუცილებლად გაგცემდათ პასუხს.

**— წინა ხელისუფლებას სვანეთში მიწის ის ნაკვეთები, სადაც ხუდონჰესი უნდა აშენდეს, მოსახლეობასთან შეუთანხმებლად მიუყიდია ინვესტორისთვის. იცოდით ამის შესახებ?**

— დიახ, ვიცი. როცა ინვესტორთან ხელშეკრულება უნდა გაეფორმებინათ, ხუდონჰესის სამშენებლო ზონა წარმოადგენდა სახელმწიფო საკუთრებას. ხელშეკრულებაში წერია, რომ სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, მის დაქვემდებარებაში არსებული მიწა ერთი დოლარად გადაეცა საკუთრებაში ინვესტორისთვის. როგორც დავადგინეთ, გარკვეულ ხარვეზებს ჰქონდა ადგილი. როცა მოინიშნა ეს მიწა, როგორც სახელმწიფოს საკუთრება, მასში მოჰყვა კერძო პირების მფლობელობაში არსებული მონაკვეთებიც. მოახდენენ იდენტიფიცირებას და ამ ადამიანებს დაუბრუნებენ თავიანთი მიწის შესაფერისს ან სულაც ფულად კომპენსაციას.

რაც შეეხება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის გასხვისების გადაწყვეტილებას, ამას კანონით საქართველოს პრეზიდენტი იღებს. არსად წერია, რომ ხალხთან უნდა მოხდეს შეთანხმება. გადაწყვეტილებას იღებს ხელისუფლება, რომელიც ხალხის არჩეულია. სახელმწიფო ერთ დოლარად გაყიდდა თუ მილიონ დოლარად, ეს აისახებოდა სახელმწიფო ბიუჯეტზე და არა — რომელიმე კერძო მოსახლეზე.

**— სვანებს ხატზე დაუფიციათ, ჩვენს მიწას არ დავთმობთო. სავარაუდოდ, დიდი წინააღმდეგობა გელით.**

— სახელმწიფო, საზოგადოებრივი პროექტის განხორციელების ბარიერი არ უნდა იყოს რამდენიმე ადამიანის ფიცი. პატივს ვცემ სვანებს, მათ ტრადიციებს, მათ ფიცს, მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ ამ შემთხვევაშიც ვიპოვით გამოსავალს. ჩვენი ერისთვის სასიკეთო საქმეში სწორედ ეს ხალხი დაგვიდგება გვერდით.

**— მათთვის შეუთავაზებიათ, თქვენი წინაპრების საფლავები ამოთხარეთ და სადაც წახვალთ, იქ გადაასვენეთო. ეს მორალურად, ადამიანურად რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ?**

— ჩვენ სახელმწიფოს პოზიციას უნდა მივაქციოთ ყურადღება და არა იმას, თუ ვინ როგორი გამონათქვამი გაისროლა.

**ირაკლი ხმალაძე: „სახელმწიფო, საზოგადოებრივი პროექტის განხორციელების ბარიერი არ უნდა იყოს რამდენიმე ადამიანის ფიცი".**

შესაძლებელია საფლავები მოყვეს და მათი გადატანა დადგენილი წესით უნდა მოხდეს. აკრძალულ რამეს არ გავაკეთებთ და არავის პატივს, ღირსებას და თავმოყვარეობას არ შევლახავთ.

**— სად მიგყავთ ეს 175 ოჯახი, ისევ სვანეთში ასახლებთ?**

— დეტალები არ ვიცი. რამდენადაც ვიცი, კომპენსირების თემა განიხილება.

**— და სადაც უნდათ, იქ წავიდნენ, თუნდაც მიატოვონ სვანეთი?**

— შეიძლება ვიღაცას სვანეთშივე ურჩევნია დარჩენა, ვიღაცას — თანხის აღება.

**— ამის გაგონებაც კი არ უნდათ.**

— რომ დათბება ურთიერთობა, მერე შესაძლებელი იქნება, ისეთ დეტალებზე ლაპარაკი, ვინ სად წავა და ვინ როგორი სახის კომპენსაციას მიიღებს.

■

ხუდონჰესის გიგანტური პროექტის „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე შეფასების ანგარიშის" საბოლოო და საჯარო განხილვა 4 ნოემბერს, სოფელ ხაიშის გამგეობის შენობაში შედგება. ამ დღეს სვანები დიდი გულისფანცქალით ელოდებიან.

✓ **რუსუდან ადვაძე**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



Cyan Magenta Yellow Black

# ინგა გრიგოლია და ნოდარ მელაძე ერთმანეთს ჭორებს უვრცელებენ

ტელეწამყვანი ინგა გრიგოლია რამდენიმეწლიანი ჟურნალისტური პაუზის შემდეგ ტელეკომპანია „ტვ 3“-ზე „დიდი პოლიტიკით“ დაბრუნდა. მალე მის გადაცემას მეორე წამყვანი ეყოლება — ჟურნალისტი ნოდარ მელაძე, რომელიც თავად მიიწვია. საქართველოში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ნოდარი ტელეკომპანია „იმედიდან“ წავიდა და ეკრანზე აღარ გამოჩენილა. ახლა კი ის და ინგა გადაცემას მონაცვლეობით, დღეგამოშვებით წაიყვანენ.

ნოდარმა უკვე ნახა ინგას მუშაობის ბობოქარი სტილი, მაგრამ არ შეშინებია. უმცროსი თაობის კოლეგას ინგა „შვილო“-თი მიმართავს, ერთმანეთს „ფეისბუქით“ ხშირად ეხუმრებიან და ამით საზოგადოებას საჭორაო თემებს აძლევენ.

**ინგა**: როცა გადაცემისთვის გუნდის დაკომპლექტებას ვაპირებდი, ნოდარს შევხვდი და ვილაპარაკეთ. პირველებს თქვენ გეუბნებით, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ამ გადაცემას დღეგამოშვებით მე და ნოდარი წავიყვანთ. მეც ისევე ვიმუშავებ მის ეთერზე, როგორც ის ჩემსაზე მუშაობს. მიმაჩნია, რომ ნოდარი არაჩვეულებრივი წამყვანია. ნოდარი 21-ე საუკუნეა, მე კი მე-20 საუკუნიდან წამოსული ჟურნალისტი ვარ. თუ ვინმეს ვანდობდი ჩემს გადაცემას, ეს ნოდარი იყო.

**— ნოდარ, ინგას წინადადება თქვენთვის მოულოდნელობა იყო?**

**ნოდარი**: როცა „იმედში“ ახალი გუნდი მოვიდა და 5 საათზე „ქრონიკის“ ეთერით მაყურებელს დავემშვიდობე, ჯერ ტანსაცმელიც არ მქონდა გამოცვლილი, რომ პირველი ზარი ინგა გრიგოლიასგან იყო. მკითხა,

**ინგა: „ნოდარმა ცოტა ხნის წინ პირველად ნახა ჩემი აფეთქება, მაგრამ ეს მას არ ეხებოდა, კადრებთან დაკავშირებით გავბრაზდი. ისე ვჩხაოდი, მიხვდა, რომ ჩემთან მუშაობა ადვილი არაა“.**

რა გეგმები მქონდა. ვუთხარი, რომ არანაირი გეგმა არ გამაჩნდა. მაშინ სხვა პროექტის გაკეთებას აპირებდა, მითხრა, არ ინერვიულო, ჩემთან წამოხვალო. მერე ის პროექტი არ აეწყო. ახლა კი, როცა დამირეკა და შემომთავაზა, მასთან სამუშაოდ წავსულიყავი, ბევრი არ მიფიქრია. ყოველთვის მხიბლავდა იმ ადამიანებთან მუშაობა, რომლებიც თავიანთ საქმეში პროფესიონალები არიან. მოვედი იმისთვის, რომ ინგასგან ბევრი მესწავლა და ეს შევძელი. ძალიან დინამიკური ადამიანია, მტვერსასრუტსაც კი ვეძახით, რადგან როცა რაღაცის თქმა გვინდა, ერთი სიტყვით ზუსტად ხვდება, რის თქმას ვაპირებთ.

**— ადვილად შეეგუეთ ახალ სამუშაო ადგილს?**

**ინგა**: ძალიან შეზღუდული რესურსების მქონე ტელეკომპანიაა. ამიტომ ისეთი ადვილი არ არის აქ მუშაობა, როგორც აწყობილ არხებზე. მთელი გუნდი გათენებამდე ზის და მუშაობს. მე 3 საათამდე ვქაჩავ და მერე სახლში მივდივარ.

**ნოდარი**: მაგრამ, რაც მთავარია, სულ კონტაქტზეა. ინგა ჩვენ მიმართ ძალიან მზრუნველია, რაც დილის 6 საათამდე სამსახურში ყოფნას გვიიოლებს.

**ინგა**: დანაშაულის გრძნობა მაქვს, როცა



მე მივდივარ და ესენი სამუშაოდ რჩებიან. მივდივარ იმიტომ, რომ მეორე დღეს ისეთი გადაცემის წაყვანა შევძლო, რომელსაც ხარისხი არ დაუვარდება. ნოდარიც ზუსტად ჩემნაირი გადარეულია. საოცარი ენერგეტიკა აქვს, გინდა თუ არა, თავის გადაცემას მაინც გაყურებინებს.

**— ნოდარ, არაერთხელ მსმენია, რომ მუშაობის პროცესში ინგა ძალიან მკაცრია...**

**ინგა**: რაც ერთად ვმუშაობთ, ნოდარმა ერთხელ ნახა ჩემი გაბრაზება.

**ნოდარი**: ეს ტელევიზიის თანმდევი პროცესია. მთავარია, რომ ინგა უსამართლოდ არაფერს ეუბნება თანამშრომლებს.

**ინგა**: ნოდარმა ცოტა ხნის წინ პირველად ნახა ჩემი აფეთქება, მაგრამ ეს მას არ ეხებოდა, კადრებთან დაკავშირებით გავბრაზდი. ისე ვჩხაოდი, მიხვდა, რომ ჩემთან მუშაობა ადვილი არაა. როცა ვიკივლე, საქმე უცებ გაკეთდა, მანამდე კი არ კეთდებოდა. ჩემთან მუშაობა ადვილი არაა. ძირითადად ის ადამიანები ვართ ერთად, ვისთანაც სხვა დროსაც ვმუშაობდი. არც სამუშაოა ადვილი და არც მე ვარ „კანფეტი“, მახსოვს, ერთი-ორმა ადამიანმა ეს ტემპი ვერ „გაქაჩა“ და წავიდა. მე არ ვარ მშვიდი და, როცა რაღაც ფუჭდება, ემოციებს გამოვხატავ.

**— ნოდარ, ჟურნალისტიკაში ინგას დაბრუნებას როგორ შეხვდით?**

**ნოდარი**: ვფიქრობ, რომ უნდა დაბრუნებულიყო. ნებისმიერ სფეროში ყველაფერს რეიტინგი ზომავს. სადაც ახლა ჩვენ ვსხედვართ, ორი კვირის წინ არაფერი იყო, სრულიად მოულოდნელად გავიდა ეთერში და გადაცემამ დიდი რეიტინგი დადო. ეს კი იმაზე მეტყველებს, ამ ადამიანის ეთერში დაბრუნებას ხალხი ელოდა. ეს არის ინგა გრიგოლიას რეიტინგი.

**ინგა: „ფაქტობრივად პირზე საკეტი მედო, ახლა კი ისეთი ბედნიერი ვარ — ვინმე შემაგინებს, შევაგინებ, გამლანძღავს და ასჯერ მეტად გავლანძღავ“.**

**— ცოტა ხნის წინ ნანუკა ჟორჟოლიანმა „სარკესთან“ თქვა, ინგა ბრენდიაო და აღიარა, ქართულ ჟურნალისტიკაში ინგა მომენტრაო.**

**ინგა**: ნანუკა არის ის ადამიანი, რომელსაც არ „უტყდება“ თავის კოლეგაზე დადებითად ილაპარაკოს. ჩვენ ისე გავედით ეთერში, არანაირი რეკლამა არ გვქონია, ნანუკამ კი თავისი პირველი ეთერის უზარმაზარი დრო დამითმო. არ შეეშინდა, „რუსთავი 2“-ის ეთერში ელაპარაკა ახალშექმნილ „ტვ 3“-ზე და ჩემგან ინტერვიუ აეღო. როგორც წესი, ასეთი რაღაცეები არ ხდება. არიან ჟურნალისტები, რომლებსაც კომპლექსები აქვთ, შენ სხვა მედიასაშუალებას წარმოადგენ და ამიტომ არ უნდა გამოგაჩინოო.

**— ნოდარ, გინდათ თუ არა, ინგასთან კონკურენცია მაინც მოგიწევთ, თამასას დაბლა ვერ დასწევთ. ეს არ გაშინებთ?**

**ნოდარი**: ობიექტურად რომ შევაფასოთ, გადაცემის რეიტინგი ინგაზე დგას. როდესაც მითხრა, ჩემთან ერთად გადაცემა უნდა წაიყვანოო, შემეშინდა. ვიფიქრე, რამდენად წამომყვებოდა ის მაყურებელი, ვისთვისაც

**ნოდარი: „როცა „იმედში“ ახალი გუნდი მოვიდა და მაყურებელს დავემშვიდობე, ჯერ ტანსაცმელიც არ მქონდა გამოცვლილი, რომ პირველი ზარი ინგა გრიგოლიასგან იყო. მაშინ სხვა პროექტის გაკეთებას აპირებდა, მითხრა, არ ინერვიულო, ჩემთან წამოხვალო“.**

ეს გადაცემა ინგასთანაა გაიგივებული. ძალიან დიდი გამოცდილება აქვს, თავისი აუდიტორია ჰყავს, მე კი მასთან შედარებით ახალბედა ვარ. გარკვეული რისკი არის, მაგრამ, რადგან თავად გამოთქვა სურვილი, ღირს, რომ ვცადო.

**— ინგა, მაყურებელი როგორ შეგხვდათ, პირად საუბრებში რას გეუბნებიან?**

**ინგა**: მაყურებელი, რომელიც მაგინებს, არასოდეს მირეკავს. სხვა ზარები და გამოხმაურებები, რომლებიც მქონდა, ყველა პოზიტიური იყო. რესპონდენტები ამბობდნენ, ინგა უცებ გაცოცხლდაო. რამდენიმე დღეა გარეთ არ გავსულვარ, რომ ქუჩაში ვინმეს აზრი გამეგო, ამ ხალხის და რესპონდენტების გარდა, არავინ მინახავს, მათ შორის — არც დედაჩემი. ახლა რასაც ყოველდღიურად ვაკეთებ, ადრე კვირაში ერთხელ ვაკეთებდი. იმისთვის, რომ რეიტინგი არ დაგვივარდეს, ახალი სუნთქვაა საჭირო და ეს ახალი სუნთქვა სწორედ ნოდარი იქნება.

**— მაგრამ ნოდარი ნაციონალების ხელისუფლების მიერ მითვისებული ტელეკომპანიის სახე იყო და შესაბამისად მათთან ასოცირდება. „მოდელირებული ქრონიკაც“ არ დაგავიწყდეთ.**

**ინგა**: ყველაზე დიდ იდიოტიზმად მიმაჩნია ადამიანების დაყოფა. ადრე თუ ვიღაც „იმედზე“ მუშაობდა, სხვაგან აღარ უნდა იყოს? როცა მიშა სააკაშვილი მოვიდა, ერთი ხელისმოსმით ყველა ჩაგვრეცხა, რადგან შევარდნაძის დროსაც ვმუშაობდით. მაშინ ბევრი ვიომეთ, რომ ჟურნალისტები მართლა არ ჩავერეცხეთ. წარმოუდგენელი სისულელეა, ნოდარ მელაძე გყავდეს ტელევიზიაში და პირდაპირ ეთერში არ დასვა. თქვენ კარგად იცით, რომ მისი გადაცემები რეიტინგებს ხსნიდა. პოლიტიკურ გადაცემაში კი არასოდეს მინახავს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ



Cyan Magenta Yellow Black

ძალიან მაგარი იქნება.

**ნოდარი**: „იმედზე“ 5 წელი ვმუშაობდი და ფაქტია, რომ ამ არხის სახედ ვითვლებოდი. მიმყავდა საინფორმაციო გამოშვება, ვიყავი ჟურნალისტი და მქონდა ჩემი გადაცემა. ყველაფერს რეიტინგი განსაზღვრავს. ამოიღონ ძველი რეიტინგები და ნახონ, რა გადაცემებს ჰქონდა ყველაზე მაღალი რეიტინგები და როგორი იყო მაშინდელი რეპორტაჟების ხარისხი.

**— შეიძლება გადაცემას რეიტინგი ჰქონდეს, მაგრამ მისი წამყვანი ხალხს არ მოსწონდეს. ინტერესდებით იმ ადამიანების აზრით, ვინც მინუსებზე მიგითითებთ?**

**ინგა**: არის ხალხი, ვისთვისაც მნიშვნელობა არ აქვს, კარგს ვაკეთებ თუ ცუდს, მაინც მაკრიტიკებენ. ასეთი ადამიანების შეხედულებები საერთოდ არ მაინტერესებს, მაგრამ, როცა მიმითითებენ, გადაცემაში რა არის გამოსასწორებელი, ეს ყოველთვის საინტერესოა ჩემთვის. რაც შეეხება ნოდარს, მის მიმართ იყო სრულიად მიზანმიმართული შეტევა, რადგან მას მიჰყავდა ყველაზე რეიტინგული ტოქ შოუ, რომელზეც მთელი კვირა ხალხი ლაპარაკობდა.

**ნოდარი**: არის კრიტიკა და არის ლანძღვა. როცა ისეთი ადამიანები მაკრიტიკებენ, რომლებსაც ჩემზე მეტი გაუკეთებიათ, ბუნებრივია, ვითვალისწინებ. ცალკე არსებობს ლანძღვის კამპანია. იყო დრო, როცა ჩემი მისამართით ცუდი დამოკიდებულება იყო, მაშინ ამ ყველაფრის სცენირება გაკეთდა და დადგინდა, რომ სამი ოთხი აიპი მისამართი იყო. მაშინ მივხვდი, რომ ყველაფერი გამიზნულად კეთდებოდა. მათ აქვთ თავიანთი აზრის გამოხატვის უფლება, რა პრობლემაა!

**— ასე ადვილია ლანძღვის ატანა?**

**ნოდარი**: გეთანხმებით, რომ ძალიან რთულია, მაგრამ მერე ყველაფერი გავიაზრე და მივხვდი, რომ ეს ყველაფერი ჩემი დისკრედიტაციის მიზნით ხდებოდა, ამიტომ ჩვეულებრივ მოვლენად აღვიქვი.

**ინგა**: მე ძალიან ვნერვიულობდი ამ გინებებზე და ლანძღვაზე, როცა პოლიტიკაში ვიყავი. როცა საჯარო პირი ხარ, თმენის ვალდებულება გაქვს, რომელიც ვერ მოვირგე. დაახლოებით სამჯერ მაინც მომიწდა სასამართლოში შემეტანა სარჩელი, რადგან შეურაცხყოფილი ვიყავი, ისეთი რაღაცეები იწერებოდა, მაგრამ ამისი უფლება არ მქონდა. ფაქტობრივად პირზე საკეტი მედო, ახლა კი ისეთი ბედნიერი ვარ — ვინმე შემაგინებს, შევაგინებ, გამლანძღავს და ასჯერ მეტად გავლანძღავ. საქართველოში ხალხი გადაირია, ისეთ რაღაცეებს ვკითხულობ, რომ ვგიჟდები!

**— პოლიტიკიდან ისევ ჟურნალისტიკაში დაბრუნებული ინგა როგორ მიიღეს რესპონდენტებმა? ზოგი იმასაც ამბობდა, მიკრძოუბას ვერ გააქცევაო.**

**ინგა**: მაყურებელი იმასაც ნახავს, ჩემი პოლიტიკური გუნდის წევრებს როგორ მოვიწვევ გადაცემაში. ყველა იმ კითხვას დავუსვამ, რომელიც დასასმელია. რაც შეეხება რესპონდენტებს, ყველამ ძალიან კარგად მიიღო ჟურნალისტიკაში ჩემი დაბრუნება. უკვე ძალიან ბევრი გვყავდა სტუმრად ექსკლუზივებით. ყველამ მითხრა, ძალიან კარგია, რომ ბრუნდები, ტელევიზია შენიაო. ერთადერთი რესპონდენტი, რომელიც ძალიან მინდოდა, მომეწვია და უარი მითხრა, ეს იყო გიორგი მარგველაშვილი. ცოტა დავიბენი, რატომ არ მოვიდა ჩემს გადაცემაში სტუმრად. არც ერთ სხვა რესპონდენტს უარი არ უთქვამს.

ერთი წელი გავიდა, რაც პოლიტიკიდან წამოვედი და სრულიად განეიტრალებული მაქვს ჩემი პოლიტიკური ემოციები.

**— მარგველაშვილის უარის მიზეზი იცით?**

**ინგა**: არა. იმედია, მერე მაინც მოვა.

**— ინგა, „ფეისბუქის“ თქვენს გვერდზე ნოდარს „შვილო“ უწოდეთ, რაც განხილვის საგნად იქცა...**

**ინგა**: აი, რატომ არ უნდა იმაიმუნო „ფეისბუქზე“! ნოდარი ჩემზე ბევრად პატარაა და მართლა ისეთი განცდა მაქვს, როგორიც ჩემი შვილის მიმართ. რომელიღაც სააგენტოსაც ედო ეს სტატუსი. ვერაფრით წარმომედგინა, თუ სააგენტოს შეეძლო, ჩემი რაღაც ხუმრობა დაეწერა. ჩვენ ერთი უბედურება გვჭირს — თუ რომელიმეს „ფეისბუქი“ ჩართული დაგვრჩა, ნოდარი საშინელ „პოსტებს“ დებს. მაგალითად, ცოტა ხნის წინ ნოდარმა ჩემი „ფეისბუქის“ გვერდზე „დაპოსტა“, ოჯახის შექმნას ვფიქრობო.

**ნოდარი**: ის თქვი, ასეთი რაღაცეები ვინ დაიწყო. ოთახში ჩამკეტა და ისეთი რაღაც „დამიპოსტა“, მთელი საზოგადოება აალაპარაკა.

**ინგა**: „დავუპოსტე“, ერთი გოგო მიყვარს და ახლა სიყვარულს ავუხსნი-მეთქი და მერე ამან სამაგიერო გადამიხადა. ამ „პოსტების“ გამო ისეთი ამბავი ატყდა, ჩემმა პროდიუსერმაც კი დამირეკა, რა ხდება, რა ოჯახის შექმნაზე ლაპარაკობო. არის ხალხი, რომელიც ამ ყველაფერს სერიოზულად აღიქვამს.

✓ ქეთი დინოშვილი

**ინგა: „ერთადერთი რესპონდენტი, რომელიც ძალიან მინდოდა, მომეწვია და უარი მითხრა, ეს იყო გიორგი მარგველაშვილი“.**

## სიზმარში ნანახი აინშტაინი და გადარეული ცურულები ახალგაზრდა მოქანდაკის გამოფენაზე

ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში ახალგაზრდა მოქანდაკის, ერეკლე წულაძის პირველი პერსონალური გამოფენა გაიმართა, სადაც ბოლო 5 წლის ნაშრომი, დაახლოებით 30 სხვადასხვა ზომის, მასალის და ისტორიის მქონე ქანდაკება ერთად წარადგინა.



პერსონალურ გამოფენაზე ფიქრი მოქანდაკემ ბათუმში ცნობილი კომპოზიციის „მე, შენ და ბათუმი“ დადგმის შემდეგ დაიწყო, პარალელურად ახალ ქანდაკებებზეც მუშაობდა. ახალგაზრდა შემოქმედი ამბობს, რომ გამოფენის მოწყობა მისთვის გარკვეულ რისკთან იყო დაკავშირებული, რადგან ამ სფეროში თავის დამკვიდრებას ახლა იწყებს.

ფერადი ლითონები, ხე, პლასტმასი, მარმარილო — ეს ის მასალებია, რასაც ახალგაზრდა მოქანდაკე ნამუშევრების შესაქმნელად იყენებს.

ერეკლეს ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარია აინშტაინის ქანდაკება. ეს უკანასკნელი მის ავტორს ღამე დასიზმრებია, მეორე დღეს კი სახელოსნოში მისი გამოძერწვა დაუწყია. ყველაზე დიდი სიამოვნება კი კომპოზიციის „ცურულები ამერიკაში“ შექმნისას მიიღო. ქანდაკება თხრობითი ხასიათისაა, გადაშლილი წიგნის ფურცელზე ამერიკის ღირსშესანიშნაობებთან ერთად ცურული ოდაა გამოსახული თავისი ხარ-ურმით, სახლებით, ხის დაწნული ღობეებით, ქვა-ღორღით და ცურული ცხენოსნებით, რომლებმაც გასული საუკუნის დასაწყისში ოკეანის გაღმა ფურორი მოახდინეს.

— ძალიან გამიხარდა, რომ ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ემოციური დღე იყო. ახლა რომ ვუყურებ, რამდენიმე ნამუშევარს სხვანაირად გავაკეთებდი. თავიდან, როცა რაღაცას ვიწყებ, ძალიან მომწონს, ძალიან კარგია, მაგრამ, როცა სრულდება, აღარ მომწონს ხოლმე, — გაგვიზიარა ემოციები ახალგაზრდა მოქანდაკემ.

✓ მაკა ლემონჯავა

## ხატია შამუგიამ ახალი ფრანგული სუნამოს სახე თბილისში იპოვა

თბილისში ახალი ფრანგული ბრენდის „კარვენის“ პარფიუმერია გამოჩნდა. ტრადიციისამებრ, ეს სიახლე „ისი პარის“ ქსელის პიარმენეჯერმა ხატია შამუგიამ, პირველ რიგში, ქართველ ჟურნალისტებს გააცნო. პრეზენტაციისათვის ჩვეული ფრანგული გარემო, ბევრი თეთრი ყვავილი და ედიტ პიაფის სიმღერები — ეს ყველაფერი შემთხვევითი არ ყოფილა. მისის კარვენმა 1945 წელს პარიზში მოდის სახლი დააარსა და ედიტ პიაფი ერთ-ერთი მისი საყვარელი კლიენტი იყო. მისის კარვენი ახალგაზრდობაში ძალიან სიფრიფანა და პატარა ქალი იყო, პარიზში მოდურად ჩაცმა უჭირდა და ამიტომაც თავად დაიწყო ასეთი ტიპის ქალების სამოსზე ზრუნვა, მოგვიანებით კი სუნამოც შექმნა.

ხატია შამუგიამ სუნამო ორიგინალურად წარადგინა — ჯერ ჟასმინის ჩაი, შემდეგ სუნამო და ბოლოს მსხლის ნაჭრები. სუნამოს სარეკლამო სახეა ლამაზმანი გოგონა ზედმეტი მაკიაჟის გარეშე, რომლის „ქართული ანალოგი“ ხატია შამუგიამ თბილისში, „ისი პარის“ ქსელში იპოვა და რომელიც არაფრით ჩამოუვარდებოდა „კარვენის“ მოდელს.


კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# რატომ დატოვა ჯანეტ ქერდიყოშვილმა შოუ „ხაჩუ ვ ვია გრუ“

## „მგონია, რომ კონსტანტინ მელაძეს ვაწყენინე“



ქართველმა ლამაზმანმა, „მის საქართველო 2011“-მა ჯანეტ ქერდიყოშვილმა, უკრაინული მუსიკალური შოუ „ხაჩუ ვ ვია გრუ“ თითქმის ფინალში გასულმა დატოვა. როგორც „სარკესთან“ საუბარში ამბობს, ეს თავად გადაწყვიტა, მაგრამ დიდი როლი იმანაც ითამაშა, რომ მისი ოჯახის წევრებს, განსაკუთრებით კი მამას და ძმას, არ სიამოვნებდათ მეტისმეტად სექსუალური იმიჯის მქონე ჯგუფში ჯანეტის მოხვედრის პერსპექტივა. როცა ჯანეტი დარწმუნდა, რომ საქმე სერიოზულად იყო, სამშობლოში დაბრუნება არჩია. მით უმეტეს, ტელეკომპანია „იმედიდან“ სამკაოდ მიმზიდველი შეთავაზება მიიღო — „დღის შოუს“ წამყვანების კასტინგზე მიიწვიეს. მას აქაც გაუმართლა და მაყურებელს უკვე ტელეწამყვანის ამპლუაში მოევლინა.

21 წლის ჯანეტს წინ საკუთარი შესაძლებლობების გამოსაცდელად კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა ელის — „მის სამყაროს“ კონკურსზე მიემგზავრება და ამისთვის საგულდაგულოდ ემზადება. თავისი ცხოვრების ამ აქტიური პერიოდის შესახებ 21 წლის ჯანეტი „სარკეს“ უამბობს.

**— ჯანეტ, „ვია გრაში“ მოსახვედრად საკმაოდ რთული გზა გაიარეთ. საქართველოში ძალიან აინტერესებდათ, რა შედეგს მიაღწევდით. მაშინ კი, როცა გამარჯვებას სულ რამდენიმე ნაბიჯი გაშორებდათ, შოუ დატოვეთ. ასე რატომ მოიქეცით?**

— სამივე ეტაპი გავიარე, მაგრამ ბოლო მომენტში, როცა კონტრაქტისთვის ხელი უნდა მომეწერა, სახლში დაბრუნება გადავწყვიტე, პირველ რიგში, ალბათ ოჯახის გამო, რადგან არც მამაჩემმა და არც ჩემმა ძმამ მხარი არ დამიჭირეს. ალბათ პირველი მიზეზი ეს იყო. სიმართლე გითხრათ, ამ შოუში მონაწილეობა საკუთარი შესაძლებლობების და თავის გამოსაცდელად მინდოდა. მოკლედ, როცა უკვე წამოსვლა გადაწყვეტილი მქონდა და იმას ვფიქრობდი, ეს ვისთვის როგორ მეთქვა, „ფეისბუქზე“ „იმედის“ წარმომადგენლისგან წერილი მივიღე, რომ „დღის შოუს“ კასტინგზე მიწვევდნენ. ბიძგი ამანაც მომცა, იქნებ ეს ის არის, რაც მეც მინდა და ჩემს ოჯახსაც-მეთქი.

> „ახლა ამქვეყნად ყველაზე ბედნიერი მამაკაცი მამაჩემია, რომ „ვია გრას“ „დღის შოუს“ წამყვანობა ვარჩიე“.

**— ანუ ტელეწამყვანობის ცდუნებამ სძლია „ვია გრაში“ მოხვედრის სურვილს?**

— ასე გამოვიდა. თან იმ ფაქტორმაც იქონია გავლენა, რომ საქართველოში, ჩემს ქვეყანაში ვრჩები და სხვაგან არ ვიბოდიალებ.

**— კონკურსში გასვლამდეც ხომ იცოდით, რომ უცხოეთში მოგიწევდათ ცხოვრება?**

— არ მეგონა, პროექტში დიდხანს თუ დავრჩებოდი. საბოლოოდ კი ყველაფერი აქეთკენ წავიდა. როცა მივხვდი, რომ ეს მხოლოდ შოუ არ იყო, სადაც მეორე ან მესამე კვირას გამოვვარდებოდი და ისინი სერიოზულად მიყურებდნენ, წამოსვლა გადავწყვიტე. კონტრაქტს თუ ხელს მოვაწერდი, პროექტს ველარ დავტოვებდი, ასევე იმ ფაქტორმაც შემაშინა, რომ შეიძლებოდა „მის სამყაროზეც“ არ გავეშვი.

**— თქვენს ამ გადაწყვეტილებას კონსტანტინ მელაძე როგორ შეხვდა? მეორე ტურში ხომ სწორედ მისი წყალობით გადახვედით.**

— კონსტანტინ მელაძის რეაქცია არ ვიცი, ის მონაწილეებთან კონტაქტზე არ გამოდის. ვიცი, რომ არ უყვარს, როცა რაღაცას ხელს ჰკიდებენ, თუნდაც მისი გოგონები და ბოლომდე არ მიჰყავთ. რატომღაც მგონია, რომ ჩემი ნაბიჯი ეწყინა. მის ადგილზე რომ ვიყო, მეც მეწყინებოდა.

**— პროექტის დატოვების შესახებ გადაწყვეტილება ვის გაანდეთ?**

— მთავარ პროდიუსერს და რეჟისორს. მათ ვუთხარი, „მის სამყაროზე“ მივდივარ, ამიტომ, სამწუხაროდ, პროექტში ვერ დავრჩები-მეთქი. ძალიან დაგვწყდა გული, დიდ წარმატებას გისურვებთ, მაგრამ „მის სამყაროს“ დამთავრების შემდეგ თუ სურვილი გექნება, რომ ამ საქმეს სერიოზულად შეუდგე, ჩვენ გელოდებითო, მითხრეს. თან პატარა მინიშნებასავით მომცეს, ხომ იცი, რა ხშირად იცვლება შემადგენლობა, შეიძლება დაბრუნდე, ჩვენ მიგიღებთო. მინდა, მათ ბოდიში მოვუხადო, ასე უცებ რომ დავტოვე პროექტი. თავიდანვე არ უნდა მივსულიყავი კასტინგზე, მაგრამ მეგონა, რომ შემდეგ ტურებში ვერ გავიდოდი, უბრალოდ იქ საკუთარი თავის გამოსაცდელად წავედი.

> „თავიდანვე არ უნდა მივსულიყავი კასტინგზე, მაგრამ მეგონა, რომ შემდეგ ტურებში ვერ გავიდოდი, უბრალოდ იქ საკუთარი თავის გამოსაცდელად წავედი“.

**— ინტერნეტსივრცეში წერდნენ, ჯანეტი კი არ წამოვიდა, გამოუშვესო.**

— მართლა? არც წამიკითხავს. ყოველ პარასკევს უყურონ ეთერს და, ვინც ამბობს, ეტაპები ვერ გადალახა და გამოაგდესო, ნახავს, რომ ასე არ არის.

**— ამბობენ, რომ კონკურსანტებს შორის დაძაბული ურთიერთობა იყო. ეს სიმართლეა?**

— ისეთი ურთიერთობა მართლა არ ყოფილა, როგორც ტელევიზიით გაშუქდა, თუმცა იქ 300 გოგო იყო და რა ხდებოდა, არავინ იცის. 3 თვის განმავლობაში ტურები ტარდებოდა, კონკურსანტები სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოდიოდნენ. მე ბოლო ტურში ვიყავი, ამიტომაც არ მინახავს ის ჩხუბი, რაც აჩვენეს, თითქოს ვილაცეებმა ერთმანეთს თმები დააწიწკნეს. გოგონებთან ძალიან მეგობრულად ვიყავი, მათ თითქმის ყოველდღე ვეკონტაქტები.

**— ძმა და მამა წინააღმდეგები იყვნენო, ამბობთ. არადა პირველ ტურში საგულშემატკივროდ ძმაც გახლდათ.**

— სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ. კასტინგზე უნდა გავიდე, მაინტერესებს, შემდეგ ტურში გადავალ თუ არა-მეთქი, ვთქვი და გამიშვეს, ოღონდ ძმასთან ერთად. პეტერბურგიდან კი ჩემი დეიდაშვილი ბიჭი ჩამოვიდა და ასე, დაცვით დავდიოდი. ამაზე ხუმრობდნენ კიდეც. ერთ დღეს საყვედურიც მითხრეს, შენები როგორ იქცეოდნენ, ჩვენი თანამშრომელი სცემესო. თურმე იმ კაცს ჩემზე რაღაც უთქვამს, შეიძლება ხუმრობით, მაგრამ ამათ არ მოეწონათ. ჩემმა ძმამ, ჯეკომ, მასთან დალაპარაკება სცადა, ჩემმა ნათესავმა კი დაარტყა.

**— ესე იგი ოჯახი გაახარეთ, როცა უკრაინული შოუდან წამოხვედით?**

— მამას ეს ყველაფერი ძალიან გაუხარდა. როცა გაიგო, რომ „იმედში“ მიმიწვიეს — ხომ საერთოდ! ახლა ამქვეყნად ყველაზე ბედნიერი მამაკაცი მამაჩემია, რომ „ვია გრას“ „დღის შოუს“ წამყვანობა ვარჩიე. სხვათა შორის, წამოსვლამდე დედაჩემს დავურეკე და ვკითხე, რა ვქნა-მეთქი. მითხრა, თუ მიხვდი, რომ ეს შენი არ არის და უკვე იმაზე ფიქრობ, წამოხვიდე თუ არა, წამოდიო. წამოსვლა კი მინდოდა, მაგრამ თან მეშინოდა. ამ ყველაფერში ძალიან ბევრი ადამიანი იყო ჩართული და ასე მოქცევა არ შეიძლებოდა, მაგრამ, როგორც კი დედამ მითხრა, მამიკო ამას კარგად მიიღებს და პირიქით, გაუხარდებაო, მაშინვე წამოვედი. მამაჩემს იმედი ჰქონდა, რომ ბოლომდე ვერ გავიდოდი, იქ ამიტომაც გამიშვა.

**— „იმედში“ გამოცდილ ტელეწამყვანებთან, ნანიკო ხაზარაძესთან და სოფო ნარჩემაშვილთან ერთად მიგყავთ „დღის შოუ“. მანამდე თუ იცნობდით მათ?**

— ძალიან გამიმართლა, არაჩვეულებრივი მეწყვილეები მყავს. ნანიკოს მანამდეც ვიცნობდი, ძალიან ვუყვარვარ და მეც ძალიან მიყვარს. სოფო ნარჩემაშვილი ჩემი ოჯახის მეგობარია. კიევში ოჯახებით ვიყავით ერთად. ამას წინათ მე და სოფო ვამბობდით, თურმე ბედი როგორი ყოფილა, ორი წლის წინ ქართულ სუფრასთან ვისხედით და სულ სხვა თემებზე ვსაუბრობდით, ახლა კი თანაწამყვანები ვართ-თქო.

პირველი ეთერის შემდეგ მამაჩემმა დამირეკა, სიხარულისგან ხმა უკანკალებდა, არადა ის ყოველთვის კრიტიკულია, არასოდეს მაქებს ხოლმე. დედაჩემს უთხრა, დღეს ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერი დღე არისო.

**— არ შეგეშინდათ, როცა პირველად დაჯექით პირდაპირ ეთერში შოუს წასაყვანად?**

— როცა მითხრეს, ეთერში გასვლამდე 3 წამი მქონდა დარჩენილი, ვიფიქრე, რომ მოვკვდებოდი, ხმას ვერ ამოვიღებდი, მაგრამ, როგორც კი კამერაზე წითელი ღილაკი დავინახე, მომენტალურად მოვეშვი. რა თქმა უნდა, ბევრი რამე შემეშლება, ახლა ვიწყებ ყველაფერს, მაგრამ თანდათანობით შევეჩვევი. სამსახურში ყოველდღე დიდი სიამოვნებით მივდივარ. დილით ადრე ადგომა არ მიყვარს, მაგრამ ახლა დილის 10 საათზე უკვე სამსახურში ვარ.

**— ფარული კონკურენცია არ იგრძნობა წამყვანებს შორის, ვინ უფრო მეტად წარმოჩინდება ეთერში?**

— არ დავკვირვებივარ. ეს შეიძლება მერე გამოვლინდეს, ამ ეტაპზე კი ისე არ არის, მე მეტი უნდა ვილაპარაკო, შენ გაჩუმდიო და ასე შემდეგ.

✓ ეკა ლემონჯავა



Cyan Magenta Yellow Black

# თამუნა ნიკოლაძის და მომავალმა ქმარმა ხიზილალის ტორტით მოხიბლა

## კონსტანტინე თედელური: „ბერლინის ქართულ რესტორანში შეფმზარეული ვიყავი"



პოპულარულმა მსახიობმა, თამუნა ნიკოლაძემ, არც ისე დიდიხანია, რაც და, სოფო გაათხოვა. სიძედ კი, არც მეტი, არც ნაკლები, შეფმზარეული ჰყავს, თანაც გერმანიაში მიღებული გამოცდილებით. ის საქართველოში ცოტა ხნის წინ ჩამოვიდა და უკვე მეორე ტელეპროექტში მუშაობს თავისი პროფესიით, თუმცა განათლებით არქიტექტურისა და ინტერიერის დიზაინერია. კონსტანტინე თედელური და სოფო ნიკოლაძე მალე პირველი შვილის მშობლები გახდებიან.

— **კონსტანტინე, პირველ რიგში, კულინარიაზე გკითხავთ. ამ საქმით რატომ დაინტერესდით?**

კონსტანტინე: საქართველოში ყოფნისას სულ მომწონდა სამზარეულოში რაღაცეების კეთება, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ კარგი კულინარი ვიყავი. ბერლინში მარტო დავრჩი და თავისთავად მომიწია ამ საქმის კეთება, ანუ კულინარიის სწავლა. იქაურ მეგობრებს ჩემ მიერ მომზადებულ სადილს რომ ვასინჯებდი, მოსწონდათ. ამიტომ მივედი ბერლინში არსებულ ქართულ რესტორანში, სადაც ერთკვირიანი პრაქტიკა გავიარე, შემდეგ კი შეფმზარეულის თანაშემწედ ამიყვანეს. ერთი წლის მერე შეფმზარეული გავხდი. ამასობაში ბერლინში გაიხსნა მეორე ქართული რესტორანი, სადაც მიმიწვიეს.

— **ტელევიზიაში როგორღა აღმოჩნდით?**

კონსტანტინე: საქართველოში დაბრუნების მერე ტელეკომპანია „მაესტროზე" მუსიკალურ პროექტ „მაგთიფანში" კვირაში ორჯერ მაყურებლების და მონაწილეების წინაშე კერძებს ვამზადებდი. პროექტის დასრულების შემდეგ გავიგე, რომ ტელეკომპანია „იმედში" „დღის შოუსთვის" კულინარიის წამყვანს ეძებდნენ. მივედი, სხვადასხვა ეტაპი გავიარე და თანამშრომლობა დავიწყეთ.

— **როგორც გავიგეთ, თქვენ პოპულარული მსახიობის, „დები ღლონტებიდან" ერთ-ერთის, თამუნა ნიკოლაძის სიძე ხართ, მისი და სოფო გყავთ ცოლად. თქვენი სიყვარულის ისტორია სად და როგორ დაიწყო?**

სოფო: 2008 წელს კონსტანტინე თბილისში იყო ცოტა ხნით ჩამოსული და საერთო მეგობრისგან გავიცანი. სულ ორჯერ ვნახე. მერე, 2011 წელს, მე და ჩემი მეგობარი, რომელიც ასევე კოტეს მეგობარია, სამოგზაუროდ ბერლინში წავედით. იქ უკვე კოტეს სახლში მივედით და ჩვენი სიყვარულის ისტორიაც დაიწყო. იქიდან ერთად წამოვედით. ერთ თვეში კი ხელი მთხოვა.

— **ალბათ თავისი კულინარიული ნიჭით გაკვირვებდათ.**

სოფო: ისე დაემთხვა, რომ იქ მომიწია დაბადების დღის გადახდა. კოტემ ხიზილალის ტორტი გამიკეთა იმიტომ, რომ მთელი დღე რესტორანში მუშაობდა და სხვა ტორტის გაკეთება ვერ მოასწრო.

— **ხიზილალის ტორტი როგორია?**

კონსტანტინე: რთული რეცეპტი არაა. ხრაშუნა პურზე კარაქი წავუსვი, ზემოდან ხიზილალა და ლიმონის ნაჭერი დავადე... (იცინიან).

— **კონსტანტინე, სოფო პირველივე დანახვისას მოგეწონათ?**

კონსტანტინე: ვერ ვიტყვი, რომ მე და სოფომ ერთმანეთი როგორც კი დავინახეთ, შეყვარებულებად ვიქეცით. როგორც მეგობრის მეგობარი, ისე გავიცანი. როგორც კი ჩამოვიდა ბერლინში, იმ საღამოსვე კლუბში წავედით გასართობად და იმ დღიდან ერთად ვართ.

სოფო: ერთ თვეში უკვე ნიშნობა გვქონდა. ერთმანეთის ოჯახები გავიცანით. ახლა მარტო, დამოუკიდებლად ვცხოვრობთ.

— **ქორწილი გქონდათ?**

სოფო: ქორწილი ჯერ არ გადაგვიხდია. არც ხელი გვაქვს მოწერილი და არც ჯვარი გვაქვს დაწერილი. არადა ორივე ტრადიციულ ქართულ ოჯახებში ვართ გაზრდილი. ახლა შვილს ველოდებით, ამიტომ ქორწილი გადავდეთ, მერე გადავიხდით.

— **კონსტანტინე, იმ პერიოდში, როცა სოფო გაიცანით, მისი და, თამუნა ნიკოლაძე ქართველი მაყურებლის საყვარელი სერიალის ერთ-ერთი პოპულარული პერსონაჟი იყო. იცოდით მის შესახებ?**

კონსტანტინე: არა, დედმამიშვილებზე ჩამოვარდა საუბარი და სოფომ მითხრა, რომ მსახიობი და ჰყავდა, რომელიც ერთ-ერთი სერიალის მთავარი გმირი იყო. ძალიან მომწონს თამუნა, შეფარული იუმორის გრძნობა აქვს.

— **სოფო, რადგან ქმარი კარგი კულინარი გყავთ, ეს იმას ნიშნავს, რომ სამზარეულოში არაფრის კეთება გიწევთ?**

სოფო: ასეც არ არის. მეც ვამზადებ კერძებს, მაგრამ ძირითადად სახლში არც ვიკვებებით. დიდი კულინარი არ ვარ, მაგრამ რამეს თუ ვაკეთებ, კოტესგან ვიღებ რჩევებს. ძალიან მიყვარს ვიეტნამური სამზარეულო და ბერლინში ყოფნისას ხშირად მანებივრებდა ვიეტნამური კერძებით. მათში ბევრი ისეთი ინგრედიენტი შედის, რომელიც აქ არ იშოვება, თუნდაც კრევეტებს ვერ იყიდი. აქ ზღვის კარგი პროდუქტი ძვირი ღირს.

— **სოფო, ორსულობის გამო ეგზოტიკური კერძების სურვილი ხომ არ გაგიმძაფრდათ?**

სოფო: პრეტენზიული ორსული არ ვარ. არც კოტეს სჭირდება ჩემთვის განსაკუთრებული კერძების მომზადება. ძალიან მიყვარს ჩინური სამზარეულო, მაგრამ ორსულობის პერიოდში მისგან თავს ვიკავებ.

— **სოფო, მოგწონთ თქვენი ქმრის მუშაობა პირდაპირ ეთერში?**

სოფო: ძალიან ვგულშემატკივრობ კოტეს და მთლიანად გადაცემას. რა თქმა უნდა, კონსტანტინეს ბევრ რამეს ვურჩევ, რადგან საქართველოში არ ცხოვრობდა და კარგად არ იცნობს ქართველ საზოგადოებას. აქ წარმატებას და პოპულარობას ცუდი მხარეებიც მოჰყვება. სახლში ერთი პოპულარულ სახე უკვე მყავს და ვიცი, ეს რას ნიშნავს — ბევრი ადამიანის ინტერესის ობიექტი ხდები.

კონსტანტინე: აქ ადამიანები ერთმანეთის ცხოვრებით ცხოვრობენ. ვიღაც ყოველთვის ინტერესდება ვიღაცის პირადი, ინტიმური დეტალებით. მერე ამაზე თავიანთი ინტერპრეტაციებით საუბრობენ. ყველაფერი უკეთესად იქნება, თუ ყველა თავის საქმეს გააკეთებს. ჯერჯერობით ჭორის ობიექტი არ გავმხდარვარ.

— **კონსტანტინე, რა განსხვავებაა თბილისურ და ბერლინურ ურთიერთობებს შორის?**

კონსტანტინე: ერთ შემთხვევას მოვყვები: აქ ერთ-ერთ კლუბში ვცეკვავდი და თან ვიღიმებოდი. ეს ბუნებრივია, რადგან, თუ ცუდ ხასიათზე ხარ და არ გეღიმება, რატომ იცეკვებ? ამ დროს ერთ-ერთი ქლაბერი მომიახლოვდა და გაკვირვებულმა მკითხა, აქ ყოფნა გიხარიაო. გამიკვირდა და ვერც გავიგე, რა უნდოდა კითხვის ავტორს. აქ უკვირთ, თუ იღიმები.

სოფო: გერმანიაში ყველა იღიმება, იცნობ თუ არა. ესეც გარკვეული ნიღაბია, რა თქმა უნდა, მაგრამ ბევრად სასიამოვნოა ღიმილიანი სახის დანახვა, ვიდრე მოღუშულის.

— **კონსტანტინე, საინტერესოდ და ორიგინალურად გაცვიათ. ეს სტილი თავად შეარჩიეთ?**

კონსტანტინე: სამოსის დეტალებს თავად ვქმნი და შემდეგ მკერავს ვაკერვინებ. მოდაც მაინტერესებს, მაგრამ ჰობის დონეზე.

სოფო: გადაცემაში თავისი დიზაინით შეკერილი სამოსი აცვია. ერთ-ერთი საინტერესო დეტალი იყო კოტეს პერანგზე ქართული ჩოხის ელემენტი გულმკერდზე საწამლით, სადაც სუნელებს ყრის.

— **დაბოლოს, რა არის თქვენი საერთო, საყვარელი კერძი, რომლის რეცეპტსაც გაგვიმხელთ?**

სოფო: ძალიან გვიყვარს სოკოს წვნიანი.

კონსტანტინე: ხახვს წვრილად დავჭრით, მოვშუშავთ, შემდეგ წვრილ სახეხზე ქამა სოკოს გავხეხავთ, ავურევთ ხახვთან ერთად, სამი წუთი ვშუშავთ თავდახურულ მდგომარეობაში, შემდეგ ვასხამთ ერთ ლიტრ წყალს, ვადუღებთ იქამდე, სანამ წყალი არ განახევრდება. მერე ერთ ლიტრ ნაღებს ვასხამთ, ვუზამთ მარილს, წვრილად დაჭრილ კამას და შავ, დაფხვნილ წიწაკას გემოვნებით.

✓ მანანა ნოდია


ნათელმხილველი
სელინა
მკითხაობს ტაროს
კარტზე და ყავაზე
აკეთებს თილისმებს
და ხსნის ჯადოს
230-68-19
599-37-59-58

# „ცხელი ზაფხულის სამი დღე“ — საბჭოთა ხელისუფლებისთვის გაწნული სილა

## მერაბ კოკოჩაშვილი: „ჩემი ფილმის პერსონაჟი თამრიკო ჩხეიძეს და მის ამბავს ჰგავდა“


■ კახი კავსაძე და ნინელი ჭანკვეტაძე

საბჭოთა ეპოქაში საქართველოს ეროვნული საგანძურისადმი ხელისუფლების დამოკიდებულების ამსახველმა ფილმმა — „ცხელი ზაფხულის სამი დღე“ — იმდროინდელი მთავრობა შეაჯანჯღარა და შეაშფოთა. რეჟისორისა და სცენარისტების თამამი ქვეტექსტი აშკარა იყო — პროტესტი იმდროინდელი რეჟიმის მიმართ. ფილმი 30 წელზე მეტი ხნის წინ არის გადაღებული, როცა ეროვნული მოძრაობა იატაკქვეშ იბრძოდა. „ცხელი ზაფხულის სამი დღე“ ქართულ კინოში პირველი მაუწყებელი ნიშანი აღმოჩნდა იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლება ძირგამომპალი იყო და იღვიძებდა ახალი ძალა, რომელიც მას აუცილებლად დაანგრევდა.

ფილმის ისტორიას თავად რეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილი გვიამბობს.

### შულავერის განძი

— „ცხელი ზაფხულის სამი დღე“ 1981 წელს გადავიღე, სცენარი კი 3 წლით ადრე შეიქმნა. 80-იანი წლები იყო და ეროვნული საკითხები მძაფრად იყო წამოჭრილი. თუ რატომ ავარჩიე ეს თემა, ამაზეც გიამბობთ. ერთ მშვენიერ დღეს

**„ნინელი ჭანკვეტაძემ ფურცლები ამოიღო, რომლებზეც უჯრები, სამკუთხედები და რაღაც დიაგრამები ეხატა. ვკითხე, რა არის-მეთქი. მიპასუხა, ჩემი როლიაო. მას ზუსტად ჰქონდა გაანგარიშებული, სად როგორი ემოცია უნდა გამოეხატა“.**

ქვემო ქართლში, შულავერის გორაზე მომიწია წასვლა. როგორც იცით, იქ არის ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-6 ათასწლეულის ნასახლარი. ეს არის ერთ-ერთი პირველი ნასახლარი, სადაც ადამიანი გაჩერდა და სოფლის მეურნეობას მიჰყო ხელი. ანუ კი არ მოძრაობდა და ნადირობდა, როგორც მანამდე ხდებოდა, არამედ თავად ქმნიდა იმას, რითიც თავი უნდა ერჩინა. შულავერში ნაპოვნია ბევრი საკულტო ნივთი.

იქაურობის დათვალიერებამ ჩემზე საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა. გავიფიქრე, რომ შესაძლებელი იყო, ეს ყველაფერი გამქრალიყო... ნასახლარის ნახვამ ჩემში ისეთი ემოციები გამოიწვია, რომ გონებაში მომავალი ფილმის სცენარი ჩამესახა.

ამ ფილმის პრინციპი არის ის, რომ ამ უზარმაზარ აღმოჩენას აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა. შულავერის ტერასები მოგვითხრობს იმაზე, რომ იქ ადამიანები ათეულობით წლის განმავლობაში ცხოვრობდნენ, ჰქონდათ თავიანთი კულტურა, ცხოვრების წესი. ჩვენ კი ეს მემკვიდრეობა უნდა დავიცვათ.

ისე ვერ გადავიღებდი, რომ ეს საკითხი ბოლომდე არ შემესწავლა. ამიტომაც იმ დროის ბევრ ცნობილ მეცნიერს შევხვდი და ამ თემაზე ვესაუბრე. ჩვენი ფილმის კონსულტანტი დავით მუსხელიშვილი იყო.წავედი ცნობილ არქეოლოგ ლალი (ალექსანდრე) ჯავახიშვილთან და მასთანაც გარკვეული კონსულტაციები გავიარე. სწორედ მან ამიხსნა, როცა მიწა იხსნება, მალევე უნდა მოხდეს არქეოლოგიური ნაშთების კონსერვაცია. მიწიდან ამოღებული ისევ მიწაში უნდა დარჩეს. ფილმის სიუჟეტიც ამაზე ავაგე. ჩემი მთავარი გმირი, სულხანი, ვერ ახერხებს, რომ ეს ნასახლარი ცოცხლად დატოვოს, ამიტომაც ისევ მიწას აყრის, თავად კი კვდება.

მთავარ როლებში კახი კავსაძე და ნინელი ჭანკვეტაძე თამაშობენ. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ორი განსხვავებული ასაკის მეცნიერის საქციელი. სულხანი უფრო ასაკოვანია, მებრძოლი და ამავდროულად შედარებით შემგუებელი. შეეგუა, რომ მისი სიტყვები ყურად არავინ იღო, თუმცა ამ ამბავზე ნერვიულობას გადაჰყვა. ახალგაზრდა თამრიკოს კი არ სურს არსებულ სიტუაციასთან შეგუება. ფილმის კულმინაცია არის ის, რომ ის მთელ საქართველოს ლანძღავს, უშნოსა და უჯიშოებს ეძახის. ნასახლარის დახურვაზე მოსულმა ხალხმა კარგად იქეიფა და მერე სახლებში წავიდა. თამრიკომ კი სიცარიელე გალანძღა. მე შევეცადე, ამ საკითხის გარშემო ჩემი ტკივილი გამომეხატა. აგრეთვე ეს იყო შესანიშნავი დრამატურგების ერლომ ახვლედიანისა და დათო ჯავახიშვილის ტკივილიც. მათი დიდი მადლობელი ვარ, რადგან სცენარზე სამივემ ერთად ვიმუშავეთ.

თამრიკოს სახე იმდროინდელი საბჭოთა მთავრობისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. ამის გამო ფილმის მხოლოდ 15 ეგზემპლარი გაკეთდა, 15 საბჭოთა რესპუბლიკაში უნდა ეჩვენებათ. საქართველოსთვის კი რამდენიმე ეგზემპლარი გაკეთდა. ჩაფიქრებული იყო, რომ ამ ქვეყნებში მხოლოდ ერთხელ ეჩვენებინათ. აი, ასეთი ბედი ჰქონდა ჩემს ნამუშევარს.

### ედუარდ შევარდნაძის „ასოციაციები“

— პირველი ჩვენება რომ გაიმართა, კინოკომიტეტში ყველამ მომილოცა. ჩემი ნამუშევარი იყო პირველი ფილმი, რომელმაც დაგვანახა, რომ საბჭოთა კავშირში რაღაც ისე არ იყო. შემდეგ ამას მოჰყვა ელდარ შენგელაიას „ცისფერი მთები“, რომელიც სისტემის მოსალოდნელ დანგრევას უსვამდა ხაზს. მერე იყო თენგიზ აბულაძის „მონანიება“ და კიდევ სხვა ფილმები. ფილმ „ცხელი ზაფხულის სამი დღის“ პირველი ჩვენების შემდეგ თენგიზ აბულაძემ მითხრა, მერაბ, იცოდე, ახალი ეტაპი იწყებაო.

კარგა ხანი „ცხელი ზაფხულის სამი დღე“ იბლოკებოდა. გავიდა რამდენიმე თვე და ეკრანზე არ უშვებდნენ. ამიტომაც კინოკომიტეტში წავედი მიზეზის გასაგებად. კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი დვალიშვილი იყო, რომელსაც ყველაფერი კარგად ესმოდა და მიგებდა. იცოდა, რა მიზეზითაც ბლოკავდნენ ფილმს, მაგრამ ვერც თვითონ და ვერც რეზო ჩხეიძე ამას ვერ მეუბნებოდნენ. მათ მითხრეს, მთავრობის მაღალი რანგის პირებს უნდა შეხვდე, სხვა გამოსავალი არ არსებობსო.

მაშინ ედუარდ შევარდნაძე კომპარტიის საკავშირო ცენტრალური კომიტეტის წევრი იყო.

„ცხელი ზაფხულის სამი დღე“ — 1981 წელი
**დამდგმელი რეჟისორი**: მერაბ კოკოჩაშვილი
**სცენარის ავტორები**: მერაბ კოკოჩაშვილი, ერლომ ახვლედიანი, დავით ჯავახიშვილი
**დამდგმელი ოპერატორი**: გიორგი გერსამია
**დამდგმელი მხატვარი**: გიორგი (გოგი) მიქელაძე
**კომპოზიტორი**: ნოდარ მამისაშვილი
**ხმის რეჟისორი/ოპერატორი**: თენგიზ ნანობაშვილი
**მემონტაჟე**: ჟულიეტა წოწონავა
**მონაწილეობენ**: კახი კავსაძე (სულხანი), ნინელი ჭანკვეტაძე (თამრიკო), რამაზ ჩხიკვაძე (გივი), ოთარ ლითანიშვილი (ერეკლე), ერლომ ახვლედიანი (რამაზი), გია ფერაძე (ლევანი), სულიკო ჟღენტი (ვაჟა), ციცინო ციციშვილი (ია), მარინა ჯორჯაძე (ელისაბედი), აბრეკ ფხალაძე (ლოტბარი), ნანული პირველი, თამარ თვალიაშვილი, დავით ჩხიკვაძე, გიორგი მარგველაშვილი, გალინა ბერაძე, ლერი გაფრინდაშვილი, ბერტა ხაფავა, ანა ნიჟარაძე, რამაზ იოსელიანი.


■ მერაბ კოკოჩაშვილი და მხატვარი გიორგი მიქელაძე „ცხელი ზაფხულის სამი დღის“ გადაღებებზე. სამადლო, 1980 წ.


■ კახი კავსაძე და ერლომ ახვლედიანი

**„თავიდან, სცენარი რომ ნახა, კახიმ ყველანი მიწასთან გაგვასწორა. ამ როლს ვერ შევასრულებ, გამიჭირდებაო. მერე ისე ჩაერთო, რომ ჩვენც გვიკვირდა“.**





Cyan Magenta Yellow Black

სანამ მას შევხვდებოდი, ჩემი ბავშვობის მეგობართან, სოლიკო ხაბეიშვილთან წავედი. მას ჩემი მდგომარეობა ავუხსენი და თან დავაყოლე, ეს საკითხი შევარდნაძესთან არის გასარკვევი-მეთქი. მითხრა, მე ფილმი არ მაქვს ნანახი და ვერაფერს გეტყვიო, მაგრამ მივხვდი, რომ ნანახი ჰქონდა. ის ჩემი ამხანაგი იყო და თვალებზე შევატყვე, რომ სიმართლეს ვერ მეუბნებოდა. წლების შემდეგ კი ბევრჯერ მითხრა, რომ „ცხელი ზაფხულის სამი დღე“ ძალიან მოსწონდა.

სოლიკომ მოახერხა და ბატონ ედუარდს შემახვედრა. თავად შევარდნაძესაც ნანახი ჰქონდა ფილმი და სხვა თანამდებობის პირებსაც, ამიტომაც შეაჩერეს.

ედუარდ შევარდნაძეს შევხვდი და მისმა გადაწყვეტილებამ როგორც უარყოფითი, ასევე დადებითი როლიც შეასრულა. მან მითხრა:

— შენ უნდა გადაგეღო ფილმი. მოსკოვი ამის საშუალებას არ გაძლევდა. ვინ დაგეხმარა?

— თქვენ დამეხმარეთ, — ვუპასუხე მე იმიტომ, რომ მართლაც ძალიან დამეხმარა. გადარეკა-გადმორეკა და ყველას აუხსნა, რომ ეს ფილმი უნდა გადაღებულიყო.

საერთოდ, ბატონი ედუარდი წინასწარ კარგად გრძნობდა იმ ატმოსფეროს, რომელიც იქმნებოდა. ისიც კარგად იცოდა, მისთვის რა შეიძლებოდა და რა — არა. გრძნობდა, რომ ფილმს ასე ვერ გაუშვებდა და სხვა გზა უნდა მოენახა.

— ფილმს გავუშვებთ ისე, როგორც ჩვენ ჩავთვლით საჭიროდ, იმიტომ, რომ შენ ჩვენ გარეშე ვერ გადაიღე. ახლა უფლება გვაქვს, ისე გავუშვათ, როგორც გვსურს, — ეს რომ მითხრა ბატონმა ედუარდმა, გული გადამიქანდა.

— ანუ კადრებს ამოჭრით? — შევეკითხე.

— არაფერს ამოვჭრით. უბრალოდ „ცხელი ზაფხულის სამ დღეს“ ჩვენთვის სასურველ დროს გავუშვებთ, — მითხრა მან.

ამან უფრო მეტად შემაწუხა, ვიფიქრე, რომ წლების განმავლობაში გაიწელებოდა ეს პროცესი.

— ეროვნული საკითხი, რომელიც შენს ფილმშია წამოწეული, ერთ-ერთი ურთულესი და უმთავრესი საკითხია. აქედან გამომდინარე, ვალდებული ვარ, ფრთხილი ვიყო. ისე, ამ ფილმს აუცილებლად გავუშვებთ.

ამ სიტყვებზე მადლობა გადავუხადე და კარისკენ წავედი. ამ დროს მომიტრიალდა და მითხრა:

— ფილმი ბევრ ასოციაციას იწვევს.

— რა ასოციაციას? — გულუბრყვილოდ ვკითხე, არადა კარგად ვიცოდი, რასაც გულისხმობდა.

— მაგალითად, შენი გმირი გოგონა ბევრ ასოციაციას იწვევს. თუ რას, ამაზე შენ თვითონ დაფიქრდი.

— თუ ასოციაციები ჩნდება, მე ბედნიერი ვარ, ე.ი. ტყუილად არ გადამიღია, — ვუპასუხე.

მისგან რომ წამოვედი, რეზო ჩხეიძე და აკაკი ბაქრაძე ვნახე. რეზომ მითხრა, ეს რომ თქვი, ტანში დამბურძგლა, მივხვდი, ამ „ასოციაციებში“ ჩემი თამრიკო იგულისხმაო (ბატონი რეზოს ქალიშვილი, თამრიკო ჩხეიძე, 70-იან წლებში დისიდენტობის ბრალდებით დააპატიმრეს). მე ეს ამბები ვიცოდი, მაგრამ ჩემი გმირისთვის ეს სახელი სპეციალურად არ შემირჩევია. უბრალოდ ასე დაემთხვა, რომ ჩემი პერსონაჟი სწორედ თამრიკო ჩხეიძეს და მის ამბავს ჰგავდა.

თამრიკოს ახლოს არ ვიცნობდი, მაგრამ ჩემი თვალით მქონდა ნანახი, რაც 1978 წლის 14 აპრილს ხდებოდა. როგორ მივიდნენ სტუდენტები და პროფესორები მთავრობის სასახლესთან, სადაც ედუარდ შევარდნაძის გამოსვლა იყო. როგორ მდუმარედ იდგნენ და მზად იყვნენ, სამშობლოს, ქართული ენის დასაცავად ყველაფერზე წასულიყვნენ. მათი პროტესტი დაკავშირებული იყო საბჭოთა ხელისუფლების გადაწყვეტილებასთან, რომ სახელმწიფო ენა რუსული გამხდარიყო და ეს კონსტიტუციურად დაემტკიცებინათ. მე აქციებზე არ მივლია, რადგან ავად ვიყავი, გულზე მქონდა პრობლემები. ტელევიზორის წინ ვიჯექი და ყველაფერს ემოციურად ვუყურებდი. ეს ყველაფერი ნანახი რომ მქონდა, ასეთი პერსონაჟიც ამიტომ დაიბადა. თუმცა გამიზნულად თამრიკო ჩხეიძისთვის არ მიმიმსგავსებია.

## „ადამიანი ბოლომდე უნდა დაიხარჯოს!“

— შევარდნაძესთან შეხვედრიდან კიდევ რამდენიმე თვე გავიდა და ფილმი ისევ არ ჩანდა ეკრანზე. აგვისტოს ცხელი დღეები იდგა და შემატყობინეს, ორშაბათიდან „ცხელი ზაფხულის სამი დღე“ კინოთეატრში იქნება ნაჩვენებიო. მე და ჩემი მეუღლე მეორე დღეს კინოში დილის სეანსზე წავედით. ბილეთი რომ ავიღე, მითხრეს, ფული უნდა დაამატოთ, რადგან ორი სერიის ჩვენება ხდებაო. ძალიან გამიკვირდა, მოლარე რომელ ორ სერიაზე საუბრობდა, მაგრამ ფული მაინც გადავიხადე და დარბაზში შევედით.



■ მერაბ კოკოჩაშვილი

**„ჩემი ნამუშევარი იყო პირველი ფილმი, რომელმაც დაგვანახა, რომ საბჭოთა კავშირში რაღაც ისე არ იყო... პირველი ჩვენების შემდეგ თენგიზ აბულაძემ მითხრა, მერაბ, იცოდე, ახალი ეტაპი იწყებაო“.**

თავიდან 50 წუთიანი დოკუმენტური ფილმი გაუშვეს „ქართული არქეოლოგია გუშინ, დღეს, ხვალ“. ის რომ დამთავრდა, მერე „ცხელი ზაფხულის სამი დღე“ გაუშვეს, რომელსაც წინ უძღოდა წარწერა: „ის, რასაც ახლა ნახავთ, დღეს არ ხდება!“. წარწერა არ მომეწონა, მაგრამ რას ვიზამდი. იმაზეც მადლობელი ვიყავი, რომ ფილმიდან ერთი კადრიც არ ამოჭრეს.

დიდი დრო გავიდა, მაგრამ ამ ფილმს მაინც უჩვენებენ, მიუხედავად იმისა, რომ ასლი ძალიან დაძველებულია. დღეს ბევრი კინომცოდნე თუ კინომოყვარული მეუბნება, ეს ფილმი არაჩვეულებრივი ნამუშევარია და თავის დროზე შესაბამისი შეფასება არ მივეცით, როგორ მოხდა, რომ ამ ფილმმა ასე უკვალოდ ჩაიარაო. რას ვიზამთ, კიდევ კარგი, რომ საერთოდაც არ დაიბლოკა. დღეს მოდის დრო, როცა მის მიმართ ინტერესი ხელახლა იღვიძებს. როგორც ჩანს, ფილმში რაღაც მნიშვნელოვანი საკითხია ჩადებული, რომელიც საზოგადოებისთვის საჭიროა.

გადაღებები მოკლე ხანში დასრულდა. ქართლში ერთი კარგი ადგილი მოვნახეთ, სადაც მოვაწყვეთ ზუსტად ისეთი დეკორაციები, როგორიც შულავერის ნასახლარშია. ზომებში ასჯერ უფრო პატარა მასშტაბის იყო.

დიდად მადლობელი ვარ მსახიობების, რომლებმაც ჩემი სცენარი ზუსტად შეასრულეს. მსახიობებთან ურთიერთობა ჩემთვის ყოველთვის სასიამოვნოა. ვცდილობ, მათი საშუალებით ვთქვა ის, რაც მაწუხებს. განა პირდაპირ არ შემიძლია ვთქვა, მაგრამ ის უფრო საინტერესოა, როცა ჩემი სათქმელი მათ ფსიქიკაში იბადება. მაყურებელი და მსახიობი კი ამ პრობლემას ერთად განიცდიან.

ჩავთვალე, რომ ფსიქოლოგიურად ასე დატვირთულ როლს კახი კავსაძე კარგად შეასრულებდა. მანამდე მას ასეთი პერსონაჟი არ განუსახიერებია. კახის უფრო კომიკური, ლაღი, პლასტიკურად საინტერესო როლები ჰქონდა. ჩემს ფილმში კი მან სულ სხვა თვისებები გამოამჟღავნა, რაც შიგნით ჰქონდა. თავიდან, სცენარი რომ ნახა, კახიმ ყველანი მიწასთან გაგვასწორა. ამ როლს ვერ შევასრულებ, გამიჭირდებაო. მერე ისე ჩაერთო, რომ ჩვენც გვიკვირდა. სხვათა შორის, კინომცოდნე ქეთი ტრაპაიძემ კახიზე შესანიშნავი ბიოგრაფიული წიგნი დაწერა. აღნიშნა, რომ სულხანის როლი მის კარიერაში ერთ-ერთი გამორჩეულია. ფსიქოლოგია და დრამა კახიმ არაჩვეულებრივად გაითავისა.

რაც შეეხება ნინელის, ის მაშინ ძალიან ახალგაზრდა იყო და მისთვის ეს მესამე კინოროლი გახლდათ. ვფიქრობ, რომ თამრიკოს პერსონაჟი საკმაოდ რთული იყო და მან ამას თავი კარგად გაართვა. გარდა იმისა, რომ ის ნიჭიერი მსახიობია, მიხეილ თუმანიშვილის შესანიშნავი სკოლა აქვს გამოვლილი. ზუსტად მუშაობდა და ყველაფერი ზუსტად ჰქონდა აწყობილი.

ოპერატორი იყო გია გერსამია და ყველა ფილმზე მასთან ერთად ვმუშაობდი. დრამატურგების, მხატვრის, კომპოზიტორისა და შემოქმედებითი ჯგუფის ყველა წევრის მუშაობით კმაყოფილი ვარ.

ერთ დღეს გადასაღებ მოედანზე ავტობუსით მივდიოდით. ნინელიმ ფურცლები ამოიღო, რომლებზეც უჯრები, სამკუთხედები და რაღაც დიაგრამები ეხატა. გავიკვირვე და ვკითხე, ეს რა არის-მეთქი. მიპასუხა, ჩემი როლიაო. მას ზუსტად ჰქონდა გაანგარიშებული, სად როგორი ემოცია უნდა გამოეხატა. როდესაც მსახიობი ასეთი მობილიზებულია და ასე მთელი სულითა და გულით თამაშობს, რეჟისორისთვის სასიხარულოა.

იმ ეპიზოდზე, სადაც თამრიკო ყველას ლანძღავს, წინასწარ ცოტათი ვნერვიულობდი, თუ როგორი გამოვიდოდა ეს სცენა, რადგან გმირს უნდა ეტირა და თან გამწარებულს ეყვირა. ხომ იცით, რეჟისორებს ჩვენ-ჩვენი ხერხები გვაქვს იმისთვის, რომ მოცემულ მომენტში მსახიობის საჭირო რეაქცია გამოვიწვიოთ. ნინელიმ რომ შემატყო, მის მომზადებას ვაპირებდი, მითხრა, არ გინდაო. ჩემი მითითების გარეშე მიხვდა, რა ემოციები უნდა გამოეხატა. საბოლოოდ ყველაფერი კარგად გამოვიდა.

რამაზ ჩხიკვაძეს რაც შეეხება, მას ყველაფერი ისე მიჰყავდა, თითქოს ეს უწყვეტი იმპროვიზაცია იყო. ერთ მშვენიერ დღეს, მორიგი გადაღება რომ დასრულდა და ყველა წავიდა, მე პავილიონში დავრჩი. დეკორაციებს ვამოწმებდი მომდევნო დღისთვის. უცებ რვეული ვიპოვე, რომელიც თურმე რამაზს ეკუთვნოდა. იქ მისივე ხელით მთელი თავისი როლი იყო ამოწერილი. ისე მოწესრიგებულად ეწერა ყველაფერი თავისი აღნიშვნებით, გავოცდი! მივხვდი, რომ რამაზს მთელი იმპროვიზაცია, რასაც ფილმში მიმართავდა, წინასწარ ჰქონდა გააზრებული. ოღონდ, როცა ყველაფერი შესწავლილი ჰქონდა, მერე თავისუფლდებოდა და მაშინ იწყებოდა ის ბედნიერება, რაც მსახიობისთვის აუცილებელია. მეორე დღეს რამაზს თავისი რვეული გადავეცი და მან ისე გამომართვა, ვითომც აქ არაფერიო.

ჩემი პირველი ფილმი არის „კარდაკარ“ და იქიდან მოყოლებული ყველა ნამუშევარში ჩემს სატკივარზე მივუთითებდი — ეს არის პიროვნების თავისუფლება. „ცხელი ზაფხულის სამი დღეც“ ამის მაგალითია. სულხანისა და თამრიკოს პიროვნებები შეზღუდულები არიან. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ფრაზა, რომელსაც ნინელი ჭანკვეტაძის გმირი ამბობს: „ადამიანი ბოლომდე უნდა დაიხარჯოს!“. ეს ფრაზა ჩემი, დავით ჯავახიშვილისა და ერლომ ახვლედიანის მიერ მოფიქრებული და კარგად გააზრებული იყო.

სიმართლე რომ გითხრათ, ნამუშევარს რომ ვამთავრებ, ის მავიწყდება, რადგან ახალ ფილმზე ვიწყებ ფიქრს და მთლიანად მასში ვერთვები. მერე, დრო რომ გადის და ვუყურებ, ახალ-ახალ აღმოჩენებს ვაკეთებ. ზოგჯერ რაღაც ძალიან მომეწონება და ჩემს თავს შევაქებ, ზოგჯერ კი ვნანობ, ნეტავ, სხვანაირად გამეკეთებინა-მეთქი. და მაინც, ჩემი ფილმების ნახვისას გულში სიხარულს ვგრძნობ, რადგან ჩემი სათქმელი ვთქვი.

✓ თეონა კენჭოშვილი



Cyan Magenta Yellow Black

## „დაქალი ჩემი სახელით ფეისბუქელ მეგობრებს უხამს წერილებს უგზავნიდა“



დიდი ხანია ერთ გოგოსთან ვდაქალობ. სკოლაში დავუახლოვდით ერთმანეთს და ჩემი აბსოლუტური ნდობა მოიპოვა. მისგან საიდუმლო არ მქონია. იმდენად კარგი მეკგობრები ვიყავით, რომ ერთმანეთის „ფეისბუქის“ პაროლებიც კი ვიცოდით.

რამდენიმე თვის წინ შევატყვე, რომ სხვა დაქალები, შორეული ნაცნობები, ყველა ის ხალხი, ვინც „ფეისბუქში“ მყავდა დამატებული, ამრეზით მიყურებდა. მალე ამის მიზეზიც გავიგე, თურმე ისინი ჩემგან უხამს წერილებს იღებდნენ, მაგრამ იმის გამო, რომ დაბლოკილები იყვნენ, პასუხს ვერ მწერდნენ.

მაშინვე მივხვდი, რომ ჩემი ნდობით დაქალი სარგებლობდა და ასეთ ცუდ რაღაცას ის მიკეთებდა. მის გარდა, ჩემი პაროლი არავინ იცოდა, ამიტომ ეჭვი პირდაპირ მასზე მივიტანე. ბოლოს მან სიმართლე აღიარა და ბოდიში მომიხადა, თუმცა მე მაინც გაბუტული ვარ, არ ველაპარაკები. არ ვიცი, ამის შემდეგ მისი ნდობა კიდევ შეიძლება თუ არა. ძალიან მინდა, გკითხოთ, ასეთ მეგობარს შევურიგდე?

**„სარკის“ მკითხველი, 15 წლის**

## „დედა თავისი საქციელით მეგობრებთან მარცხვენს“

დედა დაქალებთან ურთიერთობას მიკრძალავს. მეუბნება, შენს მამიდაშვილებზე და დეიდაშვილებზე უკეთესს ვის ნახავ, მათთან გაერთეო. ნათესავები ძალიან მიყვარს, მაგრამ დედაჩემს არ ესმის და ვერ ხვდება, რომ სისხლით და ხორცით ნათესავი სხვაა და დაქალი — სხვა. არ ვაპირებ, მის გამო დაქალები დავკარგო.

ჩემი მეგობრები რომ მოდიან სტუმრად, დედა ათჯერ შემოდის იმ ოთახში, სადაც ჩვენ ვართ. სულ რაღაცას იმიზეზებს, ზოგჯერ ოთახი აქვს დასალაგებელი, ზოგჯერ რაღაც გასაკეთებელი. სულ ცხვირჩამოშვებულია, გასვლისას კი კარს მაგრად გაიჯახუნებს ხოლმე. ჩემი მეგობრები რომ მოიკითხავენ, როგორ ხართო, პასუხის ღირსადაც არ თვლის მათ. მამაჩემს ეს ფაქტი ნაკლებად ადარდებს, ამიტომაც მისი იმედი არ მაქვს, რომ გამიგებს.

ძალიან სევდიანი გავხდი, რადგან დედა მეგობრებთან მარცხვენს. არადა ისინი ძალიან მიყვარს, მათთან ურთიერთობის გაწყვეტა არ შემიძლია. გთხოვთ, მირჩიეთ, როგორ გავაგებინო დედას, რომ დაქალების ყოლაში ცუდი არაფერია.

**„სარკის“ ერთგული მკითხველი, 14 წლის**

გამოხმაურება

## „ჭორებმა მაიძულა, საშინელი ადამიანის ცოლი გავმხდარიყავი“

უცნაურია, მაგრამ იცით, რამდენჯერ მქონდა შემთხვევა, როცა „სარკე“ გადავშალე და იქ ჩემზე დაწერილი სტატია აღმოვაჩინე, უფრო სწორად, ამბავი, რომელიც ჩემს ცხოვრებას ძალიან ჰგავდა? სრულიად უცნობი ადამიანები თითქოს ჩემზე წერდნენ. ახლაც ჟურნალ „სარკის“ 39-ე ნომერი გადავშალე და იქ გოგონა წერდა ამბავს, რომელმაც ცუდი მოგონებები აღმიძრა. წერილის ავტორი ჩიოდა, სამი შინაბერა მეზობელი მაიძულებს, უსიყვარულოდ გავთხოვდეო. ამ გოგონას ჩემს ამბავს მოვუყვები და მერე თავად გადაწყვიტოს, როგორ მოიქცეს.

ჩემი ცხოვრების ყველაზე ნათელი და ბედნიერი წლები იქამდე გაგრძელდა, სანამ ის ადამიანი ჩვენს ოჯახში გამოჩნდებოდა. ის მამიდაჩემის თანამშრომელი იყო, მასთან მეგობრობდა. ხუმრობდნენ, ძმაკაცები ვართო. მამიდა ქმართან გაშორებული იყო და ჩვენთან ცხოვრობდა. თავისუფალი ბუნების ადამიანი იყო და მასთან ურთიერთობა არ მიჭირდა. შემეძლო, ყველა თემაზე მესაუბრა, ამიტომ მისი სტუმრები რომ მოდიოდნენ, ხშირად მათ გვერდით ვიჯექი, თანატოლებივით ვსაუბრობდით. მამიდას მეგობარ ბიჭთანაც კარგი ურთიერთობა მქონდა, ზედმეტადაც კი გავუშინაურდი. პატარა გოგო ვიყავი და არ ვიცოდი, რომ ზღვარი უნდა დამეჭირა. ისიც სულ მეხუმრებოდა, მეგონა, როგორც პატარა გოგოს, ისე მიყურებდა.

მე რომ მხიარულად ვატარებდი დროს, თურმე ჩემს თავზე შავი ღრუბლები იკრიბებოდა. ხალხმა მამიდაზე და იმ ბიჭზე ჭორაობა დაიწყო, საყვარლები არიანო. ზუსტად იმ დროს მამიდას ყოფილი ქმარი ცოლთან შერიგებას ცდილობდა. ეხვეწებოდა, მასთან, მოსკოვში წასულიყო. მამიდას მისი წინადადება ძალიან ხიბლავდა და მზად იყო, შერიგებოდა. საქმე საქმეზე რომ მიდგა, მისმა ყოფილმა ქმარმა შერიგებისგან თავი შორს დაიჭირა, შემოუთვალა, თურმე საყვარელი გაგიჩენია, შენ გვერდით არასოდეს ვიქნებიო.

მამიდას თავი რომ დაეძვრინა, იცით, რა მოიგონა? ვითომ მისი მეგობარი ჩვენს სახლში ჩემ სანახავად მოდიოდა. ყოფილ ქმარს და მის ნათესავებს უთხრა, ჩემი ძმისშვილი უყვარს და ვერაფრით ვიშორებ თავიდანო. არადა მაშინ მეთერთმეტე კლასში ვიყავი, ლაღი ცხოვრება მქონდა, ერთი კარგი ბიჭი მომწონდა და გათხოვებაზე სულ არ ვფიქრობდი.

მამიდამ ჩემ გარშემო ჭორები ააგორა, უფრო სწორად, მისმა ტყუილმა ხალხი სხვანაირად აალაპარაკა. მანამდე თუ იმას ამბობდნენ, რომ მამიდაჩემის საყვარელი იყო, მერე ჩემზე ალაპარაკდნენ. მთელი ქვეყანა ჭორაობდა, რომ საყვარელი სახლში დამდიოდა. სკოლის ბიჭებმა ჩემი აბუჩად აგდება დაიწყეს, მანამდე თუ ვერაფერს მიბედავდნენ, მერე მათთვის ისეთ გოგოდ ვიქეცი, რომელსაც ხელს ადვილად წამოჰკრავდნენ. დაქალმა კი პირდაპირ მითხრა, შენთან მეგობრობას მიშლიან, ცუდი სახელი გაქვსო.

ბოლოს მამამაც გაიგო და საშინელ დღეში ჩამაგდო. მამიდა სახლიდან გააგდო, მე კი მცემა. მამიდამ „სიკეთე“ გამოიჩინა, თავისი მეგობარი დაარწმუნა, რომ ჩემი ხელი უნდა ეთხოვა. ისიც უარს რატომ იტყოდა? პატარა, ლამაზი გოგოს ქმრობაზე ალბათ ვერც იოცნებებდა, მამიდამ კი ჩემი თავი ლანგრით მიართვა. ჩემი ხელის სათხოვნელად რომ მოვიდა, მისთვის უარი არავის უთქვამს. მამაჩემმა უთხრა, თქვენზე იმდენს ჭორაობენ, ალბათ ჯობია, ყველაფერი ასე დასრულდესო.

ასე გავხდი იმ ადამიანის ცოლი, რომელიც არც მიყვარდა და არც მომწონდა. შეიძლება ჩემს ბედს შევგუებოდი კიდეც, საშინელი ხასიათი რომ არ გამოევლინა. პათოლოგიური ეჭვიანობა დაიწყო. ყველაზე და ყველაფერზე ეჭვიანობდა. ბავშვი არ მიჩნდებოდა და ამას მე მაბრალებდა, რაღაც წამლებს სვამ, რომ არ დაორსულდეო. მცემდა კიდეც. მასთან ცხოვრების ორი წელი ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო. ბოლოს დედას ვუთხარი, ან აქედან წამიყვანეთ, ან თავს მოვიკლავ-მეთქი. მშობლებმა გულისხმიერება გამოიჩინეს და საძულველი კაცის კლანჭებიდან დამიხსნეს.

მას შემდეგ ცხოვრების მოწყობა ვერ შევძელი, ვცადე, მაგრამ წარსული სულ უკან დამდევს. ყველასთვის განათხოვარი ქალი ვარ, რომელმაც სკოლის ასაკში თავი შეირცხვინა. უამრავი რამ გადამხდა, მას შემდეგაც ბევრი ადამიანის და ბევრი რაღაცის მსხვერპლი გავხდი. ამ ყველაფრის მოყოლა ერთ წერილში არც ღირს და არც მოხერხდება.

ალბათ მამიდაჩემის ამბავიც გაინტერესებთ. ის დღემდე ტკბილად და ბედნიერად ცხოვრობს თავის ქმართან ერთად მოსკოვში. ორი შვილი გააჩინა, გოგონები, რომლებსაც არაფერს აკლებენ, ზედ დაჰფოფინებენ. ბებიაჩემი იყო მათ სანახავად წასული და გაგიჟებული ჩამოვიდა იქიდან, ზღაპრულად ცხოვრობენ, ჩემს შვილს და შვილიშვილებს არაფერი აკლიათო.

მამიდას არ ველაპარაკები. არასოდეს დამავიწყდება, საკუთარი თავის გადასარჩენად როგორ გამწირა. თვითონ აირიდა ჭორები, მე კი, რომ იტყვიან, ლომის ხახაში ჩამაგდო. დედაჩემიც არ ელაპარაკება და იმის ნაცვლად, რომ ერთხელ მაინც მოგვიხადოს ბოდიში, აქეთ გვითვლის საყვედურებს.

არა უშავს, მგონია, რომ ცხოვრება მწარე გაკვეთილს ჩაუტარებს, აუცილებლად ათქმევინებს, ეს იმიტომ დამემართა, რომ ჩემს უცოდველ ძმისშვილს ასე მოვექეციო.

ახლა ისევ იმ წერილის ავტორს მივმართავ: თავი დაიცავი, ჭორების მსხვერპლი ნუ გახდები!

**თქვენი ჟურნალის მუდმივი მკითხველი**

**გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:**
**296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე ან იზა ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.**
**თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:**
1. ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დააწკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ“ და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.
2. გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან.
1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.
3. ელფოსტაზე: irmchedlidze@mail.ru

**ანონიმურობა დაცულია**



Cyan Magenta Yellow Black

# კომპანია „სმაილი“ და ბანკი „რესპუბლიკა“ მომხმარებელს ერთობლივ აქციას სთავაზობენ

## უპროცენტო განვადება უპრეცედენტო პირობებით

მაღაზიათა ქსელი „სმაილი“ და ბანკი „რესპუბლიკა“ საზოგადოებას განვადების ახალ აქციას სთავაზობენ. მომხმარებლებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ 0%-იანი განვადების განსხვავებული პირობებით. კერძოდ, შეიძინონ მათთვის სასურველი ნებისმიერი საოჯახო ტექნიკა ისე, რომ ნივთის ღირებულების გარდა ზედმეტი თანხა არ გადაიხადონ.

პირობები მარტივია: განვადება – 0%, ბანკის საკომისიო – 0, წინასწარი შესატანი – 0%.




აღნიშნული აქცია ტექნიკის ბაზარზე უპრეცედენტოა და ექსკლუზიურად მხოლოდ „სმაილის“ მაღაზიათა ქსელში SAMSUNG-ის ნებისმიერ ტექნიკაზე ვრცელდება (კონდიციონერებზე, ნოუთბუქებზე და ნეთბუქებზე, მიკროტალღურ ღუმელებზე, მაცივრებზე, მტვერსასრუტებზე, ტელევიზორებზე, სარეცხ მანქანებზე, დივიდი ფლეერებზე, ფოტოაპარატებზე, სახლის კინოთეატრებზე, მობილურ ტელეფონებზე).

კომპანია „სმაილი“ და ბანკი „რესპუბლიკა“ მომხმარებელს ნოვატორულ აქციებს 2013 წლის დასაწყისშიც სთავაზობდნენ. კომპანიებმა საზოგადოებას 2-წლიანი, მოგვიანებით კი – 3-წლიანი 0%-იანი განვადება პირველებმა შესთავაზეს.

„სმაილის“ მარკეტინგის წარმომადგენლის, **ხათუნა ნოზაძის** თქმით, „სმაილმა“ ამჯერადაც გაითვალისწინა საზოგადოების ფინანსური მდგომარეობა და ბაზარზე ინოვაციური პროექტით გამოვიდა.

– ნებისმიერი შემოსავლის მქონე ადამიანს შესაძლებლობა აქვს, შეიძინოს ნებისმიერი ნივთი, მათ შორის – ძვირადღირებული ტექნიკაც, რომელიც აქამდე მისთვის მხოლოდ ოცნების საგანს წარმოადგენდა და ნივთის ღირებულება სასურველ პერიოდზე თანაბრად გადაანაწილოს ისე, რომ ზედმეტად არც ერთი თეთრის გადახდა არ მოუწევს, – აცხადებს ხათუნა ნოზაძე.

– მოხარულები ვართ, რომ მომხმარებლებისთვის ასეთი მოსახერხებელი და უნიკალური პირობების შეთავაზება შევძელით. ეს საქართველოში პირველად ხდება და დარწმუნებული ვართ, რომ აქცია ბევრს გაახარებს! – აცხადებს ბანკ „რესპუბლიკის“ წარმომადგენელი **ნათია ფრანგულაშვილი**.

მომხმარებელი „სამსუნგის“ ფირმის სასურველი ნივთის 0%-იანი განვადებით შეძენას მხოლოდ პირადობის მოწმობის წარდგენით შეძლებს, ყოველგვარი პირველადი შესატანისა და დამტკიცების საკომისიოს გადახდის გარეშე.

კომპანიებში აცხადებენ, რომ აქცია „სმაილის“ ქსელში – თბილისსა და შემდეგ რეგიონებში: თელავში, რუსთავსა და ბათუმში ჭავჭავაძის №31-ში მდებარე ფილიალში გავრცელდება.



## „მამა ჩემზე წინ ძმაკაცების შვილებს აყენებს“

მამამ ძალიან მაწყენინა. ის სულ ასე მექცევა — ჩემზე წინ აყენებს თავის ძმისშვილებს, ძმაკაცის შვილებს. მათ ყოველთვის აქებს, მე კი ერთხელაც არ მეტყვის, კარგი ბიჭი ხარო. 15 წლის ვარ და 15-ჯერაც არ შევუქივარ. სხვის შვილებზე კი სულ ლაპარაკობს, კარგები არიანო. თავისი ძმაკაცის შვილების მატჩებს ესწრება, ის კი არ აინტერესებს, რა ნიშნებს ვიღებ. რომ ვეტყვი, სკოლაში ათიანი მივიღე-მეთქი, მპასუხობს, თან გყვები, ათას რამეს გიკეთებ და დაბალი ქულა რატომ უნდა მიიღოო. არადა უბრალო შექებაც კი გამიხარდებოდა.

მამა კარგი მონადირეა. აქამდე ამბობდა, რომ გაიზრდები, სანადიროდ გატარებო. 15 წლის ვარ და ეს ოცნება ჯერ კიდევ არ შემისრულა. ძალიან მაინტერესებს, როგორ ნადირობენ, მინდა, მამასთან ერთად ვიარო.

ამას წინათ სანადიროდ რომ დაიწყო მზადება, მითხრა, შენც წაგიყვანო. სიხარულით გავგიჟდი. მთელ სკოლას ვუთხარი, სანადიროდ უნდა წავიდე-მეთქი. ერთი სული მქონდა, ის დღე როდის დადგებოდა. მამამ კი საშინელება ჩაიდინა, მე სახლში დამტოვა და ძმაკაცის შვილი წაიყვანა. ის 16 წლის არის. სულ რაღაც ერთი წელია ჩვენ შორის სხვაობა, ამიტომ ვერ ვიტყვი, რომ ასაკის გამო დამტოვა სახლში. უბრალოდ ძმაკაცის შვილი ამჯობინა ჩემს თავს, ის უფრო უყვარს, მისით უფრო ამაყობს.

არ ვიცი, მამას ასე როგორ გავუცრუე იმედი, რომ არ ვუყვარვარ. სულ სხვებით ამაყობს, მე კი ისეთი ვერაფერი გავაკეთე, რითაც გავახარებდი.

**თქვენი ერთგული მკითხველი**

✓ რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ

## გამოხმაურება

### „მადლობა „სარკეს“, რომ დამეხმარეთ“

ცოტა ხნის წინ თქვენს ჟურნალში გამოვაქვეყნე წერილი, რომ ქუჩაში სათვალით სიარულის მრცხვენოდა. ამ წერილის შემდეგ ძალიან კეთილი ადამიანი გამომეხმაურა და ყველანაირი შიში დამაძლევინა. ამისთვის მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო მას და, პირველ რიგში, „სარკეს“.

**თქვენი ერთგული მკითხველი**

### „უსიყვარულოდ არ გათხოვდე, ყველაფერი წინ გაქვს, სწავლა გააგრძელე!“

გეხმაურები „სარკის“ 39-ე ნომერში დაბეჭდილ წერილს — „სამი შინაბერა მაიძულებს, უსიყვარულოდ გავთხოვდე“. მინდა, ამ გოგონას ვუთხრა, თავი არ დაილუპოს და უსიყვარულოდ არ გათხოვდეს. წინააღმდეგობა გაუწიე შენს მშობლებს და სწავლა გააგრძელე. შენ ყველაფერი წინ გაქვს. აბა, შენ იცი, წარმატებას გისურვებ!

**„სარკის“ ერთგული მკითხველი**

### „შენთვის გათხოვება ძალიან ადრეა“

ჟურნალ „სარკის“ 39-ე ნომერში დაიბეჭდა გოგონას წერილი, სათაურით „სამი შინაბერა მაიძულებს, უსიყვარულოდ გავთხოვდე“. წერილის ავტორს მივმართავ, ჩემო კარგო, შენს ოცნებაზე უარი არ თქვა. არ გათხოვდე, არავის დაუჯერო! გამოსცადე ყველაზე კარგი და ბედნიერი წლები, რასაც სტუდენტობა ჰქვია. ამ წლების სილამაზით დატკბი, მერე კი შენს ნამდვილ მეორე ნახევარსაც შეხვდები. ცხელ გულზე გადაწყვეტილებას ნუ მიიღებ და ცხოვრებას ნუ დაინგრევ. შენთვის გათხოვება ძალიან ადრეა.

**შენი კეთილისმსურველი, „სარკის“ ერთგული მკითხველი**




Cyan Magenta Yellow Black

# რა თხოვნა აქვს მედეა ლორთქიფანიძეს ლევან ყოჩიაშვილის ცოლთან

## ლევანი: „მედეა ისეთ დღეში მაგდებდა, ცეცხლი მენთო ქოჩორზე“



**მედეა: „ერთი გაბედონ და ლევანი დამიჩაგრონ, თვალებს ამოვთხრი!“**

ცნობილი დედა-შვილი სერიალიდან „ჩემი ცოლის დაქალები“, მანანა და დათო, კადრმიღმაც დედა-შვილივით იქცევიან. მსახიობები ლევან ყოჩიაშვილი და მედეა ლორთქიფანიძე, როცა გადაღება მთავრდება, ერთმანეთზე ზრუნვას აგრძელებენ. ალბათ ყველას ახსოვს, ცოლის მოღალატე დათოს დედა როგორ ამართლებდა. „სარკეში“ იმასაც წაიკითხავდით, რომ ლევანს რეალურადაც ჰქონდა ცოლთან პრობლემები, მაგრამ ყველაფერი მოგვარდა და ოჯახური ცხოვრება კალაპოტში ჩადგა. ქალბატონმა მედეამ ამ შემთხვევაშიც გამოიჩინა დედობრივი მზრუნველობა და ჩვენთან ლევანის გამართლებას შეუდგა.

**მედეა**: ძალიან კარგი შვილი მყავს. ბიჭი რომ მყოლოდა, ვინატრებდი, ლევანისნაირი ყოფილიყო. ძალიან კონტაქტური, განათლებული, თბილი ადამიანია. თან ისეთი კარგი პარტნიორია, ხანდახან მგონია, რომ მართლა ჩემი შვილია. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ყველა დედამ უნდა ინატროს ასეთი შვილი!

**— ლევანის გმირის, დათოსადმიც ასეთი დამოკიდებულება გაქვთ?**

**მედეა**: რაც შეეხება ლევანის გმირს, უნდა გითხრათ, რომ ის დედისთვის ძალიან კარგია, ცოლიც ძალიან უყვარს, ერთადერთი უარყოფითი ის აქვს, რომ ცხოვრება ძალით აირია. ეს დათოს დიდი მინუსია, მაგრამ მე, როგორც დედა, მაინც ვცდილობ, გამართლება მოვუძებნო. უკვე გამოსწორების გზაზეა, სახლში რემონტიც კი გააკეთა. რაც ყველაზე მთავარია, გიჟდება შვილებზე და ეს ყველა მამისთვის დიდი პლუსია. ვერ ვიტყვი, რომ ცოლი არ უყვარს, მაგრამ ყველა კაცს აქვს გაფრენის პერიოდი. მანახეთ ერთი კაცი, რომელსაც ცოლისთვის არ უღალატია! ნინას იმაში ვამტყუნებ, რომ, რადგან ქმარს აპატია, ყოველ წუთს არ უნდა წამოაძახოს დაშვებული შეცდომა. მესმის, ქალისთვის ძალიან ძნელია ღალატის გადატანა, მაგრამ თუ აპატიებ, მის შეცდომას ხაზი უნდა გადაუსვა და მასთან ერთად ახალი ცხოვრება დაიწყო.

**— ლევან, ქალბატონი მანანა ხასიათით დედათქვენს ხომ არ ჰგავს?**

**ლევანი**: ჩემი და მედეას დედაშვილობა სერიალში კარგად შედგა. ისეთივე ყურადღებიანი და მზრუნველია, როგორიც დედაჩემი. მხოლოდ ჩემთან კი არა, ყველა მსახიობთან ძალიან თბილია. დედაჩემიც ზუსტად ასეთია, ქალბატონ მედეასავით ძალიან ემოციურია, რაღაცეები საკმაოდ მძიმედ გადააქვს. სერიალის დასაწყისში ვცდილობდი, მანანასა და დედაჩემში რაღაც საერთო მეპოვა, რომ ჩვენი დედაშვილობა შემდგარიყო და, როგორც ჩანს, გამოგვივიდა, ერთმანეთისადმი პატივისცემა ეკრანზე კარგად ჩანს.

**ლევანი: „ცოლისგან ეჭვიანობა არასოდეს მიგრძვნია. ის ძალიან კარგად მიცნობს. ურთიერთობაში მთავარი ნდობაა და მარინა მენდობა“.**

**მედეა**: ენაცვალოს დედა!

**ლევანი**: დედაჩემიც ზუსტად ისევე ცდილობს ჩემი და ჩემი ძმების გამართლებას, როგორც მანანა ამართლებს დათოს. ქვეყანა რომ დავაქციოთ, დედის მხარდაჭერა მაინც გვაქვს.

**— არ ფიქრობთ, რომ მანანა ზედმეტად ერევა შვილის და რძლის ცხოვრებაში?**

**ლევანი**: არა, რადგან ყველა ქართველი დედა ასეა. ცნობილი ფაქტია, რომ დედებს ბიჭები განსაკუთრებულად უყვართ. მანანას უნდა, მისი შვილის ოჯახი სამაგალითო და კარგი იყოს. ხომ გახსოვთ, შვილს რამდენ შენიშვნას აძლევდა და რა დღეში იყო, როცა ცოლს უღალატა? ისეთ დღეში მაგდებდა, ცეცხლი მენთო ქოჩორზე!

**მედეა**: დედა ყოველთვის შვილზეა გადამკვდარი და სულ მის გვერდითაა. რა მნიშვნელობა აქვს, რა ასაკისაა, სკოლას ამთავრებს, უნივერსიტეტს თუ ცოლი მოჰყავს? გასაგებია, რომ ქმარიც კარგია, მაგრამ შვილის სიყვარული სულ სხვანაირია. მანანა სულ ფიქრობს, მის შვილს არ შიოდეს, სამსახურში როგორაა. დათო რასაც აკეთებს, ყველაფერი აინტერესებს.

**— ასეთი ხართ თქვენი ქალიშვილის მიმართაც?**

**მედეა: „აღარ მინდა ქოთქოთა ბებიის თამაში. მინისტრის გადაპრანჭული ცოლის როლი მინდა!“.**

**მედეა**: ჩემს შვილზე მართლა გადამკვდარი ვარ. სულ მაინტერესებს და ვეკითხები, რატომ არის მოწყენილი, რა მოხდა, ხომ არაფერი უჭირს.

**ლევანი**: ვერ ვიტყოდი, რომ მხოლოდ შვილთანაა ასე. ჩვენთან, მსახიობებთანაც, ზუსტად ასეთი დამოკიდებულება აქვს. ჩვენი ყველაფერი გულთან ახლოს მიაქვს და ნერვიულობს.

**მედეა**: კახელი ქალები თუ დინჯები არიან, იმერლები ცოტა ქოთქოთები ვართ. ლევანის გაბრაზება ცხოვრებაში არასოდეს მინახავს, თუ ერთ შემთხვევას არ ჩავთვლით.

**— თქვენ ხომ არ გაგიბრაზდათ?**

**მედეა**: არა, რაღაც მოხდა და გაბრაზდა. ისე არ მოექცნენ, როგორც საჭირო იყო და ნამდვილად არ იყო ამისი ღირსი.



მედეა და ლევანი

ლევანი ისეთი ადამიანია, კოლექტივმა ხელისგულზე უნდა ვატაროთ. მართლა ყველას უყვარს, მაგრამ რატომღაც მის გმირს ღალატს არ პატიობდნენ.

**— თქვენც გყავთ გოგო და ანალოგიურ შემთხვევაში ეტყოდით, ქმარს აპატიე და შეურიგდიო?**

**მედეა**: კი, აუცილებლად. ოჯახის შექმნა ძალიან ადვილია, დანგრევაა ძნელი. ამიტომ ვეტყოდი, თავის ქმარს ხან აქედან მიდგომოდა, ხან იქიდან და ყველა სიტუაციაში ეპატიებინა. როგორ შეიძლება ოჯახის ერთი ხელის მოსმით დანგრევა?! ნინამ კი რა გააკეთა — ოჯახის დანგრევას ხელი შეუწყო. ქმარს ეუბნებოდა, რომ არ ეცალა, არსად დაჰყვებოდა. მანანამ საჭმელი თუ არ მიუტანა, ქმარს შიმშილით მოკლავს და ასეთი რაღაცეები როგორ შეიძლება. ერთი გაბედონ და ამისი თავი დამიჩაგრონ, თვალებს ამოვთხრი!

**— ლევან, თქვენს ცოლს და დედას ისეთივე ურთიერთობა აქვთ, როგორიც სერიალში ნინას და მანანას?**

**ლევანი**: მანანა ძალიან ემოციურია და ყველაფერზე ქოთქოთებს, ჩემი ცოლის და დედაჩემის შემთხვევაში კი ცოტა სხვანაირადაა. ისინი ერთმანეთთან ისე არიან, როგორც შეიძლება ქართველი რძალ-დედამთილი იყვნენ. ყველგანაა რაღაც დარტყმები.

**მედეა**: ჩემს სიძესთან ისეთი მორიდებული ვარ, სულ ვცდილობ, ყველაფერში გავამართლო. ცოტა ფიცხია, ორი შვილი ჰყავს და ორივე ძალიან ცელქები არიან. ჩემს გოგოს სულ ვეუბნები, კაცი სამსახურიდან დაღლილი მოდის და უნდა მოუთმინო-მეთქი.

**— ლევან, ქმარმა თუ უნდა აპატიოს ცოლს ღალატი?**

**ლევანი**: ტყუილი და ღალატი სასიამოვნო არ არის. ადამიანს ძალიან უნდა, რომ აპატიონ, მაგრამ შეიძლება ასე არ მოხდეს.

**მედეა**: კაცი განათხოვარ, შვილიან ქალს უფრო ითხოვს და ცოლს ღალატს ვერ აპატიებს. კაცს რომ ცოლი უღალატებს, ეს ყველაზე დიდი საშინელებაა. ქალების ბედი კი ის არის, რომ ერთხელ მაინც აუცილებლად ღალატობს ქმარი.

**— ქალბატონო მედეა, ალბათ გაიგებდით, რომ სერიალის პარალელურად ლევანს ოჯახშიც ჰქონდა გაუგებრობა ცოლთან. როგორი რეაქცია გქონდათ ამაზე?**

**მედეა**: როცა ეს ამბავი გავიგე, ვუთხარი, რაღაც მოვიდა ჩემს ყურამდე და რა ხდება-მეთქი. ყველა ოჯახშია უსიამოვნება. როცა ქალი მსახიობს მიჰყვება ცოლად, ქმრის განრიგით უნდა იცხოვროს და მისი სამსახურისადმი პატივისცემა გამოიჩინოს. ლევანი ხანდახან ღამის 2 ან 3 საათზე შედის სახლში, აბა, რა ქნას, ოჯახს რჩენა არ უნდა? მესმის, რომ ქალს ქმარი სჭირდება გვერდით, მაგრამ ხელი აუცილებლად უნდა შეუწყოს. ლევანი ისეთი წესიერი და პატიოსანი ბიჭია, ვერ



Cyan Magenta Yellow Black

წარმოიდგენთ! ხომ შეეძლო, როცა ცოლთან დაშორებული იყო, საყვარელი გაეჩინა. ეთქვა, მე მსახიობი ვარ, თუ გინდა, შეეგუე, თუ არადა ქალის მეტი რა არისო. რამდენი კაცია, რომელსაც აღარც ცოლი უნდა და აღარც შვილები. ლევანი ასეთი არაა.

ლევანის ცოლს ვთხოვ: ჩვენ შენი ქმარი ძალიან გვიყვარს და ცოტა ხანს დაგვეხმარე, რომ მას სახლში სიმყუდროვე და სიწყნარე ჰქონდეს.

**ლევანი**: ახლა უკვე ყველაფერი მოგვარდა, წყნარად, ნორმალურად ვართ. ერთი რამ ზუსტად ვიცი, არასოდეს უნდა თქვა, ჩემთან ცუდი არაფერი მოხდებაო.

**— ლევან, თქვენი ცოლი ეჭვიანი არ არის?**

**ლევანი**: არა. თუკი ოდესმე დამიგვიანია, ჩემთან ტელეფონზე დარეკვა არასოდეს დაუწყია. სამსახურის მერე ზოგჯერ დალევა მიწევს და ამიტომ უფრო მიგვიანდება სახლში, მაგრამ მარინას ეჭვიანობა არასოდეს მიგრძვნია. ჩვენი შვილები უკვე დიდები არიან, მათ ბევრი ყურადღება სჭირდებათ და ამიტომ ეჭვიანობის დროც არ აქვს. ამას გარდა, ძალიან კარგად მიცნობს. ურთიერთობაში მთავარი ნდობაა და მარინა მენდობა.

**მედეა**: მარინასი მესმის. გასაგებია, როცა ქმარი რამდენჯერმე დააგვიანებს, მაგრამ მთელი წლის განმავლობაში სულ სამსახურზე რომაა გადართული, საყვედურს ეტყვი, აბა, რა იქნება?!

**ლევანი**: მსახიობისთვის სახლში ჯდომა არ გამოდის.

**— ლევან, დათოს ღალატის გამო ერთი პერიოდი ძალიან განაწყენებული გყავდათ მაყურებელი. როგორც ატყობთ, დაიბრუნეთ მისი კეთილგანწყობა?**

**ლევანი**: ვცდილობ, რაღაცნაირად შემოვირიგო. ძალიან მაკრიტიკებდნენ, რადგან ჩემი გმირისგან ასეთ საქციელს არ ელოდნენ. სადაც კი შევდიოდი, ერთი ამბავი ატყდებოდა ხოლმე, სერიალს რეალობისგან ვეღარ არჩევდნენ. მეუბნებოდნენ, გაჩერდი, იმ ქალს თავი დაანებეო. ერთმა ქალმა მითხრა, არც ერთი ქალი ღირს შენი შვილების ცრემლებადო — ჯეკო და ტასო იგულისხმა.

ერთხელ ბენზინგასამართ სადგურზე ვიღაც ბიჭმა მითხრა, გეხვეწები რა, გაჩერდი, ცოლი კბილის ექიმთან აღარ მიშვებსო. ბევრს ისიც უთქვამს, ტელეფონზე სალაპარაკოდ სხვა ოთახში რომ გავდივარ, ცოლი მეკითხება, ვის ელაპარაკე, როცა ადრე ამით არ დაინტერესებულაო.

ხალხი ძლივს დავაჯერეთ, რომ მე და ანი ტყებუჩავა რეალურად ცოლ-ქმარი არ ვართ და ტასოს და ჯეკოს როლის შემსრულებლები ჩვენი შვილები არ არიან. შეიძლება ვიღაცეებს დღესაც ასე ჰგონიათ.

**— არ შიშობთ, რომ ეს როლები ისე „მოგეწებებათ“, ხალხისთვის ყოველთვის მანანად და დათოდ დარჩებით?**

**ლევანი**: კი, ვფიქრობ. ამდენი სეზონის და ასეთი პოპულარობის შემდეგ ალბათ ძალიან განსხვავებული როლი უნდა ვითამაშო, რომ ყველასთვის ისევ დათო გოცირიძე არ ვიყო.

**მედეა**: მე აღარ მინდა, სხვაგანაც ქოთქოთა ბებიის როლი ვითამაშო. წყნარი, თბილი, მოსიყვარულე ბებიის ან მინისტრის გადაპრანჭული ცოლის როლი მინდა.

**— ბატონო ლევან, თქვენი შვილები უყურებენ სერიალს?**

**ლევანი**: კესო 15 წლის არის, ვასიკო — 6-ის. ორივე უყურებს სერიალს. ადრე პატარა ცოტა ეჭვიანობდა ტასოზე, ვერ გაიგო, რა ხდებოდა, სხვები რატომ მეძახდნენ მამას. ერთხელ მკითხა, ეს ხომ კინოა და მართლა იმათი მამა არ ხარო. ავუხსენი, რომ ეს უბრალოდ თამაშია.

✓ **ქეთი დინოშვილი**



# ია სუხიტაშვილი: „ქმარი ჩემზე წარმატებული მსახიობია“



მსახიობ ია სუხიტაშვილს 33 წლის ასაკში რამდენიმე მნიშვნელოვანი გამარჯვება აქვს მოპოვებული. 2002 და 2009 წელს თეატრალური საზოგადოების ჯილდო „ახალგაზრდა მსახიობი ქალი“ მიიღო, 2011 წელს კი თეატრალურ ფესტივალ „დურუჯში“ წლის საუკეთესო მსახიობ ქალად დასახელდა.

ის 12 წლის წინ გახდა რუსთაველის თეატრის დასის წევრი. ამ წლების განმავლობაში კინოშიც შექმნა დასამახსოვრებელი სახეები. დღეს უკვე თამამად საუბრობს თავისი პროფესიის ავკარგიანობაზე და ისიც იცის, რომ უამრავი რამ აქვს გასაკეთებელი, ჯერ კიდევ წინ არის გამარჯვებებიც და შესაძლოა დამარცხებებიც.

**— ია, პროფესიული თვალსაზრისით რა სიახლეები და გეგმები გაქვთ?**

— მსახიობი პროფესიული კუთხით რაღაცას ნაკლებად თუ დაგეგმავს. ფესტივალების გამო რუსთაველის თეატრის სეზონის გახსნა გვიან, ოქტომბერში გვიწევს. თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი უკვე დასასრულს უახლოვდება. იწყება მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „საჩუქარი“, მაყურებელი ძალიან ბევრ უცხოურ სპექტაკლს ნახავს. პატარა ქვეყნისთვის თეატრალურ ფესტივალებზე სიარული დიდი ფუფუნებაა. ასე მაინც უნდა ნახოს მსახიობმა სხვა ქვეყნების სპექტაკლები. ამ დროს აკვირდები, თუ რა წინსვლებია სხვა ქვეყნის თეატრში.

**„ვერც ერთი ქართველი მსახიობი კომედიურ როლს ვერ თამაშობს კინოში. გული მწყდება, რომ მოგონებაში რჩებიან ისევ იპოლიტე ხვიჩია და სესილია თაყაიშვილი. ახალგაზრდები სახის ჭყანვის მეტს არაფერს აკეთებენ. დაჭყანვით კი ვერ გამაცინებ".**

ორ წელია თეატრალურ ფესტივალებს ვერ ვესწრები. სამი წლის წინ ფილმის „ქიფ სმაილინგ, ანუ გაიღიმე“ გადაღებები იყო. შარშან ლევან კოღუაშვილის ფილმში „ორი მელოტი“ ვითამაშე, რომელსაც დეკემბერში საერთაშორისო კინოფესტივალზე აჩვენებენ. წელს დათო ტურაშვილის პიესის „ნა გრანიცე“ მიხედვით ყაზბეგში იყო ფილმის გადაღებები. ამ ფილმში ქართველი მესაზღვრის როლს ვასრულებ.

**— ყველა მსახიობს ემუქრება საშიშროება, რომ ერთ ამპლუაში „ჩაიკეტოს“ და რეჟისორებმაც მხოლოდ ერთი კატეგორიის როლებში დაინახონ. თქვენ გამოგიცდიათ მსგავსი რამ?**

— ეს განცდა თავიდან მქონდა თეატრში. ძალიან მიეწყო ერთმანეთს ჯულიეტა და ოფელია. ნაზი, საყვარელი გოგოს როლები მქონდა და ნერვები მეშლებოდა. სულაც არ ვარ ასეთი. მსახიობმა უნდა იცოდე, თუ ასეთ დამოკიდებულებას დაინახავ რეჟისორში, როლი ცოტა სხვანაირად უნდა ითამაშო და სხვა მხარეც წარმოაჩინო. მსახიობს ბევრი კუთხე უნდა ჰქონდეს.

**— არის როლი, რომელიც არ გითამაშიათ და გინდათ, მოირგოთ?**

— თეატრში ბევრი როლია, რაც არ მომირგია, მათ შორის უარყოფითი პერსონაჟის. ცდა შეიძლება. კინოში მინდა კომედიური როლის თამაში. ეს ძალიან რთულია, მით უმეტეს, დღეს. ვერც ერთი ქართველი მსახიობი კომედიურ როლს ვერ თამაშობს კინოში. გული მწყდება, რომ მოგონებაში რჩებიან ისევ იპოლიტე ხვიჩია და სესილია თაყაიშვილი. ახალგაზრდები სახის ჭყანვის მეტს არაფერს აკეთებენ. დაჭყანვით კი ვერ გამაცინებ. თუ ამბიცია გაქვს, რომ მაღალი დონის კლასიკურ კომედიას აკეთებ, ამას სხვა რამ უნდა. მასტერ კიტონი ჩაპლინის დროს მოღვაწეობდა და იმდენად გენიალური იყო, სულ ვფიქრობ, რომელი ჯობდა. კიტონს მამამ ურჩია, ისეთი გარეგნობა გაქვს, ზედმეტი არაფერი გააკეთო, რაც უფრო სერიოზულად ითამაშებ როლს, უფრო კომედიური იქნებაო. აქ კი პირიქით, რაც უფრო დაიჭყანებიან, უცნაურად დაილაპარაკებენ, ჰგონიათ, რომ გაგეცინება.

**— ალბათ ეს მხოლოდ მსახიობების ბრალი არ არის, რეჟისორებიც სცოდავენ.**

— რასაც ჩაგძახებენ, ის არ უნდა გააკეთო. რეჟისორი ათას რამეზე ფიქრობს და შეიძლება რაღაც გამოტოვოს. მსახიობსა და რეჟისორს შორის ურთიერთობა თუ არ არის, არაფერი გამოვა.

**— თქვენი აზრით, დღეს ქართველ მსახიობებს აქვთ ფუფუნება, რომ როლზე უარი თქვან?**

— შეიძლება კარგმა რეჟისორმა არ შემოგთავაზოს როლი, მაგრამ ისეთი გუნდი ჰყავდეს აყვანილი, რომ ამის გამო დათანხმდე. ხანდახან ფილმი საერთოდ არ ვარგა, მაგრამ ერთი მსახიობის ერთი კონკრეტული პერსონაჟი მთელ ფილმს ქაჩავს. და მაინც, მსახიობი ყველაფერში არ უნდა აითქვიფოს. ბევრი შეიძლება მატერიალური მდგომარეობის გამო წავიდა ამაზე, მაგრამ მე ვერ ვამართლებ. ვგულისხმობ იმას, რომ მსახიობი უნდა იყოს მსახიობი და არა — ტელეწამყვანი. წელიწადში ერთხელ კიდევ შეიძლება იყოს ტელეწამყვანი, მაგრამ როცა მუდმივად ეკრანზეა, უკვე გერევა, მსახიობია თუ ჟურნალისტი. მერე ამბობენ, რომ ენატრებათ თეატრში ან

→32


## მამაკაცების განჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება. საჭირო გამოკვლევები უფასოა! ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება 0.

ქ-ნი ქეთევანი.

☎ 599-90-54-78, 234-02-38






Cyan Magenta Yellow Black

კინოში თამაში. 2002 წელს „იმედზე“ მეც მიმყავდა გადაცემა „ერთხელ ჰოლივუდში“. იმის მერე იმდენი წელი გავიდა, რომ თავისუფლად შემიძლია, კიდევ მივცე თავს უფლება, ტელევიზიით დავკავდე და მერე ისევ გარკვეული პერიოდი არ გავეკარო ეკრანს.

**— არსებობს რაიმე როლი, რომელსაც პრინციპულად არ ითამაშებთ?**

— ფრენსის ფორდ კოპოლას თავის ცნობილ ფილმში, „ნათლიმამა“, უნდოდა, პირველი ღამის სცენა კარგად გადაეღო და ამიტომ თვითონ არ გადაიღო, სპეციალისტი მიიყვანა, ვინც ამას კარგად გააკეთებდა და არა — პორნოგრაფიად. მაგალითად, შოთა კალანდაძის ფილმში მონაწილეობას არასოდეს მივიღებ. რა უნდა, რას აკეთებს... ამას წინათ შეხლაშემოხლა გვქონდა. რა ვქნა, მაპატიოს, რომ არ მომწონს. არც მას მოვწონვარ, ეგრე მომაძახა, რომ კრეტინი ვარ.



**— თუ კარგი რეჟისორი შემოგთავაზებთ თამამ როლს, უარს არ იტყვით?**

— ჩემთვის მთავარია დრამატურგია და სცენარი. თუ ჩემს გმირს საინტერესოდ დავინახავ, მაშინ შეიძლება თამამი სცენებიც ვითამაშო. 21-ე საუკუნეა, ამას ვერ წაუხვალ.

**— ამბობენ, რომ საქართველოში ეროტიკულ სცენებს კარგად ვერ იღებენ. როგორც მსახიობი, ამის მიზეზად რას მიიჩნევთ?**

— ზოგჯერ ქმრის კომპლექსი აქვთ, ზოგჯერ — დედის თუ მამის, მეზობლის და ა.შ. ეტყობათ ეს კომპლექსი. აკეთებენ თამამ როლს, მაგრამ ვაი, ამ გაკეთებას. ხანდახან უყურებ ფილმს და ხვდები, რომ ის თამამი სცენა საერთოდ რომ არ ყოფილიყო, არაფერი დაშავდებოდა. შეიძლება სცენა ისე იყოს გადაღებული, არაფერი ჩანდეს, მაგრამ მაყურებელი მიხვდეს, რომ წყვილს მაგარი სექსი ჰქონდა. ცოდნა უნდა ეროტიკული სცენების გადაღებას.

**— თქვენ არ გაქვთ კომპლექსები?**

— მე საერთოდ არ მაქვს კომპლექსი, მაგრამ მაშინ კი გამიჩნდება, თუ ვიგრძნობ, რომ ეს თამამი სცენა არაფერ შუაშია.

**— როლის გათავისებისთვის საფუძვლიანი მზადება გჭირდებათ?**

— რა თქმა უნდა, მაგრამ ჩემს შემთხვევაში ხშირად ისე მამტკიცებენ როლზე, რომ ამის შესახებ ბოლოს მეუბნებიან. ხანდახან ასე უფრო კარგად გამოდის თამაში, სპონტანურად რომ ფიქრობ, რა გააკეთო. ზოგ როლს კი ჩაღრმავება სჭირდება.

**— არსებობს გამოთქმა: „როლიდან ვერ გამოვიდა“. გქონიათ ასეთი შემთხვევა?**

— ეს უფრო თეატრს ეხება. კინოში როლში ვერ ჩარჩები. როლში შესვლაც უნდა შეგეძლოს და გამოსვლაც. ზოგი ისეთი როლია, ღმერთმა დამიფაროს, იქიდან რომ ვერ გამოვიდე. „ქიფ სმაილინგ, ანუ გაიღიმე“-ს თითქმის სამი წელი ვიღებდით, იქ ხულიგანი გოგოს როლს ვასრულებ. ერთ პერიოდი გადაღებების დროს ჩემი ქმარი, მიშა მესხი, მოსკოვში იყო. რომ დაბრუნდა, მითხრა, რაღაც შეცვლილი ხარ, ბიჭივით იქცევიო, ანუ შეიძლება როლი ცოტა ხანი გაგყვეს, მაგრამ როლში არ უნდა ჩარჩე.

**— თქვენ მიერ შესრულებული პერსონაჟები რამით გგვანან?**

— არასოდეს! საკუთარი თავის თამაში რთულია. ერთხელ ვთქვი, თუ ყველა როლს ამოვწურავ, მაშინ შეიძლება ვითამაშო ჩემი თავი-მეთქი, მაგრამ ეს ხუმრობაა. რა თქმა უნდა, როლები არ უნდა ამოგეწუროს. აბსოლუტურად განსხვავებულ პერსონაჟებზე, რომლებსაც ვთამაშობდი, უთქვამთ, რომ მე მგავდნენ. როგორ შეიძლება ერთმანეთისგან განსხვავებული პერსონაჟები მგავდნენ ანუ რადიკალურად განსხვავებული ვიყო? თუ დამაჯერებლად აკეთებ და ფიქრობენ, რომ საკუთარ თავს თამაშობ, ამას რა სჯობია.

**— სინამდვილეში როგორი ხართ?**

— სკოლის პერიოდიდან უკვე მიზანდასახული ვიყავი. მათემატიკაში საკმაოდ სუსტი გახლდით, მაგრამ თავს ძალას ვატანდი, რომ მესწავლა. რეალურად რაც მინდოდა, ყველაფერი გავაკეთე, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ კიდევ ბევრი არ მაქვს გასაკეთებელი. როცა ვინმე უარყოფითს გამოხატავს ჩემ მიმართ, იგნორირებას ვუკეთებ. შემიძლია დიდხანს ვითმინო, ყოველთვის ვცდილობ, ზღვარს არ გადავიდე. არასოდეს არავის არ ვიწვევ.

**„მსახიობი უნდა იყოს მსახიობი და არა — ტელეწამყვანი. წელიწადში ერთხელ კიდევ შეიძლება იყოს ტელეწამყვანი, მაგრამ როცა მუდმივად ეკრანზეა, უკვე გერევა, მსახიობია თუ ჟურნალისტი. მერე ამბობენ, რომ ენატრებათ თეატრში ან კინოში თამაში".**

**— 2011 წელს თეატრალური ფესტივალის „დურუჯის“ გამარჯვებული გახდით, როგორც საუკეთესო მსახიობი ქალი. რა შეგრძნებაა ასეთი ჯილდოს მიღება?**

— ეს მეამაყება. პირველად მოხდა, რომ გამონაკლისი დაუშვეს და მეორეხარისხოვანი როლის შემსრულებელი დაჯილდოვდა. მე მიყვარს ის როლი, რის გამოც „დურუჯი“ მოვიპოვე — მოახლე სპექტაკლში „ბიდერმანი და ცეცხლისწამკიდებლები“, რომელზეც დიდხანს ვიმუშავე.

**— როცა მსახიობი იღებს სხვადასხვა ჯილდოს, არის მოთხოვნადი და რეალიზებული თავის პროფესიაში, ალბათ უფრო პრეტენზიულიც ხდება. რეჟისორებისთვის ადვილია თქვენთან მუშაობა?**

— საერთოდ არ ვარ პრეტენზიული. უბრალოდ ყველა ადამიანს აქვს თავისი „ბზიკები“. ჩემი „ბზიკია“ დილით ადრე ადგომა. სხვა მხრივ, ვირივით მშრომელი ვარ. ზარმაცი არ ვარ. არასოდეს მაქვს პრეტენზია, თუ რა კოსტიუმს მაცმევენ ან რა გრიმს მიკეთებენ.

**— როცა ბევრ შრომას დებთ რომელიმე როლში და მაინც კრიტიკას იმსახურებთ, როგორ ხვდებით ამ ფაქტს?**

— ვერ ვიტან კრიტიკას მაშინ, როცა ადამიანს არ იცნობ, არ გისაუბრია და ისე აფასებ. ამოიჩემებენ რომელიმე თეატრს, არ იციან, იქ რა იდგმება და მაინც აკრიტიკებენ. კრიტიკა დასაბუთებული უნდა იყოს. არ დავაკონკრეტებ, ვინ არის, თეატრის ერთი კრიტიკოსია, რომელმაც ჩემზე თქვა, რომ არ მოვწონვარ, არადა, ზუსტად ვიცი, ჩემს არც ერთ სპექტაკლზე ყოფილა. „აი, პროსტა არ მომწონს“ — ეს არის ყველაზე დიდი გოიმობა ჩემთვის. დასაბუთებული კრიტიკა კი მსახიობმა უნდა მიიღოს. ამის მოსმენა უნდა შეეძლოს და გაითვალისწინოს.

**— როგორც მსახიობს და უბრალოდ ქალს, რა მოგცათ პროექტში „ცეკვავენ ვარსკვლავები“ მონაწილეობამ?**

— რომ მცოდნოდა, პროექტის პარალელურად ახალ სპექტაკლზე ან ფილმზე მუშაობის დაწყება მომიწევდა, მონაწილეობას არ მივიღებდი. ბოლოს უკვე 39 კილო ვიყავი. დღეში 8 საათი ვცეკვავდი და დანარჩენ დროს სპექტაკლის რეპეტიციებს ვუთმობდი. დღე-ღამეში 2 საათი მეძინა. ფიზიკურად გავნადგურდი. გამხდარი ყოველთვის ვიყავი, მაგრამ 39 კილო არასოდეს ვყოფილვარ. ჩემს წონას მერე ათასი ჭორი მოჰყვა, მაგრამ არ ვნანობ, რადგან ფოქსტროტი ვისწავლე, რომელიც ჩემთვის ყოველთვის საყვარელი ცეკვა იყო. თუნდაც ამის გამო ღირდა ამ პროექტში მონაწილეობა.

**„მიშა მესხი რომ გავიცანი, პოპულარობის პიკზე იყო, რადგან მესამე „ყარაბაღზე" მუშაობას იწყებდნენ. ვიცოდი, ვის მივყვებოდი. საერთოდ კი, ვთვლი, რომ კაცი ბევრად წარმატებული უნდა იყოს და ჩვენს შემთხვევაში ასეც არის".**

**— მსახიობი ქალის და კონკრეტულად თქვენს ცხოვრებაში ქმარი და შვილი რა ადგილზე დგას?**

— ჩემი შვილი, ლუკა ახვლედიანი, 6 წლის არის. როგორც კი თავისუფალი დრო გამიჩნდება, მასთან ერთად ვარ. დედაჩემმა გადამწყვეტი როლი ითამაშა, როცა მითხრა, რომ შვილის აღზრდაში დამეხმარებოდა. მერე დეიდაც წამოვიდა ბათუმიდან ამის გამო და დღემდე აქ არის. ასე რომ არ ყოფილიყო, ვერც სპექტაკლებში ვიქნებოდი და ვერც — ფილმებში, რადგან შვილს მარტო ვერ დავტოვებდი. მე, მიშა და ჩემი შვილი ვმეგობრობთ. მიშას ძალიან უყვარს ბავშვები, მათ ძალიან მალე უახლოვდება. როცა ოჯახზე იღებ პასუხისმგებლობას, იგულისხმება, რომ მას აუცილებლად უნდა მიხედო. სხვანაირად არ გამოვა.

**— როგორია ოჯახში ორი მსახიობის — თქვენი და თქვენი ქმრის მიშა მესხის — ცხოვრება, როლებზე, საქმეზე ხშირად საუბრობთ?**

— მუდმივად ვსაუბრობთ ჩვენ-ჩვენს როლებზე, ერთმანეთს რჩევებს ვაძლევთ და ხანდახან ვკამათობთ. ეს კარგიცაა, კამათი ბოლოს ჯანსაღ აზრამდე მიდის. მიშას ბევრი რჩევა გამითვალისწინებია.

**— ორივე პოპულარული მსახიობი ხართ. ეს ერთ-ერთ თქვენგანს მეორის ჩრდილში ხომ არ აქცევს?**

— მიშა მესხი რომ გავიცანი, პოპულარობის პიკზე იყო, რადგან მესამე „ყარაბაღზე“ მუშაობას იწყებდნენ. ვიცოდი, ვის მივყვებოდი. საერთოდ კი, ვთვლი, რომ კაცი ქალზე ბევრად წარმატებული უნდა იყოს და ჩვენს შემთხვევაში ასეც არის.

**— თქვენი საყვარელი ქართველი ან უცხოელი მსახიობი ვინ არის?**

— ასეთი ბევრია. ქალებიდან ჩემთვის საოცარ მსახიობად მაინც ანეტ ბენინგი რჩება. შარლიზ ტერონი, ვთვლი, რომ ძალიან ლამაზი და ნიჭიერი ქალია, რომელიც სასწაულ როლებს აკეთებს.

✓ **მანანა ნოდია**



Cyan Magenta Yellow Black

# ვანო ჯავახიშვილი: „ვაყალიბებ არასამთავრობო ორგანიზაციას „ჯამბაზები საქართველოსთვის“

## „ოთარ ტატიშვილს ჩემს შოუში არ გამოუშვებენ“



„მთავრობის ჯამბაზი აღარ ვარ“, — იუმორისტმა ვანო ჯავახიშვილმა ახალი სატელევიზიო სეზონი ახალი ხუმრობით დაიწყო. პოლიტიკურად ცხელი შემოდგომა „ვანოს შოუშიც“ იგრძნობა, როგორც მის მონოლოგში, ისე სტუმრების კონტინგენტში, თუმცა მანამდეც ყოველთვის ასე იყო, პოლიტიკა გახლდათ შოუს მთავარი სახუმარო თემა. ახლა კი ვანოს სურს, ამ მხრივ ცვლილება მოახდინოს და ქართულ შოუბიზნესსაც „წაეშველოს“ თავისი რეპლიკებით. როგორც „სარკეს“ გაუმხილა, მისი ოცნებაა, ერთხელაც ისეთ ქვეყანაში გაიღვიძოს, სადაც გამუდმებით არჩევნები არ იქნება დანიშნული.

**— ვანო, თქვენს შოუს უკვე მეშვიდე წელი დაუდგა. ერთი და იმავე საქმის კეთება ცოტა მოსაბეზრებელი ხომ არ გახდა, რაიმეს შეცვლას ხომ არ გეგმავთ?**

— 7 წლის განმავლობაში ყველა გადაცემას ჰქონდა გამოხმაურება. ესაა ერთ-ერთი სიამოვნება, რაც ამ შოუს ახლავს თან, თუმცა მოგატყუებთ, რომ გითხრათ, არ ვიღლებით და არ გვბეზრდება-მეთქი. ყოფილა შემთხვევა, როცა გვიფიქრია, რომ აქ უნდა დაგვემთავრებინა, მაგრამ მერე ქვეყანაში ისეთი ამბები ვითარდებოდა, რომ იმ თემატიკაზე მაშინვე იწერებოდა სცენარი და მზადდებოდა შოუ.

აგვისტოში შვებულებაში ვიყავი, ქვეყანაში კი ისეთი საკითხები წამოიჭრა, გული მწყდებოდა, ეთერში რომ არ ვიყავი. არ მინდოდა, ის ამბები გამომეტოვებინა, რომლებიც მერე დაძველდებოდა. მაყურებელი მივაჩვიეთ ჩვენი შოუს ყურებას, ამის მიღწევას კი დიდი დრო დასჭირდა. ყველამ იცის, რომ „ვანოს შოუ“ საღამოს 10-ის ნაცვლად, 11 საათზე იწყება. გვიანია, მაგრამ მაყურებელი მაინც გველოდება. ეს კი გუნდის თითოეული წევრისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

ხუმრობები მოვალეობის მოხდის მიზნით არასოდეს დაგვიწერია. ჩვენი მუღამია, ისეთი სცენარი შევქმნათ, რომელზეც ბევრი ილაპარაკებს. ჩვენ არ გვიყვარს ფურორებით დაწყება, ბევრი სტუმრის მოყვანა და ამით გადაცემის შეფუთვა, ჩვეულებრივი სტილით ვმუშაობთ. შოუს ელემენტებით გადაცემის გაკეთება დიდი ხარჯია, რეიტინგებში სხვაობასაც ვერ ვხედავ, ამიტომ მივყვებით დინებას.

**— სანამ ქვეყანაში ხელისუფლება შეიცვლებოდა, ამბობდნენ, რომ თქვენ მთავრობის პიარზე მუშაობდით, მათზე კეთილად ხუმრობდით. ახლა თქვენი დადებითი განწყობა სხვა ადრესატებისკენ არ წავა?**

— რატომღაც ყველა ასე ფიქრობს, მაგრამ შეგიძლიათ ერთი დღე მოხვიდეთ და დაესწროთ სცენარის შექმნას. ბოლო ორი კვირა ისეთი რეალობა შეიქმნა, რომ პრეზიდენტზე ნაკლებად გვქონდა ხუმრობები. ჩვენ ყველა პოლიტიკურ ფიგურაზე თანაბრად ვხუმრობთ. არ აქვს მნიშვნელობა, ნაციონალები იქნებიან, „ოცნების“ წარმომადგენლები თუ „ქრისტიან-დემოკრატები“, ჩვენ ყველაზე ვხუმრობთ...

**— ყველაზე რეიტინგული გადაცემა როდის გამოდის, როცა ნაცმოძრაობიდან გყავთ სტუმარი თუ როცა — „ოცნებიდან“?**

— როდესაც ნაციონალები მყავს ხოლმე სტუმრად, ხშირად ვხუმრობ. ისეთი ტენდენცია წამოვიდა, რომ თუ ნაციონალი ხარ, ეს დანაშაულია და ამაზე ბევრს ვხუმრობთ. „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ნაკლებად მოდიან სტუმრად. შებოჭილები არიან, ფიქრობენ, რომ რაღაც ისეთს ვეტყვი, რაც არ ესიამოვნებათ. ამ დროს სულაც არ ვფიქრობ ასე. „ოცნებიდან“ ჩემი ძველი მეგობრები უპრობლემოდ მოდიან ჩემთან — ზვიად ძიძიგური, ეკა ბესელია, კობა დავითაშვილი, ლევან ბერძენიშვილი... თუმცა ჩემს გადაცემაში ჯერ ღრმა ოცნებისტი არ მოსულა.

**— ვის გულისხმობთ?**

— ასეთი ბევრია...

**— გქონიათ მცდელობა, ბიძინა ივანიშვილი მოგეწვიათ სტუმრად?**

— რა თქმა უნდა, ბიძინა ივანიშვილს შევთავაზეთ ჩვენს გადაცემაში მოსვლა, ასევე — გიორგი მარგველაშვილს, კახი კალაძეს, თეა წულუკიანს, მაგრამ... არჩილ კბილაშვილსაც შევთავაზე და მითხრა, 6 თვის მერე მოვალო. თქვენ ჟურნალისტი ხართ და მიხვდებით, თქვენც რომ იგივე გიპასუხონ, ნასიამოვნები ხომ არ დარჩებით? ვინც შეიძლება, რომ ყურებადი იყოს, ყველა თავს იკავებს.

> **„ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ნაკლებად მოდიან სტუმრად შოუში. შებოჭილები არიან, ფიქრობენ, რომ რაღაც ისეთს ვეტყვი, რაც არ ესიამოვნებათ. ამ დროს სულაც არ ვფიქრობ ასე“.**

**— იუმორისტული შოუების ოცნებაა, ქვეყნის პირველი პირი ჰყავდეთ სტუმრად. ალბათ მიხეილ სააკაშვილსაც შესთავაზებდით თქვენს შოუში მოსვლას. მისგან რა პასუხი გაქვთ?**

— ვგეგმავთ, მიხეილ სააკაშვილი მოვიდეს გადაცემაში. ის არასოდეს ყოფილა რომელიმე გასართობი ტიპის შოუს სტუმარი. ნანუკა ჟორჟოლიანს კი ჰყავდა სტუმრად, მაგრამ ეს იყო გარე გადაღება, სტუდიურ ჩაწერას სულ სხვა დატვირთვა აქვს. აქ ზის მაყურებელი, რომელსაც დიდი მუხტი მოაქვს. ერთი სიტყვით, ვცდილობთ და ვნახოთ, რა გამოვა. ერთხელ იყო შეთავაზება, მაგრამ გადამიდო.

**— როცა მიხეილ სააკაშვილი დატოვებს პოსტს, ალბათ მაშინ უფრო რეალური გახდება მისი სტუმრობა თქვენთან.**

— შეიძლება პრეზიდენტობის პერიოდშიც მოახერხოს და მოვიდეს. არ ვიცი.

**— ერთ-ერთ გადაცემაში ახსენეთ, რომ მთავრობის ჯამბაზი აღარ ხართ. ახლა ვისი „ჯამბაზია“ ვანო ჯავახიშვილი?**

— ახლა დამოუკიდებელი ჯამბაზი ვარ! ვაყალიბებ არასამთავრობო ორგანიზაციას „ჯამბაზები საქართველოსთვის“ და მისი ხელმძღვანელი ვიქნები. ეს ფრაზა — „მთავრობის ჯამბაზი“ — ჩემი მოგონილია. ამ ყველაფერზე ბევრი ვიხუმრეთ. ესეც ჩვეულებრივი პროფესიაა, ადრე მეფის კარზე იყვნენ ჯამბაზები. მე ერთი პატარა, ხუმარა კაცი ვარ.

**— ახალ პოლიტიკურ რეალობას როგორ აღიქვამთ?**

— გინდათ, პოლიტიკაზე ვისაუბროთ?

**— გადაცემაში სულ პოლიტიკაზე ხუმრობთ, ამიტომ საინტერესოა, რეალურად როგორ აფასებთ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს.**

— რა გითხრათ... დღეს ცოტა უძრაობის პერიოდია, რაც ძალიან არ მომწონს. სულ მოძრაობაში ვიყავით, სწრაფად მივდიოდით რაღაცეებისკენ, მაგრამ რატომღაც უცებ გავჩერდით. უძრაობა საშინლად არ მომწონს, დღითიდღე უფრო მეტი ადამიანი მხვდება, ვინც სამსახური დაკარგა. თუ ასე გაგრძელდა, ალბათ უკანაც წავალთ. ისეთი ქვეყანა ვართ, რომ აქ, ჩემი აზრით, სულ არჩევნები იქნება. ისეთ დღეზე ვოცნებობ, რომ გავიღვიძებ და უახლოეს პერიოდში არჩევნები არ იქნება დაგეგმილი. ახლა ხომ საპრეზიდენტო არჩევნებია, მაისში კიდევ არჩევნებია. არჩევნების პერიოდი არ მომწონს, რადგან ამ დროს ხალხი ერთმანეთს ვერ იტანს. პოლიტიკური შეხედულების გამო შეიძლება მეგობარმა მეგობარს ხელი დაარტყას.

**— გქონიათ ასეთი შემთხვევა?**

— არა, თუმცა ჩემ ირგვლივ ბევრი მსგავსი რამ მსმენია, ცოლ-ქმარს პოლიტიკურ თემებზე სერიოზული კონფლიქტი მოსვლიათ. სუფრასთან პოლიტიკის გამო ხშირად ჩხუბობენ. პოლიტიკური ფიგურების და გუნდების გამო რატომ უნდა დავხოცოთ ერთმანეთი? რატომ, რის გამო?! იმის გამო, რომ რომელიღაცა პოლიტიკოსმა ჩვენზე უკეთ იცხოვროს?!

**— ფაქტია, რომ თქვენს შოუს ჟანგბადს სწორედ ეს ხალხი აწვდის. რომ არა პოლიტიკური ქაოსი, რაზე იხუმრებდით?**

— გამოჩნდება სახუმარო თემა. ძალიან დიდი სურვილი მაქვს, ქართულ ესტრადაზე ხუმრობები განვაახლო, რომ იქნებ ეს სფერო აღორძინდეს. დღეს კულტურის სფეროს წარმომადგენლები ნაკლებად რეიტინგულები არიან, ვიდრე პოლიტიკოსები, რაც ძალიან ცუდია. პოლიტიკოსებს არც უნდა ვიცნობდეთ, ნორმალურ ქვეყნებში ასე ცხოვრობენ.

**— იმისთვის, რომ პოლიტიკურ თემებზე იხუმროთ, გამუდმებით თვალი უნდა ადევნოთ პოლიტიკურ მოვლენებს, გამოსვლებს, შეფასებებს. ალბათ უკვე საკმაო ინფორმაციაც დააგროვეთ ქართულ პოლიტიკაზე.**

— რა თქმა უნდა, ამ დროს გამოცდილებას აგროვებ, ხვდები, როგორ არის ქვეყანა მომართული. მანამდე ეს ყველაფერი არ ვიცოდი, პროცესებს გვერდიდან ვადევნებდი თვალს. ახლა რასაც ლაპარაკობენ, ყველაფერს ვუკვირდები და შემიძლია ანალიზის გაკეთება. ჩემს გამოსვლას შეგიძლიათ ქვემოთ დააწეროთ — ექსპერტი. →34



Cyan Magenta Yellow Black

ურთიერთობებმაც ბევრი რამ შემძინა... უდიდესი ტელეგამოცდილება მივიღე, დღეს კამერასთან რომ ვდგები, სულ სხვა ადამიანი ვარ. ჩემგან ყველა ელოდება, რომ გავაცინო, ეს კი ძალიან რთულია.

— **პრეზიდენტობის ერთი კანდიდატი უკვე გყავდათ სტუმრად, სხვებსაც მიიწვევთ გადაცემაში?**

— ცესკო ზღუდავს მათ გამოჩენას ეკრანზე, ეს უფასო რეკლამაში ითვლება. პრინციპი ასეთია, თუ ერთს მოიწვევ გადაცემაში, მაშინ ყველა უნდა დაპატიჟო. ასე რომ, ყველა მათგანთან დავრეკეთ და მოპატიჟება გავუგზავნეთ. გვინდა, რომ ეს პერიოდი პოლიტიკურად დავტვირთოთ შოუ.

— **თქვენს კონკურენტად რომელიმე გადაცემას ან წამყვანს აღიარებთ?**

— ყველა მსგავს გადაცემას ვაღიარებ, არ ვარ ის ადამიანი, რომელიც იტყვის, ჩემი გადაცემაა კარგი და სხვები — ნაკლებადო. ასეთი შეფასება დიდი შეცდომა იქნება. ყველა გადაცემას ვაკვირდებით. ამ გადმოსახედიდან ჩვენ ვლიდერობთ, მაგრამ არ ვიცი, მომავალში რა იქნება. კარგი იქნება, თუ ასეთი პროექტები ერთსა და იმავე დღეს და დროს არ გავა ეთერში. ასე უფრო მეტი შემართებით გავაკეთებდით გადაცემას.

— **რატომ ემთხვევა თქვენი საეთერო დრო სხვებისას?**

— ჩვენ ჩვენი დრო გვაქვს, ჯერ ჩვენ ვიყავით და მერე დანარჩენები. ჩვენ დღეს არ ვცვლით.

— **გეცინებათ კონკურენტების ხუმრობებზე?**

— რაღაცეებზე გვეცინება, რაღაცეები არ მოგვწონს, რაღაცეები ცუდ ხუმრობად მიგვაჩნია. ისინიც ასე ფიქრობენ ჩემს გადაცემასა და ხუმრობებზე.

— **კონკურენტებიდან პირადად ვის იცნობთ?**

— ვასიკო ოდიშვილი, რაც „რუსთავი 2“-დან წავიდა, მას შემდეგ არსად შემხვედრია, მაგრამ ერთმანეთს კარგად ვიცნობთ. რაც შეეხება ოთარ ტატიშვილს, პირადად არ ვიცნობ, მაგრამ ვიცი, რომ ნიკა არაბიძე ოთართან მეგობრობს, ისინი ძველი თანაგუნდელები არიან.

— **არ გიფიქრიათ მათი მოპატიჟება „ვანოს შოუში“?**

— არა მგონია, ოთარი მოვიდეს ჩვენთან, არ გამოუშვებენ, რადგან მისი შოუ „ღამის შოუს სტუდიის“ პროდუქტია. ჩვენ კი „ღამის შოუსთან სტუდიასთან“ კარგი ურთიერთობა არ გვაქვს.

— **ფილმში, რომელსაც „კომედი ჯგუფი“ იღებს, თქვენ რა როლი გერგოთ?**

— ეს არის საოჯახო კომედია. ყველა თანამშრომელი აქტიურადაა დაკავებული, დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდე მიმდინარეობს გადაღებები. მთავარ როლში მიშა ანდღულაძეა. ჩემი გმირი ბანკის მმართველია. ამ ფილმში იუმორი არ მწყალობს, ვცდილობ, ყველა გავაცინო, მაგრამ არ გამომდის. ფილმის გადაღება სულ სხვა ყოფილა.

— **სცენარის შინაარსს არ გაგვანდობთ?**

— ცოლ-ქმარი ერთმანეთს შორდებიან და მამა ქალის იმიჯით იწყებს მუშაობას თავისი შვილების ძიძად...

— **ცნობილი ჰოლივუდური ფილმის „მისის დაუტფაირის“ გადამღერება იქნება?**

— დიახ, ოღონდ ჩვენი სცენარი განსხვავებულია. ჩვენს ფილმს „ძიძა“ ჰქვია.

— **ამ ყველაფრის ფონზე თქვენი ოჯახური ცხოვრება როგორ მიედინება?**

— ყველას ვუსურვებდი ისეთ ცოლქმრობას, როგორიც მე და ჩემს მეუღლეს (თამარ მურუსიძე. ავტ.) გვაქვს. ერთმანეთისთვის ვცხოვრობთ, ყოველდღე ვფიქრობ, რითი ვასიამოვნო. დღემდე შეყვარებულები ვართ. გამიმართლა, რომ ასეთი კარგი ცოლი მყავს. ის ჩემი ყველაზე დიდი კრიტიკოსია, რაც ძალიან მომწონს. ისიც ჩემსავით ერკვევა იუმორში, მისი შენიშვნები ყოველთვის ობიექტურია. პროფესიით ჟურნალისტია, მაგრამ სამსახური არ აქვს. ახლა ბავშვი ბაღში დადის და უკვე დავიწყეთ სამსახურის ძებნა. „სარკეში“ ხომ არ გაქვთ მისთვის ადგილი?

— **„რუსთავი 2“-ში არ გაუწიეთ რეკომენდაცია?**

— ასეთი რაღაცეები არ მიყვარს. „კურიერში“ უნდა გადავიდე და ვუთხრა, ჩემი ცოლი კარგი ჟურნალისტია და მუშაობა დააწყებინეთ-მეთქი? ეს ჩემი სტილი არ არის. მისი პროფესია ძალიან შრომატევადია, თუმცა არ მივეკუთვნები იმ კატეგორიის კაცებს, ცოლებს სახლში რომ დასვამენ ხოლმე. გამიხარდება, რეალიზებული თუ იქნება.



**„ისეთ დღეზე ვოცნებობ, რომ გავიღვიძებ და უახლოეს პერიოდში არჩევნები არ იქნება დაგეგმილი. არჩევნების პერიოდი არ მომწონს, რადგან ამ დროს ხალხი ერთმანეთს ვერ იტანს. პოლიტიკური შეხედულების გამო შეიძლება მეგობარმა მეგობარს ხელი დაარტყას".**

— **თქვენს ბიჭთან, პატარ ნიკოლოზთან, როგორი ურთიერთობა გაქვთ ჩამოყალიბებული?**

— ჩემი შვილი უკვე 5 წლისაა და, როგორც გითხარით, საბავშვო ბაღში დადის. შინ რომ ვბრუნდები, ყოველდღე ახალ-ახალ რაღაცეებს მახვედრებს, რასაც იქ სწავლობს. ტექნოლოგიებში მისი ასაკის შეუფერებლად ერკვევა, ისეთ ფუნქციებს „აძრობს“, რომელიც არც მე ვიცი და არც ჩემმა ცოლმა. უცხო ენებისადმი აქვს მიდრეკილება, ანბანი აქვს აიპოდში გადმოწერილი და რუსულს და ინგლისურს თავისით სწავლობს. მოკლედ, დედასაც ძალიან ჰგავს და მამასაც. ვთვლი, რომ არამარტო ჩემი შვილია ნიჭიერი, თაობა მოდის საოცრად განვითარებული, მათ ინდიგო ბავშვებს ეძახიან.

ვცდილობ, ყურადღებიანი მამა ვიყო. მას არასოდეს ვეჩხუბები, დედა-შვილი კი ხშირად კამათობენ. შვილთან ერთად ისედაც ცოტა დროს ვატარებ და ამიტომ არასოდეს ვტუქსავ. ჩემს შოუებს უყურებს, განსაკუთრებით უყვარს „კომედი შოუ“ და პერსონაჟი მარეხი, ანუ თათია სულუაშვილი.

— **მეორე შვილის ყოლას არ გეგმავთ?**

— ახლო მომავლის გეგმებში მეორე შვილი არ შედის.

✓ ლანა კიკნაძე

# გიორგი ბოჭორიშვილი სიდედრის ნაჩუქარ მანქანას ემადლიერება

მსახიობ გიორგი ბოჭორიშვილს, მართალია, საკუთარი მანქანა აქვს, მაგრამ ზოგჯერ ავტობუსში, სხვა მგზავრებთან ლაპარაკში გართულსაც ნახავთ. ეს მაშინ ხდება, როცა საწვავის ფული არ აქვს და საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობს. ამ დროს ბევრი ცნობს და მსახიობს გამოელაპარაკება ხოლმე.

გიორგი 5 წლის წინ მიუჯდა მანქანის საჭეს. ამ ხნის განმავლობაში სამი ავტომობილი გამოიცვალა და მეოთხე აღმოჩნდა ის, რომელმაც დააკმაყოფილა. მისი „სუბარუ ფორესტერი“ ძალიან მოხერხებულია, ქალაქში კარგად მანევრირებს, სათევზაოდ და მიუვალ გზებზე გამოდგება. რაც შეეხება მის მძღოლს, გზებზე უწესრიგო მოძრაობა ძალიან აღიზიანებს, თუმცა ერთხელ თვითონაც გაუფრთხილებლად მოიქცა და... ამაზე მსახიობი ქვემოთ გვიამბობს.

— **გიორგი, 5 წელიწადში სამი მანქანა გამოგიცვლიათ, ახლა მეოთხე გყავთ. მალე გბეზრდებათ ავტომობილები?**

— არა, ეს არაფერ შუაშია. ჩემი პირველი მანქანა 1991 წელს გამოშვებული „პეჟო 106“

**„რა წამს ვიფიქრე, რომ მოძრაობის დროს ტელეფონი ხელს არ შემიშლიდა, მაშინვე საფრთხის წინაშე აღმოვჩნდი, გზიდან გადავედი. მოკლედ რომ გითხრათ, მაგრად გადავრჩი".**

იყო. მის საყიდლად ჩემი მეგობარი გამყვა, საერთოდ ვერ ერკვეოდა მანქანებში და საშინელი ავტომობილი გამოდგა, ძალიან გამაწვალა. ბევრ ზეთს ჭამდა, რადიატორი გახეული ჰქონდა, ფაეტონივით იყო. „პეჟოს“ ცენტრში მივედი, ნაწილებზე ცხრაჯერ გამიშვეს. ხელოსნებს მას შემდეგ ვერ ვიტან, ძალიან ბევრი ფული დამახარჯვინეს. რადგან ძველი მანქანა იყო, გულით არ ეკიდებოდნენ და ვერ იგებდნენ, რა სჭირდა. სადღაც ერთი წელი კი მყავდა, მაგრამ აქედან 6 თვე მაინც გაჩერებული იყო, ხან რა ჰქონდა გაფუჭებული და ხან — რა. ბოლოს ჩემს მეგობარს ვაჩუქე.

— **გზაზე მის გამო პრობლემა ბევრჯერ შეგექმნათ?**

— კი. ერთხელ მე და ჩემი მეგობარი ბათუმში მივდიოდით და რიკოთის უღელტეხილზე გაგვიფუჭდა, აღარ იქოქებოდა, თან მაგრად წვიმდა. დავრეკეთ თბილისში ბიძაჩემთან და იქიდან მასწავლიდა, როგორ დამექოქა. ევაკუატორის გამოძახება გვინდოდა, მაგრამ ფული არ გვქონდა. ბოლოს უიმედოდ დავაგორე და უცებ დაიქოქა. ბათუმში ჩავედით კიდეც და უკანაც წამოვედით. ხელოსანთან რომ მივიყვანე, აღმოჩნდა, მანქანა ზეთის გარეშე მიტარებია. რადიატორიც გახეული ჰქონდა. წარმოიდგინეთ, ბათუმში უწყლო და უზეთო მანქა-

ნით წავედი და წამოვედი... შემდეგ „ოპელ ასტრა“ შევიძინე.

**— რატომ შეარჩიეთ ეს მარკა?**

— ძალიან პრაქტიკული მანქანაა, ნაწილებიც იაფია. ჩემმა მეგობარმა ჩამოიყვანა ჰოლანდიიდან და მისგან ვიყიდე. რამდენიმე თვე მყავდა. მე და ჩემი ცოლი ამერიკაში რომ მივდიოდით, „ოპელ ასტრა“ გავყიდე და ბილეთები იმ ფულით ვიყიდეთ. იქიდან რომ დავბრუნდი, ერთი წლის განმავლობაში უმანქანოდ დავდიოდი.

**— უმანქანოდ ყოფნა თქვენთვის რთული იყო?**

— კი, ძალიან. თან მაშინ ჩვენი შვილი პატარა იყო. მე და ეკას რეპეტიციებზე სამარშრუტო ტაქსებით გვიწევდა სიარული. მაშინ რატომღაც არ მიყვარდა საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა, ახლა კი — პირიქით, მომწონს. ბოლოს „ოპელ კორსაც“ ვიყიდე, მაგრამ არც ეს მანქანა გამომადგა, ამიტომ გასაყიდად გავამზადე, ნაწილები გამოვუცვალე და ახალი საბურავები დავუყენე. დედაჩემი და ჩემი შვილი ზამთარში ბაკურიანში წავიყვანე, გზაში მანქანა მომიცურდა და დავამტვრიე. მადლობა ღმერთს, უვნებლები გადავრჩით, მაგრამ ავტომობილი ისე დაზიანდა, რომ იქვე დავტოვე და ბორჯომშივე გავყიდე.



**„ერთი პერიოდი გზაზე ისე ვჩხუბობდი, ფანჯრიდან გაწევ-გამოწევაში ვიყავი“.**

**— ნამდვილი მანქანის გემო როდის გაიგეთ?**

— როცა 2004 წელს გამოშვებულ „სუბარუ ფორესტერის“ საჭეს მივუჯექი. უნივერსალური მანქანაა, ჯიპიც არის და ქალაქში სასიარულოდაც კარგია. ეს ავტომობილი ჩემმა სიდედრმა მაჩუქა, რომელიც ამერიკაშია. ძალიან კარგი გამოდგა.

**— სიდედრისგან რასთან დაკავშირებით მიიღეთ ასეთი საჩუქარი?**

— ოჯახში ძალიან გვჭირდებოდა და უბრალოდ დაგვეხმარა. ისეთი მანქანა მინდოდა, რომელიც პრაქტიკული იქნებოდა, ყველგან ივლიდა, ბევრ ბენზინს არ დაწვავდა და მის შენახვას შევძლებდი. დიდი კომფორტით არ გამოირჩევა, მაგრამ ოჯახისთვის ძალიან კარგია. ტრასაზე არასოდეს შეგარცხვენს.

**— მანქანას თქვენი ცოლიც (მსახიობი ეკა დემეტრაძე. ავტ.) მართავს?**

— ტარება იცის, მაგრამ მართვის მოწმობა არ აქვს. სადაც მოძრაობა ნაკლებადაა, ხანდახან ჯდება ხოლმე საჭესთან. სხვათა შორის, ნორმალურად მართავს, სისულელეებს არ აკეთებს, უფრო კაცურად მართავს.

**— მოგწონთ ქალი საჭესთან?**

— არა! ოღონდ იმიტომ კი არა, რომ მანქანის მართვა არ შეუძლიათ, უბრალოდ მგონია, რომ წესიერად არ სწავლობენ ტარებას. ქალების უმრავლესობა იმდენად ცუდად დადის, რომ ძალიან მეშლება ნერვები. მათი 90% მოძრაობის მარტივ წესსაც არ იცავს. საერთოდ ჩვენთან ძალიან ცუდი მოძრაობაა. ერთი პერიოდი გზაზე ისე ვჩხუბობდი, ფანჯრიდან გაწევ-გამოწევაში ვიყავი. ახლა კი ვცდილობ, ამ ყველაფერზე რეაქცია არ მქონდეს. სიმართლე გითხრათ, ქალაქში მანქანით მოძრაობა მეზიზღება. იმხელა ავტომობილებით დადიან, შთაბეჭდილება მრჩება, რომ შიგნით იმალებიან. საჭესთან ძალიან აგრესიული ვარ!

**— კაცები არ უშვებთ საჭესთან შეცდომებს?**

— როგორ არა?! ისეთი კაცებიც არსებობენ, ქალებზე უარესად რომ მართავენ მანქანას. ამას წინათ მანგლისიდან ვბრუნდებოდი.

**„სამართალდამცავი სტრუქტურის მანქანებს ვერ ვიტან! წითელზე ჩვეულებრივად დადიან, რაც ძალიან გამაღიზიანებელია. პატრული ბევრჯერ შემინიშნავს ღვედის გარეშე, ხალხისგან რაღას ითხოვენ?!“.**

ჩემმა ცოლმა მომწერა, სურათის გამოგზავნა მინდა, მაგრამ საჭესთან ხარ და ხელი შეგეშლებაო. გადმომიგზავნე-მეთქი, ესემესი მივწერე და ამ დროს კინაღამ ხრამში გადავიჩეხე. რა წამს ვიფიქრე, რომ მოძრაობის დროს ტელეფონი ხელს არ შემიშლიდა, მაშინვე საფრთხის წინაშე აღმოვჩნდი, გზიდან გადავედი. მოკლედ რომ გითხრათ, მაგრად გადავრჩი.

წესები იმისთვის არსებობს, რომ დავიცვათ. სამართალდამცავი სტრუქტურის მანქანებს ვერ ვიტან! წითელზე ჩვეულებრივად დადიან, რაც ძალიან გამაღიზიანებელია. პატრული ბევრჯერ შემინიშნავს ღვედის გარეშე, ხალხისგან რაღას ითხოვენ?! თუმცა ისიც უნდა ვთქვა, რომ პატრულის დიდი გულშემატკივარი ვარ.

ვცდილობ, კანონმორჩილი მძღოლი ვიყო. საშუალო სიჩქარით ვმოძრაობ, სწრაფად სიარული არ მიყვარს, მით უმეტეს, იმ ავარიის შემდეგ. ერთადერთი, რაც ჩვევაში მაქვს გადასული, ის არის, რომ ვცდილობ, წითელი შუქნიშნის ანთებას გავასწრო. პატრული ძალიან იშვიათად მაჩერებს. სიმთვრალის გამო ერთადერთხელ დამაჯარიმეს, სულ პირველი მანქანა რომ მყავდა, მაშინ. ახლა საჭესთან ნასვამი აღარ ვჯდები. ეს ჩემთვის მენტალურადაც მიუღებელია.

**— ამჟამად თუ გიწევთ საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა?**

— კი. ხანდახან არის ხოლმე, როცა საწვავის ფული არ მაქვს და საზოგადოებრივი ტრანსპორტითაც ვმგზავრობ. უფრო მეტად ავტობუსი მიყვარს. მგზავრები, განსაკუთრებით კი 60 წელს გადაცილებულები, ღიად და მოურიდებლად გამომელაპარაკებიან ხოლმე. სავარჯიშოდ კუს ტბაზე დავდივარ. ამას

**„იმხელა ავტომობილებით დადიან, შთაბეჭდილება მრჩება, რომ შიგნით იმალებიან“.**

წინათ უცნობმა ბიჭებმა გამიყოლეს მანქანით და თავისუფლად ვისაუბრეთ, სერიალზე მეკითხებიდნენ.

**— ვიცი, რომ თევზაობა გიყვართ. სათევზაოდ მანქანით დადიხართ?**

— კი. ძირითადად კუმისზე ვთევზაობ, რადგან ახლოსაა. იმედი მაქვს, ოდესმე დავიჭერ კუმისზე თევზს და ამის იმედით უფრო დავდივარ. მარნეულისკენაც მივდივარ ხოლმე და იქ საკმაოდ ბევრ თევზს ვიჭერ. მე და ჩემი მეგობრები ექსკურსიებზეც ხშირად დავდივართ. ძველ ძეგლებს ვნახულობთ. ამას წინათ მთელი ქართლი მოვიარეთ. ჩემი მანქანა მიუდგომელ ადგილებში მისასვლელად ძალიან კარგია.

**— ოცნებობთ რომელიმე მარკაზე?**

— მანქანების მიმართ გულგრილი ვარ, რადგან ის მხოლოდ გადაადგილების საშუალებად მიმაჩნია. როცა იმის შესაძლებლობა მექნება, რომ ბოლომდე ჩემი გემოვნებით შევარჩიო, „მერსედესის“ ჯიპს ან „ლენდ როვერს“ შევიძენ.

✓ **სოფიო ბოჭორიძე**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი
(შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა)
დისბაქტერიოზი
მიიღეთ
ლაქტო-ჯი
www.laqto.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



Cyan Magenta Yellow Black

# თინა მახარაძემ მაისურების მოხატვა დაიწყო

## რას აკეთებს ეკრანიდან გაუჩინარებული გოგონა გარეუბნიდან



23 წლის მსახიობს, თინა მახარაძეს, პოპულარობის პიკი მაშინ ჰქონდა, როცა სერიალში „გოგონა გარეუბნიდან“ მთავარ როლს თამაშობდა. შემდეგ ეკრანიდანაც გაუჩინარდა და თვალთახედვიდანაც დაგვეკარგა. როგორც აღმოჩნდა, დრო უქმად არ დაუკარგავს — ხელნაკეთი სამოსის სახელოსნო გაუხსნია. ეს მისთვის ახალი გატაცებაა. სერიალიდან წამოსვლის შემდეგ ხატვა დაიწყო, ოღონდ ტილოზე კი არა, მაისურზე. საყვარელი მხატვრების ნამუშევრები ქსოვილზე გადაიტანა და მის ნამუშევრებს მომხმარებლებიც გამოუჩნდნენ. თავისი პატარა ბიზნესის პარალელურად სპექტაკლებშიც მონაწილეობს და კინოროლებიც აქვს. ასე რომ, გოგონა გარეუბნიდან საქმიან გოგონად გადაიქცა. გვერდით საყვარელი ადამიანი უდგას, გიორგი სამხარაძე. უკვე 5 წელია შეყვარებულები არიან. დანარჩენს უფრო დაწვრილებით თავად თინა გვიამბობს.

— **თინა, როგორც ვიცი, სერიალში გადაღების დამთავრების მერე ლონდონში წახვედით. რას აკეთებდით იქ?**

— ლონდონში რამდენჯერმე მომიწია წასვლა. პირველად მთელ ჩემს გუნდთან, თეატრალურის ჯგუფელებთან ერთად წავედი. ინგლისში საერთაშორისო სტუდენტურ ფესტივალზე ვიყავით. ჩვენი სპექტაკლი, რეჟისორ გიორგი შალუტაშვილის „პატარა ქალაქი“, ათ საუკეთესო სპექტაკლს შორის მოხვდა. მასზე ძალიან კარგი რეცენზიები დაიწერა. ამის შემდეგ საქართველოში ჩამოვედი, მაგრამ ისევ მომიწია იქ წასვლა, ტრენინგები გავიარე „სთორი თელინგის“ ოსტატობაში. ორი თვის წინ ისევ უნდა წავსულიყავი, მაგრამ ჩემს დას ქმარი გარდაეცვალა და ვამჯობინე, დავრჩენილიყავი. ძალიან კარგი იყო საქმიანი, სასწავლო ვიზიტები, ბევრი ახალი შემოთავაზებაც მაქვს, მაგრამ ამ მომენტში ჩემი საქმე და ოჯახური პირობები ითხოვს, რომ საქართველოში ვიყო.

> **„მე და გიორგი სტანდარტული შეყვარებულები არ ვართ, რომლებიც ხელჩაკიდებულები დადიან... ბევრი საქმე გვაქვს და დამატებით ოჯახური საქმეები არ გვინდა. ისედაც ერთად ვართ, რაღაც ფორმალობა კი სისულელეა“.**

— **იქნებ გვითხრათ, რა შემოთავაზებები გაქვთ?**

— ცნობილი ფრანგი რეჟისორი, ვინსენტ მუნი, საქართველოში ფილმს იღებს, რომელიც 2014 წელს გამოვა. მასში მთავარ როლს ვთამაშობ. ეს ჩემს კარიერაში კარგი ეტაპია. მაგიჟებს კითხვა, აღარ ჩანხარ, მსახიობობას თავი ხომ არ დაანებეო. თუ ოდნავ სხვა რაღაცაზე გადაერთე, ჰგონიათ, რომ შენს პროფესიას შეეშვი. აქამდე ინტერვიუების მიცემისგან თავს ვიკავებდი, რადგან ძალიან ბევრი შემოთავაზება მქონდა და ჩამოყალიბებული არ ვიყავი.

ახლახან ვითამაშე ოსკარ უაილდის პიესის მიხედვით გაკეთებულ სპექტაკლში „მებადური და მისი სული“, რომელიც მარიამ ჭაჭიამ თუმანიშვილის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე დადგა, სპექტაკლიც ძალიან ექსპერიმენტული გამოვიდა. ერთდროულად ბევრი როლის თამაში მომიწია — მებადურის სულის, ქალთევზასი, მღვდლის, ვაჭრის. ბევრი გარდასახვა დამჭირდა და, ამ მხრივ, სპექტაკლზე მუშაობა ძალიან საინტერესო იყო.

— **ქართულ ტელესივრცეში ბევრი სერიალი გაჩნდა. თქვენ არსად მიგიწვევს?**

— სერიალიდან ნამდვილად არ მქონია შემოთავაზება. სერიალში „გოგონა გარეუბნიდან“ მაქსიმუმი გავაკეთე. ახლა რა სერიალიც „ღამის შოუმ“ დაიწყო, იმაში ვერც მე ვხედავ საკუთარ თავს და არც მათგან ყოფილა შემოთავაზება. მათ ვგულშემატკივრობ და ძალიან დიდ წარმატებას ვუსურვებ, რადგან ეს არის სტუდია, სადაც ფეხი ავიდგი, ამიტომ ძალიან მიყვარს.

> **„სერიალიდან რომ წამოვედი, ახალი წლის ღამეს, მაკრატელი ავიღე და ჩემი ძალიან გრძელი თმა ძალიან მოკლედ შევიჭერი. თითქოს ძველ წელს რაღაცეები გავატანე“.**

— **რა მოგცათ თამუნა ჭელიძის როლმა?**

— როცა იმ სერიალში დავიწყე თამაში, პატარა ვიყავი, 19 წლის. რა თქმა უნდა, ბევრი შეცდომა, ბევრი სასაცილო მომენტიც მქონდა, ბევრი რაღაც იყო ისეთი, რაზეც გული მწყდებოდა და გულთან ახლოს მიმქონდა. თუნდაც ის, რომ პირველ ეტაპზე დიდი დატვირთვით მიწევდა მუშაობა, ფაქტობრივად არ მეძინა, დრო არც პირადი ცხოვრებისთვის მქონდა, არც — მეგობრებისთვის. დილით ადრე ვდგებოდი, გადაღებებზე მივდიოდი და სახლში გვიან ღამით ვბრუნდებოდი. სამსახურში ხშირად მაგვიანდებოდა და როცა ამაზე საყვედურს ვიღებდი, უსამართლობის განცდა მქონდა. ახლა ეს ყველაფერი ძალიან კარგად მახსენდება.

საზოგადოებამ თამუნა ჭელიძით გამიცნო. ამას წინათ ერთი-ორჯერ ჩანაწერი ჩავრთე და ძალიან მომეწონა. არადა, როცა რაღაცას ვაკეთებ, გარკვეული პერიოდის შემდეგ აგრესია მიჩნდება, კრიტიკული ვხდები საკუთარი თავის მიმართ. თამუნა ჭელიძესთან პრეტენზიები შედარებით ნაკლებად მაქვს, ვთვლი, რომ ეს პერსონაჟი შედგა, ხალხმა შეიყვარა.

ამ სერიალმა დიდი გამოცდილება მომცა, პროფესიული თვალსაზრისით კარგად ჟღერს, როცა ამბობ, რომ „ღამის შოუს სტუდიის“ გახმაურებულ სერიალში მთავარი როლი ითამაშე.

— **გული გწყდებათ, რომ ეს ყველაფერი დამთავრდა?**

— არა. საერთოდ არაფერზე მწყდება ხოლმე გული, რადგან რაღაც ეტაპი იწყება და მთავრდება. ეს ყველაფერი უკვე თვითონ მქონდა მობეზრებული. როგორ შეიძლება, 3 წელი რაღაცას აკეთებდე და არ მოგბეზრდეს, არ დაიღალო?! თვითონ ვიგრძენი, რომ ახალი უნდა მეკეთებინა და ეს ჩემი სახელოსნო აღმოჩნდა, რომელმაც აბსოლუტურად სხვა რაღაცაში გადამაგდო და ჩემი თავი სხვა კუთხით წარმოვაჩინე.

— **ანუ ახალი გატაცება გაქვთ? გვიამბეთ მასზე.**

— ხელნაკეთი ტანსაცმლის სახელოსნო მაქვს, რომელიც თბილისში „მემეს“ სახელითაა ცნობილი. მალე ახალ მაღაზიასაც გავხსნით. ეს აბსოლუტურად ახალი პროექტი იყო, რომელიც 2 წლის წინ დავიწყე, მაშინ ხელნაკეთი ტანსაცმელი ბაზარზე არ ჩანდა. შეიძლება ვიღაცეები, ვისაც სამხატვრო აკადემია ჰქონდათ დამთავრებული, სადღაც რაღაცეებს თავისთვის აკეთებდნენ, მაგრამ ხელნაკეთი სამოსი, როგორც ცალკე ბრენდი, არ არსებობდა.

ხატვა ძალიან მიყვარდა, მაგრამ მისთვის დიდი დროის დათმობა არ შემეძლო, რადგან სულ გადაღებები, რეპეტიციები მქონდა. როცა სერიალიდან წამოვედი, თავისუფალი დრო გამიჩნდა და ეს საქმეც დავიწყე. უცებ წარმოვიდგინე, რა კარგი იქნებოდა, ჩემი ნახატები ტილოს მაგივრად მაისურზე დამეხატა ან ჩემი საყვარელი მხატვრის ნამუშევრის რეპროდუქცია ტანსაცმლით მეტარებინა. რამდენიმე ცნობილი ნამუშევარი, მათ შორის მატისის მინიმალისტური ფიგურები, ავიღე და მაისურზე გადავიტანე, ხელით დავხატე. ორი კვირის შემდეგ „ფეისბუქზე“ გვერდი გავაკეთე და ჩემი მაისური დავდე, რასაც ძალიან დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ნელ-ნელა დიდი სახელოსნო შეიქმნა, რომელიც დღეს ძალიან წარმატებულია.

— **სახელად მემე როგორ მოიფიქრეთ, თქვენი მეტსახელი ხომ არაა?**

— კი, მემე ჩემი მეტსახელია, ჩემი მეგობრები ამ სახელს უფრო მეძახიან, ვიდრე თინას. როცა პირველი მაისური გავაკეთე, მემე მივაწერე. თითქმის მთელ თბილისს აცვია ეს მაისურები. შემიძლია დავიკვეხნო, რომ ძალიან გემოვნებიანი და კარგი სეგმენტი მყავს. მაისურებზე ჩემთან ერთად ისეთი მაგარი მხატვრები მუშაობენ, როგორებიც არიან ზურა მჭედლიშვილი და სოფო კირთაძე.

— **სხვანაირად გამოიყურებით, თმაც დაგიმოკლებიათ.**

— მოკლე კარე მაქვს, მაგრამ ესეც მალე შეიცვლება. ზუსტად იმ წელს, როცა სერიალიდან წამოვედი, ახალი წლის ღამეს, მაკრატელი ავიღე და ჩემი ძალიან გრძელი თმა ძალიან მოკლედ შევიჭერი. კარგი ექსპერიმენტი იყო ჩემთვის, თითქოს ძველ წელს რაღაცეები გავატანე.

— **პირად ცხოვრებაშიც ხომ არ არის ცვლილებები? მახსოვს, რომ შეყვარებული იყავით.**

— არაჩვეულებრივად ვარ ჩემს არაჩვეულებრივ გიორგი სამხარაძესთან ერთად. უკვე მეხუთე წელი დაიწყო, რაც ერთად ვართ, საქმეს ერთად ვაკეთებთ, ძალიან მგულშემატკივრობს, ჩემი სახელოსნო ძალიან მოსწონს. მეუბნება, იმიტომ მიყვარხარ, ასეთი მაგარი რომ ხარ და ასეთ რაღაცეებს ქმნიო. ეს ძალიან მიხარია, თუმცა ხშირად ვჩხუბობთ კიდეც. სტანდარტული, სტაბილური შეყვარებულები არ ვართ, რომლებიც ხელჩაკიდებულები დადიან. შეიძლება იმაზეც კი ვიჩხუბოთ, თუ მეტყვის, ამა და ამ რეჟისორის ფილმი კარგი არ არისო. ასეთ რაღაცეებზე შეიძლება ერთმანეთს ავყვეთ, ეს ძალიან სასაცილოა, მაგრამ ამ ურთიერთობის მთელი მუღამი ეს არის.

— **გიორგი რას საქმიანობს?**

— წარმატებული ბიზნესმენია, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ მარტო ამითაა დაკავებული, ბევრ რაღაცას აკეთებს. ძალიან ცნობილ სარეკლამო სტუდიაშიც მუშაობს, ცნობილი კაფე აქვს...

— **დაქორწინებაზე არ ფიქრობთ?**

— არა. ძალიან ბევრი საქმე გვაქვს და დამატებით ოჯახური საქმეები არ გვინდა, თან ასეთი ტიპები არ ვართ. ისედაც ერთად ვართ, რაღაც ფორმალობა კი სისულელეა. გვირჩევნია, ჩვენი საქმე ვაკეთოთ, ვიმოგზაუროთ, ფილმებს ვუყუროთ, ვისეირნოთ, ვიჩხუბოთ. ხელისმოწერა აუცილებელი არაა.

✓ ეკა ლემონჯავა



Cyan Magenta Yellow Black

# მაკა შალიკაშვილი: „ღირსეული მამაკაცისგან მალე ბიჭს გავაჩენ“

მსახიობ მაკა შალიკაშვილს ჯერჯერობით არც კარიერაში აქვს ყველაფერი დალაგებული და არც — პირად ცხოვრებაში, მაგრამ ზუსტად იცის, რა უნდა. პედრო ალმადოვარს თავის მონაცემებს უგზავნის და დარწმუნებულია, რომ ცნობილ რეჟისორს დააინტერესებს, მანამდე კი ბიჭის გაჩენას აპირებს. ახლა 36 წლისაა და დარწმუნებით ამბობს, რომ 37 წლისას მეორე შვილი აუცილებლად ეყოლება, ხოლო 45 წლის ასაკში ახალ ცხოვრებას დაიწყებს. ნანობს, რომ ერთი პერიოდი ტელევიზია არჩია თეატრს და ცდილობს, დაიბრუნოს ის, რაც ფინანსური ინტერესის გამო ხელიდან გაუშვა — სცენაზე თამაში.

**— მაკა, ერთი პერიოდი ტელეეკრანზე აქტიურად ჩანდით, წამყვანი იყავით. ახლა სად მუშაობთ, დაუბრუნდით სცენას?**

— თეატრი — ეს ის სფეროა, რომელსაც არასდროს დავთმობ. მჯერა, რომ მალე სცენას ახალი როლებით დავუბრუნდები. ეს საქმე თავგანწირვას მოითხოვს, ძალიან ეგოისტია, სულ მისი უნდა იყო. ამ ბოლო წლებში, ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, სულ თეატრის ვერ ვიყავი, პრიორიტეტი ტელევიზიას მივანიჭე და ჩემს საყვარელ საქმეს ჩამოვშორდი. ცხოვრების ერთ ეტაპზე მოვსინჯე ტელევიზიაში მუშაობა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ტელეწამყვანი ვარ, დავამთავრე თეატრისა და კინოს ფაკულტეტი და ვარ მსახიობი. ამას წინათ თვითმარქვია მსახიობს წავაწყდი, რამაც ძალიან გამაღიზიანა. პროდიუსერს ეუბნებოდა, რეგალიებში მსახიობი ჩამიწერეო. ხომ არ შეიძლება ყველაფერი მიიწერო და თქვა ის, რაც არ ხარ?! რამდენიმე ხნის წინ პოდიუმზე გამოვედი და, რა, მოდელი ვარ? პროექტ „იმედის ტალღაშიც“ ვმღეროდი და ესე იგი მომღერალი ვარ? უბრალოდ, სხვადასხვა პროექტში ვმონაწილეობ, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყოვლისშემძლე გახლავართ.

**— ნანობთ, ტელევიზიის გამო თეატრს რომ ყურადღება დააკელით?**

— ვნანობ, რადგან იმ პერიოდში თეატრში ძალიან ნაყოფიერად ვმუშაობდი. ხშირად ისე ხდება, რომ ცხოვრებაში ყველაფერი ერთად გეძლევა. მაშინ მე ფინანსურ მხარეზე გავაკეთე გათვლა და ის როლები, რომლებიც თეატრში მომცეს, წყალს გავატანე. ახლა ეს ყველაფერი ჩემს ცხოვრებაში აღარ არის და მენატრება. სცენაზე გონებრივად და ფიზიკურად მუშაობ, როცა ამას დიდი ხნით წყდები, მერე დუნდები. ცოტა მეშინია კიდეც, რადგან ჩემი სხეულიც გაზარმაცებულია და გონებაც, ამიტომ ახლა მეტი შრომა დამჭირდება სცენაზე.

**— თეატრიდან შემოთავაზებები აღარ გაქვთ?**

— მარჯანიშვილის თეატრში ერთ სპექტაკლში ვარ დაკავებული და ასევე — ერთ როლს ილიაუნის თეატრში (ილიას უნივერსიტეტის თეატრი. ავტ.) ვთამაშობ. ამჯერად თუ არჩევანის წინაშე დავდგები, ტელევიზია თუ თეატრი, თეატრს ავირჩევ.

**— მეტ შემოსავალზე უარს იტყვით?**

— კი. არც ერთი თეატრის შტატში არ ვარ, შესაბამისად, თუ რომელიმე რეჟისორმა დამიძახა, ჩემი ჰონორარი მწირი იქნება, მაგრამ ეს საქმე ისე მომენატრა, რომ ამად მიღირს.

**— ერთ დღეს ტელევიზიის გარეშეც დარჩით. როგორ შეხვდით ამას?**

— სადაც მე და გია ჯაჯანიძეს დაგვინახავენ, ყველა ერთსა და იმავეს გვეუბნება, თქვენი ეკრანიდან გაუჩინარება დანაშაულიაო. გადაცემა „მზესუმზირები“, რომელიც ტელეკომპანია „მზის“ ეთერში რამდენიმე სეზონი გადიოდა, დღემდე ყველას ახსოვს. არხის ხელმძღვანელობა ყოველდღე გვპირდებოდა, რომ ეთერში გავიდოდით, საბოლოოდ კი ისე მოხდა, რომ ტელეკომპანია დაიხურა. ეს ეტაპიც გადავლახე. დიდი იმედი მაქვს, რომ მე და გია ჯაჯანიძე კიდევ გამოვჩნდებით ეკრანზე ტანდემში. ვერ დავაკონკრეტებ, მაგრამ რამდენიმე ტელეკომპანიიდან შემოთავაზება გვაქვს. ხაზს ვუსვამ — დრო ისე უნდა გადავანაწილო, თეატრში სამუშაოდაც მეცალოს.



**— ახლა ბევრი თავისუფალი დრო გაქვთ. როგორ ცხოვრობთ, რას აკეთებთ?**

— თითქოს არაფერს ვაკეთებ, მაგრამ სულ სადღაც მეჩქარება. ჩემი გოგონა, თინათინი, მეორე კლასში გადავიდა, სკოლაში მიმყავს, მომყავს. მამამისის ოჯახი ძალიან მეხმარება. დიდი გოგოა, მოთხოვნილებებიც გაეზარდა. ზაფხული ქობულეთში გავატარეთ, საცურაო კოსტიუმში იპრანჭებოდა, ერთი-ორჯერ ისე გაიარ-გამოიარა, მივხვდი, რომ ჩემი შვილი დიდი გოგოა...

**— შვილს ხომ რჩენა სჭირდება, რა არის თქვენი შემოსავლის წყარო?**

— კახი ხაბეიშვილის სამოდელო სააგენტოში ვმუშაობ — დამწყებ მოდელებს მეტყველებას ვასწავლი. ჩემს სტუდენტებს ძალიან ვუყვარვარ, მათთან ვმეგობრობ.საოცრად თამამი თაობა მოდის, ძალიან ლამაზები და ნიჭიერები არიან, თუმცა ამბიციურები და ზედმეტად თავდაჯერებულებიც. მე კი დღემდე ვთვლი, რომ ბევრი მაკლია იქამდე, ვიყო შემდგარი მსახიობი, თუმცა ის, რაც აქამდე გამიკეთებია, ხალხმა დამიფასა და მადლობა ღმერთს ამისთვის. ფილმში „მიდიოდა მატარებელი“ არცთუ კარგი იმიჯის მქონე ქალს ვთამაშობ და იმის მაგივრად, რომ ჩემს პერსონაჟს ცუდი განწყობა შეექმნა უფროსი თაობის მაყურებელისთვის, პირიქით, ყველა დადებითად აფასებს. მადლობა ღმერთს, ეს ბედია!

**— ახალ ფილმზე გვიამბეთ, სადაც თქვენც თამაშობთ.**

— რეჟისორი ოთარ შამათავა თბილისის ომზე იღებს ფილმს, სადაც სულ მამაკაცები თამაშობენ. ერთადერთი ქალი მე ვარ. ჩემი პერსონაჟი მეომარია. რამდენიმე გადაღება კიევშია დაგეგმილი და ახლო მომავალში მივემგზავრებით. ამბობენ, უკრაინელებს ცუდი კაცები ჰყავთო... (იცინის). რამდენიმე დღის წინ რეჟისორი დიტო ცინცაძე შემხვდა, მითხრა, რომ გერმანიაში ფილმის გადაღებას აპირებს და მეც მომცემს როლს, ვნახოთ.

**— თქვენ ირგვლივ ჭორები არის?**

— მითხარით, რა, ჩემზე რა გაგიგიათ? ბევრია იმით გაკვირვებული, რომ არავის არაფერი გაუგია ჩემს პირად ცხოვრებაზე. ეს იმიტომ, რომ ჩემს ცხოვრებაში მამაკაცი არ არის. სანამ ძალიან სერიოზული ურთიერთობის ეტაპი არ დადგება, მიზანშეწონილად არ მიმაჩნია, რომ ამ საკითხზე საჯაროდ ვილაპარაკო. მყავდა ქმარი, ერთმანეთს გავშორდით და მას მერე არავისთან არანაირი ურთიერთობა არ მქონია.

**— ქმართან გაყრის შემდეგ არავინ გყვარებიათ?**

— არა. სიმპათიები იყო, მაგრამ სიყვარული — არა.

**— ანუ ნამდვილი სიყვარულის მოლოდინში ხართ.**

— კი, ველოდები, ველოდები, როდის შევუყვარდები გულწრფელად. ჯობია, მამაკაცისგან უფრო მოდიოდეს ძლიერი გრძნობა, ვიდრე ქალისგან. სიყვარულს ახლა სხვანაირად აღვიქვამ. ვისთანაც თავს კარგად ვიგრძნობ და ვეყვარები, მეც ის შემიყვარდება. კარგი გოგო ვარ, ის პიროვნება, ვინც ჩემ გვერდით იქნება, თავს ყველა ეტაპზე ბედნიერად იგრძნობს. იმ შეცდომებს, რომლებიც ქორწინებაში ყოფნის დროს დავუშვი, აღარ გავიმეორებ. მივხვდი, თუ მინდა, ოჯახი მქონდეს, როგორ უნდა მოვიქცე.

**— არასოდეს ყოფილა მცდელობა, ქმარს შერიგებოდით?**

— შერიგება აღარ გამოვიდოდა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, ვიცი, რომ მის ცხოვრებაში არის სხვა ადამიანი. ბედნიერებას ვუსურვებ.

**— როგორ გრძნობთ თავს ამ ასაკში?**

— სასწაულია 30 წლის შემდეგ ცხოვრება, უფრო თავდაჯერებული ხარ, უფრო ლამაზი. მგონია, ამ ასაკში უფრო საინტერესო ვარ, ვიდრე 22 წლის ვიყავი. ახალგაზრდობა არ არის საინტერესო, წლებს მოაქვს ინტერესი, გამოცდილება გროვდება.

**— ასაკთან ერთად პლასტიკურ ოპერაციებზე ფიქრის დროც დგება. თქვენ არ ფიქრობთ რამის შეცვლაზე?**

— ბოტოქსს არასდროს გავიკეთებ, მყავს არაჩვეულებრივი კოსმეტოლოგი, ვისთანაც უახლოეს მომავალში ტუჩის კორექციას გავიკეთებ, ასევე — ვაპირებ თვალის კორექციას. მკერდს 45 წლის ასაკში გავიკეთებ.

**— ახლა რატომ არა?**

— იმიტომ, რომ 45 წლის ასაკში უნდა დავიწყო ახალი ცხოვრება. მექნება დიდი მკერდი, ვივლი დეკოლტეთი. ახლა კი იმიტომ არ მინდა, რომ ჯერ შვილი უნდა გავაჩინო.

**— თუ მამაკაცი არ გყავთ, შვილის გაჩენას როგორ გეგმავთ?**

— ამ უახლოეს მომავალში უნდა ვიქორწინო, ღირსეულ კაცს გავუჩენ ბიჭს, ახლა ჩემთვის პრიორიტეტი ოჯახური იდილია და შვილია. 37 წლის ასაკში გავაჩენ ბიჭს, 45 წლისა კი ვიკეთებ მკერდს!

**— ისე ლაპარაკობთ, მგონი, თქვენ გვერდით მართლაც არის მამაკაცი და შვილსაც ელოდებით.**

— არავინ მყავს, მაგრამ დღეს, ხვალ ველოდები, ასეთი გეგმები მაქვს დასახული. რაც შეეხება კარიერას, პედრო ალმადოვარს უნდა გავუგზავნო ჩემი სივი, ნუ ჩამეძიებით, როგორ, თქვენ მხოლოდ წარმატება მისურვეთ. გგონიათ, გავგიჟდი? არა. მითხარით, ღმერთმა გისმინოსო.

**— ღმერთმა გისმინოთ! გულწრფელად გისურვებთ წარმატებას!**

✓ ლანა კიკნაძე


## ნათელმხილველი ნელი ბიჩიკაშვილი



სამწუხაროდ, დღევანდელ ყოფაში პრობლემები ჩვენი ყოველდღიური თანამგზავრი გახდა. თუ ბევრი გასაჭირი დაგატყდათ თავს, როგორიცაა უბარაქობა, ბედის ჩაკეტვა, უშვილობა, ჯადოს ზემოქმედება, ნარკომანია, ლოთობა, კაზინოდამოკიდებულება და სხვ. მიმართეთ ნათელმხილველ ნელი ბიჩიკაშვილს! ქ-ნი ნელი იმ ერთეულთა შორისაა, ვისაც შეუძლია უზუსტესად იწინასწარმეტყველოს თქვენს თავს დატეხილი უბედურების მიზეზი და ამ მიზეზის განეიტრალება მოახდინოს... ქ-მა ნელიმ ბევრ უშვილო წყვილს აჩუქა შვილის ყოლის ბედნიერება.

მერწმუნეთ, ქ-ნი ნელის წინასწარმეტყველება ბევრ სიურპრიზს გპირდებათ...

**ჩაწერა ხდება წინასწარ.**

☎ 214-20-65 (ბინა), 593-30-65-51, 599-20-37-64, 597-10-23-37.




Cyan Magenta Yellow Black

# ქართველმა მორაგბემ და მისმა რჩეულმა ხელი სტადიონზე მოაწერეს

## ხაჭაპურას და პრინცესას ქორწილის დეტალები



შორტები, სპორტული მაისური, თეთრი პერანგი და ყელზე ბაფთა — ასე იყო ჩაცმული 21 წლის მორაგბე, საქართველოს ჩემპიონი გუნდის „ლელოს" წევრი, სანდრო ქოიავა, იგივე ხაჭაპურა, საკუთარი ქორწილის დღეს. ამ სტილის შესაფერისად იყო გამოწყობილი პატარძალიც, 23 წლის მარიამ დათუკიშვილი. ქორწინების ადგილიც ორიგინალური გახლდათ — ხელისმოწერის ცერემონიალი „ლელოს" სტადიონზე გაიმართა. სიძის მაყრიონიც — მორაგბეები შორტებით, გამაშებით, თეთრი პერანგებითა და ბაფთებით გამოცხადდნენ. რაც შეეხება მარიამის მეჯვარეებს, გოგონებს შავი მოკლე ქვედატანები და მწვანე მაისურები ეცვათ, წარწერით „მისტერ და მისის ხაჭაპურები", ბიჭს კი — შოტლანდიური ნაციონალური სამოსი ეცვა.

მექორწილეებმა სტადიონზევე შემწვარი მწვადებით მოილხინეს, შემდეგ კი მარიამის და სანდროს ახალ სახლში გადაინაცვლეს. სწორედ იქ ესტუმრა „სარკე" ახალდაქორწინებულ წყვილს.

**მარიამი**: ჩვენი სიყვარულის ისტორია საცურაო აუზიდან დაიწყო. მანამდე სანდროს დედასთან ვმეგობრობდი, მერიაში მასთან ერთად ვმუშაობდი. ვიცოდი, რომ მას ბიჭი ჰყავდა. ხუმრობით მეუბნებოდა, რძლად მომწონხარო. თურმე სანდროსაც სახლში ყოველდღიურად ჰქონდა ჩემ შესახებ დღის „კოლაჟი".

**სანდრო**: „რა პრინცესა მყავს, მარიამი რა გოგოა! როგორ მოპრინცესდება ხოლმე, როგორ წაპრინცესდება!" — აი, ამ სიტყვებით ბრუნდებოდა ყოველდღე დედაჩემი სახლში. დამანებე თავი, არ მაინტერესებს-მეთქი, ვეუბნებოდი, მაგრამ „ფეისბუქზე" მარიამის ფოტოებს ჩუმად ვათვალიერებდი. ასე ტვინს მიჭამდა დედა, მე კი, არ მინდა-მეთქი, უარზე ვიყავი. მერე ტელეფონში მარიამის ნომერი ათასნაირად ჩამიწერა. ჯერ „პრინცესა მარიამი" ჩაწერა, მერე „მარიამი — მერია" და ა.შ. ბოლოს მეც დავინტერესდი და ახლაც დაინტერესებული ვარ.

**მარიამი**: მოკლედ, ყველაფერი სამი წლის წინ მეგობრობით დაიწყო. მე და სანდრო ერთ უნივერსიტეტში ვსწავლობდით. პირველად იქ მომკრა თვალი და გადაწყვიტა, რომ აუზზე იმ დროს მოსულიყო, როცა იქ ვიქნებოდი და ასეც მოიქცა. მას შემდეგ აუზზე სულ ერთად დავდიოდით. ყველგან დამყვებოდა, მკერავთანაც კი.

**— ერთმანეთს სიყვარულში როდის გამოუტყდით?**

**მარიამი**: ბათუმში ვიყავით დასასვენებლად. სწორედ იქ ვაღიარეთ, რომ შეყვარებულები ვიყავით.

**სანდრო**: მახსოვს, მარიამს დაქალმა დაუტოვა ნათლული, მივაკითხე და მაშინ ვუთხარი, რომ მიყვარდა. მას შემდეგ სამ წელზე მეტი გავიდა.

**— ძალიან ორიგინალური ქორწილი გქონდათ. როგორ გადაწყვიტეთ დაქორწინება, თან ასეთი ორიგინალური სახით?**

**მარიამი**: ჩვენი შეუღლება სახლზე იყო დამოკიდებული. ბანკიდან სესხი გვჭირდებოდა, ჩვენ თანამსესხებლები უნდა ვყოფილიყავით, ამისათვის საჭირო იყო, ოჯახის წევრი ყოფილიყო, სანდროს შემთხვევაში კი ის ქმარი უნდა გამხდარიყო. რადგან ხელი გვქონდა მოსაწერი, არ გვინდოდა, ყველაფერი პროცედურულად ჩატარებულიყო და გადავწყვიტეთ, რაღაც ორიგინალურად გაგვეკეთებინა. სახლს გირაოთი ვეძებდით და, როგორც კი ვიპოვეთ, ეს ყველაფერი სამ დღეში დავგეგმეთ.

**სანდრო**: არ ვიცოდით, ბანკი სესხს მოგვცემდა თუ არა.

**მარიამი**: ბანკმა სეხსი მოგვცა, თან, ოჯახს რომ ვქმნიდით, ხელი შეგვიწყვეს და განსაკუთრებული პირობები შემოგვთავაზეს. სტადიონზე ხელისმოწერის იდეა რომ შევთავაზე სანდროს, დამცინა. როცა მისი ჩაცმულობა აღვუწერე და ვუთხარი, რომ ბუცები, გამაშები, შორტები, პერანგი ეცმეოდა და თან იმ გუნდთან ერთად იქნებოდა, რომელსაც დღის უდიდეს ნაწილს უთმობს და ყველა

**სანდრო: „მარიამის ხმას რომ გავიგონებ — „მიდი, ხაჭაპურა!" — ყველაზე მეტად მიხარია".**

ძალიან უყვარს, იდეა მოეწონა. მერე ეს გეგმა დავხვეწეთ და ბიჭებიც ჩაერთვნენ საქმეში. სანდრომ ამ ყველაფრისთვის ნებართვა „ლელოს" პრეზიდენტს სთხოვა, ასევე — თავის მწვრთნელს. რა თქმა უნდა, დაგვთანხმდნენ და ყველაფერში ხელი შეგვიწყვეს.



■ სანდრო და მარიამი ქორწილის დღეს

**მარიამი: „თაიგული ვისროლეთ არა უკუღმა, როგორც პატარძლები აკეთებენ, არამედ წინ. რაგბის ჩაწოდება გავაკეთეთ, როგორც აუტის დროს აწოდებენ ბურთს".**

**სანდრო**: იმდენად უნდოდათ ჩვენი ერთად ყოფნა, მეუბნებოდნენ, ეს საქმე სასწრაფოდ გადაწყვიტეო. სეზონი რომ დაიწყო, გუნდი მატერიალურად მოძლიერდა, ხელფასი მოგვემატა და გუნდის მწვრთნელმა ლევან მაისაშვილმა მითხრა, ხელფასი იმიტომ მოგემატა, ცოლი რომ მოიყვანოო.

**— სანდრო, ხაჭაპურა როგორ შეგარქვათ?**

**სანდრო**: მარიამი პრინცესაა, მე კი რაგბიზე შესვლის პირველი კვირიდან, უკვე 16 წელია, ხაჭაპურას მეძახიან. ტაიმსა და ტაიმს შორის ხან ხუთ ხაჭაპურს ვჭამდი, ხანაც ექვსს. მამაჩემს სულ ვეხვეწებოდი, რამდენ ლელოსაც დავდებ, იმდენი ხაჭაპური მიყიდე-მეთქი და მას შემდეგ სულ ასე მეძახიან.

**— თქვენს ქორწილში მეჯვარეებიც უცნაურად იყვნენ ჩაცმული, განსაკუთრებით — ბიჭი. ასე ვინ მოიფიქრა?**

**მარიამი**: ჩემი მეჯვარეები ბავშვობის მეგობრები არიან: ანა გახოკიძე, თინა მახარაძე, იგივე მემე და სანდროს მეგობარი, ეროვნული ნაკრების მოთამაშე, „ლელოს" წევრი, ირაკლი ყიასაშვილი. ირაკლიმ, იქიდან გამომდინარე, რომ გოგოს მეჯვარე იყო, შოტლანდიური ფორმა ჩაიცვა, თან კაბა ეცვა, როგორც გოგოს მეჯვარეს და თან კაცურადაც გამოიყურებოდა. მეჯვარე გოგონებს შავი მოკლე ქვედატანები და ცისფერი მაისურები ეცვათ, რომელზეც „მისტერ და მისის ხაჭაპურები" ეწერათ.

**სანდრო**: მეჯვარეებად მეც ბავშვობის ძმაკაცები მყავდნენ — ზვიად ნავროზაშვილი, ჩემი კარის მეზობელი გიორგი ჭყოიძე და ლაშა ხმალაძე, სამივე ძალიან მიყვარს. ლაშა და გიორგი ჩემი გუნდელები და ნაკრების მოთამაშეები არიან.

**მარიამი**: სტადიონი ჩვენმა მეგობრებმა, ვახტანგ მძინარიშვილმა და მისმა მეუღლემ, თათა ნადარეიშვილმა მორთეს. მთელი დეკორაცია მწვანე, მოედნის ფერში იყო და რძისფერი გვქონდა შეხამებული, ასეთივე იყო ჩვენი ტორტიც.

**სანდრო**: როცა ვვარჯიშობთ, სპეციალური ბალიშები გვაქვს, რომელზეც დაჯახებას ვსწავლობთ. ხელი სწორედ შესაბოჭ ბალიშზე მოვაწერეთ. მთელი გუნდი შეყვარებულებით, მეუღლეებით, შვილებით იყვნენ მოსული.

**მარიამი**: თაიგული ვისროლეთ არა უკუღმა, როგორც პატარძლები აკეთებენ, არამედ წინ. რაგბის ჩაწოდება გავაკეთეთ, როგორც აუტის დროს აწოდებენ ბურთს. მოკლედ, იმ დროს ვიყავი მოთამაშე ნომერი 2.

**— ჯვარი თუ დაიწერეთ? ამ ფორმაში ტაძარში ვერ შეხვიდოდით.**

**სანდრო**: არა, ჯვარი არ დაგვიწერია. ქართველ მორაგბეს, ჩემს მეგობარს, ლაშა ლომიძეს ველოდებით, რომელიც საფრანგეთშია ლეგიონერი. როგორც კი ჩამოვა, მაშინვე ჯვარს დავიწერთ.

**— მარიამ, თეთრ საპატარძლო კაბაზე ყველა გოგო ოცნებობს. თქვენ კი ამ დღეს სპორტულ სამოსში იყავით...**

**მარიამი**: იმდენად ყოველდღიური გახდა ეს ულამაზესი კაბები, ყველა იწერს, აკერვინებს, ორი თვე კაბას ელოდებიან, მეორე კაბასაც — გამოსაცვლელად... ჩემი აზრით, ეს იმდენად ხელოვნურია და იმდენ ნერვიულობას იწვევს, შენი ქორწილი, შენი ბედნიერების დღე არ გერგება. ჩემი ბიჭის მაისური მეცვა, რომელიც ნებისმიერ საქორწინო კაბას ჯობია, რომელიც ჩემს ბიჭს სისხლით, ტალახით, ბალახით ესვრება. ჩაცმულობას საქორწილო დეტალებიც დავამატეთ, თავზე კი პრინცესას გვირგვინი მედგა. შორტს რაც შეეხება, ეს ის შორტი იყო, რომლითაც ჩემი ბიჭი საქართველოს სახელით იბრძოდა. ბოტასები კი სანდრომ ქორწილის დღეს მაჩუქა.

**— ქორწილის შემდეგ სად მოილხინეთ?**

**მარიამი**: ყველამ, ვინც საღამომდე დარჩა, ჩვენს ახალ სახლში გადავინაცვლეთ. სტადიონზე კი მწვრთნელმა ლევან მაისაშვილმა რაგბის ბურთი დაჩუქა და ამ ბურთით დალიეს ჩვენი სადღეგრძელო. ამითიც ახალი ტრადიცია დაინერგა: მომავალში ვინც გადაწყვეტს, რომ ხელი ჩვენნაირად მოაწეროს, ნეფე-პატარძლის სადღეგრძელოს ამ ბურთიდან დალევენ.

**— მარიამ, სანამ სანდროს გაიცნობდით, რაგბიში კარგად ერკვეოდით?**

**მარიამი**: ერთადერთი ის ვიცოდი, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრები წარმატებებს აღწევდა. სანდროს გაცნობის შემდეგ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ რაგბის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური გულშემატკივარი ვარ.

**სანდრო**: მარიამის ხმას რომ გავიგონებ: „მიდი, ხაჭაპურა!" ყველაზე მეტად მიხარია. მარიამი სადაც უნდა იჯდეს, მოედნიდან სულ ვპოულობ.

✓ ეკა ლემონჯავა



Cyan Magenta Yellow Black

# რიჩარდ გირი ცოლს ეყრება

ჰოლივუდის 64 წლის ვარსკვლავის, რიჩარდ გირისა და 52 წლის მოდელისა და მსახიობის, კერი ლოუელის ქორწინება დასასრულს უახლოვდება. როგორც ამერიკული გამოცემა „ნიუ იორკ პოსტი“ წერს, წყვილი დიდი ხანია ცალ-ცალკე ცხოვრობს, ცოტა ხნის წინ კი გასაყიდად საკუთარი სახლი გამოიტანეს, სადაც 11 წელი გაატარეს.

პაპარაცები აღნიშნავენ, რომ ელიტურ წვეულებებსა და პრემიერებზე წყვილი ერთად აღარ ჩნდება. ბოლოს ისინი იანვარში „ოქროს გლობუსის“ ცერემონიალზე ნახეს.

მათი დაშორების ორი ვერსია არსებობს. პირველის თანახმად, რიჩარდისა და კერის ცხოვრების სტილი ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან. რიჩარდს აღარ სურს ბოჰემური ცხოვრება და მთელი თავისუფალი დროის გატარება სახლში უნდა. ცოლს კი პოპულარობა და ხმაურიანი წვეულებები იზიდავს. ამის გამო ისინი ხშირად კამათობენ.

მეორე მიზეზად კი ეჭვიანობა სახელდება.

— დავიღალე იმის შიშით, რომ რიჩარდი ერთ მშვენიერ დღეს მიღალატებს და ფაქტის წინაშე დამაყენებს, — აცხადებს კერი.

როგორც ოჯახის ახლობელი ამბობს, წყვილი ცდილობს, შვილის გამო მეგობრული ურთიერთობა შეინარჩუნოს. ჰომერი 2004 წელს დაიბადა და სახელი რიჩარდის მამის პატივსაცემად დაარქვეს. ამ ეტაპზე, სანამ გაყრის პროცესს შეუდგებიან, ისინი 65 მილიონ დოლარად ყიდიან 3,5 კვადრატულ კილომეტრზე გადაჭიმულ მიწას თავისი სახლით.

რიჩარდისათვის ეს მეორე ქორწინებაა. მისი პირველი ცოლი ცნობილი მოდელი სინდი კროუფორდი გახლდათ. კერისათვის კი რიჩარდი მესამე ქმარია. მანამდე ის ჯერ ფოტოგრაფზე იყო გათხოვილი, შემდეგ კი — რეჟისორზე.



■ კერი ლოუელი და რიჩარდ გირი

# ამერიკის ყველაზე მაღალშემოსავლიანი წყვილები



■ ჯეი ზი და ბიონსე

ჟურნალმა „ფორბსმა“ 2013 წლის შოუბიზნესის ყველაზე მაღალშემოსავლიანი წყვილი გამოავლინა. ლიდერობა ამჯერადაც არავის დაუთმეს 43 წლის რეპერმა ჯეი ზიმ და 32 წლის მომღერალმა ბიონსემ. მათ ერთი წლის განმავლობაში 95 მილიონი დოლარი იშოვეს. ეს გასაკვირიც არ არის, რადგან ჯეი ზი პარალელურად ჰიპ-ჰოპის ყველაზე მდიდარ შემსრულებლებს შორის მეორე ადგილზეა. მისი ქონება 475 მილიონ დოლარადაა შეფასებული.

მეორე ადგილი ჟიზელ ბანდჩენმა და ტომი ბრეიდმა დაიკავეს. სუპერმოდელისა და ამერიკელი ფეხბურთის ვარსკვლავის წლიურმა შემოსავალმა 80 მილიონს გადააჭარბა. მესამე პოზიციაზე აღმოჩნდნენ ანჯელინა ჯოლი და ბრედ პიტი — 50 მილიონი დოლარით. ეშტონ კატჩერი და მილა კუნისი მეოთხე ადგილს დასჯერდნენ. ხუთეულში მოხვდნენ ასევე რეპერი კენი ვესტი და სკანდალური კიმ კარდაშიანი.




გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.
მწარმოებელი: Bayer Consumer Care AG (Switzerland)


შეიგრძენი
სუპერ
კომფორტი
Vernel
ვერნელი
Супер Комфорт
Vernel
Свежий Бриз
Perfume Pearls
Henkel
СУПЕР концентрат 1Л
Супер Комфорт
Vernel
Свежесть Летнего Утра
Perfume Pearls
Henkel
СУПЕР концентрат 1Л
Henkel
ჰენკელი
ქსოვილის დამარბილებელი თქვენი თეთრეულის
სირბილისა და სასიამოვნო სურნელისათვის

# ტომ ფორდი – ფუფუნება მდიდრებისათვის

ტომ ფორდის 2013-2014 წლის შემოდგომა-ზამთრის კოლექცია უჩვეულოდ სადღესასწაულო აღმოჩნდა და გასული საუკუნის 80-იანი წლების გავლენით გამოირჩეოდა. ნათელ, ცოტა აგრესიულ, ველური დასავლეთის პრინტებიან და გლამურული ელემენტებით გაჯერებულ კოლექციაში ერთმანეთში იყო არეული ეთნიკური მოტივები და მაქმანები, ნაქარგები და ჰაეროვანი ქსოვილები. კრიტიკოსებმა დიზაინერს ზედმეტი ფუფუნება არ მოუწონეს და აღნიშნეს, რომ კოლექცია ძალიან მდიდარი ქალბატონებისთვისაა განკუთვნილი.


სიახლე!!! ვცვლით! ძველ აპარატებს ახალ აპარატებზე
შვეიცარიული გლუკომეტრები 25 ლარად!
დიდი ფასდაკლება ქოლესტერინის აპარატზე.
აკონტროლეთ თქვენი ჯანმრთელობა!
მიოკარდიუმის ინფარქტს და ათეროსკლეროზს!
მის: ბორჯომის ქ. №4 (გერმანიის საელჩოს პირდაპირ)
ტელ: 235 44 05; 599 19 60 55. www.glucometer.ge












მოწევა კლავს
მოწევა იწვევს კანის
ნაადრევ დაბერებას



# „ცოლი მოტოციკლზე შემოვისვი და ასე ავედი ოლიმპოს მთაზე“

## მამუკა ღლონტი ამერიკაში გემით წასვლაზე ოცნებობს

ტელეკომპანია „მაესტროს“ ხელმძღვანელი, მამუკა ღლონტი, ფიქრობს, რომ ისეთ ასაკშია, როცა ცოლს ხელი უნდა ჩაჰკიდოს და ბევრი იმოგზაუროს. უკვე დაიწყო კიდეც ამ იდეის განხორციელება — წელს გემით იმოგზაურეს ევროპაში და ისეთი დაუვიწყარი ერთი კვირა გაატარეს, დღესაც ემოციის გარეშე ვერ იხსენებენ. პროფესიით არქიტექტორზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება ფლორენციამ მოახდინა, ის კი არადა, მუზეუმში შესულს ლამის სასწრაფო დახმარების გამოძახებაც დასჭირდა.

უცხო ქალაქებში ძირითადად მოტოციკლით გადაადგილდება, უყვარს მუზეუმებში სიარული, მაღალი კლასის რესტორნებს კი არ სწყალობს. მისი აზრით, ყველაზე მოწესრიგებული ქვეყანა გერმანიაა, კორუფციის ბუდედ კი ეგვიპტეს მიიჩნევს, საიდანაც საშინლად უარყოფითი ემოციებით დაბრუნდა. თუ რატომ, ამაზე თავად გვიამბობს ინტერვიუში.

**„ასაკში, რომელშიც ვარ, ცოლი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჩემს ცხოვრებაში, განსაკუთრებული ადამიანი ხდება და, რაც დრო გავა, ეს კიდევ უფრო მეტად შეიგრძნობა. ცოლთან ერთად მოგზაურობა ცხოვრების ამ ეტაპზე უფრო სასიამოვნოა“.**

**— ბატონო მამუკა, მოგზაურობა თუ გიყვართ და რამდენად ხშირად გიწევთ საქართველოს დატოვება?**

— მოგზაურობა ძალიან მიყვარს. საზღვარგარეთ ხან საქმის გამო მივდივარ, ხანაც უბრალოდ, სამოგზაუროდ. როცა მომენტი ჩამივარდება, თუ საშუალება მაქვს, ყოველთვის ვცდილობ, ქვეყნიდან გავიდე. სამწუხაროდ, უფრო ხშირად საქმიანი გასვლები მიწევს.

**— საქმიანი გასვლების დროსაც ახერხებთ უცხო ქვეყნის გაცნობას?**

— სიმართლე გითხრათ, ვახერხებ. მახსოვს, ერთხელ მეგობრებთან ერთად რომელიღაც ქალაქში გახლდით. რომ ჩავფრინდით, შუადღე იყო. დაღლილები, ღამენათევები ვიყავით. ისინი დასაძინებლად დაწვნენ, მე კი ქუჩაში გამოვედი. ქალაქის დათვალიერებას მაქსიმალურად დიდ დროს ვუთმობ, მით უმეტეს, თუ იქ ნამყოფი არ ვარ.

**— ბოლოს სად იმოგზაურეთ?**

— ბოლოს ისეთ მოგზაურობაში ვიყავი... დღესაც შთაბეჭდილებების ქვეშ ვარ. ეს იყო ერთკვირიანი კრუიზი — ცოლთან ერთად გემით ვიმოგზაურე. სტამბული, ხორვატია, იტალიის ორი ქალაქი და საბერძნეთი მოვიარეთ და კვლავ სტამბულში გავჩერდით. მეუღლესთან ერთად ხშირად ვმოგზაურობ.

**— ახალგაზრდობაშიც ბევრს მოგზაურობდით ცოლთან ერთად?**

— უკვე 50 წელს მივუკაკუნე. სხვადასხვა ასაკში ყველაფრისადმი განსხვავებული დამოკიდებულება გაქვს, მათ შორის — შვილებისა და მეუღლისადმი. გულითა და გონებით ჯერ კიდევ პატარა ბიჭი მგონია თავი, მაგრამ ასაკში, რომელშიც ვარ, ცოლი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჩემს ცხოვრებაში, განსაკუთრებული ადამიანი ხდება და, რაც დრო გავა, ეს კიდევ უფრო მეტად შეიგრძნობა. ცოლთან ერთად მოგზაურობა ცხოვრების ამ ეტაპზე უფრო სასიამოვნოა.

**— კრუიზიდან რა მოგონებები ჩამოგყვათ?**

— პორტიდან ოლიმპოს მთა 30 კილომეტრის მოშორებითაა. იქ ასვლა იყო ძალიან საინტერესო. ყველაზე პატარა, 50 კუბიანი მოტოციკლი ვიქირავე, ცოლი უკან შემოვისვი და ასე ავედი ოლიმპოს მთაზე. კარგ ბორანზე კი ვარ ნამყოფი, მაგრამ გემზე ამდენი ხნით პირველად გახლდით. ჩვენი გემი 17 სართულიანი და სიგრძით დაახლოებით ნახევარი კილომეტრი იყო. იმხელა გახლდათ, მასზე იოლად დაიკარგებოდით. გემზე იყო მაღაზიები, რესტორნები, კაზინოები და ჩვენი ფილარმონიისხელა საკონცერტო დარბაზი თავისი კარგი შოუებით. კაიუტას აივანიც ჰქონდა, შიგნით კი ყველანაირი კომფორტი იყო, მათ შორის — ინტერნეტიც.

**— ეს სიამოვნება ალბათ საკმაოდ ძვირი დაგიჯდათ.**

— სხვათა შორის, არა. დაახლოებით იგივე ჯდება, რაც ათდღიანი დასვენება თურქეთში. უბრალოდ, თურქეთისგან განსხვავებით, ყველაფერი ევროპული ხარისხისაა. საჭმელი, სასმელი, მომსახურება ბევრად უფრო მაღალი დონის, ვიდრე თურქეთის ხუთვარსკვლავიან სასტუმროში.

**— ცოლთან ერთად მოგზაურობისას საყიდლებზე სიარულს ვერსად გაექცევით. ამ დროს როგორ ეწყობით ერთმანეთს?**

— როცა ამის საშუალება გვაქვს, ვამბობთ, რომ შეგვიძლია ვიშოპინგოთ. როცა არ გვაქვს, მაღაზიებში ტყუილად არ შევდივართ, ასე სიარული ქალისთვის ძალიან მძიმეა. შოპინგი მოგზაურობის დროს ერთ-ერთი კარგი მომენტია, მაგრამ დათვალიერებას მეტ უპირატესობას ვანიჭებთ, ვიდრე საყიდლებზე სიარულს.

**— ანუ თქვენთვის, როგორც მამაკაცისთვის, შოპინგი მომაბეზრებელი პროცესი არ არის?**

— საშინლად მომაბეზრებელია. სამი გოგო მყავს, უკვე საკმაოდ დიდები არიან. მახსოვს, პირველად ანტალიაში ოჯახი მანქანით წავიყვანე. შვილებმა მთხოვეს, ვიშოპინგოთო. ყველას მივეცი ფული, მაგრამ მივქარე და მეც გავყევი. დაახლოებით 8-9 საათის შემდეგ ძლივს მივბოდიალდით სასტუმროში. ყველა მაღაზიასთან გარეთ ველოდებოდი.

**— საზღვარგარეთ თქვენთვის რას ყიდულობთ ხოლმე?**

— უფრო მეტად ჩემი ზომის ტანსაცმელს, რაც საქართველოში რთულად იშოვება. ცოლ-შვილისთვის სუნამოები ჩამომაქვს. ქვეყნისთვის დამახასიათებელი სუვენირები, იმ ქვეყანაზე წიგნები და ბუკლეტებიც აუცილებლად მომაქვს.

**— გამგზავრებამდე წინასწარ ეცნობით ინფორმაციას ქვეყნის შესახებ?**

— ამ საკითხში ძალიან მაგარი ვარ. ქალაქზე, სადაც ჩავდივარ, თითქმის ყველაფერი წინასწარ ვიცი ხოლმე. გარდა ამისა, ძალიან კარგი ჯიპიესი მაქვს, სადაც შემაქვს ობიექტები და ვსარგებლობ. სადაც ჩავდივარ, ხშირ შემთხვევაში მოტოციკლს ვქირაობ. ჩემს ჯიპიესს მასზე ვამაგრებ და ისევე ვმოძრაობ, როგორც თბილისში. ასე რომ, თითქმის წინასწარ ვიცი, სასტუმროსთან ახლოს რა მუზეუმი ან ღირსშესანიშნაობაა დასათვალიერებელი.

იმდენად მოწესრიგებული ვარ, უცხო ქალაქში არასოდეს დავკარგულვარ. ჯიპიესის გარდა ტელეფონში დამატებითი საძიებო სისტემაც მაქვს. სისტემა ყველა ქალაქში ერთია, სულ რომ არაფერი მქონდეს, ავტობუსით ან მეტროთი მაინც მივაგნებ სასურველ ადგილს. ჩემი სისტემაც მაქვს. თუ მანქანას სადმე ვაყენებ და არსებობს საშიშროება, რომ ველარ ვიპოვი, იმ ადგილს ფოტოს ვუღებ.

**— თქვენთვის ყველაზე შთამბეჭდავი ღირსშესანიშნაობები სად დაათვალიერეთ?**

— პროფესიით არქიტექტორი გახლავართ. ფლორენციაში ჩასვლისთანავე სრული შოკი მივიღე. ოღონდ ეს სერიოზული შოკი იყო! არქიტექტურას ყოფილი საბჭოთა კავშირის პერიოდში ვსწავლობდი და დარწმუნებული ვიყავი, ფლორენციას სიცოცხლეში ვერ ვნახავდი. მოგეხსენებათ, მაშინ ქვეყნის დატოვება რთული იყო. პირველად ფლორენციაში ორი წლის წინ გახლდით და მაშინ მივხვდი, ფერები რა იყო, მანამდე ფერადად ვერ ვხედებოდი. იქ არის სანტა მარია დელ ფიორეს ტაძარი, რომელიც ისედაც მიყვარდა და ყველაზე მეტად მომწონდა, როგორც არქიტექტურული ძეგლი. მუზეუმის შესასვლელში დავითიდან დაწყებული ყველას ქანდაკებებს ნახავთ.

მოედანზე რამდენიმე სასწრაფო დახმარების მანქანა იდგა, მაგრამ ვერ მივხვდი, რატომ. მუზეუმში რომ შევედი და ამდენი →44

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი
(შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა)
დისბაქტერიოზი
მიიღეთ
ლაქტო-ჯი
www.laqto.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

ნახატი დავინახე, სერიოზულად ცუდად გავხდი. არ ვაჭარბებ, მართლა ცუდად გავხდი, თავბრუ დამესხა და ვიფიქრე, გონებას ვკარგავ-მეთქი. ასეთი რამ ცხოვრებაში არ მომსვლია, გონება არასდროს დამიკარგავს. ძალიან მდგრადი ფსიქიკა მაქვს, მაგრამ, ეტყობა, ეს დიდი კულტურული შოკი იყო. ყველაფერი, რასაც ახალგაზრდობაში ვსწავლობდი და ვეტრფოდი, ჩემ თვალწინ გადაიშალა! ისე ცუდად გავხდი, ჰაერზე გამოვედი. მე არ დამჭირვებია, მაგრამ მივხვდი, გარეთ რატომ იდგა სასწრაფო დახმარების ამდენი მანქანა.

ფლორენციაში იმდენს დავდიოდი... ერთხელ სასტუმრომდე 100 მეტრიღა მქონდა დარჩენილი და ისეთი დაღლილი ვიყავი, იქამდე ვერ მივაღწიე.



კანში

**— ბევრი ქვეყანა გაქვთ მოვლილი?**

— ამერიკაში, იაპონიაში, ავსტრალიაში არ ვარ ნამყოფი. რატომღაც ვიეტნამის ნახვა მინდა ძალიან. ვიეტნამზე დოკუმენტური ფილმი ვნახე, სადაც ადგილობრივები კარგად იყვნენ აღწერილი. იქ ველოტურიზმი კარგადაა განვითარებული, თითქმის ყველა სასტუმროში აქვთ ველოსიპედების სისტემა. ძალიან მაგარი ხალხია, ჩვენსავით გადაკოცნა-მოფერება იციან. მათი ბუნება და არქიტექტურაც მაინტერესებს.

**— როგორც მივხვდი, უცხო ქალაქში გადაადგილების საშუალებად მოტოციკლს ან ველოსიპედს ირჩევთ. ეს ტრანსპორტი რატომ გიყვართ ასე?**

— თუ უცხო ქალაქში რამდენიმე დღით მიწევს გაჩერება, აუცილებლად მოტოს ვქირაობ. ამ შემთხვევაში, პირველ რიგში, ბევრ დროს ზოგავ და, სადაც გინდა, მიდიხარ. მაგალითად, პარიზში შონზელიზეზე მანქანის გაჩერება დიდი პრობლემაა. მოტოთი კი ეიფელის კოშკამდე 10 მეტრის მოშორებითაც გაჩერდები.

**— პარიზს კარგად იცნობთ?**

— საკმაოდ. იქ რომ ჩავდივარ, უკვე დასათვალიერებელიც აღარაფერი მაქვს, უბრალოდ დავბორიალობ ხოლმე. რაც მსოფლიოში მთელი წლის განმავლობაში ტურისტები მოძრაობენ, იმდენივე რაოდენობა პარიზს სტუმრობს. ამ ქალაქს თავისი ხიბლი და სუნიც კი თავისებური აქვს. ლუვრში ისეთი შოკი არ მიმიღია, როგორიც ფლორენციაში, მაგრამ იქ კიდევ უფრო დიდი სივრცეა. ჯოკონდა რად ღირს? ამაზე მაგარს ვერაფერს ნახავთ!

**— უცხო ქალაქში სამართალდამცავებთან თუ გქონიათ შეხება?**

— სამართალდამცავებთან — არა, მაგრამ ეგვიპტის მესაზღვრეებს გავიხსენებ. ეგვიპტეში ერთხელ ვიყავი და მეორედ იქ აღარ ჩავალ.

აეროპორტში ათასამდე მგზავრი იყო და მხოლოდ ერთი გასასვლელი გახსნეს. ვიზები არაბულ ენაზე მოგვიტანეს, შეავსეთო. არაბული არ მესმის-მეთქი, რომ ვთქვი, თარგმანში

**„ფლორენციაში ჩასვლისთანავე სრული შოკი მივიღე... მუზეუმში რომ შევედი და ამდენი ნახატი დავინახე, არ ვაჭარბებ, მართლა ცუდად გავხდი, თავბრუ დამესხა და ვიფიქრე, გონებას ვკარგავ-მეთქი... ყველაფერი, რასაც ახალგაზრდობაში ვსწავლობდი და ვეტრფოდი, ჩემ თვალწინ გადაიშალა!.. მივხვდი, გარეთ რატომ იდგა სასწრაფო დახმარების ამდენი მანქანა".**

5 დოლარი მომთხოვეს. მოდიოდნენ და სწრაფად გასვლის სანაცვლოდ 20 დოლარს გვთხოვდნენ. მაშინვე მივხვდი, რაც ხდებოდა და ფული არავის მივეცი. ტურისტებს პასპორტებს ართმევდნენ და იკარგებოდნენ, მერე ვიღაც მოდიოდა და პასპორტის პოვნის სანაცვლოდ 100 დოლარს ითხოვდა. ამ მხრივ საშინელი ქვეყანაა!

რესტორანში შესვლას გეხვეწებიან, შეხვალ და შეკვეთას მიიღებენ თუ არა, ყურადღებას აღარავინ გაქცევს. ეგვიპტემ ცუდი შთაბეჭდილება დამიტოვა, თუ კულტურულ ღირსშესანიშნაობებს არ ჩავთვლით. ეგვიპტე კორუფციის ბუდეა. მალაზიაში თუ შეხვალთ, აუცილებლად აგეკიდებიან, რამე იყიდეო.

**— წესრიგის მხრივ რომელ ქვეყანას გამოარჩევდით?**

— ალბათ — გერმანიას, სადაც ბევრჯერ ვარ ნამყოფი. როცა მანქანის გამოცვლა მინდა, გერმანიაში მივდივარ, იქიდან ახალი მანქანით მოვდივარ და ერთი თვის განმავლობაში სხვადასხვა ქვეყანაში ვმოგზაურობ. მიუნხენი თავისი კარგი ლუდით, არქიტექტურით, ხალხით, ფეხბურთის გუნდით და მაგარი სტადიონით ძალიან მიყვარს.

გერმანელები ძალიან მოწესრიგებულები არიან. სხვათა შორის, ისეთი ცივები არ არიან, როგორც ამბობენ. შეიძლება მე შემხვდა თბილი ხალხი. იქ წესრიგი და სისუფთავე ძალიან იგრძნობა. პარიზში რომ ნაციონალისტური გადახრები აქვთ, გერმანიაში ამას ვერ იგრძნობთ, ისევე გექცევიან, როგორც გერმანელებს.

**— უცხო ქვეყნის სამზარეულოს დაგემოვნება რამდენად გაინტერესებთ?**

— თუ საქმეზე ვარ ჩასული და დამპატიჟებენ, რესტორანში იმ შემთხვევაში მივდივარ. მე თვითონ მაღალი კლასის რესტორნები არ მიყვარს. პარიზში ერთი რესტორანია, სადაც ოჯახის ღვინო აქვთ და იქ შესვლა მიყვარს ხოლმე. საზღვარგარეთ უპირატესობას ვანიჭებ რესტორნებს, სადაც საჭმელს გლეხურად ამზადებენ. გამორჩეულად მაინც ფრანგული სამზარეულო მიყვარს, ალბათ ამ კუთხით ფრანგები ყველაზე მაგრები არიან.

**— მოტოციკლით სიარული კი გიყვართ, მაგრამ მოგზაურობის დროს თვითმფრინავის გარეშე ფონს ვერ გახვალთ.**

— ძალიან მაგარი გადაადგილების საშუალებაა, მით უმეტეს, თუ არ გეშინია. ერთხელ ისეთ ძლიერ ტურბულენტურ ზონაში მოვხვდით, დაახლოებით 40 წუთი მგზავრებს ერთმანეთზე თავები გვარტყმევინა. ბარგი ძირს გადმოიყარა. თავიდან არ ვიმჩნევდით, მაგრამ მერე ძალიან შეგვეშინდა. საშინელებაა, თვითმფრინავი გვერდულად რომ ირყევა. ერთხელ მიუნხენში ვჯდებოდით და ისეთი რყევა დაიწყო, ლამის ფრთა მიწას გაჰკრა, მაგრამ გადავრჩით. როცა თბილისის აეროპორტში ვსხდებით, საშინელი ტურბულენტობა იგრძნობა, რადგან ჩვენი აეროპორტი ისეთ ადგილასაა, ყოველთვის ორპირი ქარი ქრის. სულ ვცდილობ, თვითმფრინავში ვიკითხო და არც აფრენა-დაფრენის დროს მოვცდე. ალკოჰოლს და საძილე აბებს არასოდეს ვიღებ.

**— უახლოეს მომავალში აპირებთ სადმე გამგზავრებას?**

— ძალიან მინდა, მომავალ წელს ამერიკაში გემით წავიდე.

✓ სოფიო ბოჭორიძე



პორტუ

# პორტუ – პორტვეინის სამშობლო

პორტუ ევროპის სამხრეთ-დასავლეთით, პირენეის ნახევარკუნძულზე მდებარე პორტუგალიის სიდიდით მეორე ქალაქია. ის პორტუს ოლქის ადმინისტრაციული ცენტრი და ნორტეს რეგიონის დედაქალაქია. პორტუ ქვეყნის ჩრდილოეთში, მდინარე დუეროს ჩრდილოეთ სანაპიროზე მდებარეობს ატლანტის ოკეანის შესართავთან.

ქალაქს თავდაპირველად პორტუ-კალე ერქვა. პორტუგალიისა და პორტვეინის სახელებიც სწორედ ამ ქალაქიდან იღებენ სათავეს. საქმე ისაა, რომ ღვინის სახეობა პორტვეინი სწორედ პორტუს ღვინის სარდაფებში ძველდება.



Cyan Magenta Yellow Black

პორტუ პორტუგალიის ერთ-ერთი ყველაზე ინდუსტრიული ცენტრიცაა, რის გამოც მას ხშირად ჩრდილოეთის დედაქალაქსაც უწოდებენ.

## კლიმატი

ქალაქს ხმელთაშუა ზღვის კლიმატი ახასიათებს, თუმცა მასზე გავლენას ატლანტის გრილი ნიავიც ახდენს. მიუხედავად ამისა, ზაფხულში, განსაკუთრებით კი აგვისტოში, ტემპერატურა 40 გრადუსამდე აღწევს.

პორტუში თბილი ზამთარი და ხანმოკლე ზაფხულია. ყველაზე თბილი თვეები ივლისი და აგვისტოა. იანვარი წლის ყველაზე ცივი თვეა, ამ დროს ჰაერის ტემპერატურა 9 გრადუსამდე ეცემა. ქალაქში იშვიათად წვიმს, აქ გამეფებული თბილი კლიმატი დასვენებისთვის საუკეთესო პირობებს გთავაზობთ.

## ენა

პორტუს, ისევე როგორც პორტუგალიის, სახელმწიფო ენას პორტუგალიური წარმოადგენს. მოსახლეობის 90% ინგლისურს მეტნაკლებად ფლობს, თუმცა ნასიამოვნები დარჩებიან, თუ მშობლიურ ენაზე მიესალმებით ან ერთ-ორ სიტყვას მაინც ეტყვით პორტუგალიურად.

აღსანიშნავია, რომ პორტუგალიურად არა მხოლოდ პორტუგალიაში, არამედ ბრაზილიაში, მოზამბიკში, ანგოლაში, კაბო ვერდესა და ჩინეთშიც კი საუბრობენ.

## ფული

პორტუს ეროვნულ ვალუტას ევრო წარმოადგენს, რომელმაც 2002 წელს ესკუდო ჩაანაცვლა. ქალაქში ნებისმიერი სახის მომსახურება ძალიან ძვირია. ეროვნული ვალუტის გარდა შეგიძლიათ ამერიკული დოლარი გამოიყენოთ, თუმცა არის ადგილები, სადაც მხოლოდ და მხოლოდ ესკუდოს იღებენ. თუ რესტორნის, სასტუმროს ან მაღაზიის მომსახურე პერსონალმა მაინცდამაინც ესკუდო მოგთხოვათ, არც ესაა პრობლემა, რადგან ყოველ ნაბიჯზეა გადასახურდავებელი ჯიხურები, რომლებიც 24 საათის განმავლობაში მუშაობენ.

საკრედიტო ბარათების გამოყენებას თავისუფლად შეძლებთ. უფრო მეტიც, მაღალი დონის სასტუმროებსა და რესტორნებში საფასურის მიღებას საკრედიტო ბარათებით ამჯობინებენ. რაც შეეხება მომსახურების სანაცვლოდ მიღებულ ხელის ქირას, მას ნებისმიერ დაწესებულებაში ელიან.

## გადაადგილება

პორტუს საერთაშორისო აეროპორტი ცენტრიდან 15 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს და მთელი ქვეყნის მასშტაბით ყველაზე გადატვირთულია. აეროპორტიდან ცენტრამდე მისვლას ავტობუსით, მეტროთი ან ტაქსით შეძლებთ. ავტობუსები რეგულარულად გადიან ყოველ 20 წუთში ერთხელ და მათი ღირებულება 4 ევროა. ტაქსით მგზავრობა გაცილებით ძვირი დაგიჯდებათ — 20 ევრო. მეტრო ყველაზე უსაფრთხო და იაფი ტრანსპორტია. 24 საათიანი ბილეთის შეძენას 6 ევროდ შეძლებთ და ულიმიტოდ იმგზავრებთ.

ევროპიდან და პორტუგალიის სხვა ქალაქებიდან პორტუში ჩასვლა, თვითმფრინავის გარდა, მატარებლითა და ავტობუსითაც შესაძლებელია, მაგრამ რატომღაც აღნიშნულ სატრანსპორტო საშუალებებს ნაკლები მომხმარებელი ჰყავთ.

თუ პორტუში ჩასვლა მაინცდამაინც გემით გადაწყვიტეთ, მაშინ ჯერ მეზობელ ქალაქ მატუზინიუშში მოგიწევთ ჩასვლა.

ქალაქში გადაადგილებისთვის ავტობუსი უკონკურენტოა, ნებისმიერი მათგანი 20 წუთში ერთხელ დადის, ბილეთის ღირებულება კი 1,8 ევროდან იწყება და მანძილის მიხედვით იმატებს. ავტობუსების შემდეგ ყველაზე მეტი მომხმარებელი მეტროს ჰყავს.

ქალაქში ველოსიპედებისათვის გამოყოფილი ტრასებია. გამომდინარე იქიდან, რომ მისი დაქირავება ყველა ტრანსპორტზე იაფია, ტურისტების უმეტესობა უპირატესობას სწორედ მას ანიჭებს.

ქალაქის ტერიტორიაზე ტაქსის საფასური მრიცხველით ითვლება, ღამის საათებში 22.00-დან 06.00-მდე ტარიფი 20%-ით იზრდება. მძღოლების ხელის ქირა მგზავრობის საფასურის 10%-ს შეადგენს. მგზავრობის ფასი იზრდება აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, თუ ბარგი 30 კილოგრამზე მეტს იწონის.



1 ალტუ-დორუ

ქალაქის დასათვალიერებლად მანქანის დაქირავება იდეალური გამოსავალია, ოღონდ გაითვალისწინეთ, რომ გარეუბნებში ცუდი გზებია და თანაც ბენზინგასამართი სადგურებიც იშვიათად შეგხვდებათ.

## სამზარეულო

პორტუგალიური სამზარეულო ზღვის ნობათს და თევზეულს მიაქვს. აქ ამზადებენ ყველაფერს, რაც კი ოკეანეში და ზღვაში დაცურავს — მოლუსკებს, კრევეტებს, ხამანწკებს, უშველებელ და წვრილ-წვრილ რვაფეხებს. პორტუგალიური სამზარეულოს საიდუმლოდ ითვლება ბაკალაუ. ეს არის დამარილებული ვირთევზა, რომელიც ბევრ ზეითუნის ზეთში კარტოფილთან ერთად მზადდება.

ადგილობრივები უგემრიელესად აკეთებენ გამბასს (დიდი კრევეტები). წვნიან კერძებს პორტუგალიურ სამზარეულოში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ცივი და ცხელი წვნიანები ძალიან პოპულარულია, მათგან აღსანიშნავია ქვია სუპი — ღორის ხორცით, ძეხვეულით, ბოსტნეულითა და სანელებლებით შეკმაზული ლობიო.

პორტუში ჯერ სვამენ, შემდეგ სადილს მიირთმევენ და ბოლოს ისევ სასმელს ეტანებიან. ბუნებრივია, ეს სასმელი ძირითადად პორტვეინია.

## ღირსშესანიშნაობები

პორტუ დიდი ისტორიის, კულტურული მემკვიდრეობისა და მდიდარი მცენარეული საფარის ქალაქია. პორტუმ, განსაკუთრებით კი მდინარე დუეროს სანაპიროზე მდებარე ადგილებმა, მნიშვნელოვანი ტურისტული ზრდა განიცადეს და მადეირასაც კი გადაუსწრეს. დღეს პორტუში ჩამსვლელ ტურისტთა შორის ბრიტანელები, ესპანელები და გერმანელები ჭარბობენ. ისინი დაბალი ღირებულების ავიახაზებით სარგებლობენ და ძირითადად კულტურულ ძეგლებს ათვალიერებენ.

პორტუს დათვალიერება მდინარე დუეროს სანაპიროზე მდებარე მოედნით უნდა დაიწყოთ. ეს გახლავთ ისტორიული ადგილი, რომელიც იუნესკო-ს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაშია შესული. მოედნის, შუა საუკუნეების ქუჩების დათვალიერებისა და ტრადიციული კერძების დაგემოვნების გარდა, მდინარეში უძველესი სტილის ნავებით გასეირნებასაც შეძლებთ. აქვეა მსოფლიოში ცნობილი პორტვეინის ღვინის სარდაფები. იქ შესვლას თავისუფლად შეძლებთ და გარკვეული საფასურის გადახდის შემდეგ ნამდვილ პორტვეინსაც დააგემოვნებთ.

მსოფლიოში ცნობილი თანამედროვე საკონცერტო ჰოლი „კასა დე მუზიკა“ პორტუს ცენტრალურ ნაწილშია განთავსებული. შენობა 2005 წელსაა აგებული და მალე იქცა ქალაქის ერთ-ერთ უმთავრეს არქიტექტურულ ღირსშესანიშნაობად. საკონცერტო ჰოლს ორი მთავარი აუდიტორია აქვს, რომლებიც საკმაოდ ბევრ მაყურებელს იტევს.

უძველესი კულტურული ძეგლებიდან თვალშისაცემი და ყველაზე მონახულებადი პორტუს კათედრალია. ისტორიული მონუმენტი მე-13 საუკუნით თარიღდება.

თავად ქალაქში და მის შემოგარენშიც განლაგებულია რამდენიმე ბოტანიკური ბაღი, რომლებიც მსოფლიო მასშტაბით უიშვიათესი მცენარეებით იწონებენ თავს.

მეღვინეობის რეგიონი ალტუ-დორუ პორტუს გარეუბანში, მდინარე დუეროს ხეობაში მდებარეობს. აქ უკვე 2000 წელია, ღვინოს ტრადიციული მეთოდით ამზადებენ. ამ რეგიონში მზადდება ბორდოს სტილის ღვინო, ძირითადი მახასიათებელი კი მაინც პორტვეინია, რომელიც მსოფლიოში მე-18 საუკუნეში გახდა ცნობილი.

## უსაფრთხოების წესები

პორტუ არა მარტო სასიამოვნო, არამედ საკმაოდ უსაფრთხო დასვენებასაც გპირდებათ. თუ ჯიბის ქურდებს არ ჩავთვლით, იქ კრიმინალი თითქმის არ არსებობს. სხვა ქალაქებისაგან განსხვავებით, ღამით გარეთ სიარული პრობლემას არ წარმოადგენს.

ადგილობრივები მეგობრულები და სტუმართმოყვარენი არიან. თუ დააფასებთ და სახლში ესტუმრებით, ხელგაშლილები დაგხვდებიან. სასტუმროებსა და რესტორნებში ძირითადად ჩასულები მუშაობენ და იქაურებში არ უნდა შეგეშალოთ. ისინი ყველანაირად ცდილობენ კლიენტის მოტყუებას და გირჩევთ, სიფრთხილე დროულად გამოიჩინოთ.

## უბის წიგნაკი

**ქვეყანა — პორტუგალია;**
**ქალაქი — პორტუ;**
**ფართობი — 41,42 კვ.კმ;**
**მოსახლეობა — 263 000;**
**ოფიციალური ენა — პორტუგალიური;**
**ოფიციალური ვალუტა — ევრო.**

✓ *მოამზადა თათია ბოჭორიძემ*

# „დედამ თავისი წილი სიყვარული წამართვა"

## მშობლის წარმატებას შეწირული ბავშვობა



მართალია, გამონაკლისის სახით, მაგრამ მაინც არსებობენ მშობლები, რომლებიც შვილის წინაშე პასუხისმგებლობას ვერ გრძნობენ, პირიქით, საკუთარი ნაშიერი ზედმეტ ტვირთად, წარმატების გზაზე ხელისშემშლელ ფაქტორად მიაჩნიათ. ასეთი დამოკიდებულება ეგოცენტრულ პიროვნებებს ახასიათებთ. რომლებიც საკუთარ თავს მიიჩნევენ სამყაროს ჭიპად, სხვებზე აღმატებულად, თითქოს ყველა და ყველაფერი მხოლოდ მათ უნდა ემსახურებოდეთ.

მაგრამ ადამიანი რასაც გაიღებს, სამყაროც იმავეს უბრუნებს. როგორც წესი, ისინი მთელი სიცოცხლე დაუკმაყოფილებელი ამბიციებით იტანჯებიან და, სამწუხაროდ, შვილების ცხოვრებასაც დაღს ასვამენ.

ჩვენი რესპონდენტის, ახალგაზრდა ქალის ბეჩუნის ისტორია ზემოთქმულის დადასტურებაა. დედამისს ოჯახში საკუთარი თავის კულტი ჰქონდა შექმნილი. შვილი მისთვის მეორე და ხანდახან მესამეხარისხოვანიც იყო. გოგონას ერთი პერიოდი თავი ნაშვილებიც კი ეგონა. მთელი ბავშვობა ეს განცდა სდევდა, თითქოს მისი ბიოლოგიური დედა ვიღაც სხვა იყო, ხოლო იმ ქალთან, ვისაც მისი მშობელი ერქვა, მხოლოდ საერთო ჭერი აკავშირებდა. სამწუხაროდ, მსგავსი ისტორია ბეჩუნის შვილის ცხოვრებაშიც განმეორდა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამჯერად ბავშვი მამისთვის იქცა ტვირთად, ამას კი ბეჩუნი ვერაფრით შეეგუებოდა...

**ბეჩუნი:**

— დედაჩემი ხელოვნებას ემსახურებოდა, დიდი წარმატებები და მიღწევები არ ჰქონია, მაგრამ ჰოლივუდის ვარსკვლავივით ეჭირა თავი. მგონი, მისი ერთადერთი შემფასებელი და დამფასებელი მამაჩემი იყო, ცოლს წითელ ხალიჩასავით ფეხქვეშ ეგებოდა. დედა პატივმოყვარე გახლდათ და გარშემო მყოფთაგან თაყვანისცემას ითხოვდა, თუმცა მის ამბიციებს ფაქტობრივად მხოლოდ მამაჩემი კვებავდა. ეგონა, ცოლად უნიკალური ხელოვანი ჰყავდა, რომელსაც შურიანი კოლეგები არ აძლევდნენ გასაქანს.

ჩემმა დაბადებამაც, როგორც ჩანს, დედას კარიერულ „წინსვლაში" ხელი შეუშალა, ამიტომ ჯერ კიდევ ჩვილს გუდანაბადი ამიკრეს და სოფელში მარო ბებოსთან — მამის დედასთან წამიყვანეს. დედამთილს რძალი დიდად არ ეხატებოდა გულზე, მაგრამ შვილიშვილის, თანაც პირველის, გაზრდას სიამოვნებით დათანხმდა. მშობლებს თბილისში იშვიათად ჩამოვყავდი, ჩემთვის არ ეცალათ. ბებო კი თან მყვებოდა, ჩემთვის თავს არ იზოგავდა.

ცოტა რომ წამოვიზარდე, მივხვდი, რომ, სხვა გოგო-ბიჭებისგან განსხვავებით, დაჩაგრული ვიყავი. მანამდე ბებოს გვერდით ყოფნა ჩვეულებრივ მოვლენად, ნორმად მიმაჩნდა. ახლაც მწარედ მახსოვს — მეზობლის ბავშვმა კინკლაობის დროს წამომაძახა, დედისგან მოგდებულოო. ამ სიტყვების არსს ვერ ჩავწვდი, მაგრამ მივხვდი, რომ რაღაც შეურაცხყოფა მომაყენეს. ტირილით ბებოსთან გავვარდი. ვეკითხებოდი, მოგდებული რას ნიშნავს-მეთქი. ბებომ, როგორც შეეძლო, დამამშვიდა, მეზობელს სულ ქოქოლა აყარა, მაგრამ ის სახელი გულში ხინჯად მაინც დამრჩა.

— **თბილისში დედ-მამასთან ცხოვრების სურვილი არ გქონდათ?**

— მარო ბებო ჩემთვის ყველაფერი იყო, თბილისი კი მხოლოდ ოცნება გახლდათ, თანაც ისეთი, რომლის ასრულებისაც გეშინია და უკან იხევ. ამიტომ ვერ ვიტყვი, თბილისში ჩამოსვლა მიხაროდა-მეთქი. თანაც ჩემს მშობლებს უცხოებად აღვიქვამდი, განსაკუთრებით დედას. მამასთან მეტ საერთოს ვგრძნობდი, უფრო მეფერებოდა, დედა კი მკაცრი და პრეტენზიული მყავდა. ჩემი არაფერი მოსწონდა, საყვედურებით მიკლებდა, მეჩხუბებოდა, ასეთი ხეპრე და გაუთლელი ბებიაშენს დაემსგავსეო... გამზრდელ ბებოს, მადლობის ნაცვლად, ჩემს გაუთლელობას აბრალებდა, ხოლო თავის უხასიათობას და პროფესიულ წარუმატებლობას — მე.

> **„დიდი წარმატებები და მიღწევები არ ჰქონია, მაგრამ ჰოლივუდის ვარსკვლავივით ეჭირა თავი. მგონი, მისი ერთადერთი შემფასებელი და დამფასებელი მამაჩემი იყო, ცოლს წითელ ხალიჩასავით ფეხქვეშ ეგებოდა. დედა პატივმოყვარე გახლდათ და გარშემო მყოფთაგან თაყვანისცემას ითხოვდა, თუმცა მის ამბიციებს ფაქტობრივად მხოლოდ მამაჩემი კვებავდა".**

— **საბოლოოდ მაინც თბილისში გადმოხვედით. ეს როდის მოხდა?**

— მეხუთე კლასში რომ გადავედი, მაშინ. დედამ თქვა, სანამ ჩემი შვილი სოფლელად ჩამოყალიბდება, მირჩევნია, ქალაქში მყავდესო. პრესტიჟულ სკოლაში ჩამრიცხეს, სპორტზე და შემოქმედებით წრეებზე შემიყვანეს. თავიდან ძალიან ვდარდობდი, ბებოს სითბო და სოფლის თავისუფალი გარემო მენატრებოდა. კომპლექსი მქონდა, ახალ ნაცნობებს ვერ ვეგუებოდი. ბებოს სიყვარულით განებივრებული, დედას ყველაფერში ვეურჩებოდი. მან კი იმის ნაცვლად, რომ ჩემთან დასაახლოებელი გზები ეძებნა, იოლი გამოსავალი იპოვა, ნაცად ხერხს მიმართა — თავიდან მომიშორა, ჩემი თავი ახლა დედამისს გადააბარა, რომელიც თბილისში ცხოვრობდა. მშობლებს მხოლოდ შაბათკვირას ვნახულობდი.

ტასო ბებო მკაცრი ქალი იყო თავისი შეუვალი წესებით. ოჯახში მასთან ერთად ბიძაჩემი ცხოვრობდა ცოლ-შვილით. ბებო ყველას გავლენის ქვეშ აქცევდა და იმორჩილებდა. განკარგულებებს იძლეოდა და მის ნებას ვერ გადაუხვიდოდი. ფოლადის სიტყვა და გამგმირავი გამოხედვა ჰქონდა. ჩემს მორჯულებასაც ენერგიულად შეუდგა.

პირველად რომ დამატერორა, სახლიდან გავიპარე და სამარშრუტო ტაქსით მარო ბებოსთან გავემგზავრე სოფელში. ვუთხარი, სკოლა კარანტინის გამო დაიკეტა და დედამ გამომიშვა, ნაცნობ მძღოლს გამომაყოლა-მეთქი. დამიჯერა, ჩემგან ტყუილს არ იყო ჩვეული. თბილისში კი გამწარებულები მეძებდნენ. ვერ წარმოიდგენდნენ, ამას თუ ჩავიდენდი. მეზობელს უთქვამს, სოფელში ხომ არ წავიდაო. ყოველი შემთხვევისათვის კაცი გამოგზავნეს ბებოსთან და მიპოვეს კიდეც. ძალით წამომიყვანეს თბილისში. დედამ ჩემი სამაგალითოდ დასჯა გადაწყვიტა, მაგრამ ტასო ბებომ არ დაანება, თავისთან დამაბრუნა და ჩემ მიმართ პოლიტიკა შეცვალა. მეგობრული მიდგომით მალე მომაქცია კიდეც. მის მიმართ პატივისცემა გამიჩნდა.

— **ბიცოლა როგორ შეეგუა, დედამთილმა სახლში მულიშვილი რომ მიუყვანა გასაზრდელად?**

— ბიცოლაჩემი ძალიან ალერსიანი, ღვთისნიერი ქალი იყო, ჩემდამიც დედობრივ სითბოს იჩენდა. საშინლად მწყდებოდა გული, დედის ალერსს სხვა ქალისგან რომ ვიღებდი. ეჭვი შემიჩნდა, ნაშვილები ხომ არ ვიყავი, იქნებ ქალი, ვისაც დედად ვცნობდი, ჩემი ბიოლოგიური მშობელი არ არის-მეთქი, ვფიქრობდი. ვინმესგან თუ ელემენტარულ სითბოს ვიგრძნობდი, ყველა ქალში დედაჩემს ვეძებდი. მთელი ცხოვრება მშობლის ალერსს და სითბოს ვნატრობდი.

— **მსგავსი ეჭვი უჩნდებათ ხოლმე მოზარდებს, რომელთაც მშობლები ხშირად სჯიან, ცივად და მკაცრად ეპყრობიან. ამ კითხვისგან ზრდასრულ ასაკში გათავისუფლდით?**

— სიმწიფის ასაკში ფორმით და სახითაც დედას ძალიან დავემსგავსე, ამან კი ეჭვი გამიფანტა. ჩვენდა სამწუხაროდ, არიან მშობლები, რომლებიც შვილს ბოლო ადგილას აყენებენ, მის ტკივილს არაფრად აგდებენ, შვილის პრობლემებს არ ითავისებენ. ეს ცხოვრების მორიგმა ეტაპმაც მიჩვენა.

— **ტასო ბებოსთან ცხოვრებას შეეჩვიეთ?**

— ამაში ჩემი კბილა ბიძაშვილი თათოც დამეხმარა, მასთან საერთო ენა იოლად გამოვნახე. სულ ერთად ვიყავით, ერთად ვმეცადინეობდით, წრეებზეც ერთად დავდიოდით.

ტასო ბებომ მუსიკალური სასწავლებელიც დამამთავრებინა, ხატვის წრეზეც მატარა. განსაკუთრებით პეიზაჟის ხატვა მიტაცებდა. არდადეგებზე, მარო ბებოსთან ჩასული, სოფლის სურათებს, ბუნებას ვხატავდი. ბოლოს კი, ბოტანიკის სიყვარულით, სპეციალობად ბიოლოგია ავირჩიე.

— **ერთი სიტყვით, ბოლომდე „ბებოს გო-**



Cyan Magenta Yellow Black

**გოდ“ დარჩით.**

— დიახ, ასეა და ვამაყობ ჩემი ბებიებით. ღვთის მადლით, ორივე ჯანმრთელად მყავს. დღესაც ორივე მეიმედება.

დედ-მამასთან საცხოვრებლად სტუდენტობის წლებში გადავედი. მამასთან გაცილებით თბილი ურთიერთობა მქონდა, ვიდრე დედასთან. დედაჩემის თავისებურებებს ვერ ვიტანდი და ვერც ის მეგუებოდა. მის გვერდით მუდმივ დისკომფორტს ვგრძნობდი. დედის სიყვარული მაკლდა, ამას ძალიან განვიცდიდი.

— **შეუძლებელია, დედას არ ყვარებოდით, ძნელი დასაჯერებელია...**

— საკუთარ თავს ყოველთვის შვილზე წინ აყენებდა. რასაც მოინდომებდა, ყველა სურვილს ისრულებდა. მე კი თავის ჩრდილად აღმიქვამდა. ჩემს განვითარებაზეც მხოლოდ იმიტომ ზრუნავდა, რომ საზოგადოებაში არ შემერცხვინა, „გაუთლელი შვილის“ გამო თავი არ მოჭროდა. სხვა მხრივ, უყურადღებობას იჩენდა. როცა ავად ვიყავი და მაღალი ტემპერატურით ვიწვოდი, ბებო და ბიცოლა მივლიდნენ, დედა კი სტუმარივით მოირბენდა, დამხედავდა და მტოვებდა, ჩემთვის ვერასოდეს იცლიდა.

ჩვენს ოჯახს არ უჭირდა, მამა ეკონომისტი მყავდა და ყველაფრით უზრუნველგვყოფდა. აუცილებელი არ იყო, დედას ემუშავა და ჩემთვის ძვირფასი დრო მოეკლო, დედაშვილობის მადლი წაერთმია. ის თავისი სიამოვნებისთვის მუშაობდა. დედოფალივით იქცეოდა, არაფერს იკლებდა. უამრავი კაბა და აქსესუარი ჰქონდა. ჩემთვის კი არაფერს იმეტებდა. თუ რამე არ მოსწონდა, ზედმეტად ეჩვენებოდა ან მობეზრდებოდა, მხოლოდ იმას მაძლევდა. ხშირად უცხოეთში მოგზაურობდა. თუ მოგზაურობის სურვილს მეც გამოვთქვამდი, მეტყოდა, კარგად გათხოვდი და ქმარი წაგიყვანსო. თავს გარიყულად ვგრძნობდი. დედასთვის უცხო სხეულივით ვიყავი, ერთმანეთს ვერაფერში ვუგებდით.

— **გათხოვება რომ გადაწყვიტეთ, დედამ არჩევანი მოგიწონათ?**

— მიშიკომ გაცნობისთანავე მომხიბლა. ქორწინებას არ ვჩქარობდით, ერთმანეთს კარგად არ ვიცნობდით. ერთი შეხედვით, დასაწუნი ბიჭი არ იყო და არც ჩემს მშობლებს გაუპროტესტებიათ. დედასთვის ჩემი გათხოვება შვებაც კი იყო. შემთხვევით შევესწარი, მამას ეუბნებოდა, როდის მომცილდება ეს გოგო, რომ ამოვისუნთქოო. მისი სიტყვა კანონი უნდა ყოფილიყო. მე ამ კანონს ურჩად ვარღვევდი და დედა ცოფდებოდა.

ერთხელაც შინიდან გავიქეცი და ბებოსთან ჩავედი სოფელში. მიშიკომ ჩამომაკითხა მანქანით და წამიყვანა. ასე დავქორწინდით, სპონტანურად. მერე მშობლებმა დიდი ქორწილი გადაგვიხადეს სხვების დასანახად. მე კი წვეულება არ მინდოდა, საქორწინო კაბაში თავს უხერხულად ვგრძნობდი.

ცალკე ვცხოვრობდით, მიშიკოს მშობლები უცხოეთში იყვნენ. ფეხმძიმედ რომ

**„ქმარი მავალდებულებდა, მთელი ყურადღება მისთვის დამეთმო. თუ ბავშვით ხელში დამინახავდა, ღიზიანდებოდა, რა ციგნის ქალივით დადიხარო. ვერ იტანდა, ყურადღების ცენტრში რომ არ იყო“.**

დავრჩი, ქმარი მეცხრე ცაზე დაფრინავდა, სულ მეფერებოდა, სურვილებს მისრულებდა. ბავშვის დაბადების შემდეგ კი ჩვენი იდილია დასრულდა, ბედნიერება საპნის ბუშტივით გასკდა.

— **ასეთი მკვეთრი ცვლილება რამ განაპირობა?**

— მიშა ახალ სამსახურში გადავიდა, კაბინეტის კაცი გახდა, დატვირთვა და პასუხისმგებლობა მოემატა. შინ დაბრუნებული როლიდან ვერ გამოდიოდა, სახლშიც ოფიციალურად იქცეოდა, სულ საბუთებს ჩაჰკირკიტებდა და ჩვენგან იდეალურ სიწყნარეს ითხოვდა. მდივნად აღმიქვამდა, თავის საქმეებთან დაკავშირებით სულ რაღაცას მავალებდა, ბავშვი კი აშკარად ხელს უშლიდა. მავალდებულებდა, მთელი ყურადღება მისთვის დამეთმო. თუ ბავშვით ხელში დამინახავდა, ღიზიანდებოდა. რა „ციგნის ქალივით“ დადიხარო, მეუბნებოდა. ჩვილთან ურთიერთობაც უჭირდა. მის ტირილზე ნერვები ეშლებოდა. არადა ბავშვი არ იყო ცუდი გასაზრდელი, იშვიათად ტიროდა.

— **ზოგჯერ კაცები შვილის დაბადების შემდეგ ექვიანობენ, სიყვარულის გაყოფას ვერ იტანენ...**

— ჩემს ქმარსაც ასე დაემართა. ვერ იტანდა, ყურადღების ცენტრში რომ არ იყო. ამის გამო ურთიერთობა დაგვეძაბა. თითქმის ყოველდღე ვჩხუბობდით. ერთხელ ჩვენს ჩხუბს ჩემი ბიძაშვილი თათოც შეესწრო და ძალიან შეწუხდა. შემომთავაზა, ზოგჯერ ბავშვს წავიყვან, ბებოც მოგვეხმარება და განტვირთვის დღეებს მოგიწყობთო. ამის გაკეთება არ მსურდა, მაგრამ ქმრის გამო დავთანხმდი, ოჯახის დანგრევა არ მინდოდა. თავად კი ძალიან გამიჭირდა — შვილზე მიჯაჭვული ვიყავი. თავს ვინუგეშებდი, რომ წამოიზრდება, მამა შეეჩვევამეთქი. ვერ ვიტყვი, რომ არ უყვარდა, უბრალოდ მის გამო თავს არ იწუხებდა. წინ საკუთარ თავს აყენებდა. სამწუხაროდ, ჩემი შვილის ცხოვრებაშიც იგივე განმეორდა, რაც მე გადავიტანე, ხან მარო ბებოსთან იყო, ხან — ტასოსთან. ამას ვერაფრით ვეგუებოდი, თავს მოღალატე დედად ვგრძნობდი. ზოგჯერ მეც თან მივყვებოდი. რაც თავად გადავიტანე ბავშვობაში, შვილს იმ ტანჯვისთვის ვერ გავიმეტებდი.

— **ქმარს ამის გამო გაეყარეთ?**

— ჩვენ შორის კედელი აღიმართა, გაუცხოება გაჩნდა. ვუყურებდი და ვფიქრობდი, ნუთუ ეს კაცი ჩემი მეორე ნახევარი და შვილის მამაა-მეთქი. თავადაც იგივე განცდა ჰქონდა. ჩვენი ურთიერთობა დასრულდა. განქორწინება არ გაგვიფორმებია, უბრალოდ წამოვედი.

— **დასანანია, რომ ოჯახი ამ მიზეზით დაინგრა. იქნებ დროთა განმავლობაში თქვენი ქმარი შვილთან ურთიერთობას შეჩვეოდა, შერიგება არ გიცდიათ?**

— მე და ჩემი შვილი დღეს თათოსთან ვცხოვრობთ. თათო გათხოვდა და საუკეთესო ქმარი შეხვდა. შვილზე ოცნებობენ, მაგრამ ჯერჯერობით არ შეეძინათ. ჩემს ბავშვზე სული ელევათ, არაფერს აკლებენ. მიშა ბავშვს ნახულობს ხოლმე, სასეირნოდაც გაჰყავს. ჩემთანაც აქვს ურთიერთობა, მაგრამ შერიგებას არ ცდილობს. ჩვენი ერთად ყოფნა აღარ უნდა, უჩემობას მიეჩვია. ასე უფრო მისაღებია მისთვის. ყველა ქალს უნდა, ბედნიერი ოჯახი ჰქონდეს, მაგრამ ეს ბუნებრივად უნდა მოხდეს, ნაძალადევად არაფერი გამოვა.

✓ ნანა კობახიძე

## ეს იცოდით?

❖ იტალიის რესპუბლიკის ერთ კვადრატულ კილომეტრზე უფრო მეტი ხელოვნების ნიმუში მოდის, ვიდრე მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში.

❖ იაპონიის პირველი დედაქალაქი ნარა იყო, რომლის ისტორიაც ჩვენს წელთაღრიცხვამდე 710 წლიდან იწყება. 794 წელს ნარა ხონსიუმ შეცვალა. 1192 წელს ხონსიუს შეუცვალეს სახელი და კიოტო დაარქვეს. 1868 წელს იმპერატორების რეზიდენცია ქალაქ ედოში გადაიტანეს. ცოტა ხნის მერე კი ედოს სახელი შეუცვალეს და ტოკიო დაარქვეს.

❖ სან მარინო მსოფლიოს ყველაზე ძველ რესპუბლიკად ითვლება. ის იტალიის ტერიტორიაზე არსებული დამოუკიდებელი სახელმწიფოა და ყველაზე ძველი კონსტიტუცია აქვს.

❖ ტეხასში არსებული გამოქვაბული „ბრაიქენ ბეთ ქეივი“ მსოფლიოში ღამურების კოლონიის სამფლობელოდ არის მიჩნეული. გამოქვაბულში 20 მილიონზე მეტი ღამურა ცხოვრობს.

❖ ყველაზე ძველ „მარადიულ ცეცხლად“ მიჩნეულია პარიზში, ტრიუმფულ თაღთან, უცნობი ჯარისკაცის საფლავთან ანთებული ცეცხლი. „მარადიული ცეცხლი“ 1921 წლიდან ანთია.

❖ ეგვიპტეში შუქნიშნები მხოლოდ დიდ ქალაქებშია.

❖ საფრანგეთის ისტორიული წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ 1580 წლიდან 1830 წლის ჩათვლით მგლებმა ამ ქვეყანაში 3000-მდე ადამიანი იმსხვერპლეს.

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი
(შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა)
დისბაქტერიოზი
მიიღეთ
ლაქტო-ჯი
www.laqto.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



Cyan Magenta Yellow Black

# კალორიებს მხიარულად დაემშვიდობეთ



მედესმე მოგისინჯავთ, დიეტა მხიარულებად გექციათ? არა? მაშინ ჩვენი იდეები მოგეწონებათ.

### კანფეტის დიეტა

შიმშილის მწვავე შეტევის დროს ყინულკარამელის ჭამის მოდა დიდი ხანია არსებობს. საქმე ისაა, რომ საწუწნი კანფეტი მადას შესანიშნავად თრგუნავს და არც კუჭს ამძიმებს. კანფეტის დიეტის არსი იმაშია, რომ საკვების მიღების მაგივრად ყინულკარამელს დღეში დაახლოებით 75 გრამს წუწნიან. ამ მიზნისთვის ყველაზე მეტად გამოდგება ვიტამინიზებული კარამელები — ისინი არა შაქარზე, არამედ მის შემცვლელებზე მზადდება.

**პლუსი.** კილოგრამებს სწრაფად აქრობს, კვირაში შეიძლება 5 კგ-მდე დაიკლოთ. ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია მეორე პლუსიც — განსაკუთრებული კერძების მომზადებაზე ზრუნვა არ დაგჭირდებათ. ისინი ყოველთვის ხელთ გაქვთ.

**მინუსი.** უნდა ვაღიაროთ, რომ ამ დიეტაში სასარგებლო არაფერია. „კანფეტის პერიოდში" ორგანიზმს უნდა დაეხმაროთ. რაციონში ჩართეთ ხაჭო ან უცხიმო რძე კალციუმის შესავსებად. და კიდევ, გაუფრთხილდით კბილებს — სასურველია დღეში 3-4-ჯერ გაისუფთაოთ.

**რჩევა:** ყინულკარამელის დიეტა წარმატებით გამოდგება განმტვირთველი დღისთვის, კვირაში არაუმეტეს ერთი დღისა.

### ღვინის დიეტა

ყურძნის ღვინო უძველესი დროიდან მკვებავ პროდუქტად ითვლება. მაგალითად, ბოკალი შამპანური იმდენივე კალორიას შეიცავს, რამდენსაც ხორცის ბულიონზე მომზადებული ერთი თეფში ხორცის წვნიანი. ხოლო ბოკალი ტკბილი ღვინო 100 გრამ საქონლის ხორცს ცვლის. 7 დღიანი ღვინის დიეტა — ეს მინუს 2-2,5 კგ-ია.

#### მენიუს ნიმუში ერთი დღისთვის

**საუზმე:** მოხარშული კვერცხი, 50 გრამი ხაჭო.

**სადილი:** 150 გრამი მოხარშული თეთრი თევზი, მცირე ულუფა მწვანე სალათა, 2 ბოკალი მშრალი თეთრი ღვინო.

**ვახშამი:** 150 გრამი მოხარშული საქონლის (ქათმის) ხორცი, სალათა, 30 გრამი ყველი, 2 ბოკალი თეთრი ღვინო.

**პლუს-მინუსი.** ეს დიეტა ყველასთვის კარგია — გემრიელია, სასარგებლოა, მკაცრი შეზღუდვების გარეშე. მაგრამ უმჯობესია, მისთვის გამოყოთ დრო, როდესაც არ მუშაობთ. შესაძლებელია დიეტამ ალკოჰოლური სასმელებისკენ ლტოლვას მიგაჩვიოთ.

### ნაირფეროვანი დიეტა

რატომ ნაირფერი? ყოველდღიურად ახალი, მხოლოდ ერთი სახის რომელიმე პროდუქტი განმტვირთველი დღეების მონაცვლეობის მსგავსია.

კვების რეჟიმი: საკვების ყოველდღიური მოცულობა 4-5 ულუფად დაყავით და დღის განმავლობაში ჭამეთ. ამავდროულად აუცილებელია რაციონიდან გამორიცხოთ მარილი, ცხიმი, წვენები, ყავა. დალიეთ მეტი წყალი, მწვანე და ბალახეული ჩაი.

**პირველი დღე:** 500 გრამი მოხარშული და ქორფა ბოსტნეული.

**მეორე დღე:** 200 გრამი მოხარშული ან შემწვარი ხორცი (არა ღორის) სანელებლებით.

**მესამე დღე:** 6 მაგრად მოხარშული კვერცხი.

**მეოთხე დღე:** 400 გრამი მოხარშული საქონლის ან ხბოს ხორცი.

**მეხუთე დღე:** 400 გრამი მოხარშული ან ორთქლზე მომზადებული თევზი.

**მეექვსე და მეშვიდე დღე:** თითო კილოგრამი ხილი.

**პლუსი.** მრავალფეროვანი საკვების წყალობით, ნამდვილად არ მოიწყენთ. არც ორგანიზმს ემუქრება სერიოზული სტრესი, ვინაიდან ყველა აუცილებელი ვიტამინი და მინერალი საჭირო რაოდენობით მიეწოდება. ეს რაციონი მათთვისაა, ვისაც მოკლე დროში გახდომა სურს. შედეგი შთამბეჭდავია — მინუს 5-7 კგ.

**მინუსი.** ყოველდღიურად „ნაირფერი" რაციონი ერთგვარი მონოდიეტაა. როგორც ნებისმიერი დიეტის შემდეგ, არის რისკი, მისი დასრულების შემდეგ წონაში სწრაფად მოიმატოთ. ასე რომ, ასეთი შვიდდღიანი რაციონიდან გამოსვლის შემდეგ ფრთხილად იყავით.

### დიეტა დღეგამოშვებით

კვების ასეთი რაციონის არსი იმაშია, რომ ერთ დღეს დიეტას იცავთ, მეორე დღეს ჩვეულებრივ იკვებებით. და ასე 10 დღის განმავლობაში. „დიეტის" დღეების განმავლობაში გამორიცხეთ ნებისმიერი სოუსები და სანელებლები (მაიონეზი, კეტჩუპი, არაჟანი და სხვა), ლიმონათი, წვენები და ალკოჰოლი. მნიშვნელოვნად შეამცირეთ მარილის რაოდენობა. უპირატესობა მიანიჭეთ უბრალო უგაზო წყალს, უშაქრო ჩაის და ბალახეულ ნაყენებს.

**პლუსი.** სასიხარულოა „ჩვეულებრივი" დღეები, თუმცა მაშინაც იკრძალება: ფუნთუშეული, შემწვარი, ცხარე, ტკბილი ხილი, ყურძენი, ბანანი, ფორთოხალი. სამაგიეროდ დანარჩენი ხილი, ბოსტნეული, ხაჭო, ბრინზა ყველი და ა.შ. შეუზღუდავად მიირთვით. შედეგად დაახლოებით 5-6 კგ-ს დაიკლებთ.

**მინუსი.** „დიეტის " დღეებში მკაცრად უნდა დაიცვათ საკვების მიღების საათები. ეს კი თანამედროვე ცხოვრების აჩქარებული რიტმის დროს, ყოველთვის შესაძლებელი არ არის. საკვები დღეში აუცილებლად 6-ჯერ, ყოველ 2,5 საათში მიიღეთ.

#### მენიუს ნიმუში ერთი დღისთვის

8.00 — 2 მოხარშული კვერცხი;

10.00 — გრეიპფრუტი;

13.00 — მოხარშული უცხიმო ხორცი (200 გრამი);

15.00 — 2 ვაშლი;

18.00 — მოხარშული თევზი (200 გრამი);

20.30 — დიდი ფორთოხალი.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ

# გამაახალგაზრდავებელი ინგლისური ნიღაბი



ეს რეცეპტი შემოწმებულია საუკუნეებით, სულ მცირე 500 წელს ითვლის. ამ ნიღბის ინგრედიენტები ყველასთვის ხელმისაწვდომია. ნიღბის გაკეთება საჭიროა ღამით. ნიღბის ღირსება იმაშია, რომ ნებისმიერი ტიპის კანს მიესადაგება. ძალიან მსუბუქად ასუფთავებს, ასწორებს, კვებავს და ატენიანებს, სისხლის მიმოქცევას აუმჯობესებს. დილით შესანიშნავი სახის ფერი გექნებათ.

ნიღბისთვის საჭიროა სამი ფინჯანი.

პირველს სანახევროდ ვავსებთ ნებისმიერი მცენარეული ზეთით და დაქუცმაცებული შვრიის ფანტელით. მეორეში გახეხილ ვაშლს ლიმონის წვენთან და 1 სუფრის კოვზ თაფლთან ერთად ვათავსებთ. მესამეში კეფირი ან რძის შრატი გვაქვს 1 ჩაის კოვზ მარილთან ერთად. მარილს ბოლო მომენტში ვუმატებთ, რათა გადნობა ვერ მოასწროს.

**პირველი ნაბიჯი.** პირველი ფინჯნის შიგთავსს სახეზე, ყელსა და დეკოლტეს ზონაზე ვიდებთ, 2-3 წუთის განმავლობაში მსუბუქ მასაჟს ვიკეთებთ. ნიღაბს 5 წუთი ვიტოვებთ.

**მეორე ნაბიჯი.** პირველ ნიღაბს ზემოდან მეორე ფინჯნის შიგთავსს ვადებთ. 2-3 წუთის განმავლობაში სახეზე მასაჟს ვიკეთებთ და ნიღაბს 5 წუთი ვიტოვებთ.

**მესამე ნაბიჯი.** ნიღაბს მესამე ფინჯანში დასველებული ბამბის დისკით ან ღრუბლით ვიშორებთ, 2-3 წუთი მასაჟს ვიკეთებთ და ნიღაბს ისევ 5 წუთი ვიტოვებთ.

**მეოთხე ნაბიჯი.** ნიღაბს მინერალური წყლით ან გვირილის ნახარშით ვიშორებთ. ბოლოს კრემს ვისვამთ, რომელსაც ჩვეულებრივ ღამე ვხმარობთ.

სასურველია ნიღაბი გაიკეთოთ კურსობით, კვირაში 2-ჯერ. შეგიძლიათ მთელ სხეულზე წაისვათ.



Cyan Magenta Yellow Black



# განავითარეთ ბავშვში სიხარულის უნარი

დამტკიცებულია, რომ ადამიანები, რომლებიც სხვის სიხარულსა და წარმატებას იზიარებენ და ამით მათთან ერთად ხარობენ, ცხოვრებაში მეტ წარმატებას აღწევენ და უფრო ბედნიერებიც არიან.

დღეს, როცა თანამედროვე ადამიანის ცხოვრების რიტმი საკმაოდ დაძაბულია, სამწუხაროდ, მშობლები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ შვილების ემოციურ მხარეს. უმეტეს შემთხვევაში მათი ყურადღება ბავშვის ინტელექტუალური განვითარებისკენაა მიმართული. ეს, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია და ამაზე არავინ დაობს, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია, რამდენად სწორად ვითარდება პატარა ემოციურად.

ბევრი მშობელი მთელი დღის განმავლობაში მუშაობს და დაკავებულია, რის გამოც შვილებთან ნორმალურ ურთიერთობას ვერ ახერხებს. ამ ფონზე პატარები მუდმივად განიცდიან მშობლებთან სიახლოვის დეფიციტს, რაც აუცილებლად ტოვებს კვალს როგორც ბავშვის ხასიათზე, ისე მის ფსიქიკაზე. ასეთ ვითარებაში პატარა შთაბეჭდილებებს ძირითადად ტელევიზორითა და სათამაშოებით იღებს. ხშირად ბავშვები თანატოლებთან ურთიერთობის დეფიციტსაც განიცდიან. ამ ყველაფრის შედეგი კი ერთია — მათ მუდმივად აქვთ ემოციური დეფიციტი.

**გაცოცხლების კომპლექსი** — შეიძლება ასე უწოდოთ ქცევას, რომელიც დაახლოებით 3 კვირის ჩვილს ახასიათებს. მას შეუძლია გაუღიმოს დედას, მამას, ბებიას. ცნობს მათ და უცინის. ემოციური ურთიერთობის დეფიციტის შედეგად, ასევე ბავშვის სურვილებისა და მოთხოვნების იგნორირებით, აღნიშნული კომპლექსი გვიან ყალიბდება. ექიმებისთვის ეს ერთგვარი განგაშის ატეხის საფუძველია, რადგან შეიძლება ბავშვის გონებრივი და ფსიქიკური განვითარება შეფერხდეს.

თუ დედიკოს ხშირად აჰყავს ბავშვი ხელში, ეფერება, ესაუბრება, კოცნის, მისადმი დიდ სითბოსა და სიყვარულს გამოხატავს, როგორც წესი, ასეთი პატარები აქტიურები არიან, მოსწონთ ადამიანებთან კომუნიკაცია, თითქოს სულ თვალებში შემოგვცინებენ, ხშირად გვიღიმიან. 6 თვის შემდეგ პატარებს ასევე აშკარად შეუძლიათ უარყოფითი ემოციების გამოხატვა. მაგალითად, შეიძლება გაიბუტოს, განაწყენდეს და ეს გვაგრძნობინოს.

**შემომხედე, როგორ გავიზარდე!** — 3 წლის ანუ კრიზისული ასაკის ბავშვი გაცილებით ემოციურად გამოხატავს თავის გრძნობებსა და სურვილებს. ამ ასაკიდან ის უკვე დამოუკიდებლად ცდილობს რაღაცეების გაკეთებას, მაგრამ, ბუნებრივია, ყველაფერი სათანადოდ ვერ გამოსდის. ამ დროს მნიშვნელოვანია მშობლის თანადგომა. თუ პატარას გვერდით არ ჰყავს ადამიანი, რომლის დახმარების იმედიც აქვს, როგორც წესი, მისი ემოციური ფონი ჩვეულებრივზე მომატებულია.

თავის მხრივ, მნიშვნელოვანია ისიც, როგორ რეაგირებს მშობელი შვილის არასწორ, ცუდ საქციელებზე, როგორ გამოხატავს უკმაყოფილებას, პრეტენზიებს. თუ ბავშვი ხვდება, რომ მშობლების ყურადღებას ბევრად იოლად იქცევს ცრემლების დახმარებით, ამ შემთხვევაში მზად იყავით იმისათვის, რომ ხშირად მოაწყობს ისტერიკებს, რადგან იცის — სწორედ ამით აღწევს სასურველ შედეგს.

როგორ უნდა მოვიქცეთ მაშინ, როცა შვილი კი არ ჭირვეულობს, არამედ სერიოზულად არის გაბრაზებული? ამ შემთხვევაში მან უნდა იგრძნოს, რომ მისი პრობლემა მშობლისთვის უმნიშვნელო არ არის. ბავშვს მშობლების მხრიდან მუდმივად სჭირდება ემოციური თანადგომა, მისთვის აუცილებელია დედ-მამის ჩართულობა და აქტიურობა მის ცხოვრებაში.

**ვიკითხოთ და განვიხილოთ!** — ბავშვი იზრდება, სწავლობს თავისი ემოციების მართვას, მაგრამ ამ შემთხვევაშიც მისთვის აუცილებელია, გვერდით უფროსი ადამიანი ჰყავდეს, რომლის იმედიც აქვს.

ბავშვები, რომლებიც მშობლების სიყვარულის დეფიციტს განიცდიან, საკუთარ თავში იკეტებიან, ხშირად აგრესიულებიც ხდებიან. ამ კატეგორიის ბავშვებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მშობლებთან ხანგრძლივი და რეგულარული კონტაქტი. ხშირად შეაქეთ და წაახალისეთ, ეს აუცილებელია პრობლემური პატარასთვის.

**ბავშვს უნდა ასწავლოთ, როგორ გამოხატოს ემოციები** —ბრაზი, სხვისი სიხარულის გაზიარება და ამით კმაყოფილების გამოხატვა, სხვების პრობლემების გულთან ახლოს მიტანა, თანადგომა — ეს ის აუცილებელი თვისებებია, რომელთა სწავლებაც მნიშვნელოვანია.

შვილთან ერთად ხშირად იკითხეთ ზღაპრები, ერთად განიხილეთ პერსონაჟები, მათი როგორც უარყოფითი, ისე დადებითი თვისებები, სიუჟეტი და ა.შ. ასწავლეთ სხვისი თანადგომა. მაგალითად, თუ მისი თანატოლი წაიქცევა, დაეხმაროს და მისი ტკივილიც გაიზიაროს. ბავშვებთან ერთად ხშირად ითამაშეთ სიუჟეტური თამაშები, მაგალითად, ექიმობანა, მასწავლებლობანა და სხვა.

დაბოლოს, ყველა ბავშვი თავისებურად გამოხატავს ემოციებს. მთავარია, მათი სწორად წარმოჩენა ასწავლოთ. უნდა მისცეთ უფლება, უარყოფითი ემოციებიც თავისუფლად გამოხატოს. სასურველია, თუ ამას თქვენთან საუბრით, თამაშით მოახერხებს. წყენისა და პრობლემების მუდმივად დამალვა, საკუთარ თავში ჩაკეტვა სერიოზული პრობლემების განვითარების ხელშემწყობია, მაგალითად, ნევროზის, ღამის ენურეზის, ფრჩხილების კვნეტის და სხვა.

აუცილებლად გახსოვდეთ, შვილისთვის მაგალითი თქვენ ხართ! მხოლოდ ლაპარაკითა და შეგონებით საქმის ნახევარი გამოგივათ. ის თქვენს მაგალითზე სწავლობს, ამიტომ ხშირად აჩვენეთ, როდის როგორ გამოხატოს დადებითი თუ უარყოფითი ემოცია და როგორ მართოს ისინი სწორად.

# გოგრა — შემოდგომის დედოფალი პატარების სამსახურში



გოგრის მწიფე რბილობი განსაკუთრებით სასარგებლოა ბავშვებისათვის. მისი ფერი და ვიზუალური სახე მზის ენერგიასთან და ძალასთან ასოცირდება, რომელიც თითქოს გოგრის ჭამის შემდეგ პატარას ორგანიზმს გადაეცემა. ამ ბალჩეულის ბევრი სახეობა არსებობს, მაგრამ ყველა მათგანი გაჯერებულია ბეტა კაროტინით, რომელიც გოგრაში გაცილებით მეტია, ვიდრე სტაფილოში.

გოგრა ფართოდ გამოიყენება ბავშვთა კვებაში. გოგრის პიურეს პატარები, როგორც წესი, სიამოვნებით მიირთმევენ. მასში არსებული სასარგებლო ნივთიერებების წყალობით, ის შეიძლება ჩვენი შვილების ერთ-ერთი პირველი დამატებითი საკვები გახდეს. მასში არსებული ნივთიერებები პატარების საკვების მომნელებელი სისტემის მუშაობას აწესრიგებს და კუჭ-ნაწლავის მოქმედებას მნიშვნელოვნად აუმჯობესებს. გოგრაში არსებული სასარგებლო ნივთიერებები ბავშვის ორგანიზმის მიერ ადვილად შეიწოვება და შლაკებისა და ტოქსინების გამოდევნას უწყობს ხელს.

ეს ბალჩეული ვიტამინების ნამდვილი საბადოა. მასში უხვადაა მიკროელემენტები და უჯრედისი. შეიცავს რკინას, კალიუმს, მაგნიუმს, ცე, ე და ბე ჯგუფის ვიტამინებს, რომლებიც შეუცვლელია ბავშვთა კვებაში, რადგან მნიშვნელოვნად აძლიერებენ პატარას იმუნიტეტს, ეხმარებიან ორგანიზმს ანთებითი პროცესების ჩაცხრომაში და ნერვულ სისტემას ამშვიდებენ. ეს ვიტამინები უზრუნველყოფენ ბავშვის მშვიდ ძილს, ეხმარებიან ზრდა-განვითარების პროცესს, უზრუნველყოფენ პატარას თვალებისა და კანის ჯანმრთელობას. გოგრაში არსებული კა ვიტამინი აჩქარებს ორგანიზმიდან ტოქსინების გამოდევნას.

გოგრაში არსებული უჯრედისის შეთვისება-შეწოვა ორგანიზმისთვის იოლია. პატარებისთვის, რომელთაც ნაღვლის ბუშტთან დაკავშირებული პრობლემები აქვთ და ჭიები აწუხებთ, კარგია გოგრის თესლების ჭამა.

შემოდგომის ოქროსფერ დედოფალს მსუბუქი შარდმდენი თვისებაც აქვს. გოგრის ნახარში თაფლით საოცარი დამამშვიდებელი საშუალებაა. მისი დალევა სასურველია იმ პატარებისთვის, რომლებსაც ძილთან დაკავშირებული პრობლემები აქვთ.

გოგრის რბილობი ბევრი პრობლემის მოგვარებაში დაგეხმარებათ. მაგალითად, რბილობისგან მომზადებული ფაფის დადება კარგია დამწვრობისა და ანთებითი პროცესის დროს.

გოგრისგან მრავალფეროვანი კერძების მომზადება შეიძლება — სუპის, ფაფის, რიზოტოსი... მათ ბავშვები სიამოვნებით მიირთმევენ.

✓ მოამზადა ნათია ტოტიკაშვილმა



Cyan Magenta Yellow Black

ვარსკვლავი

# ამბერკ ტაბიძე: „ქართველების კარში ბურთს არასოდეს გავიტანდი!“

## ცაცია ჩემპიონის სასწაულები



რამდენიმე წლის წინ რუსეთის ერთ-ერთი რადიოსადგური მსოფლიო ჩემპიონატიდან ხელბურთის მატჩის რეპორტაჟს გადმოსცემდა. კომენტატორმა რომელიღაც მოთამაშეზე თქვა, ისე დაარტყა, როგორც ლეგენდარულმა ამბერკ ტაბიძემო. ძალზე სასიამოვნო იყო უცხოელისგან ჩვენი თანამემამულის ამგვარი შეფასების მოსმენა.

ამ მართლაც ლეგენდარულ სპორტსმენს წელს 60 წელი შეუსრულდა და საქართველოს მთავრობამ ღირსების ორდენით დააჯილდოვა.

მარჯვენა კუთხის თავდამსხმელმა, მე-11 ნომერმა ამბერკ ტაბიძემ, „ბურევესტნიკის“ შემადგენლობაში 1971-დან 1986 წლამდე ითამაშა, საბჭოთა კავშირის ნაკრებში კი — 1972-დან 1980 წლამდე. საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში მოგებული აქვს საბჭოთა კავშირის თასი, სპარტაკიადა. სსრკ-ის ჩემპიონატზე რამდენჯერმე გახდა ბრინჯაოს პრიზიორი, საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში კი ერთხელ ევროპის ჩემპიონატი მოიგო, ორჯერ — ევროპის, 4-ჯერ — მსოფლიო თასი. კუბაში მოგებული აქვს მსოფლიო ჩემპიონატი.

საქართველოში ის ერთადერთი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი გახლავთ ხელბურთში და უდაოდ ბევრი საინტერესო რამ აქვს გასახსენებელი. ამაში თავად დარწმუნდებით.

**— ბატონო ამბერკ, როგორ დაუკავშირდა თქვენი ცხოვრება ხელბურთს?**

— პირველად ხელბურთი სკოლის ასაკში რაიონების პირველობაზე სამტრედიის ნაკრებში, მწვრთნელ ვახტანგ ხელისუფალის ხელმძღვანელობით ვითამაშე. ბავშვობიდან მძლეოსნობაში ვვარჯიშობდი და ფიზკულტურის ინსტიტუტშიც ამ განხრით ჩავაბარე. ერთხელ ჩემი ჯგუფელი ხელბურთელები მოედანზე ვარჯიშობდნენ და მეც ვითამაშე მათთან. ცაცია ვარ და მარცხენა ხელით რომ გავიტანე გოლი, მწვრთნელმა გურამ ძაგანიამ მკითხა, ვინ ხარო. ვუთხარი, მძლეოსანი ვარ და აქ ვსწავლობ-მეთქი. შეჯიბრებაზე უნდა წაგიყვანო სოხუმშიო, მითხრა და აქედან დაიწყო ჩემი სახელბურთო კარიერა. სოხუმის თამაშზე ყველას მოვეწონე.

ერთი ასეთი ეპიზოდიც იყო: ბურთი დარბაზში მდგარი ჩოგბურთის მაგიდის იქით გადავარდა. მაგიდას გადავახტი, ბურთი ავიღე და უკან გადმოვხტი. გაგიჟდნენ, ეს ვინ ყოფილაო. ამ თამაშის შემდეგ, 1971 წელს, „ბურევესტნიკში“ მიმიწვიეს. გუნდს მაშინ ბატონი ჯანო ბაგრატიონი ხელმძღვანელობდა. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრებშიც ვთამაშობდი, მთელი ჩემი ცხოვრება „ბურევესტნიკს“ მივუძღვენი.

**— თითქმის მსოფლიო გაქვთ მოვლილი. განსაკუთრებით რომელი ქვეყანა დაგამახსოვრდათ?**

— ევროპის ყველა ქვეყანაში ვყოფილვარ, ასევე კუბაში, ქუვეითში, სირიაში... ავსტრალიის და სამხრეთ ამერიკის გარდა, ყველა კონტინენტზე ვიყავი. ყველა ქვეყანა განსაკუთრებულია. არ დამავიწყდება კუბის კარნავალი. იქ მსოფლიო ჩემპიონატი მოვიგეთ. ფიდელ კასტრომ დიდი მიღება და ბანკეტი მოგვიწყო. პირადად ჩამომართვა ხელი.

**„მთელი სტადიონი ფეხზე წამოდგა, მათ შორის — რუმინელებიც და ტაშს მიკრავდნენ. მათმა მეკარემ კი ხელი ჩამომართვა, ეს როგორი გოლი გამიტანეო“.**

**— ქართველი ემიგრანტები ცდილობდნენ თქვენთან შეხვედრას?**

— ბევრი ასეთი შეხვედრა მახსოვს, მაგრამ არასოდეს დამავიწყდება სირიაში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენი, მილიონერი ლევან სალარაძე, რომლის მიწვევით მეგობრული შეხვედრები გავმართეთ სირიაში. მან უდიდესი პატივით მიგვიღო. მახსოვს სუფრაზე წარმოთქმული მისი სიტყვები, ყველაფერი მაქვს, მაგრამ ერთადერთი ოცნება მრჩება, საქართველოს მიწაში განვისვენოო.



■ 17 წლის ამბერკი სამტრედიის გუნდში თამაშის დროს

**— ბატონო ამბერკ, თქვენზე ამბობენ, რომ თამაშის განსაკუთრებული მანერა გქონდათ და მოედანზე სასწაულებს ახდენდით. გვიამბეთ რომელიმე „სასწაულზე“.**

— ვდგებოდი ჩვენი მეკარიდან 40 მეტრზე. ის დიდ სიმაღლეზე მესროდა ბურთს, მე ნახტომით ჰაერში ვიჭერდი და იქიდან პირდაპირი დარტყმით გამქონდა ბურთი მეტოქის კარში. ერთხელ უკრაინაში, სპარტაკიადაზე, რუმინეთის გუნდთან თამაშის დროსაც გავიტანე ასეთი გოლი. მთელი სტადიონი ფეხზე წამოდგა, მათ შორის — რუმინელებიც და ტაშს მიკრავდნენ. მათმა მეკარემ კი ხელი ჩამომართვა, ეს როგორი გოლი გამიტანეო.



**— გარდა იმისა, რომ საუკეთესო ბომბარდირი იყავით, თქვენი ფიზიკური მონაცემებიც აოცებდა ყველას...**

— მოსკოვში ერთ-ერთი მატჩის დროს დამამაგრეს სპეციალური აპარატურა, რომლის მეშვეობით ექიმი ჩემი გულის მუშაობას აკვირდებოდა. თამაშის შემდეგ თქვა, ამ კაცს შეუძლია ზედიზედ სამი მატჩი ითამაშოსო. დღეში 2 მატჩი რამდენჯერმე მაქვს ნათამაშევი: დილით — სსრკ-ის ნაკრების და საღამოს „ბურევესტნიკის“ შემადგენლობაში.

**— როგორც ვიცი, მოსკოვი თქვენს გადაბირებას ცდილობდა. ეს ისტორიაც გაიხსენეთ.**

— მოსკოვის „ცეესკას“ პირველი მწვრთნელი პრედიხა თავის ქალიშვილსაც მთავაზობდა, ოღონდ მათთან გადავსულიყავი. მპირდებოდნენ ბინებს, მანქანებს, დიდებას, მაგრამ არ დავთანხმდი. 1980 წელს, მოსკოვის ოლიმპიადის წინ, პოლონეთიდან მოვფრინავდით, როცა პრედიხამ მკითხა, რა გადაწყვიტე, ჩვენთან გადმოდიხარ თუ არაო. უარი ვუთხარი. მოსკოვში რომ ჩავედით, ნაკრების მწვრთნელმა ევტუშენკომაც მკითხა, რა გადაწყვიტეო და ისევ უარი რომ მოისმინა, მითხრა, ოლიმპიადას დაესწრები, უყურებ, მაგრამ არ ითამაშებო. თუ არ ვითამაშებდი, იქ რაღა მინდოდა და იმ დღესვე დავბრუნდი თბილისში. ჯანო ბაგრატიონი გაგიჟებული იყო, ყველამ ვიცოდით, რომ ოლიმპიადაზე უნდა გეთამაშაო. დამსაჯეს-მეთქი, ვუთხარი.

**„ერთ-ერთი მატჩის დროს დამამაგრეს სპეციალური აპარატურა, რომლის მეშვეობით ექიმი ჩემი გულის მუშაობას აკვირდებოდა. თამაშის შემდეგ თქვა, ამ კაცს შეუძლია ზედიზედ სამი მატჩი ითამაშოსო“.**

ორიოდე წლის წინ შემთხვევით გავიგე, თურმე მაშინ ქართველებს ნაკრების მწვრთნელებისთვის ქურდები მიუგზავნიათ, ამბერკს თავი დაანებეთ, აქედან არსად წავაო. სხვათა შორის, შეთავაზება მქონდა გერმანიაშიც. პრიზი რომ ავიღეთ, ნაკრების მწვრთნელებს კონტრაქტით ჩემი დატოვება სთხოვეს. მათ კი გამაფრთხილეს, არაფერი გაბედო, თორემ შენი გვარი აღარ იარსებებსო.

**— მაინც რატომ თქვით უარი უფრო პრესტიჟულ მდგომარეობაზე? ასეთი ნაბიჯი თანამედროვე ახალგაზრდა ქართველი სპორტსმენებისთვის სრულიად გაუგებარი იქნებოდა.**

— მოსკოვში რომ გადავსულიყავი, დიდება და უზრუნველი ცხოვრება მელოდა, მაგრამ მე ქართველების კარში ბურთს არასოდეს გავიტანდი. ჩემს სამშობლოს, ჩემს ჭყვიშს, გალაკტიონის ფუძეს ვერ ვუღალატებდი, უფლება არ მქონდა.

**— გალაკტიონთან ნათესაობა გაკავშირებდათ?**

— ხონის რაიონის სოფელ ივანე დიდიდან




■ კიევში მსოფლიო ჩემპიონატის მოგების დროს (მარცხნივ ამბერკ ტაბიძე)

**„საბჭოთა კავშირის ნაკრებში თამაშისას საბჭოთა გერბის ქვეშ მაისურზე საქართველოს გერბი მქონდა ჩუმად ჩაკერებული. მუდამ საქართველოსთვის ვთამაშობდი!".**

ოთხი ძმა ტაბიძე დასახლდა სოფელ ჭყვიშში და იმ ძმათა შთამომავლები ვართ ყველა.

— **თქვენ თუ გინახავთ დიდი პოეტი?**

— ბავშვობა ჭყვიშში გავატარე. გალაკტიონის სახლის გვერდზე იდგა ჩვენი სახლი. მახსოვს, როცა ის ჩამოდიოდა, მთელი სოფელი ფეხზე იდგა. ეგებებოდნენ, როგორც მეფეს. მართლაც მეფე იყო.

— **მეფე-პოეტის სახლ-მუზეუმი ახლა რა მდგომარეობაშია?**

— კარგად მოვლილია და ფუნქციონირებს. ბატონი ნოდარ ტაბიძე მზრუნველობას არ აკლებს. სხვათა შორის, ბატონმა ნოდარმა ამას წინათ მითხრა, ჭყვიშელი ტაბიძეების შესახებ წიგნის გამოცემას ვაპირებ და შენს ბიოგრაფიასაც ჩავუსხდეთო.

— **ბატონო ამბერკ, ახლა რა ხდება ქართულ ხელბურთში, თქვენ გაქვთ მასთან კავშირი?**

— ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, ბატონი ზურაბ კაკაბაძე, ყველანაირად ცდილობს ხელბურთის აღორძინებას. მეც მათთან ვარ, ვავარჯიშებ ახალგაზრდებს. ვცდილობ, ჩემი გამოცდილება გავუზიარო, მაგრამ სპორტსმენები მუდმივად უნდა ვარჯიშობდნენ, მონაწილეობდნენ შეჯიბრებებში. წელიწადში ერთხელ ჩატარებული შეკრებით არაფერი გამოვა. ადრე სპორტს სახელმწიფო აფინანსებდა, ახლა სპონსორების მოძიება ჭირს. გვყავს მონდომებული, იმედისმომცემი ახალგაზრდები და, თუ საზოგადოების ნებაც იქნება და დაფინანსდება, შეიძლება ხელბურთი კვლავ წარმატებული, პოპულარული სპორტის სახეობა გახდეს.

— **ბატონო ამბერკ, დიდი გზა გაიარეთ, უამრავი გამარჯვება მოიპოვეთ, ყველაზე მეტად რით ამაყობთ?**

— მართლაც საინტერესო ცხოვრება მქონდა, მაგრამ ყველაფერი თითქოს გაქრა. ყველაზე მეტად მეამაყება ის, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესის, ილია მეორის კურთხევით გამოსულ წიგნში „საქართველოს სპორტსმენები“ ჩემი ფოტოცაა წარწერით: „ამბერკ ტაბიძე — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი“. შემდეგ მოცემულია სხვადასხვა ტიტული და გამარჯვებათა ნუსხა.

და კიდევ — ის, რომ 2 შვილი და 5 შვილიშვილი მყავს და მათ ვერასოდეს ვერავინ ეტყვის, რომ ჩემს სამშობლოს ოდესმე ვუღალატე. საბჭოთა კავშირის ნაკრებში თამაშისას საბჭოთა გერბის ქვეშ მაისურზე საქართველოს გერბი მქონდა ჩუმად ჩაკერებული. მუდამ საქართველოსთვის ვთამაშობდი!

✓ *ლალი დათუკიშვილი*



# პარაშუტისტმა კინაღამ მატჩი ჩაშალა




ინგლისის მეხუთე დივიზიონის მატჩი, რომელშიც ერთმანეთს „სალისბერი სიტი“ და „ჩესტერი“ ხვდებოდნენ, დროებით შეწყდა, რადგან პარაშუტისტი პირდაპირ მოედანზე დაეშვა. როგორც კლუბ „ჩესტერის“ მოთამაშე დენი ჰიგინბოტმა აღნიშნა, მეორე ტაიმის დროს მოედანზე მოულოდნელად დაეშვა პარაშუტისტი. ფეხბურთელის თქმით, ეს ყველაზე უცნაური შემთხვევა იყო, რაც კი საფეხბურთო მოედანზე მომხდარა მისი კარიერის განმავლობაში.

მოედანზე დაშვების შემდეგ პარაშუტისტმა თავისი აღჭურვილობა მოაგროვა და მაყურებლების აპლოდისმენტების თანხლებით დატოვა იქაურობა. გამოიყენებენ თუ არა მის მიმართ რაიმე სახის სანქციებს, უცნობია.

ამ შემთხვევის შემდეგ თამაში გაგრძელდა და ანგარიშით 3:1 დასრულდა „სალისბერი სიტის“ სასარგებლოდ. მატჩს დაახლოებით ათასი გულშემატკივარი ესწრებოდა.



# რონალდუ „რეალში“ კიდევ ხუთი წლით დარჩება

მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო კლუბმა, მადრიდის „რეალმა“, ოფიციალურად განაცხადა, რომ პორტუგალიელ ფორვარდ კრიშტიანუ რონალდუსთან კონტრაქტს ვადა 2018 წლამდე გაუგრძელდა.

ესპანური გამოცემა „მარკა“ იუწყება, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის წლიური ხელფასი ამიერიდან 17 მილიონი ევრო იქნება, ერთი მილიონით მეტი, ვიდრე „ბარსელონას“ არგენტინელი ვარსკვლავი ლიონელ მესი იღებს ერთი სეზონის განმავლობაში.

კონტრაქტის ხელმოწერის საზეიმო ცერემონია კლუბის სტადიონის „სანტიაგო ბერნაბეუს“ სამეფო ლოჟაში გაიმართა, მას თავად კრიშტიანუ რონალდუსთან ერთად „სამეფო კლუბის“ პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი ესწრებოდა, ხოლო ამ ცერემონიის პირდაპირი ტრანსლირება ინტერნეტით მიმდინარეობდა.

კრიშტიანუ რონალდუ მადრიდის „რეალში“ 2009 წლიდან ასპარეზობს და ამ ხნის განმავლობაში მან სხვადასხვა წლებში ესპანეთის ჩემპიონატი, თასი და სუპერთასი მოიგო.

# მესის მორიგი რეკორდი




ესპანურ კლუბ „ბარსელონას“ არგენტინელმა ფორვარდმა ლიონელ მესიმ ჩემპიონთა ლიგაში შესრულებული ჰეთ-თრიკებით რეკორდი დაამყარა. ამსტერდამის „აიაქსთან“ მატჩის დროს მესიმ თავისი მესამე ჰეთ-თრიკი შეასრულა ამ ტურნირში, რაც აქამდე არავის გაუკეთებია.

ჩემპიონთა ლიგაში სამ-სამი ჰეთ-თრიკი შესრულებული აქვთ იტალიელ ფორვარდ ფილიპო ინძაგის, რომელიც ტურინის „იუვენტუსისა“ და „მილანის“ ღირსებას იცავდა და გერმანელ მარიო გომესს, რომელიც „შტუტგარტსა“ და მიუნხენის „ბაიერნში“ თამაშობდა, ამჟამად კი იტალიურ კლუბ „ფიორენტინაში“ ასპარეზობს.

მესის თავის კარიერაში ჩემპიონთა ლიგაში სულ 62 გოლი აქვს გატანილი, ხოლო ამ ტურნირის რეკორდი გატანილი ბურთების რაოდენობით მადრიდის „რეალის“ ყოფილ ფორვარდ რაულ გონსალესს ეკუთვნის, რომლის ანგარიშზე 71 გოლია.

# ფიფა უკრაინის წინააღმდეგ

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (ფიფა) დისციპლინარული საქმე აღძრა უკრაინის წინააღმდეგ მისი გულშემატკივრების საქციელის გამო უკრაინა-სან მარინოს მატჩის დროს, რომელიც 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის რანგში გაიმართა. ამის თაობაზე განცხადება უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის ვიცეპრეზიდენტმა სერგეი სტოროჟენკომ გააკეთა.

სტოროჟენკოს არ დაუკონკრეტებია, თუ რომელ ფაქტებთან დაკავშირებით აღიძრა საქმე. მანამდე უკრაინის მასმედიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ შესაძლოა უკრაინის ნაკრებს მორიგი მატჩის გამართვა (ხარკოვში პოლონეთის ნაკრებთან) ცარიელი ტრიბუნების წინ მოუწიოს, ამის მიზეზი კი გულშემატკივრების უდისციპლინო ქცევა იქნება. ზოგიერთი ინფორმაციით, ფიფა-მ სანქციები უკრაინის ფეხბურთის ფედერაციას შესაძლოა სტადიონზე მაშხალების გამოყენების გამო დაუწესოს, მეორე ინფორმაციით კი — არცთუ სასიამოვნო შინაარსის ბანერების.

უკრაინა-სან მარინოს მატჩი მასპინძლების გამარჯვებით 9:0 დასრულდა. შესარჩევ ჯგუფში ამჟამად უკრაინელები მეორე ადგილზე იმყოფებიან და ლიდერ ინგლისის ნაკრებს მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩებიან.

✓ *მოამზადა კახა ხატიაშვილმა*



Cyan Magenta Yellow Black

# ტიპური ცოლქმრული კრიზისები და მათი დაძლევის გზები



გსურს თუ არა, ოჯახური ცხოვრება სირთულეებითაა სავსე. ბევრს მათი ეშინია და პრობლემის გადაჭრის მაგივრად განქორწინებას ამჯობინებს. არადა ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა, ცოლ-ქმარი რომ ითვალისწინებდეს ნებისმიერი წყვილის ცხოვრებაში კრიზისული პერიოდების არსებობას. თუ ამ ეტაპებს გონივრულად გადალახავთ, გაყრას თავიდან აიცილებთ.

### შეჩვევის კრიზისი

თანაცხოვრების პირველი წლის დასასრულისკენ შეყვარებული წყვილები ნელა იწყებენ იმ ვარდისფერი სათვალეების მოხსნას, რომლითაც ერთმანეთს ურთიერთობის დასაწყისში უცქერდნენ. ღირსებები მეორე პლანზე გადადის, პირველზე კი ნაკლოვანებები იკვეთება. თანდათან იგებენ, ერთმანეთისგან რამდენად გასხვავდებიან. აღმოჩნდა, რომ მამაკაცი თავის წინდებს ყველგან მიმოყრის, კბილის პასტის ტუბს თავსახურს არ ახურავს. ქალი კი ზედმიწევნით სისუფთავის მოყვარული და პედანტია. საღამოს ქმარი გემრიელ ვახშამს ელოდება, ცოლს კი მზარეულად ქცევა კატეგორიულად არ სურს.

**რჩევა.** ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია პარტნიორი ისეთი მიიღოთ, როგორიც არის. არ ღირს დაელოდოთ, რომ შეიცვლება. უმჯობესია, ყველა აღმოცენებული პრეტენზია განიხილოთ. საყვარელ არსებას აკურატულად აუხსენით, მის ქცევებში სახელდობრ რომელი მომენტი არ მოგწონთ და მზად იყავით, დათმობაზე თავად წახვიდეთ.

### ბავშვის დაბადების კრიზისი

ბავშვის დაბადების შემდგ წყვილის ცხოვრებაში ბევრი რამ იცვლება. ქალის მთელი ყურადღება ჩვილზეა გადატანილი. თითქოს გრძნობები ქრება, მათ ოჯახური ყოფა და პატარა არსება შთანთქავს, რომელიც მანამ არსებულ იდილიაში გრიგალივით შემოიჭრა.

ამ კრიზისის გადალახვაში მთავარ როლს ცოლი ასრულებს. სწორედ მას ევალება, პატარა ოჯახის ცხოვრება ჰარმონიულად წარმართოს.

**რჩევა.** პირველ რიგში საჭიროა, ჩვილის მოვლაში მამა ჩართოთ. ბავშვთან ურთიერთობა ასწავლეთ. როდესაც პატარას ახლოს გაიცნობს და შეეჩვევა, მას უკვე თავისი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად აღიქვამს. ამავდროულად არ ღირს, სახლში ჩაიკეტოთ. ქმართან ერთად ახლობლებს, საერთო მეგობრებს ესტუმრეთ, კინოში, კაფეში წადით.

### გრძნობების ჩაქრობის კრიზისი

დაახლოებით შვიდი წლის შემდეგ ბევრი წყვილი იყრება. ეს ის პერიოდია, როდესაც ორივეს ერთმანეთი ცოტა მოსწყინდათ, მობეზრდათ და ახალი შეგრძნებები სურთ. სიყვარულსა და ვნებას ერთმანეთის მიმართ შეჩვევა და პატივისცემა ენაცვლება, თუმცა ქორწინების გადასარჩენად ხშირად ეს არასაკმარისია. ძველი გრძნობები ხელახლა რომ გაჩაღდეს, დასაწყისში საჭიროა, ეს შინაგანი ცეცხლი ხელოვნურად აინთოს.

**რჩევა.** ეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ ერთმანეთთან, საერთო ინტერესები იპოვოთ. მშვენივრად აახლოებს ექსტრემალური ქმედებები, მაგალითად, პარაშუტიდან ერთად გადმოხტომა ან ჯომარდობა. ასეთი კრიზისის პერიოდში ემოციური შენჯღრევა საუკეთესო წამალია.

### საშუალო ასაკის კრიზისი

ფსიქოლოგები საშუალო ასაკის კრიზისს ხშირად მოზარდების კრიზისს ადარებენ. მოწიფული ადამიანი ამ პერიოდში იმავე კითხვებს სვამს, რასაც მოზარდი: „ვინ ვარ? რა მაინტერესებს? წინ რა მელოდება?“ თუ ცოლ-ქმარი ერთმანეთთან საკმაოდ ახლოს არ არიან, კრიზისს ცალ-ცალკე განიცდიან და ძლიერ იტანჯებიან. ეს, თავის მხრივ, ერთმანეთს კიდევ მეტად აშორებთ, ცხოვრებითა და პარტნიორით დაუკმაყოფილებლობის შეგრძნება ჩნდება.

ამ მომენტში წყვილისთვის მნიშვნელოვანია ხელახლა ისწავლონ ისე მოქცევა, თითქოს ისევ ოცი წლისანი არიან და წინ მთელი ცხოვრება აქვთ.

**რჩევა.** აუცილებელია, ყოველდღიურობას ახალი საღებავები დაუმატოთ. გაიხსენეთ ერთმანეთზე ზრუნვა, საჩუქრებისა და სიურპრიზების გაკეთება, კომპლიმენტების მიძღვნა. რამდენიმე წლის შემდეგ ერთმანეთის ხელახლა შეცნობით თითქოს ახალ ადამიანს ხვდებით. ყველაფერი ახალი კი ყოველთვის მიმზიდველია.

### „დაცარიელებული ბუდის" კრიზისი

ბავშვები ბარტყების მსგავსად გაფრინდნენ და უკვე თავიანთი ბუდე გაიკეთეს. თქვენი სახლი კი დაცარიელდა. ეს ცვლილებები ცოლ-ქმრის პირად ცხოვრებაზე გავლენას ახდენს. თითქოს გათავისუფლდნენ ტვირთისგან (თუნდაც სასიამოვნოსგან), რომელიც ამდენი წელი მხრებზე აწვათ. ხშირად ამ პერიოდში მამაკაცები ოჯახს ტოვებენ. ფიქრობენ, რომ თავიანთი შვილების კეთილდღეობაზე პასუხისმგებლები უკვე აღარ არიან. მაშასადამე, შეუძლიათ მშვიდად წავიდნენ ცოლისგან, რომელიც „მუდამ რაღაცით უკმაყოფილოა“.

რა რჩება ცოლ-ქმარს შორის 20 წლიანი ქორწინების შემდეგ? სულიერი სიახლოვე, საერთო მოგონებები და განცდები, ერთად ყოფნის ჩვევა. ამ პერიოდში საჭიროა ყველა ამ შემადგენლის გააქტიურება.

**რჩევა.** იფიქრეთ იმაზე, რომ ახლა შესაძლებლობა გაქვთ, ერთად დიდი დრო გაატაროთ, ცხოვრებაში ერთობლივი ოცნებები აისრულოთ. ეს არის შანსი ახალი ბუდის გაკეთების, რომელშიც მალე შვილიშვილები მოფრინდებიან.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ

## გაათავისუფლეთ თქვენი ცხოვრება სხვისი გავლენისგან

მოწიფული ადამიანი ხართ, მაგრამ გადაწყვეტილებების, რომლებიც პირადად თქვენ გეხებათ, დამოუკიდებლად გადაჭრა არ შეგიძლიათ. ამიტომ სხვების მითითებებს ემორჩილებით და მათი „ბრძანებებით“ ცხოვრობთ. როგორ გახდეთ დამოუკიდებელი?

**პირველ რიგში**, გაიხსენეთ თქვენი დამსახურებები — პირადი, კარიერული. ჩამოწერეთ ფურცელზე. იყო თუ არა ისეთი შემთხვევა, როდესაც თქვენს წარმატებაში ვიღაცამ ეჭვი შეიტანა, თქვენ კი საპირისპირო დაუმტკიცეთ? ეს შესანიშნავი საბუთია იმისა, რომ თქვენს არჩევანსა და შესაძლებლობებს სრულიად ობიექტურად აფასებთ.

**მეორე.** მიიღეთ, როგორც აქსიომა: პირადი ინტერესები, პირველ რიგში, თქვენი საკუთრებაა. სხვებს მოუსმინეთ, მაგრამ ბოლო სიტყვა თქვენ გეკუთვნით.

**მესამე.** გაიხსენეთ ყველა შემთხვევა, როდესაც სხვის რჩევას მიჰყევით და დაზარალდით. ეს ძლიერი მოტივაციაა იმისთვის, რომ ამიერიდან საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა თავად აიღოთ.

დასაწყისში შესაძლებელია შიში დაგეუფლოთ, რომ მრჩეველები თქვენს უარზე განაწყენდებიან. ამიტომ რბილი პასუხების ვარიანტები წინაწარ მოიფიქრეთ. მაგალითად, „ამას აუცილებლად გავითვალისწინებ“, „სწორედ ასე მსურდა გამეკეთებია, მაგრამ...“, „გმადლობთ, ყოველთვის ცდილობთ, დამეხმაროთ. სამწუხაროდ, ამჯერად იძულებული ვარ, სხვაგვარად მოვიქცე“.

თუ ადამიანი სერიოზულად განაწყენდება იმის გამო, რომ თქვენებურად აკეთებთ, მაშასადამე, მისთვის არც ისე ძვირფასი ხართ. თქვენი დახმარებით მხოლოდ მის გავლენიანობას ამტკიცებს.



Cyan Magenta Yellow Black



# რატომ უნდა გვიყვარდეს თეთრი სოკო

თეთრი სოკო, რომელსაც ხშირად სოკოს მეფეს უწოდებენ, 2-ჯერ მეტ ცილას შეიცავს, ვიდრე ხორცი. ამავდროულად ამ ცილაში არავითარი მავნე ქოლესტერინი არ არის.

## ღირსებები

1. თეთრი სოკო ცოცხალი პოლივიტამინური კომპლექსი და მიკროელემენტების კარგი წყაროა, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია თუთია (ქალების დამხმარე, ვისაც სურს, კარგი თმა ჰქონდეს და ნაადრევად არ გაჭაღარავდეს). მასში ასევე არის სპილენძი, იოდი, მანგანუმი, მაკროელემენტებიდან რკინა, კალიუმი, ფოსფორი. იმის გამო, რომ რკინას უხვად შეიცავს, თანაც ადვილათვისებადი ფორმით, თეთრ სოკოს ასევე „რკინის რაინდს" უწოდებენ.

2. მეტად ნოყიერია. თეთრი სოკოს ბულიონი ხარისხით უკან იტოვებს დიეტოლოგების მიერ აღიარებულ ლიდერს — ქათმის ბულიონს.

3. თეთრ სოკოს ორგანიზმიდან გამოაქვს ქოლესტერინი (თუ მას ბევრ ცხიმში არ მოამზადებთ), ასევე სისხლის სიბლანტეს აქვეითებს.

4. თეთრი სოკო წინასწარ მოხარშვას არ საჭიროებს. ეს ნიშნავს, რომ მისგან ბევრი გემრიელი, მრავალფეროვანი, ჯანსაღი კერძის სწრაფად მომზადება შეიძლება.

## საწყენი გამონაკლისი

სამწუხაროდ, თეთრი სოკო ყველასთვის და ყოველთვის სასარგებლო არ არის. გარდა სასარგებლო ნივთიერებებისა, მისი რბილობი შეიცავს ბევრ უჯრედს ქიტინის ტიპის „შემავსებლით". სწორედ ამ მიზეზით, სოკოს ცილები ისე ადვილად არ შეითვისება, როგორც საჭიროა. ამიტომ არ უნდა გამოიყენონ, ვისაც გასტრიტი, კოლიტი და კუჭქვეშა ჯირკვალი აწუხებს. სოკოს მიცემა ასევე რეკომენდებული არ არის 6-7 წლამდე ბავშვებისთვის (მათი ფერმენტული სისტემა ასეთ დატვირთვას ვერ უმკლავდება), ასევე ხანდაზმულებისთვის.

## სოკოს აფთიაქი

ყოველი მეორე თანამედროვე ანტიბიოტიკის შემადგენლობაში სოკოსგან მიღებული ნივთიერებები შედის. სინთეზურ წამლებს მთელი რიგი ნეგატიური თვისებები გააჩნიათ, ხოლო ბიოლოგიურად აქტიურ სოკოს პრეპარატებს — არა. მათ გვერდითი ეფექტები არ აქვთ, მხოლოდ სამკურნალო თვისებებს ფლობენ. საკმარისია მხოლოდ მათი ჭამა. სამწუხაროდ, სოკოს სამკურნალო თვისებები მნიშვნელოვნად მცირდება გაყინვის, დაკონსერვების, ხანგრძლივად ხარშვისა და შეწვის დროს. მათი მომზადების ოპტიმალური საშუალება — ეს არის მარილიან წყალში დაახლოებით 20 წუთი ხარშვა.

## ხალხური მედიცინა

**სტენოკარდია.** 1 სუფრის კოვზი წვრილად დაქუცმაცებული თეთრი სოკოს რბილობი დღეში 3-ჯერ, ყოველი კვების წინ ჭამეთ. კურსი 2 კვირაა. ერთი კვირა შეისვენეთ და კურსი ისევ გაიმეორეთ.

**ქრონიკული დაღლა.** 2/3 ჭიქა სოკოს დაქუცმაცებულ რბილობს 0,5 ლიტრი არაყი დაასხით, ერთი კვირა სიბნელეში დადგით, რეგულარულად შეანჯღრიეთ. გაწურეთ და ნედლეული გამოწურეთ. 1 ჭიქა წყალში გაზავებული 1 ჩაის კოვზი ნაყენი დღის პირველ ნახევარში 2-ჯერ, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე მიიღეთ.

## ფურუნკული, ჩირქგროვა

გამხმარ სოკოს მდუღარე გადაავლეთ, გააგრილეთ და კანის დაზიანებულ ნაწილზე დაიდეთ. ბინტით დააფიქსირეთ. სახვევი ყოველდღიურად გამოცვალეთ.

**კანის ანთება.** კანის პრობლემურ ნაწილზე თეთრი სოკოს რბილობის თხელი ფენა 10-15 წუთი დაიდეთ. შემდეგ ფენა მოიხსენით, მაგრამ კანზე წყალი არ გადაივლოთ, ბუნებრივი გზით უნდა გაშრეს. აპლიკაციები დილა-საღამოს გაიკეთეთ. მკურნალობის კურსი — კანის მდგომარეობის გაუმჯობესებამდე.

# ვავსებთ ვიტამინების დეფიციტს

რომელი ნიშნებით გავიგოთ, რომელი ვიტამინი გვაკლია და რა ზომები მივიღოთ?

ვიტამინი $B_1$ (ანუ თიამინი) ნერვული სისტემის ფუნქციონირებაზეა პასუხისმგებელი. დაღლის, გაღიზიანების, უგუნებობის მუდმივი შეგრძნება, ძილის გაუარესება მისი დეფიციტის ნიშნებია.



როგორ მოვიქცეთ? დილა ფაფებით დაიწყეთ. განსაკუთრებით სასარგებლოა მდუღარე წყალში დამბალი შვრიის ფანტელი. თიამინის შემცველობა მასში 10-ჯერ მაღალია, ვიდრე სხვა პროდუქტში.

სასარგებლოა ყოველდღიურად 2-3 ნიგოზი ჭამოთ. ასევე კარგია ქვავის მშრალი ქატო (მოიკითხეთ აფთიაქებში).

ვიტამინი E. მისი ნაკლებობის დროს ნერვული იმპულსების გადაცემა ირღვევა. ეს განწყობის გაფუჭებით, დაღლით, დაღვრემილობით, არტერიული წნევის დაცემით აისახება.

როგორ მოვიქცეთ? მის აღდგენაში ცივად გამოხდილი სიმინდის, მზესუმზირის, ზეითუნის ზეთები დაგეხმარებათ. ასევე სასარგებლოა სიმინდი, ლობიო, ისპანახი, ოხრახუში, წიწიბურას და შვრიის ფაფები, ზღვის პროდუქტები, კვერცხი, თხილი, ციტრუსები.

ვიტამინი D. მის ნაკლებობაზე კუნთებში, ხერხემალში ტკივილი, ძილის გაუარესება, გაღიზიანებულობა მიგვანიშნებს.

როგორ მოვიქცეთ? რაციონში დაუმატეთ ღვიძლის კერძები, კვერცხის გული, ნაღების კარაქი, არაჟანი, თევზეული (ორაგული). ზედმეტი არ იქნება, პროფილაქტიკის მიზნით ამ ვიტამინის შემცველი პრეპარატები ან თევზის ქონი კაფსულებში (განსაკუთრებით, თუ 40 წელს გადააბიჯეთ) მიიღოთ.

ვიტამინი A ვირუსული ინფექციებისგან იცავს, პასუხისმგებელია გარეგნობაზე. თუ კანი მშრალი გაქვთ, ზომები მიიღეთ.

როგორ მოვიქცეთ? სტაფილო არაჟნით ან ზეითუნის ზეთით, ღვიძლი, ნაღების კარაქი, ტკბილი წიწაკა, ასკილის წვენი — A ვიტამინის ძირითადი წყაროა. კანისთვის გამოიყენეთ ამ ვიტამინის შემცველი კრემები.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი
(შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა)
დისბაქტერიოზი
მიიღეთ
ლაქტო-ჯი
www.laqto.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

## ტონიანი გოგრა რეკორდების წიგნში ვერ მოხვდა

გერმანიის ქალაქ ლუდვისბურგში ჩატარებულ გოგრების გამოფენაზე შვეიცარიელების მიერ მოყვანილი გოგრა, რომელიც ტონაზე მეტს იწონის, მსოფლიო რეკორდების ნუსხაში ვერ მოხვდა. მიზეზი დეფექტია — 2 სანტიმეტრიანი ხვრელი, რის გამოც კომისიის წევრებმა გოგრა დაიწუნეს.



გამოფენაზე წარმოდგენილმა ყველაზე დიდმა გოგრამ მნახველთა განცვიფრება გამოიწვია. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც გოგრა ტონაზე მეტს იწონის. რეკორდი აშშ-ში მოიყვანილ 911 კილოიან გოგრას ეკუთვნის.

## ბავშვებმა მიტოვებულ სახლში ფულით სავსე ტომარა იპოვეს

საბერძნეთის ქალაქ იანინაში ტომ სოიერის თავგადასავლის შესაფერისი ისტორია მოხდა — ბავშვებმა მიტოვებულ სახლში თამაშის დროს ტომარა იპოვეს, რომელშიც 43 ათასი ევრო იდო. ადგილობრივები პოლიციას მაშინ დაუკავშირდნენ, როცა დაინახეს, თუ როგორ თამაშობდნენ ბავშვები კუპიურებით.

ადგილზე მისულ სამართალდამცავებს ბავშვებმა ფულის სამალავი აჩვენეს. გამოძიებამ პოლიციელები 83 წლის ქალთან მიიყვანა, რომელიც მიტოვებული სახლის გვერდით ცხოვრობს. მოხუცის თქმით, მან 3 წლის წინ ეკონომიკური კრიზისის შიშით ბანკის ანგარიშიდან თავისი დანაზოგი მოხსნა და გადამალა. სამართალდამცავებმა ფული კანონიერ მფლობელს დაუბრუნეს.

## ცოლ-ქმარმა 250 კილო დაიკლეს



ამერიკელმა ცოლ-ქმარმა, ჯასტინ და ლორენ შელტონებმა, მკაცრი დიეტისა და ფიზიკური ვარჯიშის წყალობით, 19 თვის განმავლობაში თითქმის 250 კგ დაიკლეს.

ჯასტინი და ლორენი 2008 წელს დაქორწინდნენ. მალე ბედნიერი წყვილის უმთავრეს პრობლემად სიმსუქნე იქცა და ცოლ-ქმარმა ზედმეტი კილოგრამებისგან გათავისუფლება გადაწყვიტეს. ზუსტად 19 თვეში ლორენი 78 კილოგრამით გახდა, ხოლო ჯასტინი — 172-ით. წყვილის გარეგნობა იმდენად შეიცვალა, რომ დიდი ხნის უნახავი ახლობლები ვერც კი ცნობენ.

## ბიზნესმენი «ბენტლის» დამარხვას აპირებს



62 წლის ბრაზილიელმა ბიზნესმენმა ქოუნთ სკარპამ კუთვნილი ავტომობილის, „ბენტლის“ დამარხვა იმ იმედით გადაწყვიტა, რომ სიკვდილის შემდეგ ამ მანქანით სარგებლობას კვლავ შეძლებს.



ქოუნთ სკარპა სან პაოლოში ცხოვრობს. ის 500 000 დოლარად ღირებული ავტომობილის საკუთარი სახლის უკან მდებარე ბაღში ჩაფვლას აპირებს, რისთვისაც მიწა უკვე ამოთხარა. ამის ამსახველი ფოტოები ბიზნესმენმა სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა და მედიის ყურადღებაც უმალ მიიპყრო.

## კოშკი დომინოს ქვებით



ბრისტოლში მცხოვრები ინჟინერი ტომ ჰოლმსი რამდენიმე თვე აქტიურად ემზადებოდა რეკორდის დასამყარებლად — დომინოს ქვებით ყველაზე მაღალი კოშკის ასაგებად. 7 საათსა და 30 წუთში მან 2688 დომინოს ქვით 5,275 მ სიმაღლის კოშკი ააგო, რომელმაც ძველ რეკორდს 20 სმ-ით გადააჭარბა.

ინჟინერი საკუთარი რეკორდის მოხსნას და 6 მ სიმაღლის კოშკის აგებას აპირებს.







Cyan Magenta Yellow Black

## ჩინეთში ჰოლივუდს აშენებენ




ჩინელი ბიზნესმენი ვან ცზიანლინი ჩინური ჰოლივუდის აშენებას აპირებს, რაშიც ის 8,2 მილიონ ამერიკულ დოლარს ჩადებს. ჩინური ჰოლივუდი ნამდვილი ჰოლივუდის ზუსტი ასლი იქნება.

ცზიანლინმა მსოფლიოს კინოგიგანტებთან ხელშეკრულება უკვე გააფორმა, რომლის თანახმადაც, მათ ჩინურ ჰოლივუდში წელიწადში 30 ფილმი უნდა დაამზადონ, ჩინელი რეჟისორები კი დაახლოებით 100 ფილმს გადაიღებენ.

## „ლამბორჯინი" ოქროთი და ბრილიანტებით

არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებულ ავტომობილს მალე გასაყიდად გაიტანენ. „ლამბორჯინ ავენტადორი“ სუფთა ოქროთი, პლატინითა და ბრილიანტებითაა დამზადებული.



მდიდრული მანქანის შემქმნელები მის გაყიდვას 7,3 მილიონად აპირებენ, პოტენციურ მყიდველებს კი უიშვიათესი მანქანის საჭესთან დაჯდომის საშუალება მის შეძენამდე არ ექნებათ. საქმე ისაა, რომ ამჟამად ოქროს მანქანის მინიატურული ასლი არსებობს და როდესაც მყიდველი გამოჩნდება, მხოლოდ ამის შემდეგ დაამზადებენ ნატურალური სიდიდის „ლამბორჯინ ავენტადორს“.

## ყველაზე მოხუცი კატა 27 წლისაა



კატამ, სახელად ვენდიმ, ყველაზე მოხუცი კატის წოდება მას შემდეგ მიიღო, რაც 27 წლის გახდა (ადამიანის წლოვანებით 135 წელი). ვენდი ძალიან პატარა დაიბადა, პატრონებმა მალე გადააგდეს და 66 წლის ქალმა, ენ მენდეიმ შეიფარა. მაშინ ვენდი 4 კვირის იყო.

ინგლისში მცხოვრებ ენს ყოველთვის ჰყავდა კატები, მაგრამ, მისი თქმით, ვენდი განსაკუთრებული და ყველაზე კარგი პარტნიორია. მზრუნველ პატრონს კატა ყოველთვის ერთსა და იმავე ვეტერინართან დაჰყავს, ასე რომ, ამ ვეტერინარმა განსაზღვრა მისი ზუსტი ასაკი.

ვენდის ძლიერი და წვეტიანი ბრჭყალები აღარ აქვს, ახლა ის იმ მოხუცს წააგავს, რომელსაც მხოლოდ ძილი და ჭამაღა შეუძლია. მას რამდენიმე დაავადებაც აღმოუჩინეს. ვეტერინარის თქმით, ვენდი კიდევ რამდენიმე წელიწადს იცოცხლებს.

## უსახლკარო კაცს სიკეთისთვის 72.000 დოლარი შეუგროვეს

უსახლკარო გლენ ჯეიმსმა ბოსტონის სავაჭრო ცენტრში ჩანთა იპოვა, რომელშიც 2.400 დოლარი იდო და 39.000 დოლარი კი ჩეკის სახით, ასევე პატრონის პასპორტი. ჯეიმსმა



უმალვე განაცხადა ამის შესახებ პოლიციაში. პოლიციელებმა კი პატრონი მოძებნეს და დაკარგული ჩანთა დაუბრუნეს. ის ჩინელი სტუდენტი აღმოჩნდა, რომელიც ბოსტონში სასწავლებლად იყო ჩასული.

ბოსტონის პოლიციის უფროსმა ჯეიმსს კეთილშობილური საქციელის გამო მადლობა ოფიციალურად გადაუხადა, სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ კი აგორდა კამპანია, რომელიც მიზნად ისახავდა ჯეიმსისთვის ფულის შეგროვებას. გლენს 72.000 დოლარი უკვე შეუგროვეს.

## ეს იცოდით?

❖ სახელმწიფო ფიჯი მისი უნიკალური ბუნებრივი სილამაზის გამო მოხსენიებულია, როგორც სამოთხის ფილიალი დედამიწაზე.

❖ იუნესკო-ს მონაცემებით, ყველაზე სუფთა ბუნებრივი წყალი ფინეთში მოედინება. ამ საკითხზე კვლევები 122 ქვეყანაში ჩატარდა.

❖ მსოფლიოში ცნობილი არგენტინული სამეჯლისო ცეკვა ტანგო ამ ქვეყნის დედაქალაქის, ბუენოს-აირესის გარეუბნიდან წამოვიდა.

❖ მზის გარშემო ორბიტაზე დედამიწა 30 კმ/წმ სიჩქარით მოძრაობს.

❖ ყოველდღიურად მზის სითბოსგან დედამიწიდან მილიარდ ტონამდე წყალი ორთქლდება.

❖ ერთი წლის განმავლობაში ერთი ხე დაახლოებით 120 კილოგრამ ჟანგბადს გამოყოფს.

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



Cyan Magenta Yellow Black

# ჰოლანდიელი ლამაზმანების დიეტა



ჰოლანდიელ ქალებში ძალიან პოპულარულია დიეტა, რომლის დახმარებითაც 7 დღეში ფორმაში დგებიან. კვების ეს რეჟიმი ჰოლანდიელმა ენდოკრინოლოგებმა შეიმუშავეს და კარგი შედეგი მიიღეს.

**ორშაბათი**

**საუზმე** — ჭიქა ხილის კოქტეილი, 1 ორცხობილა და 2 ფინჯანი მწვანე ჩაი.

**მეორე საუზმე** —2 ფინჯანი ყავა, 1 ვაშლი ან სხვა ხილი (ყურძენი არა), 1 ორცხობილა.

**სადილი** — 1 შემწვარი კვერცხი, ჭიქა ტომატის წვენი, 1 ჭიქა რძე;

**ნაშუადღევს** — 2 ფინჯანი ჩაი, 1 ფინჯანი ქათმის ბულიონი (უმარილო).

**ვახშამი** — 100 გ ბიფშტექსი და 2 ს.კ. კარტოფილის პიურე.

**ძილის წინ** — 1 ვაშლი ან სხვა ხილი, 25 გ იოგურტი ან ჭიქა ხილის კოქტეილი.

**სამშაბათი**

**საუზმე** — 20 გ ყველი ან უცხიმო ძეხვი, 1 ორცხობილა, 2 ფინჯანი ჩაი.

**მეორე საუზმე** — 2 ფინჯანი ყავა, რომელიმე ხილი.

**სადილი** — 20 გ გამლღვალი ყველი, ნაჭერი შავი პური, 1 კივი, ფინჯანი რძე.

**ნაშუადღევს** —1 ფინჯანი ქათმის ბულიონი.

**ვახშამი** — 1 ცალი კატლეტი, 20 გ ყველი, 2 მოხარშული კარტოფილი.

**ძილის წინ** — ხილის სალათა, ფინჯანი რძე.

**ოთხშაბათი**

**საუზმე** — 25 გ იოგურტი, 2 ს.კ. მიუსლი, ჭიქა ფორთოხლის წვენი.

**მეორე საუზმე** — 2 ფინჯანი ყავა, რომელიმე ხილი.

**სადილი** — 50 გ შავი პური, 20 გ ყველი, ხილის წვენი.

**ნაშუადღევს** — ფინჯანი ბულიონი, ხილი.

**ვახშამი** — 200 გ ინდაურის მოხარშული ფილე.

**ძილის წინ** — ხილის იოგურტი, ნებისმიერი ხილი და ფინჯანი ჩაი.

**ხუთშაბათი**

**საუზმე** — 20 გ გამლღვალი ყველი, ნაჭერი შავი პური, 2 ფინჯანი მწვანე ჩაი.

**მეორე საუზმე** — 2 ფინჯანი ყავა, 2 ორცხობილა, 1 ცალი ვაშლი ან ბანანი.

**სადილი** —1 კიტრი, 1 პომიდორი, 3 ცალი სოსისი, ტომატის წვენი.

**ნაშუადღევს** —ფინჯანი ბულიონი, 50 გ შავი პური.

**ვახშამი** — 1 ცალი კატლეტი, 2 ს.კ. კარტოფილის პიურე ან წიწიბურა.

**ძილის წინ** — ჭიქა იოგურტი, 1 ცალი ნებისმიერი ხილი (ყურძენი არა).

**პარასკევი**

**საუზმე** — 200 გ ხაჭო, 2 ფინჯანი მწვანე ჩაი.

**მეორე საუზმე** — 2 ფინჯანი ყავა, 2 ორცხობილა, 1 ვაშლი.

**სადილი** — ყველიანი ან ძეხვიანი ბუტერბროდი, ჭიქა რძე.

**ნაშუადღევს** — ფინჯანი ბულიონი და 100 გ მოხარშული ქათმის ხორცი.

**ვახშამი** — 600 გ მოხარშული თევზი, 2 ს.კ. ლიმონის წვენი, ცოტა მარილი, ხახვი, 4 ცალი პომიდორი და 20 გ ოხრახუში 20 წუთი შუშეთ. გარნირი — მაკარონი.

**ძილის წინ** — იოგურტი და ნებისმიერი ხილი.

**შაბათი**

**საუზმე** — ბუტერბროდი ძეხვით ან ყველით, 2 ფინჯანი მწვანე ჩაი.

**მეორე საუზმე** — 2 ფინჯანი შავი ყავა.

**სადილი** — 100 გ უცხიმო ძეხვი წვრილად დაჭერით, დააყარეთ 1 თავი დაჭრილი ხახვი, მოასხით ათქვეფილი კვერცხი და შეწვით. მიაყოლეთ ჭიქა რძე.

**ნაშუადღევს** — 2 ფინჯანი მწვანე ჩაი.

**ვახშამი** — 30 გ მოხარშული ძროხის ხორცი, 3 პომიდორი, 50 გ ყველი ხილის კოქტეილი.

**ძილის წინ** — ჭიქა იოგურტი, 1 ვაშლი ან ხილის წვენი.

**კვირა**

**საუზმე** — 1 ცალი შემწვარი კვერცხი და 1 პომიდორი, 2 ფინჯანი ჩაი.

**მეორე საუზმე** — 2 ფინჯანი ყავა, 1 ვაშლი.

**სადილი** — 2 ბუტერბროდი (ყველით ან ძეხვით), ჭიქა ტომატის წვენი.

**ნაშუადღევს** — ფინჯანი ბულიონი, 50 გ ქათმის ხორცი.

**ვახშამი** — 100 გ მოხარშული თევზი, 30 გ ყველი, 100 გ მოშუშული ქამასოკო, 1 ცალი ბულგარული წიწაკა, 1 ჭიქა წითელი ღვინო.

**ძილის წინ** — ჭიქა თბილი რძე.

# სამსახურმა ბორკილები ხომ არ დაგადოთ?

ტესტის კითხვებს „დიახ“ ან „არა“ უპასუხეთ. თითოეულ დადებით პასუხში 1 ქულა დაიწერეთ, გარდა მე-2 და მე-5 შეკითხვებისა. თითო ქულა დაიწერეთ უარყოფით პასუხზე მე-2 და მე-5 შეკითხვებზე.

1. ღიზიანდებით, როცა თანამშრომლები დროს ჭორაობასა და ყავის სმაში ფლანგავენ?
2. დამატებითი სამუშაოს შესრულებაზე მხოლოდ იმიტომ თანხმდებით, რომ მიღებული ანაზღაურებით ძვირფასი ნივთი შეიძინოთ?
3. გსიამოვნებთ, როცა ხელმძღვანელი გეუბნებათ, რომ კონკრეტულ სამუშაოს თქვენ გარდა თავს ვერავინ გაართმევს?
4. დისკომფორტს განიცდით, როცა დასვენების დღეებში სახლში ყოფნა და საოჯახო საქმეების კეთება გიწევთ?
5. შეგიძლიათ, რამდენიმე კვირა ზღვაზე, პლაჟზე ისე გაატაროთ, რომ სამსახური ერთხელაც არ გაგახსენდეთ?
6. ხშირად ღამით ვერ იძინებთ, რადგან სამსახურებრივი პრობლემების გადაჭრას ცდილობთ და ნერვიულობთ?
7. ცუდ თანამშრომლად თვლით ადამიანებს, რომლებიც სამსახურში გვიანობამდე არ ჩერდებიან იმ შემთხვევაშიც კი, როცა ეს აუცილებელია?
8. კიცხავთ მათ, ვინც სამსახურს პირადი პრობლემების მოსაგვარებლად აცდენს?
9. თვლით, რომ სამუშაო საათების შემდეგ საკუთარ თავზე მუშაობა კარიერის წინსვლისთვის აუცილებელია?
10. მიგაჩნიათ, რომ ბავშვის გაჩენა ქალის კარიერაზე ცუდად მოქმედებს?

**შედეგები:**

თუ 8 და მეტი ქულა მოაგროვეთ, გამოუსწორებელი შრომისმოყვარე ხართ. სამსახური თქვენთვის უმთავრესია, შეიძლება ითქვას, ეს თქვენს ცხოვრებაში ერთადერთი სიხარულია.

სხვა შემთხვევაში, სამუშაოსა და სამსახურის მიმართ ნორმალური დამოკიდებულება გაქვთ.

# სუდოკუ

წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები იხ. გვ. 78

სუდოკუ არის იაპონური თავსატეხი, რომელმაც ბოლო დროს ევროპაშიც მოიკიდა ფეხი. მისი ამოხსნისთვის საკმარისია ლოგიკური აზროვნების უნარი. თავად ამოხსნის პროცესი კი დიდ სიამოვნებას გვპირდება.

**№ 1**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 6 | | 4 | | | | 5 |
| | 1 | | 9 | | | 2 | 3 | |
| 2 | | | | | 7 | | 8 | |
| | 7 | | 6 | | | 4 | | |
| | | | | 3 | | 8 | | 2 |
| 5 | | 9 | | 1 | | | | 7 |
| | 8 | | 2 | | | 5 | | |
| 4 | | | | | | | 9 | 1 |
| | | 3 | | | 1 | 6 | | |

**№ 2**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | | | | | 7 | | | 9 |
| | 3 | | 8 | 6 | | | | |
| | | 4 | | 1 | | | 8 | |
| | 9 | 8 | 7 | | | 5 | | |
| | | 1 | | 5 | | | | 3 |
| 2 | | | | | 6 | | 7 | |
| 9 | | | 4 | 3 | | 7 | | |
| | | 7 | | | 1 | | 2 | |
| | 6 | | | | | 4 | | 1 |

სუდოკუ შედგება 9-9 ჰორიზონტალური და ვერტიკალური სვეტისა და 9 ბლოკისგან. შევავსოთ ცარიელი უჯრები 1-დან 9 ციფრებით ისე, რომ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სვეტებსა და ბლოკებში ერთი და იგივე ციფრი არ განმეორდეს.



Cyan Magenta Yellow Black

# როგორი ქალი ხართ?



**1. რომელია თქვენი საყვარელი სასაუბრო თემა?**
ა) სამოსი — 3
ბ) ფინანსები — 1
გ) სექსი — 5

**2. რატომ ყიდულობთ ახალ ტანსაცმელს?**
ა) დაქალების გასაკვირვებლად — 1
ბ) მამაკაცების ყურადღების მისაქცევად — 5
გ) საკუთარი სიამოვნებისთვის — 3

**3. რა ფერის სამოსს ანიჭებთ უპირატესობას?**
ა) წითელს, ყვითელს და მწვანეს — 5
ბ) ფერს მნიშვნელობა არა აქვს — 3
გ) შავს, თეთრს, ლურჯსა და ყავისფერს — 1

**4. საუბრის დროს ფაქტებს ალამაზებთ?**
ა) ცოტათი — 3
ბ) ფაქტების შელამაზება ძალიან მიყვარს — 5
გ) არა — 1

**5. თქვენი აზრით, მამაკაცებს როგორი ქალები იზიდავენ?**
ა) მგრძნობიარეები — 5
ბ) იდუმალებით მოცულნი — 3
გ) ქედმაღლები — 1

**6. ხშირად იცინით?**
ა) ხშირად და გულიანად — 5
ბ) იშვიათად — 1
გ) როცა საჭიროა, მაშინ ვიცინი — 3

**7. როგორ იქცევით, როცა უცნობი მამაკაცი გეარშიყებათ?**
ა) მსიამოვნებს, თან ვწითლდები — 5
ბ) უხერხულად ვგრძნობ თავს — 1
გ) რეაქცია არ მაქვს — 3

**8. წიგნების კითხვა გიყვართ?**
ა) ძალიან — 5
ბ) მაშინ ვკითხულობ, თუ ვინმე რამეს მირჩევს — 3
გ) მხოლოდ პრესას ვეცნობი — 1

**9. თეატრებში და კონცერტებზე სიარული გიყვართ?**
ა) ხანდახან — 3
ბ) ძალიან — 5
გ) იშვიათად დავდივარ — 1

**10. რა არის თქვენთვის სექსი?**
ა) სასიამოვნო საქმიანობა — 5
ბ) ამაზე საუბარს ვერიდები — 1
გ) ეს დაოჯახებულების საქმიანობაა — 3

**11. პირფერობა გჩვევიათ?**
ა) არასოდეს — 1
ბ) ხანდახან — 3
გ) დიახ — 5

**12. ყურადღების ცენტრში ყოფნა გიყვართ?**
ა) ძალიან — 5
ბ) ისე რა — 3
გ) გააჩნია სიტუაციას — 1

**13. როგორ დაახასიათებდით თქვენს ცხოვრებას?**
ა) დაძაბულია და საინტერესო — 5
ბ) ხან საინტერესო, ხან მოსაწყენი — 3
გ) უფერული — 1

**14. როგორ მოიქცევით, თუ ახალგაცნობილმა მამაკაცმა ინტიმი შემოგთავაზათ?**
ა) სიამოვნებით დავთანხმდები — 5
ბ) დავიძაბები — 1
გ) უკარებას ვითამაშებ — 3

**15. როგორ ადამიანებთან გსიამოვნებთ ურთიერთობა?**
ა) მხიარულებთან — 5
ბ) სერიოზულ ხალხთან — 1
გ) გააჩნია სიტუაციას — 3

**16. რას ჩაიცვამთ, თუ ახალგაცნობილ მამაკაცთან მიდიხართ პაემანზე?**
ა) გამჭვირვალე სამოსს — 5
ბ) დეკოლტირებულ კაბას — 3
გ) მკაცრ კოსტიუმს — 1

**შედეგები:**

**70 ქულაზე მეტი** —მამაკაცებს აგიჟებთ, ისინი თქვენზე ჭკუას კარგავენ, მაგრამ ხანგრძლივად თქვენთან ურთიერთობა უჭირთ. მათ მხოლოდ სექსუალურად იზიდავთ და ეს გასაკვირი არცაა, რადგან ასეთი იმიჯი თავად შეიქმენით.

**51-70 ქულა** —მამაკაცების უმრავლესობას მოსწონხართ, რადგან სწორედ ისეთი იდუმალება გაგაჩნიათ, რაც მათ იზიდავთ.

**31-50 ქულა** — მამაკაცები ბუზებივით არ გეხვევიან, მაგრამ იმდენად ჭკვიანი და საინტერესო ხართ, რომ ძლიერი სქესის მიზიდვა არ გაგიჭირდებათ. ისე, ცოტა მეტი მონდომება არ გაწყენდათ.

**30 ქულა და ნაკლები** — მამაკაცები გაგირბიან. საოცარია, მაგრამ ამას მშვიდად ეგუებით. ეცადეთ, იმიჯი შეიცვალოთ და ერთ დღეს ნამდვილად იპოვით თქვენს გულისსწორს.

# რა დონეზეა თქვენი პროფესიონალიზმი?



**1. როგორ მოიქცევით, თუ ხედავთ, რომ თანამშრომლები სამსახურში უსაქმურად არიან?**
ა) ვეცდები, მათზე ზემოქმედება მოვახდინო — X
ბ) ამის შესახებ უფროსს ვეტყვი — 0
გ) არაფერს ვიტყვი — XX

**2. რა რეაქცია გექნებათ, თუ შვილმა ცუდი ნიშანი მიიღო და ამას მასწავლებელს აბრალებს?**
ა) დავტუქსავ, ალბათ გაკვეთილი არ იცოდა — 0
ბ) სკოლაში წავალ და ყველაფერს გავარკვევ — XX
გ) პირადად მასწავლებელს დაველაპარაკები — X

**3. სამსახურში თქვენთვის მთავარია:**
ა) შედეგი, რასაც აღწევთ — X
ბ) კოლეგებთან სასიამოვნო ურთიერთობა — XX
გ) კარიერის გაკეთება — 0

**4. ხელქვეითის უყაირათობამ საქმე კინაღამ ჩააგდო. თქვენ...**
ა) უფროსობას ჩააყენებთ საქმის კურსში — 0
ბ) იმ თანამშრომელს აღარ ენდობით — X
გ) ხელქვეითს დაიბარებთ და სიტუაციაში გაერკვევით — XX

**5. ნაცნობმა რაღაც გთხოვათ, თქვენ...**
ა) უარს ვერ ეტყვით — XX
ბ) თამამად ეტყვით უარს — 0
გ) შეეცდებით, დაეხმაროთ — X

**6. თუ სამსახურში კოლეგა ავად გახდა, ვინ ასრულებს მის სამუშაოს?**
ა) „მე არა" — XX
ბ) „ამას უფროსები გადაწყვეტენ" — 0
გ) „რა მნიშვნელობა აქვს, ვინ აიღებს თავზე, მთავარია, საქმე გაკეთდეს" — X

**7. კოლეგასთან კონფლიქტი მოგივიდათ, რაც ძალიან გაწუხებთ, რას მოიმოქმედებთ?**
ა) „გააჩნია, რაზე წავკამათდით" — X
ბ) „ვეცდები, შევურიგდე" — XX
გ) „არაფერს" — 0

**8. როგორ მოიქცევით, თუ ხვდებით, რომ კონფლიქტში ცდილობენ თქვენს ჩათრევას?**
ა) „ვეცდები, არ ჩავერიო" — X
ბ) „შევეცდები, ჩემი მომხრე ვიპოვო" — XX
გ) „დახმარებისთვის უფროსებს მივმართავ" — 0

**9. არაოფიციალურ ვითარებაში უფროსებთან რაზე საუბრობთ?**
ა) „იმაზე, რაც მას სიამოვნებს" — 0
ბ) „თემაზე, რომელშიც კარგად ვერკვევი" — XX
გ) „ისევ სამუშაოზე" — X

**10. თანაშემწის შერჩევისას რა თვისებებს ანიჭებთ უპირატესობას?**
ა) პასუხისმგებლობის გრძნობას — 0
ბ) გამოცდილებას — X
გ) დამოუკიდებლობას — XX

**შედეგები:**

**თუ პასუხებში X ჭარბობს,** საქმიანი ადამიანი ხართ და კოლეგებთან ურთიერთობა ნაკლებად გაინტერესებთ.

**XX სიჭარბის შემთხვევაში** საქმეზე მეტად ადამიანური ურთიერთობები გაინტერესებთ, რაც ზოგჯერ საქმეს ვნებს.

**თუ 0 ჭარბობს,**მაშინ საკმაოდ დისციპლინირებული მუშაკი ბრძანდებით, თუმცა, თუ დაგჭირდათ, საქმესაც შეელევით და კოლეგებთან ურთიერთობასაც.



Cyan Magenta Yellow Black



# შაქარი კონტროლის ქვეშ

ჯანმრთელი ადამიანის სისხლში გლუკოზის რაოდენობა მუდმივი სიდიდისაა და 3,3-5 მმოლ/ლ-ში მერყეობს. შაქრის დონის ხანმოკლე მომატება შესაძლებელია მაგალითად, ძლიერი სტრესის ან უხვი ტკბილი დესერტის გამო, მაგრამ კუჭქვეშა ჯირკვლის ნორმალური მუშაობისა და ჰორმონ ინსულინის გამომუშავებისას, სისხლში შაქარი ნორმას სწრაფად უბრუნდება.

თუ ორგანიზმში ინსულინი არ დამზადდა ან ამ ჰორმონის მიმართ უჯრედების ამთვისებლობა დარღვეულია, დიაბეტი ვითარდება. იმის მაგივრად, რომ უჯრედებისთვის ენერგიის წყარო გახდეს, გლუკოზა სისხლში რჩება და შხამად გარდაიქმნება. იტანჯება სისხლძარღვები, თირკმლები, თვალები, კანი — მთელი ორგანიზმი.

თუ შემდეგი უსიამოვნო სიმპტომები შენიშნეთ, დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს. ასეთი ნიშნებია:

ძლიერი წყურვილი და პირის სიმშრალე, განსაკუთრებით ღამით.

გახშირებული შარდვა დიდი რაოდენობით შარდის გამოყოფით.

კანის სიმშრალე. კანის ქავილი. ჭრილობისა და ნაკაწრების ცუდად შეხორცება.

სწრაფად დაღლა, სისუსტე, თვლემა, გაღიზიანებულობა.

ხელისა და ფეხების დაბუჟება, წვივებში ტკივილი.

გახსოვდეთ, დიაბეტი განსაკუთრებით საშიშია თავისი გართულებებით.

### რით შევცვალოთ შაქარი?

შაქრიანი დიაბეტის დროს ტკბილის მოყვარულების დამხმარეა შაქრის შემცვლელები. მათი გამოყენება შეუძლია იმ პირებსაც, ვისაც გახდომა სურს და ყოველ კალორიას ითვლის.

სორბიტი — ნატურალური დაბალკალორიული დამატკბობელია. წყალში კარგად იხსნება, შეიძლება ჩაიში დაუმატოთ.

ქსილიტი ასევე შაქრის ბუნებრივი შემცვლელია, უფრო ტკბილია, ვიდრე სორბიტი.

სტევიის ექსტრაქტი ამ მცენარის ფოთლებისგან მიიღება. შაქარზე ბევრად უფრო ტკბილია, გაცხელებას კარგად იტანს.

ასპარტამი შაქრის სინთეზური შემცვლელია, რომელიც ყველა დიეტურ გაზიან სასმელში გვხვდება. გაცხელებას კატეგორიულად ვერ იტანს.

ნატრიუმის ციკლამატი ძალიან ტკბილი სინთეზური დამატკბობელია. უკუნაჩვენებია თირკმლების დაავადებების, ფეხმძიმობისა და ძუძუთი კვების დროს.

### 5 საუკეთესო პროდუქტი დიაბეტის დროს

მართალია, სისხლში უკვე არსებულ შაქრის მაღალ დონეს არც ერთი პროდუქტი არ ამცირებს, მაგრამ რეგულარულად გამოყენებისას, ზოგიერთი მათგანი გლუკოზის ნორმალური დონის შენარჩუნებასა და გართულებების რისკის შემცირებას ეხმარება.

ისპანახი ბევრ მაგნიუმს შეიცავს. ეს მინერალი სისხლში შაქრის რეგულაციაში მონაწილეობს და სისხლის წნევას დაბლა სწევს.

ვარდკაჭკაჭა შეიცავს მწარე ნივთიერებას, რომელიც ინსულინის მწარმოებელ კუჭქვეშა ჯირკვლის უჯრედებზე სასიკეთოდ მოქმედებს. ყავის მაგივრად ამ მცენარის ფესვებისგან მომზადებული ნაყენი დალიეთ, ხოლო ფოთლები სალათებში აუცილებლად დაუმატეთ.

ნიორი სისხლში შაქრის დონეს ამცირებს კუჭქვეშა ჯირკვლის მიერ ინსულინის გამომუშავების გაუმჯობესებისა და მის მიმართ უჯრედების მგრძნობელობის ამაღლების ხარჯზე.

თხილეულში ბევრი ცხიმი და უჯრედისია, რომლებიც შაქრის შეთვისებას ანელებენ და მის დონეს ამცირებენ. ისინი ბევრ კალორიას შეიცავენ, ამიტომ დღეში მათი მაქსიმალური რაოდენობა არაუმეტეს 50 გრამისაა.

მწვანე სალათა მდიდარია ცილებით, რომელსაც ინსულინის მსგავსი მოქმედება გააჩნია. ამავდროულად კალორიები არ აქვს და ბევრ ვიტამინს შეიცავს.

### სანელებლების აფთიაქი

სამზარეულოს კარადაში სანელებლებს შორის მოიძებნება წამლები, რომლებიც სისხლში შაქრის ნორმალური დონის შენარჩუნებას ეხმარებიან.

დარიჩინი გლუკოზის დონის დამარეგულირებელი ეფექტური საშუალებაა. გარდა ამისა, სისხლში ცხიმებისა და ცუდი ქოლესტერინის შემცველობას ამცირებს, თავისუფალ რადიკალებს ანეიტრალებს, სისხლის შედედებასა და თრომბის წარმოქმნას აბრკოლებს. დარიჩინი შეგიძლიათ დაუმატოთ ჩაიში და ნებისმიერ სხვა სასმელში, გამოიყენოთ სოუსებში სალათების შესაკმაზად.

მიხაკი, ისევე როგორც დარიჩინი, შეიცავს ნაერთებს, რომლებიც სისხლში შაქრის დონის შემცირებას ეხმარება. სისხლძარღვების გასაწმენდად და გლუკოზის დონის შესამცირებლად 20 ცალ მიხაკს 1 ჭიქა მდუღარე დაასხით, თავსახური დაახურეთ და მთელი ღამე დატოვეთ. 1/3 ჭიქა დღეში 3-ჯერ, ჭამამდე 30 წუთით ადრე დალიეთ.

დაფნის ფოთოლსაც შაქრის დამწევი მოქმედება აქვს. მისგან მომზადებული ნაყენი ასევე ორგანიზმიდან ზედმეტი მარილებისა და ტოქსინების გამოდევნას ეხმარება. 8-10 დაფნის ფოთოლი თერმოსში მოათავსეთ, 1 ჭიქა მდუღარე დაასხით და დღე-ღამე დატოვეთ. 1/4 ჭიქა დღეში 3-4-ჯერ, ჭამამდე 30 წუთით ადრე მიიღეთ. კურსი 3-6 დღე.

პირშუშხა სისხლში შაქრის დონეს ამცირებს და სისხლძარღვებს ამაგრებს. პირშუშხას ძირები გახეხეთ და მჟავე რძეს პროპორციით 1:10 შეურიეთ. 1 სუფრის კოვზი დღეში 3-ჯერ, ჭამამდე მიიღეთ.

### 15 წუთიანი სეირნობა დიაბეტიანებისთვის

ჰიპოდინამია დიაბეტის განვითარების რისკს ზრდის, ხოლო უკვე არსებული დიაბეტის დროს, სისხლში გლუკოზის დონის ამაღლებას ხელს უწყობს. ამიტომ ნებისმიერი ფიზიკური აქტივობა სასარგებლოა.

ახლახან ამერიკელი მეცნიერების მიერ ჩატარებული გამოკვლევებით გაირკვა, რომ საშუალო ტემპში 15 წუთიანი სეირნობა საკვების ყოველი მიღების შემდეგ, სისხლში შაქრის დონეს ამცირებს. გარდა ამისა, ასეთი სეირნობები შესანიშნავია ფეხებისა და სისხლძარღვებისთვის.

წესად გაიხადეთ, ჭამის შემდეგ ცოტა დაისვენოთ, რათა საკვები კუჭში დალაგდეს. შემდეგ კი ახლომდებარე პარკში ან უბრალოდ ქუჩაში გაისეირნეთ. 15 წუთი არც ისე ბევრია, მაგრამ ჯანმრთელობისთვის ეფექტი მნიშვნელოვანია. არ დაგავიწყდეთ, აუცილებლად გაისეირნოთ ვახშმის შემდეგ! ეს არამხოლოდ სისხლში შაქრის დონის დაკლებას, ასევე კარგად დაძინებას ეხმარება.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძე

## ნაწლავური გაფიცვა ბალახებით „ჩაახშეთ“



მუცელში გაუგებარი რამ ხდება, თითქოს კარუსელი ტრიალებს, ხან აქ გტკივათ, ხან იქ? ამ იდუმალ სნეულებას ექიმები „გაღიზიანებული ნაწლავის სინდრომს“ უწოდებენ. ყველაზე ხშირად ასეთი მდგომარეობა სტრესული სიტუაციის (ჩხუბი, კონფლიქტი, გამოცდები და სხვა ფსიქოემოციური შენჯღრევა) შემდეგ ვითარდება. როგორ მოიქცეთ?

ყველაფერი გასტროენტეროლოგს უნდა მოუყვეთ. შეიძლება ფსიქოთერაპევტის კონსულტაციაც დაგჭირდეთ. მაგრამ, თუ „ნაწლავური გაფიცვა“ დროებითი ხასიათისაა, მაშინ სამკურნალო ბალახები დაგეხმარებთ. მოსინჯეთ მელისას, გვირილის, პიტნის, თავშავას, დიდი კამის ნაყენი. საჭმლის მონელების დარღვევის დროს ეს მცენარეები მდგომარეობას ამსუბუქებს და ნაწლავების გაფუებას ამცირებს.

რეცეპტი მარტივია: 20 გრამ ბალახს 1 ლიტრი მდუღარე დაასხით, 10-15 წუთი დადგით. 1 ჭიქა ნაყენი ყოველი ჭამის შემდეგ დალიეთ.



Cyan Magenta Yellow Black



# გვპასუხობს ექიმი

**— ვარ 6 თვის ორსული. გთხოვთ, მირჩიოთ, რა საჭმელი მეკრძალება და რა დროის შემდეგ უნდა დაიცვას ორსულმა დიეტა?**

— ორსულობის მე-6 თვიდან თავი შეიკავეთ საღამოს ბევრი საკვების მიღებისაგან. არ მიირთვათ ზედმეტად ტკბილი და მარილიანი საკვები, ეცადეთ, შეზღუდოთ სითხის რაოდენობაც. თუ ორსულობა ფიზიოლოგიურად მიმდინარეობს, გირჩევთ, მიიღოთ ხაჭო და ვაშლი (უმჯობესია „ანტონოვკა"), ბავშვისა და დედის ჯანმრთელობისთვის საუკეთესოა.

**— მაქვს ქრონიკული გაციების შეგრძნება, რომელიც მიმწვავდება გაზაფხულზე. რა მოვიმოქმედო?**

— ქრონიკული გაციების შეგრძნება ახასიათებს ალერგიულ დაავადებებს. ამისათვის საჭიროა მიიღოთ ანტიალერგიული პრეპარატები, მაგრამ ეცადეთ, ერთხელ მაინც ეჩვენოთ ალერგოლოგს და პრეპარატიც ექიმის დანიშნულებით მიიღოთ.

**— კანზე ხშირად მიჩნდება ჩირქგროვები, მირჩიეს საკუთარი სისხლის გადასხმა. მიშველის?**

— ჯერ უნდა დაადგინოთ, რა იწვევს ჩირქგროვებს. იგი შეიძლება გამოწვეული იყოს უშუალოდ კანის ანთებითი დაავადებებით ან მომდინარეობდეს შინაგანი ორგანოების პათოლოგიებიდან. გირჩევთ, გაიკეთოთ სისხლის საერთო ანალიზი, თუ მნიშვნელოვნად მომატებული გაქვთ ედს და ეოზინოფილები, ე.ი. ორგანიზმში მიმდინარეობს ანთებითი პროცესი.

**— რა მაჩვენებელი ითვლება წნევის ნორმად?**

— დღეს ცხოვრების სტრესული სიტუაციაა, ამიტომ სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ სისხლის წნევის მაჩვენებელი თუ 140/90 დაფიქსირდა, ნორმალურია. მაგრამ ზოგიერთი ადამიანის ორგანიზმი ამ მაჩვენებელს ვერ ეგუება და ამიტომ შეიძლება თავი შეუძლოდ იგრძნოთ, იშვიათ შემთხვევაში კი — ცუდად. გირჩევთ, წნევა გაიზომოთ დილის საათებში, ორივე მკლავზე. წნევა დილით უფრო მაღალი აქვს ადამიანს, ვიდრე საღამოს.

**— რა შეიძლება გამოიწვიოს ყურის ანთებამ?**

— ყურის ანთების რამდენიმე ტიპი არსებობს, მაგრამ არ არსებობს თავისით მორჩენის არც ერთი შემთხვევა. ანთებითი პროცესის დროს აუცილებელია სპეციალისტის ჩარევა, რომ დაინიშნოს ზუსტი ანტიბიოტიკური მკურნალობა. თვითნებური მკურნალობით მდგომარეობა მხოლოდ გართულდება. ყურის ანთების შედეგად შეიძლება მენინგიტიც განვითარდეს.

**— ერთი წლის წინ ვიმშობიარე საკეისროთი, მუცელი დამრჩა. შეიძლება თუ არა მუცლის პრესის ვარჯიშები?**

— საკეისრო კვეთის შემდეგ ქალების დიდ რაოდენობას მუცელი „რჩებათ". მიზეზი მუცლის კუნთის მოდუნებაა, რომელსაც შეკუმშვის უნარი შესუსტებული აქვს. თუ თქვენ საშვილოსნო ნორმალურ მდგომარეობაში გაქვთ, შეგიძლიათ ჩაიტაროთ მუცლის პრესის ვარჯიშები. ძლიერი ვარჯიშების დაწყებას თუ აპირებთ, ჯერ გაიკეთეთ ექოსკოპიური გამოკვლევა.

**— სამი თვის წინ გადავიტანე ფილტვების ძლიერი ანთება. მივიღე ანტიბიოტიკები დიდი რაოდენობით. შეიძლება თუ არა, რომ ვიმარხულო?**

— პნევმონიის ანუ ფილტვების ანთების პერიოდში და შემდეგაც ორგანიზმს დიდი რაოდენობით ცილოვანი და ვიტამინებით მდიდარი საკვები უნდა მიაწოდოთ. თუ ექიმი გირჩევთ, რომ შეიძლება არ მიიღოთ რძის პროდუქტები და ცილების შევსება მოახერხოთ ბოსტნეულით, შეგიძლიათ უპრობლემოდ იმარხულოთ.

**— ზამთარში მქონდა ანგინა, დამივარდა ჰემოგლობინი. რა მოვიმოქმედო და რისი ბრალია?**

— ანგინას ახასიათებს სისხლის საერთო ანალიზში ცვლილებები, მოსალოდნელია ჰემოგლობინის მკვეთრი დაცემა. მკურნალობის ჩატარებისა და, რა თქმა უნდა, ვიტამინებით მდიდარი საკვების მიღების შემდეგ, ჰემოგლობინი ნორმას უბრუნდება. გირჩევთ, ერთმანეთში შეურიეთ ნიგოზი, ქიშმიში და თაფლი, მიიღეთ ყოველდღე. დოზირება თქვენ თვითონ განსაზღვრეთ.

**— მაქვს ფრჩხილის ჩაზრუნება, რომელიც ძალიან მაწუხებს. მეშინია ექიმთან მისვლის, რას მირჩევთ?**

— ეცადეთ, როგორმე ამოიჭრათ ჩაზრუნებული ფრჩხილი. ყოველი დაბანის შემდეგ დაზიანებულ ფრჩხილზე დაისხით „პერეკისი", რომ ამოიწმინდოს დაგროვილი ჩირქი. შემდეგ ყოველდღე მცირედით მაინც უნდა ამოიჭრათ ფრჩხილი. შეიხვიეთ ფურაცილინში დასველებული ტამპონით, რომელიც ტკივილს შეგიმსუბუქებთ და თან ინფექცია აღარ განგივითარდებათ.

**— შეიძლება თუ არა სიბრძნის კბილის „დაპლომბვა"?**

— თუ დაზიანებული არ გაქვთ მერვე კბილის, ე.წ. სიბრძნის კბილის ფესვები და მხოლოდ მცირე კარიესია, შეგიძლიათ „დაიპლომბოთ".

**— მაქვს კისტა და აღმოჩნდა, რომ მქონია მიომაც. შეიძლება თუ არა, რომ დავფეხმძიმდე?**

— ეს დამოკიდებულია მიომისა და კისტის ზომაზე და საშვილოსნოს კედელში ჩაზრდის მდგომარეობაზე. შეიძლება დაფეხმძიმდეთ და ორსულობის პროცესმაც წარმატებით ჩაიაროს.

## როგორ დავაყენოთ ჩაი



ჩაის პაკეტები მყარად დამკვიდრდა ჩვენს ცხოვრებაში. ნამდვილი ჩაით ტკბობას გადავეჩვიეთ. მოდით, გავიხსენოთ, სინამდვილეში როგორ უნდა დავაყენოთ.

1. ჩაი სპეციალიზებულ მაღაზიებში შეიძინეთ, სადაც მათი დიდი არჩევანია. აუცილებელი არ არის, ძვირადღირებული შეარჩიოთ. ნაირსახეობებს შორის იპოვით იმას, რომელიც ფასით მისაღები იქნება.
2. ჩაისთვის წყალი აუცილებლად ფილტრში გაატარეთ.
3. ყველაზე უკეთესია, ჩაი ფაიფურის ჭურჭელში დააყენოთ (წინასწარ მდუღარე გამოავლეთ).
4. ჩაიდანში ჩაი ჩაუშვით, მდუღარე დაასხით და თავსახური მჭიდროდ დაახურეთ. ზემოდან ქსოვილის ხელსახოცი დააფარეთ.

| ჩაის სახეობა | რაოდენობა | წყლის ტემპერატურა | დაყენების დრო |
|---|---|---|---|
| შავი ჩაი | 1 ჩ.კ. | 90-100 გრადუსი | 3-5 წუთი |
| მწვანე | 1-2 ჩ.კ | 70-85 გრადუსი | 1-3 წუთი |
| წითელი | 1-2 ჩ.კ. | 100 გრადუსი | 3-5 წუთი |
| ბალახეული | 2 ჩ. კ | 90-100 გრადუსი | 3-5 წუთი |
| მატე | 1-2 ჩ.კ. | 100 გრადუსი | 5-7 წუთი |


თუ გსურთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კითხვის გაგზავნა, აკრიფეთ ასო S და გაგზავნეთ კითხვა ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან. 1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.



კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი
(შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა)
დისბაქტერიოზი

მიიღეთ
ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

1. ... დელონი; 2. დიატონიკური გამის მეოთხე საფეხური; 3. გუნდის ხელმძღვანელი ძველბერძნულ ტრაგედიაში; 4. შაშხი; 5. საენათმეცნიერო ტრანსკრიფციაში ხმარებული მოკლე, კლაკნილი ხაზი; 6. სატურნის თანამგზავრი; 7. ჰოლივუდის ვარსკვლავი; 8. აღტაცების ან წყენის გამომხატველი შორისდებული; 9; სახელმწიფოს უმაღლესი რანგის დიპლომატი სხვა ქვეყანაში; 10. მანქანური დაპროგრამების ენა; 11. დიდი მტაცებელი ძუძუმწოვარი ცხოველი; 12. გამარჯვებული ძველად; 13. ფრანგი ფერმწერი; 14. სახიფათო, სარისკო პროფესია; 15. ბაასი, მუსაიფი; 16. ტყის ბალახი, ნორჩობაში საჭმელად ვარგისი; 17. მოკლე ანეკდოტი ანტიკურ რიტორიკაში; 18. ფულის მიღება მრწმუნებლის დავალებით და სათანადო დოკუმენტების წარდგენით; 19. ფუჭი, უნაყოფო; 20. ელექტროდენის წინაღობის ერთეული; 21. ...-აბება; 22. კანის ანთებითი დაავადება; 23. ორი მონარქიული სახელმწიფოს გარკვეული კავშირი; 24. ქალიშვილი ინგლისურად; 25. ბიბლიური პერსონაჟი; 26. იაპონური თეატრი; 27. დაკანონებული რამ; 28. რაიმე პრინციპით გაერთიანებულ მეცნიერებათა, დისციპლინათა ჯგუფი; 29. ... ემე; 30. ... კეროლი; 31. წიწვოვანი მცენარე; 32. ფინური აბანო; 33. ჟოლო, მარწყვი, მაყვალი; 34. ... მაკფერსონი; 35. რუმინული ფულის ერთეული; 36. ესპერანტოს ვარიანტი; 37. შიშველი სხეულის გამოსახულება ხელოვნებაში; 38. მწვანილი; 39. შტატი აშშ-ში; 40. ხის, ლითონის დასამუშავებელი საბრუნებელი მანქანა; 41. დაბალი დგამი კრივში; 42. შ. პეროს ზღაპარი; 43. აპდაიკის რომანი; 44. გრძელი, ფართო წამოსასხამი; 45. მწვავე ინფექციური დაავადება; 46. ბერძნული ანბანის ასო; 47. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში; 48. პატარა ელექტროორგანი; 49. რისამე საგანგებო ნარევი; 50. „მინერალური ...“; 51. ლექსის ნაწილი; 52. სომეხთა რელიგიური ცენტრი; 53. ვაჟიშვილი; 54. ინგლისელთა პოპულარული თამაში ბურთითა და ჯოხით; 55. გამომწვარი კირქვა; 56. ჯაზპიანისტი; 57. მეოთხე ნოტი; 58. შოტლანდიელთა ქვედა სამოსი; 59. დედის ან მამის ძმა; 60. ბატონი თურქეთში; 61. ურმების, საზიდრების, საბარგო ავტომანქანების ქარავანი; 62. სახურავი მასალა; 63. ცხოვრების სიმძიმე, ტვირთი; 64. მინერალური წყალი ლეჩხუმში.




**წინა ნომერში გამოქვეყნებული კოდიანი სკანვორდის პასუხები**

1. აი; 2. ამირან; 3. აფექტი; 4. ცა; 5. ინა; 6. ოფელია; 7. ენ; 8. კვიცი; 9. რომა; 10. კოლექცია; 11. ქა; 12. ესენტუკი; 13. სესილია; 14. ნაკადული; 15. ქნარი; 16. კანცონა; 17. ნიტრო; 18. ბანი; 19. ბი; 20. ტინი; 21. მის; 22. სპექტრი; 23. იო; 24. კი; 25. კამა; 26. აცხა; 27. მოკო; 28. გარანტი; 29. ბაგეტი; 30. კურარე; 31. ირაო; 32. ტაეპი; 33. გლოლა; 34. კიანუ; 35. საინი; 36. კობო; 37. ალეკ; 38. არა; 39. ვისტი; 40. „ავარა“; 41. პიცა; 42. პოლიტურა; 43. რეგალია; 44. იოდი; 45. ამია; 46. სინერგია; 47. დასი; 48. შნო; 49. პრიმადონა; 50. ირანი; 51. იმა; 52. ბრაუნი; 53. ტენორი; 54. ილი; 55. თვალი; 56. ალთაი; 57. ლიმონა; 58. ატოცი; 59. ალიბი; 60. მილიონი; 61. რო; 62. ასტამი; 63. ანიონი; 64. პადრე; 65. პი; 66. ადორაცია.**სურათებზე:**რალფ ფაინსი; ტატიანა პატიცი; ჯემი ლი კერტისი; ბენ სტილერი.

**კოდი: ცოკოლი**



Cyan Magenta Yellow Black





1. ტბა აშშ-ში

2. სანელებე-ლი

3. ქიმიური ელემენტი

4. სოფელი ყაზბეგის რაიონში

5. ბედი

6. ღამის პეპელა

7. შტატი აშშ-ში

8. ინდოელი ქალის კაბა

9. ცხოვრების რიტმი, ტემპი

10. ქალაქი უკრაინაში

11. ბილიარ-დის ჯოხი

12. ყვავილი

13. ერთი გვარის მემკვიდრე მეფეები

14. ... პუგაჩოვა

15. მცენარის წვეტიანი გამონაზარ-დი

16. ... პაჩინო

17. ერთგვარი ბალახი

18. ნიავი

19. ... ჯაგერი

20. ეკლესიის მსახური

21. სვე რთველში

22. ქალბატო-ნი

23. სამიანი ნარდში

24. ნაბიჯი ცეკვაში





## წინა ნომერში გამოქვეყნებული მწვანე სკანვორდის პასუხები

1. ლა; 2. დანი; 3. ანა; 4. კალაპოტი; 5. არაგვი; 6. მაია; 7. შასლა; 8. შუკა; 9. ელია; 10. ვისკი; 11. ტირასპოლი; 12. სავსე; 13. აისბერგი; 14. აზუა; 15. ლეი; 16. კია; 17. ზერო; 18. ილია; 19. „ტრავიატა“; 20. ას; 21. ემალი; 22. გო. **სურათებზე:** კრიკეტი; ტოსტერი; დესერტი; ბილიარდი.



Cyan Magenta Yellow Black

# 40 წლის ასაკიდან ბევრი მსხალი მიირთვით



ძველ ჩინეთში მსხალი უკვდავების სიმბოლოდ ითვლებოდა. ბრძენმა ჩინელებმა ამ ხილში ვიტამინური პოტენციალი დაინახეს. მსხალს „ღმერთების საჩუქარს“ უწოდებენ. ის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ხილია მსოფლიოში.

მსხალი მდიდარია სასარგებლო ნივთიერებებით. შეიცავს A, $B_1$, $B_2$, E, P, PP და C ვიტამინებს, კაროტინს, ფოლის მჟავას, პექტინებს, მინერალურ მარილებს, რკინას, მაგნიუმს, იოდს, კობალტს, თუთიას, სპილენძს, კალიუმს, უჯრედისებს, მაგრამ მსხლის ძირითადი ღირებულება — ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებია, რომლებიც ორგანიზმში დამცავ ძალებს ამაღლებენ.

როგორც ხალხური, ასევე ოფიციალური მედიცინა რეკომენდაციას იძლევა, მსხალი სხვადასხვა შემთხვევაში გამოვიყენოთ. მაგალითად, ძალის გამოლევის, სწრაფად დაღლის, თავბრუს, გახშირებული გულისცემის დროს. ასევე მადის დაკარგვის დროს. მსხალი ხელს უწყობს ორგანიზმიდან მძიმე ლითონებისა და ტოქსინების გამოდევნას. სასარგებლოა ღვიძლისა და კუჭის დაავადებების, აგრეთვე ხველის დროს. ექიმები 40 წლის ზევით მსხლის ხშირად ჭამას გვირჩევენ.

მსხალს აქვს ისეთი ძვირფასი თვისებები, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ სახის ნიღბის მოსამზადებლად.

**მკვებავი-გამწმენდი ნიღაბი.** 1 მსხალი გახეხეთ. 1 სუფრის კოვზი გარეცხილი ბრინჯი მარილის გარეშე, სრულ ჩაშლამდე მოხარშეთ. წყალი გადაღვარეთ, გააგრილეთ. ბრინჯი და მსხლის ფაფა აურიეთ. სახეზე 20 წუთი დაიდეთ. ნიღაბი გრილი წყლით ჩამოიბანეთ.

# ცირცელი წყალს ასუფთავებს

ცირცელის (ჭნავის) ნაყოფი ვიტამინებისა და მიკროელემენტების ნამდვილი ჭაა. მასში ასევე არის სორბიტი. ეს ნიშნავს, რომ ამ კენკრის ჭამა შეიძლება შაქრიანი დიაბეტის დროს და შიში არ გქონდეთ, რომ სისხლში შაქარი მოიმატებს.



ცირცელი რომ არომატულია, ეს ყველამ იცის. მაგრამ მისი უნიკალური თვისებების შესახებ ცოტას თუ სმენია. მაგალითად, წყალს მავნე მიკროორგანიზმებისგან შესანიშნავად ასუფთავებს. ძველად ცირცელის ტოტს წყლიან ჭურჭელში ათავსებდნენ. წყალი სისუფთავესა და სიახლეს დიდხანს ინარჩუნებდა. წყლიან ჭურჭელში ერთი მუჭა ცირცელი ჩაუშვით. გემრიელიც არის და სასარგებლოც.

ცირცელი შეიცავს C, P, K ვიტამინებს, კაროტინოიდებს, ორგანულ მჟავებს, რაც საშუალებას იძლევა, მისი წვენი გამოვიყენოთ კანის კვების, გაწმენდა-გაახალგაზრდავების მიზნით.

თუ ნორმალური კანი გაქვთ, ერთი მუჭა ცირცელი დასრისეთ და ერთი საათის განმავლობაში სახე გაიწმინდეთ. შემდეგ კოსმეტიკური რძით ჩამოიბანეთ.

თუ მშრალი კანი გაქვთ, ცირცელის წვენს სანახევროდ ცხიმიანი ნაღები აურიეთ და ნიღაბი გაიკეთეთ.

შეძლებისდაგვარად ეს წითელი კენკრა ჭამეთ. ის შიგნიდან მუშაობს არამხოლოდ როგორც ექიმი, ასევე კოსმეტოლოგიც.

# საინტერესო ცნობები საზამთროს ირგვლივ

საზამთრო ერთ-ერთი ლიდერთაგანია ლიკოპენის (ძლიერი ანტიმჟანგავი) შემცველობით.

ეს ნაყოფი 92% წყლისგან შედგება.

2 ნაჭერი საზამთრო C ვიტამინის დღიური ნორმის ნახევარს შეიცავს.



ერთი ნაჭერი საზამთრო 48 კკალორიაა.

საზამთრო წყურვილს კლავს, ანაყრებს, კანს ატენიანებს და ასუფთავებს. ასევე განწყობას ამაღლებს.

საზამთროს ორდღიანი განმტვირთველი დიეტა ორგანიზმისთვის მეტად სასარგებლოა.

დღეში შეგიძლიათ 2-2,5 კგ საზამთრო ჭამოთ ჯანმრთელობისთვის ზიანის მიუყენებლად.

საზამთროს ჭამა რეკომენდებულია სხვა პროდუქტებისგან განცალკევებით. სხვაგვარად კუჭში გაფუვდება და ბევრ აირს წარმოქმნის.

სასურველია საზამთრო საჭმლის მიღებიდან ორი საათის გასვლის შემდეგ ჭამოთ — ასე მეტი სარგებლობის მომტანია.

# მკურნალი სანელებლები

სანელებლები არამხოლოდ ნებისმიერ კერძს აძლევს განუმეორებელ გემოს, ასევე მეტად სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის. ყოველდღიურ კერძებში ცოტა რაოდენობით სხვადასხვა საკაზმი დაუმატეთ მარილის მაგივრად (ეს უკანასკნელი არტერიული წნევის მომატებას ხელს უწყობს და სახსრებში გროვდება). სანელებლები დაგეხმარებათ ბევრი სხვა უსიამოვნო მდგომარეობის დროს.



**მიხაკი, კოჭა, დიდი კამა, ჯავზი** — ტკივილგამაყუჩებელ თვისებებს ფლობენ.

**წითელი და შავი წიწაკა, მიხაკი და კურკუმა, ქინძი** — კარგ ანტისეპტიკად (მიკრობებს ანადგურებს) ითვლება.

**კურკუმა, დიდი კამა** — სიცხეს დაბლა სწევს.

**ილი, კოჭა, შავი მდოგვი, ქინძი, ზაფრანა** — მატონიზირებელ თვისებებს ფლობენ.

**კოჭა, წითელი წიწაკა, კურკუმა, წიწაკა ჩილი, ზაფრანა** — საჭმლის მონელების პროცესს აუმჯობესებენ.

**დიდი კამა, კურკუმა და კოჭა** — სისხლს ასუფთავებენ.

**შავი წიწაკა, კოჭა** — მეხსიერებას აუმჯობესებენ.

**სურნელოვანი წიწაკა, შავი მდოგვი, შავი და წითელი წიწაკა** გამოიყენეთ ოსტეოქონდროზის (ძვლებისა და ხრტილების ანთება) დროს.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ



Cyan Magenta Yellow Black

# ქართული ანეკდოტები



**— რა გაყვირებს, კაცო, რა დაგესიზმრა ამისთანა? — აღვიძებს ცოლი ქმარს.**

**— ტანია იხრჩობოდა ზღვაში!**

**— ტანია ვინ არის?**

**— შენ არ იცნობ. მეც ახლა გავიცანი სიზმარში.**

— შე საზიზღარო! ამ დილით შენს მანქანაში ქალის ტრუსიკი ვნახე. ახლა არ მითხრა, რომ მე მომიტანე საჩუქრად, თორემ მოგკლავ, იცოდე! — უყვირის ცოლი ქმარს.

— რას ამბობ, ქალო, მე შენ ნაცვამ ტრუსიკს გაკადრებდი?!

❖ ❖ ❖

სტომატოლოგმა პაციენტს კბილი ამოუღო.

— აი, თქვენი კბილი, გამომართვით! — გაუწოდა დიდის ამბით.

— აი, თქვენი სავარძლის სახელური, — გაუწოდა პაციენტმაც.

❖ ❖ ❖

ოპერის თეატრში ტელეფონი რეკავს:

— თქვენი განცხადება წავიკითხეთ, ბანი გჭირდებათ?

— კი.

— მე ვარ ბანი...

— ვერ გავიგე, ცოტა ხმამაღლა მითხარით.

— მაშინ დაგეწერათ, რომ ტენორი გჭირდებოდათ.

❖ ❖ ❖

— ცოლად გამომყევი, თორემ, იცოდე, თავს მოვიკლავ!

— მართლა?

— კი, მე სულ ასე ვიქცევი.

❖ ❖ ❖

— ქალო, — ეუბნება ქმარი ცოლს, — რამდენ ხახვს ყრი ქვაბში, შენ ხახვში ჩაშუშულ ქათამს ამზადებ თუ ქათამში ჩაშუშულ ხახვს?



**— რაია, ბუჯო, ყვავილები რომ გიყიდია, ვისთვის მიგაქ?**

**— სიდედრისთვის, სიმონ.**

**— აუ, რას გოუხარდება?!**

**— მეტი არაა ჩემი მტერი. შაფათს ვასაფლავებთ.**

❖ ❖ ❖

— ბუჯო, კირილიჩმა გოგო გაათხუა?

— საიდან მეიტანე?

— გუშინ ბაღისკიდეზე დევინახე ი გოგო, ბაღანა ყავდა კალიასკით და ძუძუს აწოვებდა.

— კალიასკა მამამისმა უყიდა, რძე თვითონ აქ და გათხოვება რათ უნდა, ისე ვერ გაზრდის ბაღანას?!

❖ ❖ ❖

ერთი ნარკომანი მეორეს:

— გეგა, გაასწორე, რა, ბიჩოკი დამივარდა და მომაწოდე.

— ვაა, მე რომელი შტანგისტი მნახე, ტო!

❖ ❖ ❖

— ალო, კაკოია, ამ საღამოს პატარა ვახშამი მაქ და მეწვიე.

— მოგცლია ერთი შენც! პატარა ვახშამი ყოველ საღამოს მაქ მე.

❖ ❖ ❖

— ექიმო, ვსუქდები და ვსუქდები. რა ვქნა, არაფერი არ უნდა ვჭამო? — შესჩივის პაციენტი ექიმს.

— პირიქით, ქალბატონო, ყველაფერი არ უნდა ჭამოთ.

❖ ❖ ❖

ზურიკელა ექიმს ურეკავს:

— ექიმო, ილარიონა გაგიჟდა. შუშის თვალი ამოიღო და ეზოში მოისროლა.

— შე კაცო, თვალია, ლიმონკა ხომ არა. ადექი და მოძებნე!

❖ ❖ ❖

— ექიმო, ჩემი ცოლი ძილში ყვირის: „მიხოვ, არ მოგცემ, არა!“.

— თქვენ რა გქვიათ?

— შაქრო.

— აბა, მოსალოცად გქონიათ საქმე, ჩემო შაქრო, ხომ ხედავთ, არ აძლევს.

❖ ❖ ❖

გამოცდაზე:

— ბატონო პროფესორო, შეიძლება მესამე ბილეთი ავიღო?



**— რა განსხვავებაა ადამიანსა და ღორს შორის?**

**— ღორი არასოდეს გადაიქცევა ადამიანად, რადგან არ სვამს.**

— ეს უკვე მეტისმეტია, ახალგაზრდავ!

— რატომ, ბატონო მოსამართლევ, აი, თქვენ რამდენი გაქვთ!

❖ ❖ ❖

— მამი, ხვალ სკოლაში უნდა მოხვიდე!

— მაინც რა ჩაიდინე, შე მამაძაღლო?

— ასე, 200-300 ლარი ეყოფა!

❖ ❖ ❖

— გუშინ ქუჩაში ლამაზმა გოგომ შემომხედა და გამიღიმა.

— გაგიღიმა კი არა, სიცილით რომ არ მოკვდა, არ გიკვირს?!

❖ ❖ ❖

გურული მოკვდა და გასვენების დღეს ცოლმა კესარიამ კუბოში ჩაულაგა სიგარეტი, ასანთი, დომინო, ნარდი.

— ტელევიზორიც უყვარდა საწყალს... — დაიწყო ზლუქუნი.

— ტელევიზორზე უფრო შენ უყვარდი მაგას, კესარია და რას იზამ ახლა შენ? — უთხრა მეზობელმა.



**— რა მიხვალ ამ შუაღამეს ბატარეით? — ეკითხება გურული მეზობელს.**

**— საცოლე უნდა ვნახო.**

**— დღისით ვერ ნახავ, შე კაცო?**

**— რას ამბობ, ბიძია, აბა, ამ 25 დღიანი ბატარეა რათ მინდა, ტყვილა ვიყიდე?!**

✓ შეკრიბა მურმან მერკვილიშვილმა, ქეთი ხარატიშვილის ნახატები



**— ახლა სახლში რომ მივალ, ცოლს ვეტყვი, გამარჯობა, როგორ ხარ-მეთქი, — ეუბნება ერთი თანამეინახეს.**

**— მერე?**

**— არაფერი, დანარჩენს ის მეტყვის.**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი
(შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა)
დისბაქტერიოზი
მიიღეთ
ლაქტო-ჯი
www.laqto.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.



Cyan Magenta Yellow Black

ალან ალექსანდრ მილნი

დასაწყისი №37-39

# წითელი სახლის საიდუმლოება



ოდრი სტივენსის დაკითხვა დასასრულისკენ მიდიოდა.

— მაშ, მისტერ მარკი თქვენ არ დაგინახავთ? — შეეკითხა ინსპექტორი ბერჩი.

— არა, სერ. ის, როგორც ჩანს, ადრე მივიდა. ან საპარადო შემოსასვლელით ისარგებლა, როცა მე უკნიდან გავედი.

— კარგი. დიდი მადლობა. სხვა მსახურები?

— ელსიმ გაიგონა, როგორ საუბრობდნენ ერთმანეთში ძმები, — სწრაფად მიაყარა ოდრიმ, — ის ამბობდა, ანუ მისტერ მარკი...

— ვფიქრობ, უკეთესი იქნება, თუ თავად ელსის მოვუსმენ, — შეაწყვეტინა ინსპექტორმა, — ისე, ვინაა ეს ელსი?

— ერთ-ერთი უმცროსი მოახლე, სერ. გამოგიგზავნოთ?

— თუ არ შეწუხდებით.

ელსი მალე გამოცხადდა.

— თქვენ, როგორც გავიგე, ძმების საუბარს შეესწარით, — შენიშნა ბერჩმა.

— დიახ, სერ. ვესტიბიულში როცა გავიარე, კაბინეტიდან ხმები მომესმა.

— შეჩერდით და მიაყურადეთ?

— არა, სერ. ამას როგორ ვიკადრებდი, — ამაყად განაცხადა მოახლემ, — უბრალოდ, კარგი სმენა მაქვს და...

— თქვენი ჩვენება შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანი გამოდგეს. იქნებ გაიხსენოთ, რა მოგესმათ?

— სამუშაო დაწყებულიაო, თუ რაღაცა მაგდაგვარი.

— ეს ვინ თქვა?

— მისტერ რობერტმა.

— რა იცით? მისი ხმა ადრეც გსმენიათ?

— მისი არა, მაგრამ... ეს არც მისტერ მარკი იყო, არც მისტერ კეილი და არც სხვა ჯენტლმენი. მისტერ რობერტი კი სულ 5 წუთით ადრე მის სტივენსმა კაბინეტში შეაცილა.

— კარგი. მერე?

— მერე მისტერ მარკმა ხმამაღლა, გამარჯვებულის ტონით თქვა: „ახლა ჩემი ჯერია, დამაცადე!“.

— გამარჯვებულის?

— ჰო, თითქოს მისი შანსი დადგა.

— მეტი არაფერი გაგიგონიათ?

— არა, სერ. აკი ვთქვი, არ შევჩერებულვარ-მეთქი.

— კარგი, ელსი. გმადლობთ.

ბილ ბევერლიმ სტუმრები ავტომობილებამდე მიაცილა, ბეტის ხელზე კოცნით დაემშვიდობა, უკან დაბრუნდა და ბაღში მჯდარ ენტონის შეუერთდა.

— უცნაური საქმეა, — თქვა და სკამზე ჩამოჯდა.

— ძალიან უცნაური.

— შენ ჩაგითრია, არა?

— ძალიან.

— ანუ შენ ის ხარ, ვინც ძალიან დამჭირდები. ამ ინსპექტორმა სულელური შეკითხვებით გული გამიწყალა, როგორ გაგიცანი, სად, რატომ და სხვა ამგვარი უაზრობები. იქნებ უკვე იცი, სინამდვილეში რა მოხდა?

ენტონი მოკლედ მოუყვა მეგობარს, რაც უკვე აცნობა ინსპექტორს. ბილი კი ხან „ღმერთოს“ შეძახილით პასუხობდა, ხანაც — სტვენით.

— მაგარი დომხალია! — დაასკვნა ბევერლიმ, — ოღონდ ვერ ვხვდები, მე რა შუაში ვარ.

— ბერჩმა ყველა დაკითხა. შენ რა გამონაკლისი იქნებოდი?

— ჰო, მაგრამ...

— სხვათა შორის, ერთი რამ ნათელია: კარგი გემოვნება გქონია. მისმა წასვლამ გული დაგწყვიტა?

ბილი გაწითლდა:

— არაფერია. მომავალ კვირას ისევ ვნახავ.

— გილოცავ! კარგად გამოიყურება, ეს ნაცრისფერი კაბა, სასიამოვნო ქალია.

— იდიოტო! ეს დედაა მისი, მისის ჯოან კოლედაინი! — ეწყინა ბილს.

— ო, მაპატიე. ისე კი, ბილ, ახლა მე უფრო მჭირდები, ვიდრე მას, ამიტომ ჩემით დაკმაყოფილდი.

— მართლა? — ბილი აშკარად კმაყოფილი ჩანდა: ენტონით ყოველთვის აღტაცებული იყო და მისი ყურადღება სიამაყეს ჰგვრიდა.

— ჰო. იცი, აქ მალე რაღაცა დაიწყება.

— გამოძიებას გულისხმობ?

— იქნებ რამე მანამდეც... აი, კეილიც.

მათკენ მსხვილი, მხარბეჭიანი მამაკაცი მოდიოდა, ისეთი საშინელი სახით, რომელსაც მხოლოდ ულამაზოს ნამდვილად ვერ უწოდებდით.

— ბევრი გადახდა, — თქვა ბილმა, — ხომ არ ვუთხრა, როგორ ვწუხვარ და ა.შ.

— მე თავს ავარიდებდი, — თქვა ენტონიმ.

ამასობაში კეილი მოვიდა, შეჩერდა და ორივეს მიესალმა.

— თქვენთვის შეგვიძლია შევვიწროვდეთ, — წამოდგა ბილი.

— ნუ სწუხართ, გმადლობთ, — კეილიმ ენტონის მიმართა, — იმის სათქმელად მოვედი, რომ შექმნილმა სიტუაციამ ყველაზე ცუდად იმოქმედა, ამიტომ სადილი მხოლოდ ცხრის ნახევარზე იქნება. ტანსაცმლის გამოცვლა აუცილებელი არ არის, თუმცა, როგორც გენებოთ. თქვენს ბაგაჟზეც მინდოდა, მეკითხა...

— ვიფიქრე, მე და ბილი სწორედ ახლა სასტუმროსკენ გავისეირნებდით და ბაგაჟს მივხედავდით.

— მანქანითაც შეიძლება, როგორც კი სადგურიდან დაბრუნდება.

— ძალიან თავაზიანი ხართ, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში იქ თავად უნდა მივიდე და ბაგაჟის საქმე მოვაგვარო. გარდა ამისა, საღამო სეირნობისკენ გვიბიძგებს, თუ შენ წინააღმდეგი არ ხარ, ბილ!

— პირიქით!

— თუ ჩემოდნის იქ დატოვება გადაწყვიტეთ, მოგვიანებით ავტომობილს გავგზავნი.

— დიდი მადლობა.

სიჩუმე ენტონიმ დაარღვია:

— ინსპექტორი წავიდა?

კეილიმ თავი დააქნია, მერე კი მოწყვეტით თქვა:

— მარკის დაპატიმრების ორდერს ამზადებს.

ბილმა თანაგრძნობით წაიწუწუნა, ენტონიმ კი მხრების აჩეჩვით თქვა:

— ეს ხომ მისი პროფესიაა, თუმცა... არაფერს ნიშნავს! მათ თქვენი დეიდაშვილის მოძებნა სურთ, მიუხედავად იმისა, დამნაშავეა თუ არა.

— თქვენ როგორ თვლით, მისტერ ჯილინჰემ? — კეილიმ გამჭოლი მზერა მიაპყრო ენტონის.

— მარკი? ეს ხომ აბსურდია, — კატეგორიულად განაცხადა ბილმა.

— მისტერ კეილი, ბილი, როგორც ხედავთ, ლოიალურია, — შენიშნა ენტონიმ.

— თქვენ?

— მე შეიძლება ზედმეტად გულახდილი ვიყო.

ბილი ბალახზე გადაჯდა, კეილიმ კი მისი ადგილი დაიკავა, იდაყვები მუხლებს დააბჯინა და მიწას ჩააშტერდა.

— როცა საქმე მარკს ეხება, მე, ცხადია, მიკერძოებული ვარ, — თქვა ბოლოს, — ამიტომ მაინტერესებს, თქვენ, როგორც მიუმხრობელი ადამიანი, ჩემს ვარაუდს როგორ აფასებთ.

— თქვენს ვარაუდს?

— ჩემი აზრით, მარკმა თუ მართლა მოკლა ძმა, ეს შემთხვევით, წინასწარ განზრახვის გარეშე ჩაიდინა.

— ასე ვუთხარი ინსპექტორსაც.

ბილი ინტერესით მიაჩერდა მას:

— ანუ ჯერ რობერტმა დაუმიზნა, მერე ბრძოლა ატყდა, რევოლვერი გავარდა, რობერტს მოხვდა, შეშინებული მარკი კი სადღაც მიიმალა. ასეა?

— ზუსტად.

— იმათთვის, ვინც მარკს იცნობდა, სავსებით ბუნებრივი ახსნაა, — ბილი ენტონის მიუბრუნდა, — ასე არაა?

— ვთვლი, რომ ასეა, — ნელა თქვა ენტონიმ, — თუმცა ერთი მომენტია, ძალიან რომ მაშფოთებს.

— რა მომენტი? — ერთხმად იკითხეს ბილმა და მეთიუ კეილიმ.

— გასაღები.

— რას გულისხმობთ? — დაინტერესდა კეილი.

— ქალები, მაგალითად, საძინებლის კარს შიგნიდან კეტავენ, ვინმე რომ არ შეეჭრათ ანუ გასაღები შიგნიდანაა. მაგრამ თუ საშიშროება, ვთქვათ, გაძარცვის, ფანჯრიდან მოდის? მაშინ რა ხდება? გასაღებს გარედან უკეთებენ და ჩაკეტავენ კიდეც, თავად კი თავს სხვა ოთახს შეაფარებენ.

— ანუ, როცა მარკი კაბინეტში შევიდა, გასაღები კარს გარედან ეკეთა? — თქვა აღელვებულმა ბილმა.

— უბრალოდ, გავიფიქრე.

— სხვა ოთახები დაათვალიერეთ, ბიბლიოთეკა, საბილიარდო და სხვები? — იკითხა კეილიმ.

— ამაზე მხოლოდ ახლა გავიფიქრე, აქ როცა ვიჯექი, — მიუგო ენტონიმ, — ისე კი, აქ თქვენ ცხოვრობდით და არაფერი შეგიმჩნევიათ?

— არა, — თქვა კეილიმ და ბილს მიუბრუნდა, — თქვენ?

— ღმერთო ჩემო! არა! ასეთ წვრილმანებს...

— საქმეც მაგაშია, — სიცილით მოუჭრა ენტონიმ, — როცა სახლში დავბრუნდებით,



Cyan Magenta Yellow Black

შეგვიძლია ვნახოთ და თუ სხვა გასაღებები გარეთაა, შეიძლებოდა კაბინეტისაც გარეთ ყოფილიყო, რაც ამ ყველაფერს გაცილებით საინტერესოს ხდის.

კეილი ჩუმად იყო, ბილმა კი ბალახი მოწიწნა და თქვა:

— მერე ეს რას ცვლის?

— უბედური შემთხვევის ჩვენი ვერსია უფრო გაუგებარი ხდება. მას რომ გასაღები აეღო, კარის გაღება დასჭირდებოდა ანუ თავის გარეთ გამოყოფა, რასაც, მაგალითად, მისი დეიდაშვილი დაინახავდა. ამგვარ სისულელეს მარკი არ ჩაიდენდა.

— ჩემი მას არ უნდა შეშინებოდა, — თქვა კეილიმ.

— მაშინ რატომ არ დაგიძახათ? არ იცოდა, იქვე რომ იყავით? თქვენ რჩევის მიცემა შეგეძლოთ, მას კი, ღმერთია მოწამე, რჩევა ნამდვილად სჭირდებოდა. აშკარა ხდება, რომ მას თქვენი ეშინოდა. ყველასი ეშინოდა, მისი ფიქრი გაქცევა იყო და ხელისშეშლა, ვინმეს რომ შიგ არ შეეღწია. მას რომ რაღაც მიზეზის გამო ძმის მოკვლა სდომებოდა, ამას ასე პრიმიტიულად გააკეთებდა, თავად კი გაიქცეოდა? ეს ხომ ფაქტობრივად თვითმკვლელობა იქნებოდა, შეურაცხადობის დროს ჩადენილი თვითმკვლელობა. არა. თუ თქვენ არასასურველი ძმის მოკვლა მართლა გინდათ, ამას გაცილებით ჭკვიანურად გააკეთებთ ანუ ეს ან უბედური შემთხვევა იქნება, ან თვითმკვლელობა, ანდა მკვლელობა, ოღონდ სხვის მიერ ჩადენილი. ასე არაა?

აქამდე ჩუმად მყოფმა კეილიმ თავი ასწია და თქვა:

— მე მაინც იმ აზრზე ვრჩები, რომ ეს უბედური შემთხვევა იყო და მარკი შიშმა გააქცია.

— მერე გასაღები? — შეეკითხა ბილი.

— კატეგორიულად არ ვეთანხმები მისტერ ჯილინჰემის აზრს, თითქოს ქვედა ოთახების გასაღებები ყოველთვის გარეთ იყო. ზოგჯერ იქნებ იყო კიდეც, მაგრამ მუდამ არა.

— გასაღებები თუ შიგნითაა, საწყისი ვერსიაა ჭეშმარიტი, თუ არადა...

— გარეთაც რომ იყოს, მე მაინც უბედური შემთხვევის ვერსიაზე ვდგავარ, — ჯიუტად განაცხადა კეილიმ.

ენტონიმ დამნაშავესავით გაიღიმა და წამოდგა:

— ბილ, წავედით, თქვენ კი, — კეილის მიუბრუნდა, — უნდა მაპატიოთ, ჩემს ფიქრებს ალვირი რომ ავხსენი.

— პირიქით, მისტერ ჯილინჰემ, — წამოდგა კეილიც, — ეს თქვენ უნდა მაპატიოთ!

ენტონი ჯილინჰემი და ბილ ბევერლი სასტუმროსკენ მიმავალ გზას მიუყვებოდნენ. წითელი სახლი კარგა მანძილზე ჩამოტოვებული ჰქონდათ, როცა ენტონიმ მოულოდნელად იკითხა:

— აქ ადრეც ყოფილხარ?

— რა თქმა უნდა, ათჯერ მაინც.

— მე ზუსტად ამ ადგილს ვგულისხმობ, სადაც ახლა ვართ. თუ სახლიდან არც გამოდიხარ და სულ ბილიარდის თამაშში ხარ?

— არა, რას ამბობ?!

— მაშინ... ტენისს, ან გოლფს... კრიკეტს...

— არა-მეთქი!

— კარგი... მაშინ მარკზე მომიყევი რამე.

— კონკრეტულად რა?

— ყველაფერი, რაც იცი. მასთან როგორ ცხოვრობ, კეილის როგორ ეწყობი.

ბილმა გაკვირვებით შეხედა მეგობარს:

— შენ, რა, ნამდვილ დეტექტივად იქეცი?

— რატომაც არა? — გაუღიმა ენტონიმ, — ხომ იცი, როგორ მიტაცებს ახალი პროფესიები და რა იოლად ვეუფლები. აბა, დაიწყე!

— მარკზე რას ვფიქრობ?

— ჰო. გისმენ.

მისი ყოყმანი რომ შენიშნა, ენტონიმ დაამატა:

— უნდა გამეფრთხილებინე, რომ შენი ნათქვამი არც პრესაში გამოქვეყნდება და არც რადიოში გაჟღერდება. ასე რომ, შეგიძლია თამამად ილაპარაკო. დაიწყე, მაგალითად, იმით, თუ სად გირჩევნია უიქენდის გატარება, აქ თუ ბარინგტონთან.

— ორივეგან კარგია.

— გამომდინარე იქიდან, რომ ის, იცი, ვისაც ვგულისხმობ, ორივეგან იქნება.

— ვირო! — ბილმა იდაყვი გაჰკრა ენტონის, — ასე უბრალოდ ვერ იტყვი. თუმცა... ამაზე უკეთესს ალბაც ვერც ვერავინ ინატრებს. ყველაფერია: ოთახი, საჭმელი, სასმელი, სიგარები, სხვადასხვა თამაშობები. თან ძალიან კარგად გექცევიან. სხვა რა უნდა ინატრო? ზოგჯერ სხვადასხვა შეჯიბრებებიც



ეწყობა, წვეულებებიც. მოკლედ, დროს კარგად ვატარებთ.

— მართლა?

— აბა, გატყუებ? მარკი კარგი კაცია, ოღონდ ძალიან ფხუკიანი.

— ანუ იოლად ბრაზდება?

— ჰო, იოლად. თუ სტუმრის რამე არ მოეწონა, საუზმე იქნება თუ სხვა წვეულება, აღარ მიიპატიჟებს. აი, ახლაც, მის ნორისს ალბათ აღარ დამაპატიჟებინებს.

— რატომ? ასეთი რა დააშავა?

ბილს გაეცინა:

— ფაქტობრივად, ამაში ყველანი ვიყავით გარეული, უფრო კი მე და ბეტი. ითვლება, რომ ამ სახლში ლედი ანა პეტენის მოჩვენება დაიარება. მასზე გსმენიათ რამე?

— არასოდეს.

— მოკლედ, მოჩვენების იდეა მარკს მოსწონს, ოღონდ თავად მისი არსებობის არ სჯერა. არადა ბეტიზე და მისის კოლედაინზე გაბრაზდა, რატომ არ გჯერათო. ეშმაკური იდეა მის ნორისს დაებადა, ის მოჩვენებასავით გამოეწყო და პატარა როლიც გაითამაშა, რამაც საბრალო მარკი საშინლად შეაშინა.

— სხვები?

— მე და ბეტიმ წინასწარ ვიცოდით. მის ნორისს ვუთხარი კიდეც, არ გინდა-მეთქი ასეთი რაღაცეები. მაგრამ ვინ დამიჯერა?

— მოჩვენება სად გამოჩნდა?

— ბოულინგის სათამაშო მდელოზე, თან ეს მთვარის შუქზე ხდებოდა და შთაბეჭდილებას ამძაფრებდა.

— მარკი ძალიან გაბრაზდა?

— ჰო. მთელი დღე ბავშვივით იბუტებოდა. ტონი, მარკი ხშირად მართლა ბავშვივით იქცევა, მაშინ კი ბრაზისგან იბუტებოდა.

— დღესაც?

— არა, დღეს ძალიან კარგ ხასიათზე იყო, ანუ, როგორც ამბობენ, კარგ ფორმაში.

— კარგ ფორმაში სხვა დროსაც თუ არის?

— იცი, თუ სწორად მიუდგები, სასიამოვნო საკონტაქტოა, — ბილი უცებ გაჩუმდა, — რას ჰგავს, საკუთარ დეიდაშვილზე და პატრონზე ამდენს რომ მალაქლაქებ?

— ისე იფიქრე, როგორც მკვლელზე, რომელსაც დაპატიმრება ემუქრება.

— ეს სისულელეა, ხომ იცი.

— ფაქტია, ბილ!

— ჰო, მაგრამ მას ეს არ ჩაუდენია. მარკი ვერავის მოკლავდა... ამის თქმა უხერხულია, მაგრამ... კაცის მოკვლა ადვილი არაა და ფართო გაქანება სჭირდება, რაც მას არ გააჩნია. რაღაც ნაკლოვანებები, როგორც ჩვენ ყველას, ცხადია, მასაც აქვს, მაგრამ არა ასეთი მასშტაბის.

— ბავშვივით გაანჩხლებული ნებისმიერს მოკლავს.

— მიუხედავად ამისა, ეს მაინც უბედური შემთხვევაა, რამაც მარკი ისე შეაშინა, რომ სადღაც გაიქცა და ველარ ვპოულობთ. ყალბი მოჩვენების დანახვაზე კინაღამ გაიქცა და მკვდრის დანახვაზე რას იზამდა?

— კარგი. მარკი, ასე ვთქვით, ამოვწურეთ. ახლა იქნებ კეილიც დამიხასიათო? მისი ხასიათი მაინტერესებს, თორემ გარეგნულად რომ საფრთხობელაა, ისედაც ჩანს. შიგნიდან მაინტერესებს, შინაგანი სამყარო. გასაგებია?

— ისე რა, — გაიცინა ბილმა, — მწერალი კი არ ვარ, ასეთ რაღაცეებს რომ მთხოვ. მოკლედ, ერთი მძიმეწონიანი ჩუმჩუმელა ტიპია, ძნელად ამოსაცნობი, მარკივით გამჭვირვალე კი არა.

— ზოგიერთ ქალს მახინჯი კაცები მოსწონს.

— ჰო. ერთი ასეთი „ჯელენდშიც“ არის, მის ნორბერი, — ბილმა ხელი მარცხნივ გაიშვირა, — ადრე იქ ვინმე ჯელენდის ფერმა იყო, ახლა კი მისის ნორბერის კოტეჯია. ეს ქალი ქვრივია და თავის ქალიშვილთან ერთად ცხოვრობს. ამ კოტეჯს მარკი და კეილი სტუმრობენ ხოლმე, მის ნორბერი კი ჩვენთან იყო ერთი-ორჯერ ტენისის სათამაშოდ. მაშინ დაადგა კეილის თვალი, არადა, ეს ტიპი ისეთი დაკავებულია, მასთან გასასეირნებლადაც ვერ .იცლის.

— მარკი ბევრ რამეს ავალებს?

— თითქმის ყველაფერს. მის გარეშე მარკი თითქოს დაბნეულია და სრულიად უმწეო. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, კეილიც ვერ ძლებს მარკის გარეშე და ეს გოლიათიც უმწეოდ გამოიყურება.

— მოკლედ, უერთმანეთოდ არ ვარგიან.

— ასეა. კეილიმ კარგად იცის, როგორი პატივმოყვარეა მარკი, როგორი დილეტანტი და ასე შემდეგ და ფაქტობრივად მისი მეურვეა. იცის, როგორ მოექცეს, როგორ მართოს.

— სტუმრებთან როგორია?

— თავაზიანი და ჩუმი.

— მოჩვენების გამოჩენის დროს იქ იყო?

— არა. გავიგონე, როგორ ეძახდა მარკი, როცა შინ დაბრუნდა. ჩემი აზრით, კეილი ქალების მუსუსია, თან მუზმუზელა. აი, სასტუმროც!

გაგრძელება შემდეგ ნომერში

თარგმნა გურამ ჩხეტიანმა,
ქეთი ხარატიშვილის ნახატი

თინათინ ბონი

# ოცნების ძიებაში

დასაწყისი №31-39

www.facebook.com/Tinatinbonney

## თავი 10

ვულიმი ალესანდროს. რამდენადაც სექსუალურია, იმდენადვე მიმზიდველი სახელი ჰქვია. საინტერესოა, რამდენად ახლოს გავიცნობ.

— რას სვამთ? შემდეგ რაუნდზე მე დაგპატიჟებთ.

— გმადლობთ.

— ნამდვილად არ მეგონა, თუ დღევანდელ საღამოს რამე გამახალისებდა.

— არ მიპასუხოთ...

— მოდი, შენობით.

— კარგი. არ მიპასუხო, თუ არ გინდა, მაგრამ არ შემიძლია არ გკითხო, რა მოხდა. ვერ წარმომიდგენია ქალი, რომელიც შენ გაგექცევა.

— არის ასეთი, — ამბობს სევდანარევი ღიმილით და ყლუპს აკეთებს.

— კარგი, სხვა რამეზე ვისაუბროთ.

— აჯობებს.

— ძალიან არაქართული სახელი და გვარი გაქვს.

— იტალიელი ვარ... ნახევრად.

— ალესანდრო და ალექსანდრა შეხვდნენ ღამით პაბში, — ალკოჰოლი უკვე მოქმედებს.

— მეგობრები სანდროს მეძახიან.

— მე — ალექსანდრას.

— პრინციპში, შენ აბა, რა უნდა დაგიძახონ? ალექსა? კაცურია ცოტა, — ამბობს ღიმილით და ბარმენს ანიშნებს, რომ სასმელი დაგვიმატოს.

— კაცს ვგავარ ახლა მე? — თვალებს ვაფახულებ.

— ნამდვილად არ გავხარ, — ამბობს, წელზე მხვევს ხელს, თავისკენ მიზიდავს და ტუჩებში მკოცნის.

არ ვეწინააღმდეგები. პირიქით, თვალებს ვხუჭავ და კისერზე ვხვევ ხელებს. ბარი ჩაბნელებულია, თანაც ჩვენთვის დიდად არავის სცალია. მე ამ ბოლო პერიოდში იმდენი მოვახერხე, რაც მთელი ცხოვრება არ გამიკეთებია. ისე, ნებისმიერს გავულაწუნებდი ახლა, მაგრამ ამას — ვერა. თანაც გულნატკენია.

— მაპატიე, — ხელს მიშვებს.

— არა უშავს, — ვამბობ ღიმილით და ჩემს ჭიქას ვცლი.

— თვითონაც არ ვიცი, რატომ გავაკეთე ეს.

— ნუ მიხსნი. სულაც არ იყო ცუდი, — ვამბობ სიცილით.

— ცუდი ნამდვილად არ იყო, — ბეჭებში იმართება.

— მომიყევი შენზე.

— რა გაინტერესებს?

— ყველაფერი.

— გავიზარდე იტალიაში. ჩვენს ოჯახს რამდენიმე წარმატებული ბიზნესი აქვს. მყავს შვილი. ცოტა ხნის წინ ვაპირებდი, ცოლად მომეყვანა ჩემი ცხოვრების სიყვარული, მაგრამ გამექცა.

— მესმის.

— ხოდა, ვარ აგერ შენ გვერდით.

— ანუ მე გამიმართლა.

— შეიძლება ითქვას.

— შენ უფრო გაგიმართლა, — ვიცინი.

— ამას სულ ცოტა ხანში გავიგებ, — ამბობს და თვალს მიკრავს.

ვწითლდები. ლოყებიც კი მიხურს. კიდევ კარგი, რომ სიბნელეა.

— ალექსანდრა, მითხარი, მე რომ შენთვის ცოლობა მეთხოვა, მიმატოვებდი?

ეს შეკითხვა მაბნევს.

— არა, — ვიცი, რომ ამის გაგება სურს.

— არც მე მივატოვებდი ჩემს თავს, — ამატებს სიცილით.

— შენ რომ ჩემნაირი ცოლი გყოლოდა, უღალატებდი?

— არასოდეს, — ამბობს ისე ომახიანად, რომ თითქმის მჯერა.

სანდრო დგება და საპირფარეშოში გადის. მე ვზივარ. უცნობი მამაკაცი მიახლოვდება და სანდროს ადგილზე ჯდება.

— რაზე დაგპატიჟოთ? — მეკითხება და აქლემივით მიღიმის.

ვათვალიერებ მას და ვერაფრით ვხვდები, ჯერ რატომ ჩათვალა, რომ ჩემთან მოსვლა შეეძლო და მერე როგორ გაბედა სანდროს ადგილის დაკავება.

— არაფერზე, — ვამბობ და ზურგს ვაქცევ.

— კარგი ახლა, ფისო, ვიცი მე შენნაირები, რამდენი...

— უკაცრავად? — განრისხებული ვტრიალდები მისკენ.

— გადავიხდი, რამდენსაც იტყვი, გადავიხდი.

— რა გჭირთ ამ კაცებს?

— რა გვჭირს?

— რატომ ხართ მზად, რომ ყველაფერში ფული იხადოთ? ნუთუ ძნელი იყო, პაემანზე დაგეპატიჟებინე? ვერ დავიჯერებ, რომ „პუტანკა“ გეგონე!

— იცი, რა... — იბერება და დგება სკამიდან.

მიდის. საერთოდ ბარიდან მიდის. ა, ბატონო, ნათელი მაგალითი, რატომაც მომრავლდნენ ლესბოსელები! სანდრო ბრუნდება და თავის ადგილს იკავებს. კიდევ კარგი, ვერ მოუსწრო ძვირფას მაჩოს.

— დაღლილი ვარ, — ამბობს და ხელებში რგავს თავს.

ვბედავ, რომ თმაზე მოვეფერო.

— რა რბილი თმა გაქვს, — რატომღაც მინდა, რომ მელაპარაკოს.

— მადლობა, — ამბობს საყვარლად.

— ვიცეკვებდი სადმე.

— შენ ახლა ცეკვის თავი გაქვს?

— მე ბევრი რამის თავი მაქვს, — აშკარა სიგნალებს ვუგზავნი.

— ნუთუ?

— ნამდვილად.

— დღეს მართლაც კარგი დღეა, — წელში სწორდება.

— მთავარია, მოხვდე სწორ ადგილას...

— სწორ დროს.

— და მოვხვდით.

— ბედის გჯერა?

ვფიქრობ. მჯერა?

— არ ვიცი...

— როგორ არ იცი? ან გჯერა, ან — არა.

— მართლა არ ვიცი. ალბათ უფრო — არა.

— ანუ გამართლებაზეა?

— ალბათ.

— კიდევ რისი არ გჯერა?

— სიყვარულის, — ვამბობ და თვალს ვარიდებ.

— არ არსებობს!

— კარგი, აღარ მჯერა. იყო დრო, მჯეროდა.

— რა გაგიკეთა ამისთანა?

— არ მინდა მაგაზე ლაპარაკი.

— კარგი, — სანდრო ხელზე მკოცნის.

— შენ შვილს რა ჰქვია?

— სებასტიენი.

— აჰა. ანუ საქართველოში არ ცხოვრობს და არც დედა ჰყავს ქართველი.

— და არც მამა ჰყავს კარგი...

— რატომ ამბობ ასე?

— არ ვნახულობ პრაქტიკულად. ჩემი ძმაკაცი ზრდის... ისაა მისთვის მამა.

ვილუშები. ასეთ ბიჭს და ასეთი ჩახლართული ცხოვრება... რატომ?

— შენ არ გყავს შვილები?

— სამწუხაროდ, არა. ძალიან მინდოდა, მაგრამ ჩემს ქმარს არ უნდოდა.

— რა იყო, ეშმაკის ცოლი იყავი?

— დაახლოებით.

— კიდევ კარგი, რომ დღეს ჩემი სახით ანგელოზს შეხვდი.

ორივეს გვეცინება. ვგრძნობ, რომ ჩემი ჩანთა ვიბრირებს. ვპოულობ მობილურს და ვუყურებ ნომერს. გივია.

— აუ, აღარ შემიძლია, რა! — ვაგდებ მობილურს უკან ჩანთაში.

— რა ხდება?

— ჩემი ყოფილი რეკავს.

— რა უნდა?

— ასე რეკავს, მლანძღავს. ცდილობს, კიდევ გამამწაროს. გეგონება, არ ეყო, რაც გამიკეთა.

სანდრო დაუკითხავად იღებს ჩემს მობილურს ჩანთიდან და პასუხობს.

— გისმენთ.

გასუსული ვდგავარ.

— თვითონ რომელი ხარ? — ამბობს სანდრო ცინიკური სახით.

მეცინება. ალკოჰოლის ბრალია თუ გივის გამწარება მიხარია, მთავარია, ბედნიერი ვარ.

— რა გაყვირებს? შენი ცოლია?

ყურები მეძაბება. გივი ეუბნება, რომ მისი ცოლი ვარ?

— რას მიზამ? — იცინის სანდრო.

ბარმენს ვანიშნებ, რომ ალკოჰოლი დაგვიმატოს.

— შენ მე ვერაფერს მიზამ, მაგრამ შეგიძლია დაკავდე იმაზე ფიქრით, თუ მე რას ვუზამ ამ ღამეს და ამის შემდეგ ყოველ ღამეს ამ მშვენიერ ქალს... რომელსაც ერთი სული აქვს, კაბა გავხადო, მე კიდევ სირთან ლაპარაკში ვკარგავ დროს, — სანდრო თიშავს.

ვიგუდები სიცილით.

— ცოტა ზედმეტი ხომ არ მომივიდა? არ გეწყინოს, რა, — სანდრო ჭიქას ცლის.

— მე რომ მკითხო, მეტიც შეგეძლო.

— რას მეუბნები?! — სანდრო იღიმის და წელზე მხვევს ხელს.

ვულიმი და უბრალოდ ამ მშვენიერი წამებით ვტკბები.

— ჩემთან ხომ არ წავიდეთ? — სანდრო თვალებში მიყურებს.

მინდა. ჩემს თავს მოვატყუებ, რომ არ მინდა, მაგრამ წლები მივანთხიე გივის, მერე დიონისე... თუმცა ეგ არ ითვლება. მერე ეს



Cyan Magenta Yellow Black

სპონტანური ღამე ირაკლისთან... ხომ არ გავუბერე ცოტა?

— იცი, რა... — ვამბობ და არ ვიცი, როგორ დავამთავრო წინადადება.

— უბრალოდ არ მინდა, რომ მარტო ვიყო, — სევდიანად ამბობს სანდრო.

ვოხრავ.

— თუმცა შენი გადასაწყვეტია, — აყოლებს და ტუჩებს ისე აწყობს, რომ გული მეკუმშება.

— მე მინდა, უბრალოდ არც კი გიცნობ და...

— და გეშინია იმისა, თუ რას იტყვის ხალხი...

— ნუ დაახლოებით.

— და რომელი ხალხი?

— ზოგადად ხალხი.

— ხალხი, მაგალითად, ჩინეთში?

— რა შუაშია? — მეცინება.

— ეგეც ხალხია. აბა, სად? აფრიკაში?

— არა, აქ!

— და ვინ გაიგებს?

ეგეც მართალია, მაგრამ მე ხომ ვიცი.

— რომ არ წამოვიდე, ვიცი, მეტი ვეღარ განახავ... — არ მჯერა, რომ ეს ვთქვი.

— რა ვიცი, რა ვიცი, — სანდრო სკამიდან დგება და ხელს მიწვდის.

ვუყურებ მის ხელს და ღრმად ვისუნთქავ.

— მოდიხარ? — მეკითხება ისე, თითქოს პასუხი უკვე იცის.

რა ვქნა? რომ გავყვე, ჩამთვლის, რომ რიგითი ნაშა ვარ და მე ხომ არ ვარ!

სანდრო ხელს ჯიბეში იდებს.

— კარგი მაშინ. გულდასაწყვეტია, მაგრამ შენს გადაწყვეტილებას პატივს ვცემ.

ფულს დებს ბარის მაგიდაზე, ლოყაზე მკოცნის და მიდის. ვჯდები სკამზე და ვგრძნობ, რომ გული ყელში მაქვს. ვდგები სკამიდან, ვიღებ ჩანთას და გავრბივარ კარისკენ. სანდრო მანქანაზეა მიყუდებული და მელოდება. კმაყოფილი იღიმის და კარს მიღებს. ვჯდები.

ავტომობილი ჩერდება. სანდრო გადადის და მე მიღებს კარს. გადმოვდივარ. გადასარევად ვიცი, რომ ამ ღამის მერე აღარ დამირეკავს და რომ არ გავყვე ახლა, მეტი შანსი მექნება, რომ უკეთ გავიცნო. სანდრო ხელს მკიდებს და მივყვები.

შევდივართ ლიფტში. კარი იკეტება. წინ ვიყურები. ასე უხერხულად არასდროს ვყოფილვარ. ხმას არ ვიღებთ, თუმცა ხელს არ მიშვებს. ლიფტი იღება და გავდივართ. აღებს კარს და ანთებს შუქს. ახალგარემონტებული ბინაა. მოწყობილიც კი არაა. ერთი ტახტი დგას და პლაზმური ტელევიზორი კიდია.

— ახალი ნაყიდი მაქვს, — მებოდიშება და იატაკზე დაყრილ პარკებს აგროვებს.

— მშვენიერი ბინაა.

— საერთოდ ჩემებთან ვარ, დედაჩემი ძლივს ეგუება ჩემს ცალკე ცხოვრებას. მაგრამ ლენასთან ერთად ვაპ... — უეცრად ჩუმდება.

— მშვენიერი ბინაა, — ვამბობ ხელმეორედ და ვფიქრობ, როგორ გადავლახო უხერხულობა.

— დალევ რამეს?

— არა. დღეს საკმარისზე მეტი მივირთვი.

— წამოდი, რა განახო, — ხელს მკიდებს და აივანზე გავყავარ.

ჩემ წინ უზარმაზარი ტერასაა შეუდარებელი ხედით.

— გავგიჟდი, ეს რა სილამაზეა! — მოაჯირს ვეყრდნობი.

— მამშვიდებს, აქ როცა ვარ, — სანდრო მოაჯირზე ჯდება.

— არ გადავვარდე, — მუხლზე ვადებ ხელს.

ჩემს შეხებაზე გამომეტყველება ეცვლება. ფეხებს შლის და მისკენ მწევს. ძალიან ახლოს ვარ. მისი სურნელი ისეთი სასიამოვნოა. თვალებში მიყურებს, მაგრამ არ მკოცნის. ვიცი, უნდა, რომ მე ვაკოცო. ვერ ეღირსება. ყელზე მეფერება და ნელა აცურებს ხელს მკერდამდე. ვკრთები. მეთამაშება, თუმცა იმდენად ახლოს ვარ, რომ გადასარევად ვგრძნობ, თვითონ რა ემართება.

— დამცხა, — ამბობს და პერანგს იხდის.

მშვენიერი, დაკუნთული, ლამაზი ტორსი აქვს და ეს ძალიან კარგად იცის. ელოდება ახლა, რომ ავეკრო ზედ, მაგრამ ვერ ითვალისწინებს იმას, რომ არც მე მაქვს ნაკლები სხეული. ვშორდები მას, ფეხსაცმელებს ვიხდი. ნელი მოძრაობით ვიხდი კაბას და საცვლებში ვრჩები. მოაჯირიდან ხტება და ჩემკენ მოდის. მე კი ძალიან მშვიდად შევდივარ სახლში. ვიცი, რომ ახლა თუ არ მოვახდინე მასზე შთაბეჭდილება, მეტი შანსი აღარ მექნება. შევდივარ საძინებელში. საწოლი ადგილზეა. სანდრო უკნიდან მეხვევა და კისერში მკოცნის. ვშორდები და საწოლზე ვჯდები. ფეხს ფეხზე ვიდებ და იდაყვებს ვეყრდნობი.



— შარვალი გაიხადე, — ვუბრძანებ.

— როგორი მკაცრი ხარ, — ამბობს ღიმილით.

— მინდა, სულ შიშველი განახო. იქნებ არ მომწონს, როგორც გამოიყურები.

— შეუძლებელია, — ეცინება.

— ნაკლები ლაპარაკი, მეტი საქმე.

სანდრო შარვალს იხდის და ბოქსერში რჩება.

— ბოლომდე!

სანდრო ბოქსერს იხდის და იატაკზე აგდებს. ვუყურებ მის შეუდარებელ სხეულს. ყველაფერი ბრწყინვალეა, თუმცა მან კმაყოფილება არ უნდა შემამჩნიოს.

— მოდი, — ვეუბნები სერიოზული სახით.

ცოტა დაბნეული, მაგრამ მიჯერებს.

— დაჯექი.

ჯდება და უკვე გაოცებას ვერ მალავს. აშკარად მიჩვეულია, რომ ატრიალებს ქალებს.

— მომისმინე, ჩემი ბიჭი, — სახეს ჩემკენ ვაბრუნებინებ, — ახლა შენ გააკეთებ იმას, რასაც მე გეტყვი. თანაც გააკეთებ მანამ, სანამ მე არ დავკმაყოფილდები.

თვალები უფართოვდება, მაგრამ ცდილობს, არ შეიმჩნიოს. ვიცი, რომ მოსწონს ეს თამაში.

— გამაშიშვლე, — ვეუბნები და ზურგზე ვწვები.

ძალიან ნაზად მხდის საცვლებს. დაბინდული თვალებით უყურებს ჩემს სხეულს. ჩემზე ეშვება და კისერში მკოცნის.

— დაბლა!

მკერდზე მკოცნის და ნელ-ნელა მუცლამდე ჩადის. ყოჩაღ, სანდრო, იცი საქმე! მის ტუჩებს ვგრძნობ და ვრწმუნდები, რომ ეს ღამე კიდევ მრავალჯერ განმეორდება.

სანდრო შხაპს ივლებს. მე ვწევარ. ვიცი, რომ მოეწონა, მაგრამ იმდენად კი, რომ კიდევ მოუნდეს? რა გავაკეთო? რამე უნდა მოვიფიქრო, რომ დღეს აქ დამტოვოს. სანდრო საძინებელში ბრუნდება და სველი ეხეთქება საწოლზე. ვდგები საწოლიდან და სააბაზანოსკენ მივდივარ. ვიცი, რომ მიყურებს. სულ შიშველი ვარ და ძალიან კომფორტულად ვგრძნობ თავს. ვუშვებ წყალს, ვაცხელებ ცოტა და ვდგები შხაპის ქვეშ. ნეტა ვიცოდე, რას ვაკეთებ ან რისი იმედი მაქვს.

ვბრუნდები საძინებელში. სანდროს სძინავს. წავიდე? თუ ეს იმის სიგნალია, რომ დავრჩე? უნდა მთხოვოს, რომ დავრჩე. სხვანაირად აზრი არ აქვს. გავაღვიძო? შევანჯღრიო და ვუთხრა: „ადექი, ძმა, კარი ჩაკეტე“. შეწუხებული ვაქნევ თავს. გეგმა მჭირდება! ვჯდები საწოლზე და ვუყურებ მძინარე სანდროს. რა ვქნა? რა ვქნაა? პანიკა მეპარება. მამაკაცის გაღვიძების ერთი უებარი ხერხი ვიცი და ახლა ნამდვილად გამოდგება. მუხლებზე ვდგები და მის შეუდარებელ პრესს ვკოცნი. იშმუშნება. ნაზად ვუსვამ ენას. იმ წამსვე ახელს თვალებს. განვაგრძობ შეტევას. ძალიან მალე ჩემი შეხების მონა ხდება. გაბადრული სახით წევს და მიყურებს.

— ვინ ხარ შენ და საიდან მოხვედი? — მეკითხება ღიმილით.

— მთავარია, რომ ახლა მივდივარ, — ვდგები საწოლიდან და საცვლებს ვიღებ.

— არა, — ამბობს და საწოლზე მაგდებს.

სანდრო შუქს აქრობს, მიხუტებს და ყურში ჩამჩურჩულებს:

— შენ ჩემთან რჩები!

გაგრძელება შემდეგ ნომერში



Cyan Magenta Yellow Black

# ვინ ხართ ინდური ჰოროსკოპით?

## წელიწადის რა პერიოდში ხართ დაბადებული?

**21.03-19.04**

**ინდური ჰოროსკოპით თქვენ მიმინო (შევარდენი, არწივი) ხართ.**

**ელემენტი** — ცეცხლი.
**თვის მფარველი** — წყალი.
**ქარი** — აღმოსავლეთის.
**ძლიერი მხარე** —დინამიკურობა.
**სუსტი მხარე** — უტიფრობა.
**ფერი** — ყვითელი, წითელი.
**კარგი ურთიერთობა აქვს** — ირმის, ბუს, წავისა და ყვავის ნიშნის ქვეშ დაბადებულებთან.

თავისუფალი და დაუმორჩილებელი მიმინო ქვეყანას ზემოდან უყურებს. საკმარისია მსხვერპლი შენიშნოს და საოცარი სისწრაფით დააცხრება თავს. მიმინოს ნიშნის ქვეშ დაბადებულისთვის უცხოა შიში და ცხოვრების გამოწვევას არ უფრთხის. მიზანმიმართულად მიიწევს მიზნისკენ, წარუმატებლობა კი უფრო მეტ სტიმულსა და ძალას აძლევს წარმატებისკენ მიმავალ გზაზე. მიმინო ცდილობს, წვრილმანებზე ენერგია არ დახარჯოს. მათთვის, ვინც საკუთარი ცხვირის იქით ვერაფერს ხედავენ, მიმინო სიბრძნისა და გამჭრიახობის განსახიერებაა. უზარმაზარი ფიზიკური, ფსიქიკური და ემოციური ენერგია აქვს. ოპტიმიზმს ასხივებს. შეუძლია ყველაზე რთულ პირობებში ადაპტაცია. ადვილად იტაცებს ახალ იდეებს და ხშირად საქმეს დაუმთავრებელს ტოვებს. გრძელი ენა მიმინოს პრობლემებსაც უქმნის. ბრძენები მიმინოს ურჩევენ, მხოლოდ საკუთარ თავზე არ იფიქროს და არ დაჩაგროს ისინი, ვინც მასზე სუსტია.

**20.04-20.05**

**ინდური ჰოროსკოპით თქვენ თახვი ხართ.**

**ელემენტი** — მიწა.
**თვის მფარველი** — ხის ფოთლები.
**ქარი** — აღმოსავლეთის.
**ძლიერი მხარე** — საიმედოობა.
**სუსტი მხარე** — სიჯიუტე.
**ფერი** — ცისფერი.
კარგი ურთიერთობა აქვს — დათვის, გველის, კოდალსა და მგლის ნიშნის ქვეშ დაბადებულებთან.

თახვის ამტანობა ყველანაირ ბარიერს ლახავს და აღფრთოვანებას იწვევს. ამ ადამიანს ნებისმიერ სიტუაციაში შეგიძლიათ ენდოთ. ის არასოდეს დაფრინავს ღრუბლებში და მიწაზე მყარად დგას. იშვიათად რჩება იმედგაცრუებული. ვერასოდეს უბიძგებთ სარისკო საქმისაკენ. ისწრაფვის, უსაფრთხო გარემო შექმნას საკუთარი თავისა და მათთვის, ვინც უყვარს. თახვი პრაქტიკოსია და არა — იდეების გენერატორი. მისი ყველა გეგმა რეალურ შედეგს უნდა იძლეოდეს. უყვარს ფუფუნება და კომფორტი. პატრიარქალურ შეხედულებებს იზიარებს. არასოდეს ისწრაფვის დიდებისკენ და არ ცდილობს პირადი ამბიციების დაკმაყოფილებას. ყოველთვის იმ საქმეს აკეთებს, რასაც უნდა აკეთებდეს, რაც მას და საყვარელ ადამიანებს წარმატებას მოუტანს. ბრძენები თახვს ურჩევენ, მზად იყოს, თავდაუზოგავად იშრომოს და აუცილებლად მიაღწევს საწადელს.

**21.05-20.06**

**ინდური ჰოროსკოპით თქვენ ირემი ხართ.**

**ელემენტი** — ცეცხლი.
**თვის მფარველი** — ცეცხლოვანი ღრუბლები.
**ქარი** — აღმოსავლეთის.
**ძლიერი მხარე** —მრავალმხრივობა.
**სუსტი მხარე** — ზედაპირულობა.
**ფერი** — შავი.
**კარგი ურთიერთობა აქვს** — მიმინოს, წავის, ყვავისა და მგლის ნიშნის ქვეშ დაბადებულებთან.



დახვეწილი, გრაციოზული, შარმიანი ეს ცხოველი მომენტალურად რეაგირებს ყველაფერზე. ირემი მუდმივ ცვლილებებს ითხოვს. მოწყენილობა თრგუნავს და ცხოვრების ხალისს უკარგავს. საზოგადოებაში მჭევრმეტყველებითა და იუმორით გამოირჩევა. მისი მთავარი თვისება და ძალა ისაა, რომ არაჩვეულებრივად გრძნობს სხვა ადამიანებს. შეუძლია დიდი წინასწარმეტყველი გახდეს. შრომისმოყვარეობის წყალობით, საქმეში დიდ წარმატებას აღწევს. ჯიქურ მიიწევს მიზნისკენ. მეგობრებს უფრო ეჯიბრება, ვიდრე თანამშრომლობს. მოზარდობის ასაკში შეიძლება მარტოსულიც იყოს. ბრძენები ირემს ურჩევენ, იყოს სათნო, ნაზი, არ შეუშინდეს კრიტიკას და მცირე დაბრკოლების დანახვისთანავე უკან არ დაიხიოს და სამალავი არ ეძებოს.

**21.06-21.07**

**ინდური ჰოროსკოპით თქვენ კოდალა ხართ.**

**ელემენტი** — წყალი.
**თვის მფარველი** — ტკბილი ჯიშის კენკროვნები.
**ქარი** — ჩრდილოეთის.
**ძლიერი მხარე** — თავგანწირვა.
**სუსტი მხარე** — თავნებობა.
**ფერი** — ვარდისფერი.
**კარგი ურთიერთობა აქვს** — ორაგულის, ბატის, გველისა და მგლის ნიშნის ქვეშ დაბადებულებთან.

ეს ფრინველი მზრუნველი და წინდახედულია. დახვეწილი, მგრძნობიარე ნატურა აქვს, ამიტომ ხშირად იკეტება საკუთარ თავში. ნაცნობობის გაბმისას სიფრთხილეს იჩენს. მისთვის პირველ ადგილზე ოჯახური ფასეულობებია. ზრუნავს მატერიალური კეთილდღეობისთვის. კოდალას ახალგაზრდული სული აქვს. მუდმივად მზად არის, სტუმრები მიიღოს და მყუდრო გარემოში გაერთოს. გარეგნობა მისთვის ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე შინაგანი სამყარო. ბრძენები კოდალას ურჩევენ, ისწავლოს, ცხოვრების ყოველი დღე სათანადოდ დააფასოს, ნურასოდეს მოითხოვს გარანტიებს და რაიმე პერმანენტულისკენ აიღოს გეზი.

**22.07-21.08**

**ინდური ჰოროსკოპით თქვენ ორაგული ხართ.**

**ელემენტი** — ჰაერი.
**თვის მფარველი** — მაღალი ბალახი.
**ქარი** — ჩრდილოეთის.
**ძლიერი მხარე** —თავდაჯერებულობა.
**სუსტი მხარე** — ქედმაღლობა.
**ფერი** — წითელი.
**კარგი ურთიერთობა აქვს** — კოდალას, წავის, ბუსა და დათვის ნიშნის ქვეშ დაბადებულებთან.

როცა ორაგულს წყალში აკვირდებით, ეჭვი არავის ეპარება, რომ ეს თევზი-მეფეა. მისთვის უცხოა წინააღმდეგობები და ყოველთვის აღწევს მიზანს. ორაგული დინამიკური, ამბიციური, ენთუზიაზმით აღსავსეა. მისი თავდაჯერებულობა ხშირად გარშემომყოფებში გაღიზიანებას იწვევს. ამავდროულად ორაგულს ფართო, ნათელი გული აქვს და ყოველთვის მზად არის, ახლობლებს დახმარების ხელი გაუწოდოს. საკმაოდ გონებამახვილია, აქვს მოვლენების წინასწარ განჭვრეტის უნარი, ლიდერის ყველა თვისებას ფლობს — მამაცია, ნებისყოფიანი, თამამი, შეუძლია გადამჭრელი ზომების მიღება. ძნელია ორაგულის სულში შეღწევა. მას შურისძიების გრძნობაც ახასიათებს და ძნელად ივიწყებს წყენას. ბრძენები ორაგულს ურჩევენ, სჯეროდეთ საკუთარი თავის, მიუხედავად იმისა, როგორ განვითარდება ცხოვრებისეული მოვლენები.

**22.08-21.09**

**ინდური ჰოროსკოპით თქვენ დათვი ხართ.**

**ელემენტი** — მიწა.
**თვის მფარველი** — მწიფე ხილი.
**ქარი** — ჩრდილოეთის.
**ძლიერი მხარე** — ერთგულება.
**სუსტი მხარე** — შარიანობა.
**ფერი** — კაშკაშა ალისფერი.
**კარგი ურთიერთობა აქვს** — ყვავის, ორაგულის, თახვისა და გველის ნიშნის ქვეშ დაბადებულებთან.

ზანტი და მშვიდი, მაგრამ წარმოუდგენლად საშიში ხდება, თუ გააბრაზეთ. დათვს სტაბილურობა, პროგნოზირებადი, ნათელი სიტუაციები



## ბრძოლა თმის ცვენასთან შიგნიდან და გარედან

თუ თმის ცვენა გაწუხებთ, უმჯობესია პრობლემაზე ორმხრივად იმოქმედოთ: შიგნიდან და გარედან. შიგნით მიიღეთ ვიტამინი E 2-2 წვეთი დღეში 3-ჯერ. ასევე არსებობს თმის გასამაგრებელი სპეციალური ვიტამინური კომპლექსი. გარდა ამისა, რაციონში უნდა შედიოდეს ზღვის თევზი, შავი პური და რძე (ის A, D და B ჯგუფის ვიტამინებისა და კალციუმის წყაროა).

გარეგანი გამოყენებისთვის შეიძინეთ თმის საშუალება სილატრანით (ეს ნივთიერება თმას სილიციუმს აწვდის), აბუსალათინის, ზეითუნის, ბირკავას ან ლავანდის ზეთით. ასეთი პრეპარატი უნდა შეარჩიოთ თმის ტიპის მიხედვით (მშრალი და ცხიმიანი).

ასევე გამოგადგებათ მწვანე თიხის ბაზაზე დამზადებული ნიღბები.

თმა მხოლოდ ხარისხიანი და ნატურალური ინგრედიენტების შემცველი შამპუნით დაიბანეთ. თმისა და თავის კანის ტიპის მიხედვით შეარჩიეთ, მათი თავისებურებები გაითვალისწინეთ.

ტელევიზორის წინ მჯდომმა თავზე ყოველდღიურად გაიკეთეთ მასაჟი. 5 წუთის განმავლობაში თმის ძირებს თითებისბოლოებით მსუბუქად დააწექით.



Cyan Magenta Yellow Black

უყვარს. ურჩევნია, ჩრდილში დარჩეს. ერთობ მახვილგონიერია. უყვარს საკუთარი თავისა და გარშემომყოფების კონტროლი. გიჟდება ბავშვებზე, მაგრამ მათი საკმაოდ მკაცრი აღზრდის მომხრეა. ბრძენები დათვს ურჩევენ, სამყარო საკუთარ სახლად აქციოს, ოღონდ მისი სიმდიდრე არ გაფლანგოს.

## 22.09-22.10

**ინდური ჰოროსკოპით თქვენ ყვავი ხართ.**

**ელემენტი** — ჰაერი.
**თვის მფარველი** —ჩამოცვენილი ფოთლები.
**ქარი** — სამხრეთის.
**ძლიერი მხარე** —დიპლომატიურობა.
**სუსტი მხარე** —ყოყმანი, გაუბედაობა.
**ფერი** — ყავისფერი, ყვითელი.
**კარგი ურთიერთობა აქვს** — მიმინოს, დათვის, ირმისა და ბატის ნიშნის ქვეშ დაბადებულებთან.

ეს საკმაოდ ჭკვიანი ფრინველი ნებისმიერი სიტუაციიდან იპოვის გამოსავალს. ყვავი აფასებს გარშემომყოფებთან კარგ ურთიერთობას, საოცრად აქვს განვითარებული სამართლიანობის გრძნობა, რაც მას არაჩვეულებრივ შუამავალს ხდის მოლაპარაკებების დროს. ყვავი მახვილგონიერი, გამომგონებელი, ცნობისმოყვარეა. მას ბევრი მეგობარი ჰყავს. უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ ემოციურიცაა. სჯერა მყარი მეგობრობის და სიყვარულის. საოცარი სინაზით ეპყრობა ბავშვებს. ბრძენები ყვავს ურჩევენ, ისწავლოს გარემოებებთან შეგუება, მაგრამ ამავდროულად არ გადაუხვიოს არჩეულ გეზს.

## 23.10-22.11

**ინდური ჰოროსკოპით თქვენ გველი ხართ.**

**ელემენტი** — წყალი.
**თვის მფარველი** — წვიმა.
**ქარი** — სამხრეთის.
**ძლიერი მხარე** — შეუპოვრობა.
**სუსტი მხარე** — უკომპრომისობა.
**ფერი** — მწვანე.
**კარგი ურთიერთობა აქვს** — ბუს, თახვის, კოდალასა და დათვის ნიშნის ქვეშ დაბადებულებთან.

ეს ის არსებაა, ვისი მოფერება-მოალერსებაც მოგინდებათ. სამაგიეროდ პატივისცემასა და შიშს აღგიძრავთ. გველი არაჩვეულებრივი მეთვალყურეა, მის მზერას არაფერი გამოეპარება. იდუმალია, ყველაზე ახლობლებმაც კი არ იციან მის შესახებ სრული სიმართლე. ბრძენები გველს ურჩევენ, წინ იარონ და საკუთარი წარსული ხიდად გამოიყენონ მომავლისკენ მიმავალ გზაზე.

## 23.11-21.12

**ინდური ჰოროსკოპით თქვენ ბუ ხართ.**

**ელემენტი** — ჰაერი.
**თვის მფარველი** — ყინული.
**ქარი** — დასავლეთის.
**ძლიერი მხარე** — სიბრძნე.
**სუსტი მხარე** — მედიდურობა, გულზვიადობა.
**ფერი** — მწვანე და თეთრი.
**კარგი ურთიერთობა აქვს** — მიმინოს, ორაგულის, ბატისა და გველის ნიშნის ქვეშ დაბადებულებთან.

ღამის დედოფალი ბუ ბრძენი და დაუჯერებლად სწრაფი ფრინველია. ბუს უყვარს თავგადასავლები და თამამად მიდის რისკზე. ადვილად ეგუება ყველაფერ ახალს. გარშემომყოფებს თავისი ელეგანტურობით ხიბლავს და ნუსხავს. ადამიანებს თავის მბრძანებლობას ახვევს თავს და ენერგიით ავსებს. ამასთან ბუ ის ადამიანია, რომელსაც არ უყვარს და არ უნდა საკუთარ ქმედებებზე პასუხისმგებლობის აღება. ბრძენები ბუს ურჩევენ, გაიგონ, რა ამოძრავებთ სხვებს, მაგრამ არასოდეს დავიდნენ ცინიზმამდე.

## 22.12-19.01

**ინდური ჰოროსკოპით თქვენ ბატი ხართ.**

**ელემენტი** — მიწა.
**თვის მფარველი** — ხასხასა ბალახი.
**ქარი** — სამხრეთის.
**ძლიერი მხარე** — დაჟინებულობა.
**სუსტი მხარე** — უნდობლობა.
**ფერი** — თეთრი.
**კარგი ურთიერთობა აქვს** — წავის, კოდალას, ბუსა და ყვავის ნიშნის ქვეშ დაბადებულებთან.

ტრადიციების მოყვარულია და მისთვის ყველაფერი ახალი მიუღებელია. მოდური ტენდენციებისადმი ინტერესი ერთადერთია, რის გამოც შეუძლია, მკაცრ კანონებზე უარი თქვას. გულდასმით მალავს თავის ბობოქარ ემოციებს. მიუხედავად ყველაფრისა, ბატი ძლიერი, სანდო, ერთგული ფრინველია. მოვალეობის გრძნობის გამო დიდი მსხვერპლის გაღებაც კი შეუძლია. ბრძენები ბატს ურჩევენ ლოდინს, მაგრამ ძალიან დიდხანს — არა.

## 20.01-18.02

**ინდური ჰოროსკოპით თქვენ წავი ხართ.**

**ელემენტი** — წყალი.
**თვის მფარველი** — ქარი.
**ქარი** — სამხრეთის.
**ძლიერი მხარე** —საზრიანობა.
**სუსტი მხარე** — ცვალებადობა, მერყეობა.
**ფერი** — ვერცხლისფერი.
**კარგი ურთიერთობა აქვს** — ირმის, თახვის, კოდალასა და წავის ნიშნის ქვეშ დაბადებულებთან.

წავი მოძრავი, სწრაფი ცხოველია. ერთნაირად კარგად გრძნობს თავს წყალშიც და ხმელეთზეც. წავის ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანი ხშირად ავლენს ხელოვნებისადმი ნიჭს. ნატურით ინდივიდუალისტი არაჩვეულებრივად თანამშრომლობს კოლექტივში. გამორჩეულად ინტელიგენტი და მახვილგონიერია. სიამოვნებით ეხმარება გარშემომყოფებს. უყვარს ოცნება. მთლიანად იხარჯება ოჯახისა და შვილებისათვის. წავის გვერდით არასოდეს მოიწყენთ. ბრძენები ურჩევენ, გამოიჩინონ მოთმინება, მაგრამ ამავდროულად უნდა იყვნენ მოქნილნი და მოერგონ გარემოებებს.

## 19.02-20.03

**ინდური ჰოროსკოპით თქვენ მგელი ხართ.**

**ელემენტი** —ცეცხლი.
**თვის მფარველი** — თოვლიანი მთები.
**ქარი** — სამხრეთის.
**ძლიერი მხარე** — საზრიანობა.
**სუსტი მხარე** — შთაგონება.
**ფერი** — მოლურჯომომწვანო.
**კარგი ურთიერთობა აქვს** — ბატის, თახვის, კოდალას, გველისა და დათვის ნიშნის ქვეშ დაბადებულებთან.

მგელს არ უყვარს მარტოობა, ხროვაში თავს გაცილებით დაცულად გრძნობს. გარესამყაროს სიმკაცრისაგან თავს შემოქმედებითი საქმიანობით და ოცნებით იცავს. შეუცდომლად იცნობს სხვათა განწყობას და განზრახვას. ხშირად მელანქოლიისა და დეპრესიისკენაა მიდრეკილი. ვინც მგლის საზრიანობას დააფასებს, შეუძლია მასთან სამუდამო მეგობრობისა და ერთგულების იმედი ჰქონდეს. ბრძენები მგელს ურჩევენ, არასოდეს დაიმალონ საკუთარ ჩრდილში.



## ლამაზ სამკაულებს დახმარებაც შეუძლიათ

ყელსაბამი, მძივი ან სამაჯური არამხოლოდ სამკაულია, ასევე სამკურნალო ზემოქმედების მოხდენა შეუძლიათ. ზოგიერთი მინერალი სასიკეთოდ მოქმედებს და დაავადებებისგან იცავს.

**მალაქიტი** განსაკუთრებით სასარგებლოა მომატებული ქოლესტერინის დროს, სისხლძარღვების კედლების ელასტიკურობას ამაღლებს.

**ქარვა** წნევას არეგულირებს და გულის რიტმის დარღვევებისგან იცავს.

**მთის ბროლი** სისხლძარღვების კედლებს ამაგრებს, მაგრამ გაითვალისწინეთ, სისხლის შედედებას ამაღლებს და რეკომენდებული არ არის მათთვის, ვისაც სქელი სისხლი აქვს.

**ფირუზი** გულის კუნთს ამაგრებს, ამავე დროს სასუნთქი გზების პროფილაქტიკის კარგი საშუალებაა.

**ვარდისფერ კვარცს** ხშირად „გულის ქვას" უწოდებენ. გაღიზიანებასა და სტრესს ხსნის, ანთებით პროცესებს აქრობს, სისხლის შემადგენლობას აუმჯობესებს.

## რიტმები, რომლებიც სტრესიდან გამოსვლას ეხმარება



დამტკიცებულია, რომ დაფდაფის ხმა თავის ტვინზე განსაკუთრებულად მოქმედებს.წარმოქმნის ალფა-ტალღებს, რომელთა წყალობით, განწყობა უმჯობესდება. დაფდაფის მელოდიების აუდიოჩანაწერების ყოველ საღამოს, ძილის წინ მოსმენა სტრესის მიმართ ამტანს ხდის. როდესაც ადამიანი საჭირო რიტმს დარტყმით გამოთვლის, მისი ნერვული სისტემა ძალიან სწრაფად აღდგება. სპეციალისტები იმასაც ამტკიცებენ, რომ დაფდაფზე რიტმულად დარტყმა იმუნიტეტს აძლიერებს და კიბოს დაავადებების პროფილაქტიკაა.


კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი
(შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა)
დისბაქტერიოზი

მიიღეთ
ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

## გავიცნობ, ვქებ

2017

sms-ები გამოაგზავნეთ ორშაბათიდან. sms-ის გამოგზავნის ბოლო ვადაა **შაბათი, 5 ოქტომბერი, 17 საათი.**

### გავიცნობ ქალს შეხვედრებისთვის

1. ვარ 29 წლის სიმპათიური ბიჭი, უცოლო, სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ გოგოს. 598566055

2. ვარ რუსთაველი მამაკაცი, გავიცნობ 45 წლამდე რუსთავში მცხოვრებ, სასიამოვნო გარეგნობის ქალს ხანგრძლივი ურთიერთობისთვის. 555400945

3. გავიცნობ 22-დან 32 წლამდე გოგოს ხანგრძლივი ურთიერთობისთვის. ვარ 26 წლის ბიჭი. 557503047

4. გავიცნობ 40 წლამდე ქალს, მყავს ცოლი. 557995529. ნიკა

5. გავიცნობ შუახნის, მაღალ, მოხდენილ ქალს. 599502435

6. ვარ 30 წლის, თბილისელი ბიჭი, შეხვედრებისთვის გავიცნობ ქალს. 595161210

7. გავიცნობ ქალს 25-45 წლამდე ხანგრძლივი ურთიერთობისთვის. ვარ 33 წლის. 557987973. გიგა

8. გავიცნობ სერიოზულ ქალს, უნდა ჰყავდეს მანქანა და იყოს ფინანსურად შეძლებული. ვარ სერიოზული, წესიერი, ყურადღებიანი მამაკაცი. 558600892

9. გავიცნობ 22-დან 32 წლამდე თბილისელ გოგოს ხანგრძლივი ურთიერთობისთვის. ვარ 26 წლის ბიჭი. 557503047

10. სამეგობროდ გავიცნობ გოგოს. 5921001123

11. შეხვედრებისთვის გავიცნობ ქალს. 598620002. კახა

12. ვარ 30 წლის, თბილისელი, სიმპათიური ბიჭი, შეხვედრებისთვის გავიცნობ 32 წლამდე ლამაზ გოგოს, სასურველია თბილისელი, რუსთაველი, მარნეულელი ან გორელი. 593973884

13. ვარ 37 წლის, გავიცნობ 40-45 წლამდე ქალს შეხვედრებისთვის. ვარ დასაქმებული. 595794100

14. გავიცნობ 30 წლამდე თბილისელ ქალს შეხვედრებისთვის, ვცხოვრობ მარტო და ვარ დასაქმებული, სიმპათიური ბიჭი. 558565682. უჩა

15. შეხვედრებისთვის გავიცნობ 35-დან 45 წლამდე ბათუმელ ქალს, სასურველია იყოს შავგვრემანი, მაქვს სამსახური და მყავს მანქანა. 593154796. ზურა

16. შეხვედრებისთვის გავიცნობ იმერელ, მხოლოდ ქვრივ, სერიოზულ ქალს 36 წლამდე. ვარ 39 წლის კარგი გარეგნობის მამაკაცი. დამიმესიჯეთ საღამოს 5 საათამდე. 557994113. ჯონი

17. ვარ 30 წლის, სიმპათიური, ვცხოვრობ თბილისში, შეხვედრებისთვის გავიცნობ თბილისში მცხოვრებ სიმპათიურ, განათხოვარ ქალს. 555004073. ზურა

18. ვარ 31/190/90, თბილისელი ბიჭი, გავიცნობ სასიამოვნო გარეგნობის 175-185 სმ სიმაღლის თბილისელ, ქალიშვილ 25 წლამდე გოგოს, სერიოზული ურთიერთობისთვის. 577437727

19. არახშირი შეხვედრებისთვის გავიცნობ ბათუმელ ან ქობულეთელ, ქვრივ, სერიოზულ, 36 წლამდე ქალს. ვარ 39 წლის მამაკაცი წყალტუბოდან. 593145836. ირაკლი

20. შეხვედრებისთვის გავიცნობ გოგოს. ვარ 20 წლის სიმპათიური ბიჭი, მყავს მანქანა. 551138583

21. შეხვედრებისთვის გავიცნობ ქალს. ვარ 47 წლის, ბათუმელი მამაკაცი. 593918085

22. გავიცნობ 35-40 წლამდე თბილისელ ქალს შეხვედრებისთვის. 555562562

23. გავიცნობ თბილისში მცხოვრებ 35 წლამდე ქალს. ვარ 32/185/85. 555455053. ნიკა

24. სამეგობროდ გავიცნობ 26 წლამდე მიმზიდველ გოგოს, რომელსაც გვერდში დავუდგები. 551501547. გიორგი

25. ვარ 30 წლის, წესიერი მამაკაცი, მაქვს სამსახური და მყავს მანქანაც, სამეგობროდ გავიცნობ სიმპათიურ, ახალგაზრდა ქალს. 555450614. აჩი

26. გავიცნობ სულიერად ლამაზ, მდიდარ, მშვიდ და თბილ ქალს. 555675264. ნიკა

27. გავიცნობ 28-35 წლამდე თბილისში მცხოვრებ უკომპლექსო ქალს. 551523767. გიო

28. შეხვედრებისთვის გავიცნობ 40 წლამდე ქალს. ვარ თბილი და მოსიყვარულე მამაკაცი. 574070310

29. ვარ 38 წლის, თბილისელი, სიმპათიური მამაკაცი, გავიცნობ სერიოზული ურთიერთობისთვის 42 წლამდე, სასიამოვნო გარეგნობის ქალს. 551660777

30. გავიცნობ თბილი ბუნების, წყნარ, 65 წლამდე ქალს, ვარ 50/177/70, უბინაო, უცოლშვილო, ვცხოვრობ დასთან თბილისში. 555354757

31. გავიცნობ თბილისელ, კარგი გარეგნობის 20-დან 30 წლამდე გოგოს. ვარ არამსმელი, ჯანმრთელი და ენერგიით სავსე მამაკაცი, ყურადღებიანი, თბილი, დასაქმებული. 555450488

32. ვარ ცოლიანი 33 წლის მამაკაცი, გავიცნობ 40 წლამდე თბილისელ ქალს, მარტოხელას. 557544027

33. ხანგრძლივი შეხვედრებისთვის გავიცნობ 25-45 წლამდე ქალს. ვარ 33 წლის. 557987973. გიორგი

34. ვარ 26 წლის მამაკაცი, სამეგობროდ გავიცნობ 35 წლამდე გოგოს. 555109884

### გავიცნობ ქალს ოჯახის შესაქმნელად

1. ვარ 36 წლის, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 25-დან 33 წლამდე პატიოსან გოგოს რაიონიდან, თუნდაც სოფლელს, ვარ კახეთიდან. 555357542

2. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 18-დან 35 წლამდე გოგოს, თუნდაც განათხოვარს, ვარ სიმპათიური, განათლებული, ყველანაირად უზრუნველყოფილი პიროვნება, დადებითი თვისებებით. 598591333. გეგა

3. გავიცნობ მარტოხელა ქალს, ბინიანს, ოჯახის შექმნის მიზნით. 557788140

4. ვარ 64 წლის მამაკაცი, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 38 წლამდე ქართველ ქალს, რომელსაც არ ჰყავს და უნდა, ჰყავდეს ბავშვი და იყოს დიასახლისი. 5905469342

5. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისში მცხოვრებ, ქვრივს ან ქმარს გაცილებულ ქალს. ვარ 38 წლის მამაკაცი. 555532394

6. გავიცნობ 30-დან 38 წლამდე თბილისელ ქალს ოჯახის შექმნის მიზნით. 555440741

7. ვარ 51/168/48, ქართველი მამაკაცი, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ქართველ ქალს. 555145944. ზურაბი

8. ვარ 185/82/38, დასაქმებული მამაკაცი, ვცხოვრობ სამტრედიაში. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ქალიშვილ, 33 წლამდე გოგოს, საშუალოზე მაღალს. 555639894. დათო

9. ახალგაზრდა, სიმპათიური, მარტოხელა, თბილისელი მამაკაცი ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისში მცხოვრებ 25-დან 35 წლამდე ქალს. 558270100

### გავიცნობ მამაკაცს ოჯახის შესაქმნელად

1. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 40 წლამდე მამაკაცს, ქვრივს ან განქორწინებულს. 555483205

2. ოჯახზის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ, 30-35 წლამდე ბიჭს. 555422547

3. მშვენიერ ქალს სურს ოჯახის შექმნის მიზნით გაიცნოს სიმპათიური, მოსიყვარულე მამაკაცი. 595197062

4. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 30 წლამდე მამაკაცს, თბილისელს ან ბათუმელს, ყველანაირად უზრუნველყოფილს. ვარ 22 წლის, სასიამოვნო გარეგნობის გოგო, მყავს შვილი, ბედმა მიმტყუნა. 555557458. თიკო

5. ვარ 40 წლის, თბილისში ბინით უზრუნველყოფილი, განათხოვარი, შვილების გარეშე, სიმპათიური ქალი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ძალიან კარგი გარეგნობის მამაკაცს, არ უნდა იყოს დაბალი, მელოტი და შეუხედავი. გაცნობა მხოლოდ სმს-ით. 555295188

თუ გსურთ, ახლობელს მიულოცოთ რაიმე ან გაუმხილოთ თქვენი გრძნობები ჟურნალ „სარკის" მეშვეობით, აკრიფეთ ასო „M", შემდეგ — ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 2017 ჯეოსელის და 93887 მაგთის აბონენტებმა. გაცნობის განცხადებებში მიუთითეთ თქვენი ტელეფონის ნომერი. თქვენი ტექსტი დაიბეჭდება „სარკის" უახლოეს ნომერში. sms უნდა გამოგზავნოთ 5 ოქტომბრის 17 საათამდე.
ერთი sms-ის ღირებულებაა 1 ლარი. წერილი, რომელიც 3-ზე მეტ სმს-ში იქნება მოთავსებული, არ დაიბეჭდება!
ერთი აბონენტისგან მიწერილ ორ ბარათზე მეტი არ დაიბეჭდება



Cyan Magenta Yellow Black

# ეკრანის დიდოსტატები ბათუმის წვიმაში

## საავტორო კინოს მე-8 საერთაშორისო ფესტივალის ქრონიკა

ბათუმის კინოფესტივალი უკვე მერვედ ჩატარდა. მწირი ბიუჯეტით და ენთუზიაზმით დაწყებული საქმე ფილმების სიმრავლით, მრავალფეროვანი პროგრამით და კარგი ხარისხით სერიოზულ ფესტივალად ჩამოყალიბდა.

საავტორო ARThouse — ეს არის კინოს ნიშა, რომელიც არ არის გათვლილი ფართო მაყურებელზე და ორიენტირებულია ვიწრო პროფესიონალური წრისათვის. ამ მიმართულებას მიეკუთვნება მსოფლიო კინემატოგრაფიის კლასიკოსების ნიმუშები, ასევე კინო, რომელიც ეთნიკურ და სექსუალურ უმცირესობებს შეეხება, თუმცა საზღვრები არც ამ ჟანრშია ზუსტად მონიშნული.

ამჯერად ბათუმში საკონკურსო ნამუშევრებში 10 მხატვრული, 9 დოკუმენტური და 24 მოკლემეტრაჟიანი ფილმი მოხვდა. ასევე თემატურად წარმოდგენილი იყო ქართული პანორამა, დიდოსტატების კოლექცია, ფოკუსი დიდ ბრიტანეთზე, მუსიკის სამყარო და ევროპის კინოაკადემიის მოკლემეტრაჟიანი ფილმების კოლექცია. ჩატარდა რამდენიმე მასტერკლასი და ინდუსტრიული სექციის ღონისძიებები, რომლებიც ერთობლივი ფილმების გადაღების ორგანიზებას ეძღვნებოდა.

### ფესტივალის გახსნა

ფესტივალის გახსნა ბათუმის ბულვარში, ახალ საზაფხულო თეატრში გაიმართა, რომელიც 1000-მდე მაყურებელს იტევს. დარბაზი თითქმის სავსე იყო. ფესტივალი მისმა დირექტორმა გიორგი გოგიბერიძემ, დამფუძნებელმა და მენეჯერმა ზვიად ელიზიანმა და წამყვანმა კახა მიქიაშვილმა გახსნეს. ამჯერადაც ტრადიციას არ უღალატეს და კინემატოგრაფიაში შეტანილი წვლილისთვის დააჯილდოვეს ახალი ნომინანტები — მწერალი რეზო ჭეიშვილი და ცნობილი რუსი რეჟისორი, წარმოშობით ქართველი, მარლენ ხუციევი (ხუციშვილი).

ხუციევი გამართული ქართულით მიესალმა სტუმრებს. ის 30 წელია საქართველოში არ ჩამოსულა. 87 წლის რეჟისორი მთელი ფესტივალის განმავლობაში ენერგიულად გამოიყურებოდა, არც ერთი ფილმი და საღამოს ივენთი არ გაუცდენია. ერთ-ერთ წვეულებაზე, როცა მისი მოგვარე გავაცანით, მასთან ერთად ორი პატარა ჭიქა ჭაჭის არაყიც კი დალია და მთელი გზა „შავო მერცხალოს" მღეროდა.

საზეიმო მისალმებების შემდეგ გიორგი დანელიას ფილმის „ქინ-ძა-ძას" მულტიპლიკაციური სრულმეტრაჟიანი რიმეიკი აჩვენეს, რომელიც ისევ გიორგი დანელიამ გადაიღო და ბუბა კიკაბიძესთან და სხვა ცნობილ მსახიობებთან ერთად გაახმოვანა.

### სხვადასხვა პლატფორმები

შემდგომი 6 დღის განმავლობაში ერთმანეთის პარალელურად სხვადასხვა ღონისძიება ტარდებოდა. ფილმების ჩვენება არამარტო „მინიატურულ" კინოთეატრ „აპოლოში", არამედ ერას მოედანზე, ღია ცის ქვეშ მოწყობილ კინოთეატრშიც მიმდინარეობდა, ტარდებოდა მასტერკლასები, ვორქშოფები.

ორი-სამი მზიანი დღის შემდეგ ბათუმში გაწვიმდა და ფესტივალი ისე დამთავრდა, წვიმას არ გადაუღია, ამიტომ სტუმრებს შორის ყველაზე აქტუალური სასაუბრო თემა მეტეოროლოგია გახდა.

ბათუმს ქართული კინემატოგრაფიის წინაშე დიდი დამსახურება აქვს, აქ ისეთი ცნობილი ფილმების ეპიზოდებია გადაღებული, როგორებიცაა „ფეოლა", „არაჩვეულებრივი გამოფენა", „მონანიება" და სხვა.

### ჟიური და არასაკონკურსო ფილმები

სრულმეტრაჟიანი საკონკურსო მხატვრული ფილმების ჟიურის წარმოადგენდნენ რეჟისორი მარლენ ხუციევი (რუსეთი), რეჟისორი იეშიმ უსტაოღლუ (თურქეთი), რეჟისორი ვიესლავ სანიევსკი (პოლონეთი), პროდიუსერი ჯიმ სტარკი (ამერიკა), კინომცოდნე ლელა ოჩიაური (საქართველო). დოკუმენტური და მოკლემეტრაჟიანი ფილმების ჟიურის წევრები საქართველოდან რეჟისორი ალექსანდრე რეხვიაშვილი, მსახიობი ბაადურ წულაძე და რეჟისორი თინათინ გურჩიანი იყვნენ. ფესტივალის არასაკონკურსო ჩვენებაზე რამდენიმე მათგანის ფილმიც გახლდათ წარმოდგენილი.



■ მარლენ ხუციევი

სასიამოვნო მოულოდნელობა აღმოჩნდა დიდოსტატების კოლექციის ჩვენება: ანჟეი ვაიდას „ვალენსა", ფრანსუა ოზონის „ახალგაზრდა და მშვენიერი", კიმ კი დუკის „პიეტა", ასევე კირა მურატოვას, ვონგ კარავაის, იოს სტელინგის, პაოლო სორენტინოს ფილმები, რომლებმაც დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინეს საზოგადოებაზე.

ფესტივალს დაწყება წერილობით მიულოცა ანჟეი ვაიდამ და აღნიშნა, რომ მისი ფილმის „ვალენსა — იმედის ადამიანი" ერთ-ერთი პირველი პრემიერა ბათუმში შედგებოდა. ფილმი პოლონეთის ეროვნული მოძრაობა „სოლიდარობის" ლიდერ ლეხ ვალენსაზეა. პოლონელებს ისევე, როგორც ქართველებს, გადაჭარბებული თვითშეფასება აქვთ. ეს შთაბეჭდილება ამ ფილმმაც დატოვა. ბერლინის კედლის დანგრევას ედუარდ შევარდნაძეს „აბრალებდნენ" და თურმე ლეხ ვალენსა ყოფილა მისი შემოქმედი. ისე კი, ბოლო ათწლეულებში პოლონელებს მართლაც არ ჰყოლიათ ასეთი რანგის ქარიზმატული ლიდერი.

საინტერესო იყო ბრიტანული ფილმების არასაკონკურსო ჩამონათვალიც და მუსიკის სამყაროს ეგიდით ნაჩვენები ჯო ბოიდის „ჯიმი ჰენდრიქსი", პიტერ უაიტჰედის „გავერთოთ ღამით ლონდონში" რეტროფილმები. დიდი არჩევანი იყო ასევე ევროპის კინოაკადემიის მოკლემეტრაჟიანი ფილმების კოლექციაში.

### საკონკურსო ჩვენება

საკონკურსო ფილმებიდან ალბათ გამოვყოფდით რამდენიმე ქვეყნის კინოპროდუქციას — ნორვეგიულ-გერმანულ-ერაყულ ფილმს „თოვლის მოსვლამდე", რუსულ „გეოგრაფს გლობუსი შემოეხარჯა", მთავარ როლში კონსტანტინ ხაბენსკის მონაწილეობით. საავტორო კინოს ყველა სტანდარტის დაცვით გადაღებული ზაზა რუსაძის ფილმი „ჩემი საბნის ნაკეცი", რომელშიც საუკეთესო მსახიობები ზურა ყიფშიძე, ავთანდილ მახარაძე და მარინა ჯანაშია მონაწილეობენ, სამწუხაროდ, ვერც ერთ ნომინაციაში ვერ გამოარჩიეს.

საინტერესო იყო სომხური წარმოშობის ფრანგი მსახიობის, სერჟ ავედიკიანისა და ელენე ფეტისოვას ბიოგრაფიული ფილმი „ფარაჯანოვი", სადაც მთავარ როლს თვითონ რეჟისორი ასრულებს. ჩვენების შემდეგ დარჩა შთაბეჭდილება, რომ ფილმი ცოტა ზედაპირულია და სომხეთის როლი თბილისელი მაესტროს ცხოვრებაში — გაზვიადებული. ეს ჟიურის წევრებმა აღნიშნეს, რომლებიც კარგად იცნობდნენ ფარაჯანოვს.

რაც შეეხება დოკუმენტურ ფილმებს, კარგი შთაბეჭდილება დატოვა ნინო ორჯონიკიძისა და ვანო არსენიშვილის ფილმმა „ინგლისურის მასწავლებელი". ფილმი ეძღვნება იმ ათასი მასწავლებლიდან ერთს, საქართველოში „ლინგვისტური რევოლუციის" მოსახდენად რომ მოიწვიეს. სამხრეთაფრიკელი ბრედლი ნელსონი




სამეგრელოს პატარა სოფელში ჩადის, მაგრამ იქ არც ცვლილებები ჩანს და არც სურვილი ინგლისურის სწავლისა. სოფლის მცხოვრებლები სულ სხვა გამოწვევების წინაშე დგანან.

საინტერესო იყო რუსულ თემაზე გადაღებული ფილმები. „მილსადენი" იმ ლეგენდარულ ტრანსციმბირულ გაზსადენს ეხება, რომელზეც დღემდე ევროპის უმეტესი ნაწილია დამოკიდებული. ფილმი „ფუსი რიოტი-პანკების ლოცვა" ფემინისტური არტ ჯგუფის „ფუსი რიოტის" წევრებს ეძღვნება. სამმა გოგონამ მოსკოვის ღვთისმშობლის საკათედრო ტაძარში 40 წამიანი პერფორმანსი წარმოადგინა, რასაც მათი დაპატიმრება და შემდეგ საკმაოდ ხმაურიანი სასამართლო მოჰყვა.

### დაჯილდოება და დახურვა

ერთკვირიანი ფესტივალის შეჯამება ისევ საზაფხულო თეატრში გაიმართა. მთავარი პრიზი ერგო ფილმს „თოვლის მოსვლამდე". მისმა რეჟისორმა ჰიშამ ზამანმა თურქეთის ერთ-ერთი ქურთული სოფლის მცხოვრებლების გულისშემძვრელი ისტორია გადაიღო. 16 წლის ბიჭი, სიარი, ჯერ სტამბულში მიდის ოჯახის ღირსების დასაცავად და შემდეგ არალეგალურად — ევროპაში. ოჯახიდან გაპარულ დას ეძებს, რომ, ადათ-წესების თანახმად, მასზე შური იძიოს და მოკლას. მას არალეგალი ქურთები ეხმარებიან. სიარს გზაში სიყვარული ეწვევა და, როცა დას მიაგნებს, მის მოკვლაზე უარს ამბობს. ამ დროს კი თვითონ ხდება არალეგალის მსხვერპლი, რადგან შეყვარებულის ღირსების გადასარჩენად ბერძენ მესაზღვრეებთან კონტრაბანდისტს გასცემს.

ფესტივალის საუკეთესო რეჟისორად პეტერ ბროსენი და ჯესიკა ვუდვორთი დასახელდნენ ფილმისთვის „მეხუთე სეზონი". საუკეთესო მსახიობ მამაკაცად ფარაჯანოვის როლის შემსრულებელი სერჟ ავედიკიანი აღიარეს, ხოლო საუკეთესო მსახიობ ქალად — ირანელი მეჰთაბ ქერემეთი ფილმისთვის „მეოთხე შვილი". ჟიურის სპეციალური პრიზით ისრაელის ფილმი „შეავსე სიცარიელე" (რეჟ. რამა ბურშტაინი) დააჯილდოვეს.

დოკუმენტურ ფილმებში გაიმარჯვა ჯოშუა ოფენჰაიმერის ფილმმა „მკვლელობის აქტი", რომელიც ინდონეზიელი ყოფილი ქილერების მონათხრობზეა აგებული.

ამ სექციაში ჟიურის პრიზი აიღო ემად ბერნატისა და გაი დავიდის ფილმმა „ხუთი დამტვრეული კამერა". რაც შეეხება მოკლემეტრაჟიანი ფილმების კონკურსს, გრან პრი პოლონურმა „ირუნამ" (რეჟ. პეტერ სულკოვსკი) დაიმსახურა, ხოლო სპეციალური პრიზი — ბრიტანულმა „აურზაურმა" (რეჟ. ჯონი ბერინგტონი).

ტრადიციისამებრ, აჩვენეს დახურვის ფილმი — იტალიელი ჯუზეპე ტორნატორეს „საუკეთესო შეთავაზება".

იყო ერთი სიახლეც — ფესტივალი ქართული მუსიკალური ჯგუფის „ქეთათო და Lullaby Qveens"-ის კონცერტით დასრულდა.

✓ კობა ბრეგვაძე



Cyan Magenta Yellow Black

# ვისაც უყვარს ღმერთი, ის არასდროს კვდება, უკვდავია

## ხსენება წმინდანთა მოწამეთა მანუელისა, საველისა და ისმაილისა



ახალი სტილით 17 ივნისს მართლმადიდებელი ეკლესია დღესასწაულობს სამი მოწამე ძმის — მანუელის, საველისა და ისმაილის ხსენებას, რომლებიც წარმოშობით სპარსელები იყვნენ, აღმსარებლობით კი ქრისტიანები. მათთვის, დანარჩენის მსგავსად, მიუღებელი იყო კერპების თაყვანისცემა, რაც გახდა კიდეც საბოლოოდ მათი ფიზიკურად მოკვდინების მიზეზი, რაც ნიშნავს ქრისტესთვის სიკვდილს. ეს კი, იციან ქრისტიანებმა, უკვე რაოდენ დიდი მოწყალებაა ღვთისგან, როდესაც ასე აღესრულება ვინმე.

ასე რომ, საკმაოდ საინტერესო ისტორია გვინდა, შემოგთავაზოთ წმინდათა მოწამეთა მანუელის, საველისა და ისმაილის სახით, რომლებიც მოღვაწეობდნენ იმპერატორ იულიანე განდგომილის დროს, მიახლოებით 363 წელს და რომელიც ცნობილი იყო, როგორც წარმართი, კერპების თაყვანისმცემელი და ქრისტიანთა მოძულე.

ძმები მანუელი, საველი და ისმაილი იმპერატორის ნდობით აღჭურვილი პირები იყვნენ, თუმცა არ ეთანხმებოდნენ ერთ რამეში, როცა თვითონ ქრისტეს სარწმუნოებას აღიარებდნენ, იმპერატორი კი სისასტიკით გამოირჩეოდა ქრისტიანთა მიმართ.

ერთხელაც ერთ-ერთი ასეთი დავალების დროს, როდესაც იმპერატორის მსახურებს უბრძანეს, გაენადგურებინათ ქრისტიანები და ქრისტიანული სწავლება და მის ნაცვლად ასევე ძალმომრეობით გაევრცელებინათ კერპების თაყვანისცემა, წმინდა მოწამეები წინ აღუდგნენ ამ მათთვის მიუღებელ და უმსგავსო საქციელს. ამ ყველაფერმა კი მოთმინებიდან გამოიყვანა იულიანე და ბრძანა, მასთან მიეყვანათ ძმები, რათა ჭკუა ესწავლებინა მათთვის.

თავდაპირველად, როგორც ხშირად მიმართავდნენ ხოლმე მტარვალები, ტკბილი სიტყვით და ტყუილით ცდილობდნენ მოწამეთა დაყოლიებას, რასაც მათთვის სასურველი შედეგი იშვიათად თუ მოჰქონდა. ქრისტეს არც ერთი მოწამე არ ღალატობდა, რაც საშინელი წამებით და ქრისტიანთა ხოცვა-ჟლეტით მთავრდებოდა. იულიანემაც იგივე სცენარით სცადა ძმების დაყოლიება, ქრისტიანობის უარყოფის სანაცვლოდ უდიდეს ძალაუფლებას და სიმდიდრეს დაჰპირდა მათ. ეს ყოველივე კი, როგორც მოსალოდნელი იყო, უარით და წარმართული კერპების ცინიზმით და შეურაცხყოფით დასრულდა. მტარვალს ისღა დარჩენოდა, სამაგალითოდ დაესაჯა ძმები, რომლებიც ოდესღაც მის უპირობო ფავორიტებად და დასაყრდენად ითვლებოდნენ.

წმინდანთა მშობლებიც სპარსელები იყვნენ. მათი დედა ღვთისმოსავი ქრისტიანი გახლდათ, ხოლო მამა წარმართი და ასევე აღესრულა კიდეც. როგორც ცნობილია, სპარსელები მზეს ეთაყვანებოდნენ, რაც დედის გავლენით სრულიად მიუღებელი იყო ძმებისთვის. მათ აღზრდაში აგრეთვე უდიდესი წვლილი შეიტანა მათმა ბიძამ, სახელად ევნოიკოსმა, რომელმაც გააღრმავა მათი ცოდნა ქრისტეს თაყვანისცემაში და არა ქმნილებათა მიმართ.

თავდაპირველად ძმების საპყრობილეში ჩაყრის გადაწყვეტილება მიიღო ჯალათმა ხელმწიფემ და თუ მოახლოებულ კერპების დღესასწაულზე მსხვერპლს არ შესწირავდნენ სამეფოს კერპებს, მათ ველარავინ იხსნიდა საშინელი სიკვდილისაგან. ბუნებრივია, ამ ყოველივეს არავითარი უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია ძმებზე, უფრო მეტიც, გახარებულები გალობით შეხვდნენ ტირანის გადაწყვეტილებას ღვთის მოიმედენი.

ორი დღის შემდეგ ტირანმა სავარძელი მოატანინა, შიგ ჩაჯდა და ბრძანა ძმების გამოყვანა საპყრობილიდან. პირველად ისევ ძველი მეთოდით შეეცადა, მათთვის სიმშვიდე ეჩვენებინა და იქნებ ამ ფორმით მოეხდინა მათზე გავლენა, თუ ეს შესაძლებელი იქნებოდა კიდევ ერთხელ და მიმართა: „თქვენ ჩვენი ძმები და მეგობრები ხართ, სხვების მსგავსად თქვენც ვალდებულები ხართ, თქვენს მეფესთან ერთად მიიღოთ ამ საყოველთაო ზეიმში მონაწილეობა. ამით კიდევ ერთხელ დადასტურდება თქვენი ერთგულება ტახტის მიმართ, საიდანაც იმართება ჩვენი ძლევამოსილი იმპერია და რისი სათავეც არიან ჩვენი ღმერთები, რომელთაც ეგების ჩვენი მხრიდან თაყვანისცემა და მსხვერპლშეწირვა. თუ თქვენ სხვა ღმერთებს აღიარებთ და არა ჩვენს ღმერთებს, მაშინ ჩვენ შორის მშვიდობა კი არა, მტრობა ჩამოყალიბდება. სპარსელები ეთაყვანებიან მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებს და ზოგადად ციურ სხეულებს. თქვენც, როგორც ამ ქვეყნის შვილები, უმჯობესი იქნებოდა, სპარსელების მსგავსად მოქცეულიყავით“.

ეს ყოველივე როგორც კი მოისმინეს მეფისგან, მაშინვე ვაჟკაცურად უპასუხეს: „ჩვენ ჩვენი ბიძისგან, სახელად ევნოიკოსისგან, ვისწავლეთ ქრისტეს შესახებ, ასევე ბავშვობიდან დედაჩვენი გვინერგავდა ქრისტიანულ კეთილშობილებას, ამიტომაც აღარ ძალგვიძს ამ გზიდან გადახვევა. უმჯობესი იქნებოდა, თქვენც ისევე მოქცეულიყავით, როგორც ჩვენ, რადგან მზე გასათბობად და გასანათებლად კი შეიძლება გამოდგეს, მაგრამ ჩვენთვის მიუწვდომელი ფენომენია, ამიტომაც ის, რაც ჩვენთვის მისაწვდომია და თანაც ლოგიკა გააჩნია, არის იესო ქრისტეს სიტყვა და ამ სიტყვის ძალა, რომელიც გამჟღავნდება ეკლესიაში ზიარებით. კერპებს კი არც არაფერი ესმით, ვერც ვერაფერს ხედავენ, გაქვავებულები დგანან და უმოძრაოდ გამოიყურებიან. თუ თქვენი სიტყვები გულწრფელია, მეფეო, მაშინ ჩვენ ჩვენი სარწმუნოება უნდა შევინახოთ, თუნდაც ეს სიკვდილის ფასად დაგვიჯდეს და ტყუილად მუქარის ჩვენ არ გვეშინია. მეტიც, შენმა მუქარამ უფრო განგვამტკიცა. ჩვენი უფალი შემდეგი სიტყვებით მოგვმართავს, ნუ შეგეშინდებათ მათი, რომელთაც ძალუძთ თქვენი ხორციელად მოკვდინება, არამედ გეშინოდეთ მათი, რომელთაც თქვენი სულიერად სიკვდილი შეუძლიათო“.

ამის გამგონე გამხეცებულმა იულიანემ ველარ დაფარა თავისი სიძულვილი ქრისტიანობის მიმართ და ზიზღით მიუგო ძმებს: „მე მქონდა ოდესღაც შეხება ქრისტიანობასთან და საკმაოდ კარგადაც შევისწავლე ამ მოძღვრების შინაარსი. განბილებული ვარ მათი უგნური მოძღვრებით, რომლებიც უარს ამბობენ მამაპაპათა სარწმუნოებაზე და უნდათ, თავს მოგვახვიონ ახალი ცრუ სწავლება ებრაელ კაცზე, რომელსაც შეუძლია, ურცხვად წარმოგვიჩინოს საკუთარი თავი ღვთის ძედ და თქვას, რომ ის არის ხორცშესხმული ღმერთი დედამიწაზე. ასე რომ, უმჯობესია, გონს მოეგოთ და თავი დაანებოთ ამ ბავშვური სწავლებით თავის მოტყუებას. სანამ ჯერ კიდევ არის დრო, გონს მოდით“.

ძმებმა მიუგეს: „როგორც გენებოს, ღვთის მოწინააღმდეგევ, ჩვენი შეშინება მუქარით წარმოუდგენელია, რადგან ჩვენს სათქმელს თვით უფალი იტყვის. შენ კი, როგორც გენებოს, თუ ამის ძალა შეგწევს, მოიქეცი ისე, როგორც თვითონ აცხადებ. ყველაფრის მცოდნე და ყველაფრის შემძლებელმა უნდა იცოდე, რომ ხარ არც არაფრის მცოდნე და არც არაფრის შემძლებელი, თუ თვითონ უფალი არ დაუშვებს ამ ყოველივეს“.

ეს სიტყვები აღმოჩნდა ტირანისთვის უკანასკნელი მარცვალი, რათა ერთხელ და სამუდამოდ დაესრულებინა ურჩი ძმების სიცოცხლე და სამაგალითოდ, ყველას დასანახად ისეთი სისასტიკით დაესაჯა, რომ არავის აღარასდროს გასჩენოდა მეფე იულიანესთან წინააღმდეგობის გაწევის, დაპირისპირების სურვილი.

ბრძანა განრისხებულმა, მიწაზე დაეწვინათ და თითოეული მათგანი ოთხ კაცს ახალი დაკლული ხარის ძარღვებით ეცემათ სულის ამოსვლამდე, ვიდრე პატიებას არ ითხოვდნენ მეფისგან ღმერთების შეურაცხყოფისთვის. მოწამეების სისხლით შეიღება წამების ადგილი, ბოლოს ცემასაც თავი დაანებეს ჯალათებმა, რადგან ეგონათ, რომ გარდაიცვალნენ. როცა ნახეს, რომ ცოცხლები იყვნენ, ისევ უბრძანა წყეულმა იულიანემ, დემონური მანიით შეპყრობილმა თავის მსახურებს, მოწამეები ხელებით და ფეხებით ხის ძელებზე მიელურსმნათ და ისე ჩამოეკიდათ. რკინისგან დაემზადებინათ დეზების მაგვარი,





Cyan Magenta Yellow Black

ბრჭყალების მაგვარი რკინის საცეცები და ამით მათი ძელზე ჩამოკიდებული სხეულები დაეკაწრათ, რაც იწვევდა გაუსაძლის ტკივილს.

ამ ყველაფრის მიუხედავად, წმინდა მოწამეები უფრო მომთმენნი და გამძლენი ხდებოდნენ, მათი საფიქრალი იყო მხოლოდ ერთი რამ, იესო ქრისტე ყოფილიყო უმთავრესი. ტვინშიც ეს უტრიალებდათ და ენითაც ამას გაიძახოდნენ: „შენც, უფალო იესო, ხეზე იყავი გაკრული და გაწამებდნენ და მაინც მათზე ფიქრობდი, მათ უკვდავებაზე ზრუნავდი. ჩვენც ვალდებულნი ვართ, ხეზე გაკრულებმა შეგიყვაროთ, ცოტა მაინც წარმოვიდგინოთ და შევიცნოთ ის ჩვენთვის განცდილი ტკივილი და უსიამოვნება, რათა განვიკურნოთ ჩვენ მიერ ნამოქმედარი ცოდვებისგან. შეგვაძლებინე, რათა რკინის ბრჭყალებისგან მოყენებული ტკივილი ასატანი გახდეს ჩვენ მიერ. ამას ვგრძნობთ კიდეც ყოველთვის, რისთვისაც ვმადლობთ შენს წმინდა სახელს ამ უდიდესი სიყვარულისა და თანადგომისთვის“.

ბუნებრივია, უფალიც არასდროს ტოვებდა მოწამეებს უნუგეშოდ, ჯერ სათხოვარი არ ჰქონდათ დამთავრებული, რომ უფლის ანგელოზი ხილულად გამოეცხადა მათ და მაშინვე იგრძნეს საშინელი ტკივილებისგან გათავისუფლება. ყოველ მათგანში სახლდებოდა იმედი, მოლოდინი იმის, რომ მათ ელოდათ უსაზღვრო და უწყვეტი ბედნიერება. რომ ეს ყოველივე, რაც მათ გადახდათ და შეიძლება კიდევ გადახდენოდათ, იყო დროებითი და იმად ღირდა, რისთვისაც ითმენდნენ.

ტირანმა გასცა განკარგულება, ცოტა ხნით შეესვენებინათ მოწამენი, ვიდრე მისი ბრძანება არ იქნებოდა. მზაკვარმა გადაწყვიტა, მოტყუებით ისევ მიემართა მათთვის, ვინძლო დაეყოლიებინა და იქნებ მსხვერპლი შეეწირათ კერპებისთვის. მიუგო მოწამეებს: „ხედავთ, რომ მეცოდებით, რადგან მაინც ვფიქრობ თქვენზე. იქნებ გონს მოხვიდეთ, რადგან ჯერ კიდევ არ გამომიყენებია უფრო უმძიმესი, ჯოჯოხეთური წამების ხერხი იმ იმედით, რომ მჯერა, მიხვდებით თქვენს დანაშაულს და გამოასწორებთ“.

მის სიტყვებზე მწუხარებამ შეიპყრო წმინდა მოწამეები, რადგან სადამდე შეიძლება დაბნელდეს ადამიანის გონება, რა შეიძლება აფიქრებინოს ეშმაკმა და უპასუხეს: „ნუ ფიქრობ, ღვთის მოწინააღმდეგევ, თითქოს შენი მზაკვრული საუბრით აზრს შევიცვლით, რადგან ამ მომენტისთვის ჩვენ ვართ ბრალდებულნი, ხოლო შენი თავი კი გგონია ბრალმდებელი. მოიქეცი ისე, როგორც ფიქრობ და ნუ თვალთმაქცობ. ჩვენ გუშინაც, დღესაც და ხვალაც მზად ვართ, დავითმინოთ. რაც კი გონებაში მოგივა, გამოიყენე, თუკი რამ კიდევ უფრო საშინელი გაქვს ჩაფიქრებული. ჩვენი საფიქრალი არის ზეციერი სამკვიდრებელი, სადაც მოგველის ქრისტე“.

შეურაცხყოფილ მტარვალს ფიქრიც კი არ შეეძლო იმის შემდეგ, რაც მოისმინა. ბრძანა, განეშორებინათ მათგან მანუელი და დაატოვებინა საველი და ისმაილი. ფიქრობდა, ვინძლო ცალ-ცალკე შეძლებდა მათ დაყოლიებას, რადგან ბოლმა ახრჩობდა, შეურაცხყოფილი იყო წარუმატებლობით, რასაც ვერაფრით ეგუებოდა და არც ამის აღიარება შეეძლო პატივმოყვარეობის გამო.

მეფის მოსმენაც კი არ სურდათ მოწამეებს. ხმამაღლა გაჰყვიროდნენ: „ღვთისმგმობელო იულიანე, ცრუი ხარ და მხდალი, აყოლილი ხარ ბერძენთა სიცრუეს და გჯერა ზღაპრების. თუ გაქვს ვაჟკაცობა, გამოიყენე კიდევ იმაზე მეტი საშინელება, რაც უკვე გამოიყენე და რომლის უსუსურობა იხილა ყველამ. ერთადერთი, თუ ჭკუიდან შევირყევით და გავგიჟდებით, შეიძლება გავიხედოთ ამ უსუსური, არაფრის მაქნისი კერპებისკენ, სხვა შემთხვევაში ტყუილად გაქვს რამის იმედი“.

ამის მოსმენა შეუძლებელი აღმოჩნდა ისედაც გაბოროტებული იულიანესთვის და ბრძანა, ლამპრები შეუნთეთ იღლიებში, რის შემდგომაც იძულებულნი იქნებიან, აზრი შეიცვალონო. ბრაზისაგან ცეცხლმოკიდებული თვითონ გეგონებოდათ, ადამიანის სახე ჰქონდა დაკარგული. ნეტარი მოწამენი კი, რომლებიც, წესით, ცეცხლისგან შეწუხებულები უნდა ყოფილიყვნენ, ბედნიერებისგან ბრწყინავდნენ. ჰმადლობდნენ უფალს იმის გამო, რომ ძალას აძლევდა, ამ სატანჯველისთვის გაეძლოთ.

გაბოროტებული და განდგომილი იულიანე ისევ განაგრძობდა მოწამეთა შეგონებას და მოუწოდებდა მათ, ნუთუ ვერ ხვდებით, რომ ღმერთები ჯერ კიდევ არ არიან ბოლომდე შემომწყრალნი თქვენზე და ძალას გაძლევენ, ამდენ სატანჯველს გაუძლოთ, იქნებ დაფიქრებულიყავითო. ამაზე სიცილით მიუგეს მოწამეებმა: „საერთო არაფერი გვაქვს თქვენს „ღმერთებთან“, რომელთაც თვალნი ასხენ და ვერარას ხედავენ, ხელნი ასხენ და ვერარას იქმან, ფერხნი ასხენ და ვერ ძალუძთ სვლანი, ყურნი ასხენ და არა ესმით რა. ჩვენი უფალი კი, უგნურო ხელმწიფევ, ზრუნავს ჩვენზე, როგორც ხედავ. სხვაგვარად როგორ იქნებოდა შესაძლებელი, ამდენისთვის გაეძლო სხეულს. თუ გსურს, გამოიყენე შენი დემონური შესაძლებლობები და ნახავ, კიდევ როგორ დამარცხდები“.

იულიანეს კიდევ უფრო მეტად იპყრობდა შიში, რადგან რაც მეტად ფიქრობდა მათ შეურაცხყოფაზე, მით მეტად თვითონ გრძნობდა თავს ცუდად, უფრო მეტი დაცინვის და სირცხვილის ატანა უწევდა წმინდა მოწამეებისაგან. საგონებელში იყო ჩავარდნილი, აღარ იცოდა, რა ექნა, რადგან ცალ-ცალკეც კი ერთ აზრზე იყვნენ მოწამეები, გაიძახოდნენ: „ერთი ღმერთი გვწამს და აზრიც ერთი გვაქვს სამივეს, უსუსური ხარ და უძლური, მტარვალო! ჩვენი ღმერთი ყოვლისშემძლეა და შენც კი მისი შექმნილი ხარ. ნუთუ ვერ უნდა მიხვდე, შე უგნურო, შენი უგნურება შენ თვითონვე გაგაგიჟებს, თუ დროზე არ ითხოვ პატიებას ღვთისგან, რომელსაც ეწინააღმდეგები და შეურაცხყოფ. ჩვენ ყოვლადწმინდა სამების ძალით ერთ ხორც და ერთ სულ ვართ, მისივე ძალით ვართ განუყოფელი. არ არის ძალა, ვისაც შეუძლია ჩვენი გაყრა. უკვე მერამდენედ ვიმეორებთ, რომ საუკუნო სიცოცხლეს და ნეტარებას ქრისტიანები არაფერში ცვლიან, ყველა შენსავით უგნური და მიწიერი ხომ არ გგონია“.

ეს და კიდევ ამის მსგავსი შეგონებაც და შეურაცხყოფაც ბევრი მოისმინა განდგომილმა იულიანემ და შიშმა შეიპყრო. კანკალი აუვარდა და ვერაფრით ველარ აწყნარებდნენ. მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, მალე გაექრო წმინდა მოწამეები, რომ მათ შემხედვარე წარმართებსაც არ გასჩენოდათ მიბაძვის სურვილი.

ბრძანა ტირანმა, ჯერ ცეცხლი შეენთოთ მათთვის, შემდეგ გონდაკარგულები თავით და ფეხებით მიეჭედებინათ ძელზე და ამის შემდეგ, როცა სული ამოხდებოდათ, ნაწილ-ნაწილ დაეჭრათ და კოცონზე დაეწვათ, რათა ქრისტიანებს არ წაეღოთ მათი სხეულის ნაწილები. წაიყვანეს მხედრებმა წმინდა მოწამეები იმ ადგილისკენ, სადაც უნდა აღსრულებულიყო განდგომილი იმპერატორის ბრძანება.

წამების ადგილზე მათ ელოდებოდა სახელად კონსტანტინე, რომელიც ასევე მოძულე იყო ქრისტიანების და სურდა, თვითონ მიეღო მონაწილეობა წმინდანთა წამებაში. მოწამეებმა დრო ითხოვეს საბოლოო ლოცვისთვის და მიმართეს ქრისტეს: „ღმერთო წინა საუკუნეთაო და დაუსაბამოო, რომელმანცა არარაისაგან შექმენ სამყარო, შემდგომად ამისა, მოევლინე ქვეყნად ხსნისათვის ნათესავისა კაცთასა, ხატი მონისა მიიღე და სიკვდილი დათრგუნე ჯვარსა ზედა და ჩვენ განგვათავისუფლე ცოდვათაგან, მიჰხედე მშვიდობით მონათა შენთა და ზიარჰყვენ იგინი საუკუნოსა სამკვიდრებელსა შენსა, რათა სახელისა შენისათვის სიკვდილი გამოსცადეს ეშმაკთასა, მოგვეც ჩვენცა და ყოველსა ქრისტეს სამწყსოისათა გონებაცა და გულიცა გონიერი, ვითარცა ერთმან ჭეშმარიტმან ღმერთმან უწყი და შენვე ძალგიძს აღსრულება ყოველთა“.

ლოცვის დასრულების შემდეგ მოისმა ხმა ზეციდან: „მოვედ და მიიხვენით გვირგვინნი დიდებისანი, რათა შეიცნოთ ცხოვრება საუკუნო, ვინაიდან კეთილად აღასრულეთ სვლაი გზასა მას დიდებისასა“. ეს იყო ახალი სტილით 17 ივნისი, 362 წლის. როცა თავები მოჰკვეთეს წმინდა მოწამეებს, ყველას თვალთ დაუბნელდა, ვერავინ შეძლო, მიჰკარებოდა მოწამეთა სხეულებს, როგორც ნაბრძანები იყო, რომ გამქრალიყო წმინდანთა სხეულები და მათი წმინდა ნაწილები.

ორი დღე ლოცულობდნენ ქრისტიანები, ვინძლო რამე ნიშანი დაეტოვებინა უფალს წმინდა მოწამეებისგან. ადგილზე მისულმა ქრისტიანებმა იგრძნეს კეთილსურნელება, მაგრამ მათი სხეულები არსად ჩანდა. როცა დაღონებულები დაშლას აპირებდნენ, ერთ-ერთმა მათგანმა აღმოაჩინა ღვთის მადლით მოწამეთა წმინდა ნაწილები, რომლებიც დიდი პატივით დაკრძალეს. ყოველდღე აღესრულებოდა უამრავი სასწაული იმ ადგილას, სადაც აწამეს და შემდეგ, სადაც მიწას მიაბარეს წმინდანთა სხეულები.

ეს იყო აღსასრული წმინდანთა მოწამეთა მანუელისა, საველისა და ისმაილისა, თუმცა ღვთის სამსჯავროს ვერ ასცდა ღვთისგან განდგომილი იულიანე, რომელსაც საშინელმა სიკვდილმა უწია სპარსეთის საზღვართან მიმავალს, რადგან სპარსეთის მეფეს ჯერაც ვერ მოენელებინა ის ამბავი, როგორ გაბედა იულიანემ მისი სამეფოს მკვიდრი მოწამეების დასჯა. სამარცხვინოდ დაასრულა სიცოცხლე იულიანემ, როგორც ამას მემატიანე აღწერს.

ყველა მიიღებს იმ საზღაურს, რასაც იმსახურებს, ვერავინ გაექცევა ღვთის სამართალს, ვინც არ უნდა იყოს, რა ძალაუფლებასაც არ უნდა ფლობდეს, ვისაც ყურნი ასხენ, ისმინენ!

✓ **ქრისტესმიერი სიყვარულით**
**პროტოდიაკონი მირიანი. ამინ!**



Cyan Magenta Yellow Black

კითხვები მოძღვარს

# „იუდას შენდობა და პატიება რომ ეთხოვა, უფალი მასაც წამოაყენებდა ფეხზე“



■ მამა გიორგი

დღეს ბევრს უჭირს ეკლესიაში სიარული, მიუხედავად იმისა, რომ უფლის რწმენა აქვთ. ამის მიზეზი კი მარტივია — გადატვირთული დღის რეჟიმი და სამსახური. ადამიანები ამ დროს სულიერ დაღლილობას და გამოფიტვას განიცდიან და ზოგჯერ ფიქრობენ: „რატომ წავიდე ეკლესიაში, იქნებ არც არსებობს ღმერთი?“. ამგვარი აზრების სათავე ბოროტი ძალაა, რომელიც ადამიანებში უიმედობისა და სასოწარკვეთის ჩანერგვას ცდილობს. ეკლესია კი სწორედ სულიერი სიმშვიდის გარანტია. რა საფრთხეს შეიცავს უიმედობისა და მწუხარების ცოდვა და როგორ უნდა ვებრძოლოთ მას, ამის შესახებ იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის დეკანოზი, **მამა გიორგი** (სხირტლაძე) გვესაუბრება.

**— მამაო, რატომ ეუფლება ადამიანს სულიერი უიმედობა?**

— დღეს, თანამედროვე ცივილიზაციის პირობებში, იმდენად გართულდა ქრისტიანულად ცხოვრება, მცნებების, სიწმინდის დაცვა და სათნოებების აღსრულება, რომ ეკლესიის წიაღში მყოფი ადამიანები ხშირად ამბობენ: „ნუთუ ეს ყველაფერი, რასაც ვასრულებ, ღირს ამ ტანჯვად, იქნებ ეს ამაოებაა და არ მოიტანს დადებით შედეგს. ჩემ გარშემო უამრავი ადამიანია, რომლებიც მშვიდად ცხოვრობენ და არც ამდენი სატკივარი და საფიქრალი აქვთ, რამდენიც — მე“.

სახარებაში ქრისტე გვეუბნება: „უკუეთუმცა არა მოვედ და ვეტყოდე მათ, ცოდვაიმცა არა აქუნდა; ხოლო მიზეზი არა აქუს ცოდვათა მათთათვის“. ანუ მაცხოვრის მოსვლამდე ადამიანებს უფლება ჰქონდათ, უდიერად ეცხოვრათ, მაგრამ მან თავისი მოსვლით ცოდვა ამხილა და ცოდვილი ცხოვრების უფლება და მიზეზი აღკვეთა. მან მოგვცა მცნებები და საშუალებები, რითაც უსჯულოებასა და უზნეობას ზურგი უნდა ვაქციოთ. როდესაც ტაძარში ამ სურვილით ანთებულნი მოვდივართ, ცოდვაში კი აღარ უნდა ვიცხოვროთ, არამედ ჩვენი სული სიკეთითა და სათნოებებით შევმოსოთ.

**— რატომ სწყინდებათ ადამიანებს ეკლესიაში სიარული?**

— იესო ქრისტე გვეუბნება: „რომელსა უნებს შემოდგომად ჩემდა, უვარ-ყავნ თავი თვისი და აღიღენ ჯუარი თვისი და მომდევდინ მე“. საკუთარი თავის უარყოფა, სულიერი ჯვრის ტვირთვა და ქრისტეს მცნებებით ხელმძღვანელობა დიდ ძალისხმევასა და რწმენას მოითხოვს. თუ ქრისტიანი ეკლესიური ცხოვრების პირველ ეტაპზე უფლის ამ მოწოდების აღსრულებას სიხარულით ცდილობს, თანდათანობით თავდაპირველი სიხარული სიცარიელით ეცვლება, შემდეგ — სიმძიმით და ბოლოს — მოწყენილობით.

თავდაპირველი სიხარული იმ დიადი სინათლის აღმოჩენით არის განპირობებული, რომელიც ბნელში მცხოვრები ადამიანის თვალსაწიერისთვის მანამდე დაფარული იყო. როდესაც ის გამოჩნდა, ირგვლივ ყოველივე განათდა და ცხოვრების ჭეშმარიტი გზაც გამოჩნდა. მუდმივად ჭეშმარიტებისა და ბედნიერების მაძიებელ ადამიანს ამგვარი საოცარი აღმოჩენა აუცილებლად სიხარულს მიანიჭებს, როგორც ბრმას თვალისჩინის ახილვა, თუმცა თვალის ახელის შემდეგაც შესაძლოა ცხოვრებამ მას მაინც დიდი სიმძიმე და უბედურება მოუტანოს. ასევე სულიერი სიბრმავიდან ღვთაებრივი სინათლის აღქმამაც შეიძლება ვერაფერი სიკეთე მოგვიტანოს, პირიქით, როგორც ტალანტების შესახებ იგავის ბოლოს მაცხოვარი გვარიგებს: „ყოველსა, რომელსა აქუნდეს, მიეცეს და მიემატოს; და რომელსა არა აქუნდეს — და რომელიღა-იგი აქუნდეს — მო-ვე-ეღოს მისგან; და უხმარი ეგე მონაი განხადეთ ბნელსა მას გარესკნელსა. მუნ იყოს ტირილი და ღრჭენი კბილთაი“.

ამრიგად, თავდაპირველი აღმოჩენით გამოწვეულ სიხარულს შენარჩუნება სჭირდება, რისთვისაც, როგორც აღნიშნული სახარებისეული იგავი გვახსენებს, შრომაა საჭირო. შრომისა და ძალდატანების აუცილებლობის შესახებ სხვაგანაც მიგვითითებს იესო ქრისტე: „სასუფეველი ცათაი იიძულების; და რომელნი აიძულებდნენ, მათ მიიტაცონ იგი“. რაში უნდა გამოიხატოს შრომა და საკუთარი თავის იძულება, რათა არ დაიკარგოს პირველადი სიხარული, სულიერად არ დავცარიელდეთ და ქრისტესადმი მსახურება სიმძიმედ, ხოლო საბოლოოდ მოწყენილობად არ გვექცეს? მას შემდეგ, რაც ჭეშმარიტი გზა გამოჩნდა, მისი გავლაა საჭირო. „მე ვარ გზაი, და მე ვარ ჭეშმარიტებაი და ცხოვრებაი. არავინ მოვიდეს მამისა, გარნა ჩემ მიერ“, — გვმოძღვრავს მაცხოვარი.

რამდენნაირი ვნებაც არსებობს ადამიანში, იმდენივე სახის ბრძოლაა. პიროვნებისთვის იმდენად გაუსაძლისი ხდება ცხოვრება, რომ ხშირად აღმოხდება ხოლმე: „კარგი იყო, სანამ

**„ადამიანს რვა ძირითადი ვნება ებრძვის. მათგან განსაკუთრებით საშიშია მწუხარებისა და მოწყენილობის ვნება, რადგან ასეთ დროს ყოველგვარი იმედი ქრება“.**

ეკლესიაში მოვიდოდი, არც სინდისი მამხილებდა და მშვიდად ვცხოვრობდი, ახლა კი ვეღარაფერი მომიმოქმედებია თავისუფლად. ნაბიჯს როგორც კი გადავდგამ, მექანიკურად ირთვება სინდისის ხმა და ჩამძახებს: „ეს არ გააკეთო, ასე არ შეიძლება!“ და თუ რაიმეს მაინც გავაკეთებ, სინდისი მამხილებს, ეს რატომ გააკეთე, ახლა რაღა გეშველება? ღმერთი არ გაპატიებს“.

თითქოსდა დაღლილები ვართ მცნებების აღსრულების მცდელობით. ძირითადად სწორედ ამგვარი დაღლილობა ხდება ეკლესიაში წაუსვლელობის მიზეზი, ადამიანი ველარ წვდება ეკლესიური ცხოვრების არსს.

ჩვენ უნდა გავითავისოთ, რომ ადამიანს რვა ძირითადი ვნება ებრძვის. მათგან განსაკუთრებით საშიშია მწუხარებისა და მოწყენილობის ვნება, რადგან ასეთ დროს ყოველგვარი იმედი ქრება.

**— ეს ვნება ალბათ ქრისტიანთათვის უფრო მეტად არის დამახასიათებელი, სასულიერო პირთათვის — ნაკლებად.**

— მოწყენილობა და მწუხარება მაშინ ვლინდება, როდესაც ადამიანი ღვთის მცნებების მიხედვით ცხოვრებას ცდილობს, რაც არცთუ ადვილად მიღწევადია, ამიტომ მასში შემოდის სასოწარკვეთილების განცდა და ფიქრები: „რისთვის ვიბრძვი? არსებობს კი ღმერთი?“. ასეთი წუთებიც კი არის ქრისტიანი ადამიანის ცხოვრებაში.

ამგვარი ვნებები განსაკუთრებით ებრძვის მონაზვნებს, რადგან ისინი მთლიანად არიან ჩართული ღვთის მცნებების აღსრულებაში და ამიტომ ეშმაკი ცდილობს მათ შეჩერებას, დაბრკოლებას, რომ აფიქრებინოს — „ამ ყველაფერს უკვე აზრი არ აქვს, ტყუილად დავტოვე ამქვეყნიური ცხოვრება“. მონაზონი დიდ სიცარიელეს გრძნობს და ფიქრობს, თუ რაოდენ რთული ყოფილა მონაზვნური ცხოვრების გზა.

იგივე გვემართება ერში მცხოვრებ ადამიანებს და ვხვდებით, თუ რამდენად რთული ყოფილა ეკლესიური და ქრისტიანული ცხოვრება, მაგრამ უნდა გავითავისოთ, რომ ეს არის ეშმაკის მიერ ჩვენ წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლა, რათა დაგვაბრკოლოს, ხელი ჩაგვაქნევინოს ამ გზაზე, უარი გვათქმევინოს წინსვლასა და სულის გაკეთილშობილებაზე.

**— როგორ ვლინდება ეშმაკის ბრძოლა მოწყენილობაში მყოფ მორწმუნეზე?**

— ასეთ დროს ადამიანს უჩნდება ფიქრები: „დღეს ლოცვას არ წავიკითხავ, მარხვას არ შევინახავ, ტაძარში არ წავალ, უარს ვიტყვი სიკეთის გაკეთებაზე, დღესაც ჩავიდენ ამ ცოდვას, ხვალ მივალ და აღსარებას ვიტყვი“. უნდა ვიცოდეთ, რომ სწორედ მაშინ მარცხდება მოწყენილობის ვნება, როდესაც ლოცვასა და კეთილ საქმეებს აღვასრულებთ. სხვა შემთხვევაში თავისი ზრახვებით ეშმაკი ჩვენში შემოდის, გვაწვდის უამრავი სახის ფიქრს და გვაგდებს უიმედობის, სიზარმაცის მდგომარეობაში, რაც დამღუპველია და ღმერთს განგვაშორებს.

ბრძოლა, რომელიც ჩვენში მიმდინარეობს, რთული, მაგრამ სასარგებლო პროცესია. ის უფრო დამაფიქრებელი იქნებოდა, მშვიდად და ლაღად რომ აღვასრულებდეთ ყოველივეს. თუმცა აუცილებელია დიდი ყურადღება, რათა ეშმაკის შემოთავაზებულ წინადადებებს არ დავთანხმდეთ. მოწყენილ ადამიანს ღმერთის იმედიც აღარ აქვს. გავიხსენოთ, რა დაემართა იუდას. იგი უიმედობაში ჩავარდა. უფლისთვის შენდობა და პატიება რომ ეთხოვა, ღმერთი მასაც წამოაყენებდა ფეხზე.

**— როგორ დავაღწიოთ თავი უიმედობასა და მოწყენილობას?**

— როდესაც თითოეული თქვენგანი ეკლესიაში ხართ, სახლში ლოცვას კითხულობთ ან სიკეთეს აღასრულებთ, გაქვთ განცდა იმისა, რომ დიდი სიხარული, სიმშვიდე და მადლი შემოვიდა თქვენში. სწორედ ეს სიხარული უნდა გავიხსენოთ მაშინ, როდესაც მწუხარებაში ვვარდებით. ამიტომაც არ შეიძლება ღვთისმსახურების გაცდენა. ერთი კვირაც თუ გაგვიცდა, ჩვენი გული მძიმდება, გონება ბინდდება უამრავი ცოდვის, საზრუნავისაგან. შემდეგ უკვე გვიჭირს ეკლესიაში მოსვლა და ლოცვების კითხვა.

პავლე მოციქული გვეუბნება: „სულით მდუღარენი იყავით“. რწმენისკენ მუდმივი შემართება უნდა გვქონდეს. ადამიანი ყველაზე ახლოს უფალთან ღვთისმსახურების დროსაა, იგი ყველაზე მეტად განიცდის მის სიდიადეს, შინაგან სიმშვიდეს, სიხარულს და ადამიანის რწმენაც მაშინ მტკიცდება. აუცილებელია ღვთისმსახურებაზე მუდმივად დასწრება, ხშირი ზიარება, აღსარება, ლოცვითი კანონების შესრულება და მარხვა — ეს ყოველივე დაგვიცავს მოწყენილობისგან.

არ დაგვავიწყდეს, რომ უფლისათვის ყოველივე შესაძლებელ არს, ხოლო მორწმუნე ადამიანი ღმერთთან სიახლოვით ყოველგვარი სახის ბრძოლას ადვილად გადალახავს.

✓ მანანა ნოდია



Cyan Magenta Yellow Black

← 8

პოლიტიკური ტოქ შოუ იყო ქართულ ტელესივრცეში და აქედან 3 „მაესტროზე“ გადიოდა. ახლა თითო არხზე სამ-სამი პოლიტიკური ტოქ შოუა. ამ სიკეთეზე იმ ადამიანებმა უნდა თქვან უფრო მეტი, ვისაც ახლა გაეხსნათ ეთერში გასვლის შესაძლებლობა, თორემ მე მედიისთვის ძალიან გაჭირვებულ პერიოდში 300 ლარიან სამსახურშიც მიმუშავია, არ გავჩერებულვარ. მუდმივად რაღაცას ვაკეთებდი და სულ ჟურნალისტიკაში ვიყავი. ასე რომ, არ ვფიქრობ, მედიაში რაღაც მძიმე პროცესი ხდება. თუ რამეს შევამჩნევ, ალბათ ერთ-ერთი პირველი ვიქნები, ვინც ამას დაუპირისპირდება.

**— თეა სიჭინავა „იმედზე“ გადასვლის ერთ-ერთ მოტივად ასახელებდა იმას, რომ სულით და გულით იმედელი იყო და მუდმივად ოცნებობდა იქ დაბრუნებაზე. თქვენც ხომ იმედელი ხართ.**

— დიახ და „იმედი“ ჩემი მეორე ოჯახი იყო. თეას ეს არგუმენტი კარგად მესმის. ვფიქრობ, რომ თეა სადმე კი არ წავიდა, იქ დაბრუნდა, სადაც წლები იმუშავა. ყველა ის ადამიანი, რომელიც „მაესტროდან“ წავიდა, ჩემი მეგობარია. ძალიან მინდა, წარმატებულები იყვნენ და მთელი გულით ვგულშემატკივრობ. სამშაბათს, როცა რეიტინგები მოდის, ჩემი გადაცემის შემდეგ სიჭინავას გადაცემისას ვნახულობ. ძალიან მინდა, წარმატებული იყოს. არის გარკვეული ურთიერთობები, რომლებიც ყველანაირი კონკურენციის მიღმაა. ჩემი და იმ ადამიანების ურთიერთობა, ვინც იმ გადაცემას აკეთებენ, მართლა ყველანაირი კონკურენციის მიღმაა.

ჩემმა მეუღლემაც მიიღო „იმედიდან“ შეთავაზება და იქ დაბრუნდა. „იმედი“ ჩემთვის ოჯახი იყო და მგონია, რომ 2007 წლის შემდეგ დავამთავრე სამსახურთან ისეთი დამოკიდებულება, როგორიც ოჯახთან. ახლა ვცდილობ, გავმიჯნო, რომ ოჯახი სხვაა და სამსახური — სხვა. როგორც გითხარით, „იმედისგან“ ძალიან სერიოზული შემოთავაზება არ მიმიღია, თუმცა გარკვეული საუბარი იყო, რომ მეც დავბრუნებულიყავი. ახლა მინდა, ისევ „მაესტროზე“ ვიყო და რაღაც ეტაპზე დავეხსნა ჩემს მეუღლეს — იმას სხვა სამსახური ჰქონდეს და მე — სხვა. მომწონს მე და ჩემი ქმარი სხვადასხვა ტელეკომპანიის წარმომადგენლები რომ ვართ. აქამდე ყველა ქარტეხილი ერთად გადავიტანეთ და ახლა მირჩევნია, სახლში მაინც ვეკინკლავო, ჩემი არხი შენსას სჯობია-მეთქი. აი, ასეთ რაღაცეებს ვიგონებ!

**— მართალია, რომ ამბობენ, ცოლ-ქმარი ერთად არ უნდა მუშაობდნენო?**

— არც ცუდია, როცა ცოლ-ქმარი ერთად მუშაობენ. ჯონი იქ ნიუსების ხელმძღვანელია. როცა „იმედში“ ერთად ვმუშაობდით, მაშინ არ იყო ჩემი უფროსი. დავწყნარდი, დავმშვიდდი, გავიზარდე და ახლა აღარ მინდა, იმაზე ვიდარდო, ვიღაცამ არ იფიქროს, რადგან მისი ქმარია, ამას განსაკუთრებული პირობები აქვსო.

**— შაბათ-კვირის გარდა, ყოველდღიურად ეთერში ხართ. საოჯახო საქმეებს, ორი შვილის მოვლა-პატრონობას ასწრებთ?**

— კი, ყველაფერს ვასწრებ, რადგან სისწრაფე მიყვარს. სარეცხს ვფენ, ვაუთოვებ, სადილს ვამზადებ, ვხვეტავ, ვწმენდ და ამ ყველაფერს საოცარი სისწრაფით ვაკეთებ. სისუფთავეზე გართულება მაქვს. ერთი სიტყვით, ყველაფერს ვაგვარებ. ქმარიც მეხმარება ხოლმე, მაგრამ ახლა მას უფრო დაძაბული გრაფიკი აქვს და მე მიწევს ბევრი რამის გაკეთება. თანაბრად გვაქვს ფუნქციები გადანაწილებული. ბოლო დროს „იმედის“ გრაფიკმა შეიტანა დისონანსი ამ ყველაფერში, თორემ ნამდვილი ოჯახის კაცია.

ჩემი პროგრამა მინიმუმია ბავშვების სკოლაში წაყვანა. სადილს ვუკეთებ და ვუტოვებ. სახლის საქმეებს რომ მოვრჩები, თეონა გეგელიას გავუვლი ხოლმე და სამსახურში მივკუკუნებთ. იქიდანაც ერთად მოვკუკუნებთ. ასე წყნარად ვართ და სად გვაქვს გრანდიოზული შოუების თავი?! მაყურებელმა უნდა დაინახოს და გაარჩიოს, ვის ენდოს და ვის სიტყვას უფრო მეტი ფასი აქვს.



„ახლა თითო არხზე სამ-სამი პოლიტიკური ტოქ შოუა. ამ სიკეთეზე იმ ადამიანებმა უნდა თქვან უფრო მეტი, ვისაც ახლა გაეხსნათ ეთერში გასვლის შესაძლებლობა, თორემ მე მედიისთვის ძალიან გაჭირვებულ პერიოდში 300 ლარიან სამსახურშიც მიმუშავია, არ გავჩერებულვარ“.

**— ამას წინათ ფეისბუქზე გამოაქვეყნეთ ბლოგი თქვენი მუსლიმი ბებიის შესახებ, სადაც მის ცხოვრებაზე ყვებოდით. რამ გადაგაწყვეტინათ მასზე დაწერა?**

— დიახ, მუსლიმი იყო ჩემი ბებია. სოფელ ქაქუჩში ცხოვრობდა. ეს ბლოგი რომ დავწერე, მამაჩემმა იკითხა, უი, სურია მუსლიმი იყოო. არც იცოდა. ბებიას სურია ერქვა.

დედაჩემის დედა იყო და რომ გარდაიცვალა, მაშინ მომინდა, მასზე დამეწერა. როცა დასაფლავებაზე მივდიოდი, სოფელი ნიგვზიანი გავიარე და მაშინ მივაქციე ყურადღება მის ტრაფარეტს. გამახსენდა, რომ ამ სოფელში იყო დაპირისპირება რელიგიურ ნიადაგზე. მთელი გზა ვფიქრობდი, რომ გავიზარდე გარემოში, სადაც ჩემი ოჯახი იყო ქრისტიანული, მაგრამ ბებია იყო ქართველი მუსლიმი. აჭარის სოფლებში ეს ჩვეულებრივი ამბავია. ბებიაჩემის ყველა შვილი და შვილიშვილი ქრისტიანად არის მონათლული. ბებიასაც უნდოდა გაქრისტიანება, მაგრამ უთქვამთ, არ მოინათლო, თორემ 60 წლის წინ გარდაცვლილ შენს ქმარს იმქვეყნად ველარ ნახავო და ასე გადააფიქრებინეს.

ბებია აღდგომასაც აღნიშნავდა და ბაირამსაც. პასკასაც აცხობდა და ხალვასაც აკეთებდა. სხვანაირი ადამიანი იყო. გარდაცვლილთან არც ხოჯა მოსულა და არც — მღვდელი. არც სანთლები აუნთია ვინმეს. მხოლოდ მუსლიმური ლოცვები წაუკითხა მეზობლის ქალმა. ასე აღმოჩნდა ორ სარწმუნოებას შორის და მათ გარეშე.

სურია ბებია მძინარე არასოდეს მინახავს. ის ყველაზე ადრე იღვიძებდა და ყველაზე გვიან იძინებდა. რა დროსაც უნდა გამეხილა თვალები, ბუხარში ქვაბი მხვდებოდა შედგმული და ბებიაჩემი უხმოდ ფუსფუსებდა. სოფელში მისი სიყვარულით დავდიოდი. კოლმეურნეობაში ჩაის კრეფდა ხოლმე. ჭილოფის ქუდს დაიხურავდა და სხვებთან ერთად სოფლის „გრუზავიკით“ ჩაიში მიდიოდა. ერთი კვირა მეც გავატარე მასთან ერთად და ისეთი ენთუზიაზმით ვკრეფდი ჩაის, რომ 21 მანეთი მოვაგროვე. იმ ფულით სახლისთვის ჩაიდანი და სარძევე ვიყიდე. არ დამავიწყდება, იმ არდადეგებიდან როგორი გახარებული დავბრუნდი სახლში. დედაჩემმა დამტუქსა, რას იფიქრებს ხალხი, ტრაპაიძეებს ისე უჭირთ, რომ სკოლის მოსწავლეს ჩაის აკრეფინებენო. ამის შემდეგ ბებიასთან ერთად სოფლის „გრუზავიკზე“ აღარ ავმხტარვარ, მაგრამ თითქმის ყველა არდადეგებს მაინც სოფელში ვატარებდი.

**— ქობულეთში როგორი დასვენება გამოგდით — ტურისტივით ხართ თუ ადგილობრივი მცხოვრებივით?**

— ზღვაზე გაზრდილი ადამიანების დაავადებაა, რომ ისინი არ აღიარებენ ზღვას იმ მხრივ, რომ ყოველდღე ჩავიდნენ, იბანაონ. ეს კულტურა ყოველთვის მოშლილი იყო. ბოლო წლებში უფრო დაიწყეს ქობულეთელებმა ზღვაზე სიარული. ველოსიპედითაც დადიან, სავარჯიშო მოედნებზეც დაიწყეს გასვლა წელიწადის სხვა დროებშიც. არ მაქვს ხოლმე ისეთი ლტოლვა ზღვისადმი, რომ დილა-საღამოს გავიდე პლაჟზე.

სექტემბერი ან ივნისია კარგი, როცა ცოტა დამსვენებელია. წყნარი გარემო მომწონს, მაგრამ იმ დროს არასოდეს მაქვს შვებულება და ყოველთვის გაგანია სეზონზე მიწევს ჩასვლა. სულ მაქვს მესაკუთრული დამოკიდებულება. მგონია, რომ ჩემია ის პლაჟი, ის ზღვა და როცა ვხედავ, ჩემი დასაწოლი ადგილი არ არის, ვბრაზდები. ვინმე რამეს რომ დაყრის, შემიძლია გამოვენთო და ვეჩხუბო, როგორ ექცევით აქაურობას-მეთქი. ასეთი ახირებები მაქვს. იქ დავიბადე, გავიზარდე, მთელი ცხოვრება იმ პლაჟზე დავდიოდი და საკუთარ ეზოს რომ დაგინაგვიანებს ვინმე, ისეთი შეგრძნება მაქვს.

**— პლაჟზე მოჩხუბარ დიანა ტრაპაიძეს ხალხი როგორ უყურებს, რას ეუბნება?**

— ჩემს თავს არ ვთვლი ისეთ პოპულარულ ადამიანად, ზღვაზეც რომ უნდა იცნონ. სულ ასე ვჩხუბობ მთელი ცხოვრება და იმის გამო, რომ ორჯერ მეტად ტელევიზორში გამოვჩნდი, ზნეს ვერ შევიცვლი.

✓ **რუსუდან ადვაძე**



Cyan Magenta Yellow Black

## იპოვეთ 4 განსხვავება



## გააფერადეთ





Cyan Magenta Yellow Black

## ქათმის ფილე მწვანილებით

**მასალა:**
ქათმის ფილე — 650 გ
პურის ფქვილი — 30 გ
1 ლიმონის წვენი
კარაქი — 1-2 ს.კ.
კვერცხის გული — 1 ცალი
წყალი — 1,5 ლ
ოხრახუში — 3 ღერი
ქინძი — 3 ღერი
კამა — 3 ღერი
პიტნა — 3 ღერი



**მომზადება:** ფილე დაჭერით საშუალო ნაჭრებად, ჩაყარეთ მდუღარე წყალში და ხარშეთ 15 წუთი. 6 ს.კ. ქათმის ბულიონი, 1 კვერცხის გული, ლიმონის წვენი და ფქვილი ათქვიფეთ, ეს მასა წვნიანს ჩაუმატეთ, თან ურიეთ მანამ, სანამ არ წამოდუღდება. ბოლოს ჩაუმატეთ კარაქი, აკეპილი მწვანილი და კიდევ ერთხელ წამოადუღეთ.

## თევზის წვნიანი უნგრულად

**მასალა:**
ორაგულის ფილე — 400 გ
ბულგარული წიწაკა — 4 ცალი
ხახვი — 1 თავი
პომიდორი — 2 ცალი
ტომატი-პასტა — 1 ს.კ.
კარტოფილი — 2 ცალი
მარილი, წითელი წიწაკა — გემოვნებით



**მომზადება:** ხახვი დაჭერით და ცოტაოდენ ცხიმში მოშუშეთ დაჭრილ პომიდორთან, ბულგარულ წიწაკასთან და ტომატ-პასტასთან ერთად. ქვაბში ჩაასხით წყალი და აადუღეთ. მდუღარეში ჩაუმატეთ დაჭრილი კარტოფილი და თევზის დაჭრილი ფილე. როდესაც თევზი მოიხარშება, კერძს დაუმატეთ მოშუშული ბოსტნეული, მარილი, წითელი წიწაკა და რამდენიმე წუთში გადმოდგით ცეცხლიდან.

## მსხალი ღვინოში

**მასალა:**
შავი მშრალი ღვინო — 2 ლ
მაგარი ჯიშის მსხალი (სასურველია პატარა ზომის) — 10 ცალი
1 ფორთოხლის ცედრა
შაქარი — 2 ჭიქა
დარიჩინი — 1/2 ჩ.კ.
მიხაკი — 6 ცალი
ვანილი — მწიკვი



**მომზადება:** მსხლები გაფცქვენით (ყუნწები დაუტოვეთ). ღვინო ჩაასხით ქვაბში, დაუმატეთ შაქარი, სანელებლები და წამოადუღეთ. ადუღებულ ღვინოში ჩააწყვეთ მსხლები ყუნწით ზევით და ხარშეთ მანამ, სანამ მსხალი კარგად არ დარბილდება. შემდეგ მსხლები ამოიღეთ ლანგარზე. ღვინო კიდევ 5 წუთი ადუღეთ და ბოლოს ლანგარზე ამოღებულ მსხლებს მოასხით.

ეს დესერტი მიირთვით აფქვეფილ ნაღებთან ან ნაყინთან ერთად. სუფრასთან მიტანის წინ შეგიძლიათ დაჭრილი ნუშითა და პიტნის ფოთლებით მორთოთ.

## მადლენები



**მასალა:**
კვერცხი — 2 ცალი
ვანილის ექსტრაქტი — 3/4 ჩ.კ.
მარილი — 1/8 ჩ.კ.
შაქარი — 1/3 ჭიქა
ფქვილი — 1/2 ჭიქა
ლიმონის ცედრა — 1 ს.კ.
კარაქი — 1/4 ჭიქა
გრანულირებული შაქარი (გასაფორმებლად) — 1/3 ჭიქა
ფქვილი და კარაქი ფორმაზე მოსასმელად

**მომზადება:** ღუმელი 190 გრადუსამდე გააცხელეთ, გამოსაცხობ პატარა ფორმებს ცხიმი წაუსვით და ფქვილი მოაყარეთ. კარაქი გაადნეთ და ოთახის ტემპერატურაზე დატოვეთ.

ჯამში მიქსერით კვერცხი, ვანილი და მარილი ათქვიფეთ ჰაეროვანი მასის მიღებამდე. ნელ-ნელა უმატეთ შაქარი. ფქვილი 3 ნაწილად გაყავით და ცოტ-ცოტა ცომს შეაზილეთ.

გამდნარ კარაქს ცედრა შეურიეთ და ფრთხილად ცომს შეაზილეთ. მიღებული მასა გადაანაწილეთ ფორმებში და აცხვეთ 15-17 წუთის განმავლობაში, სანამ ნამცხვრები ოქროსფერს არ მიიღებს.

დანის დახმარებით ნამცხვრები ფორმიდან ამოიღეთ და ცხაურზე დაალაგეთ. მოაყარეთ გრანულირებული შაქარი. მიირთვით ჩაისთან ან ყავასთან ერთად.

## დოფინუა

**მასალა:**
კარტოფილი — 1 კგ
რძე — 1 ჭიქა
ყველი (შვეიცარიული) — 150 გ
კვერცხი — 1 ცალი
ნაღების კარაქი — 50 გ
ნიორი — 1-2 კბილი
ჯავზი, პილპილი და მარილი — გემოვნებით



**მომზადება:** აარჩიეთ გრძელი კარტოფილები, გათალეთ, დაჭერით თხელ ნაჭრებად, წაუსვით დანაყილი ნიორი და დაალაგეთ ტაფაზე. 100 გ გახეხილი შვეიცარიული ყველი, რძე, ათქვეფილი კვერცხი და ჯავზი აურიეთ, დაუმატეთ პილპილი, მარილი და ეს მასა კარტოფილს მოასხით. ზემოდან მოაყარეთ დარჩენილი 50 გ გახეხილი ყველი, ტაფა ნელ ცეცხლზე შემოდგით და წამოადუღეთ. შემდეგ დაახურეთ თავსახური და შედგით ღუმელში. 30 წუთის შემდეგ ტაფას თავსახური მოხადეთ და ისევ ღუმელში შეაბრუნეთ 15 წუთით. სუფრასთან ცხელი მიიტანეთ.


კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა)
დისბაქტერიოზი
მიიღეთ
ლაქტო-ჯი
www.laqto.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.




Cyan Magenta Yellow Black

# სანთელი ფორთოხლისგან

გიყვართ ორიგინალური ნივთების გაკეთება, მეგობრებისა და ახლობლების გაოცება? მაშინ ფორთოხლისგან სანთლის გაკეთება არ გაგიჭირდებათ და თავსაც მოიწონებთ.

დაგჭირდებათ: ფორთოხალი ან დიდი ზომის ლიმონი, კოვზი, მაკრატელი, ძველი სანთელი (პარაფინი), კაპრონის ძაფი, ლითონის პატარა თეფში, ასანთი ან სანთებელა.

ფორთოხალი შუაზე გაჭერით, კოვზის გამოყენებით რბილობი ამოიღეთ (შეგიძლიათ მიირთვათ). კანისაგან უნდა მიიღოთ ისეთი ფორმის ოვალი, როგორიც პირველ ფოტოზეა ნაჩვენები. პარაფინი ან ძველი სანთლის ნარჩენები ლითონის თეფშზე დაყარეთ და ცეცხლზე გაადნეთ. კაპრონის ძაფისგან კი ფითილი დაამზადეთ: მოაჭერით მცირე ზომის თოკი (გადაჭრილი ციტრუსის სიმაღლის შესაბამისი).

ერთ ხელში ვერტიკალურად დაიჭირეთ ფითილი და ციტრუსის ფორმა (ფითილი უნდა იყოს ციტრუსის ცენტრში), მეორე ხელში — ლითონის თეფშით გაცხელებული პარაფინი და ფრთხილად ფორმაში ჩაასხით. აცადეთ რამდენიმე წუთი, სანამ პარაფინი არ გაცივდება. ფაქტობრივად სანთელი მზად არის და შეგიძლიათ რომანტიკულ ვახშამზე აანთოთ.

**გისურვებთ წარმატებას!**










## წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

**№ 1**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 9 | 7 | 3 | 2 | 8 | 4 | 5 | 1 |
| 5 | 8 | 1 | 4 | 7 | 6 | 2 | 3 | 9 |
| 2 | 3 | 4 | 5 | 1 | 9 | 6 | 8 | 7 |
| 1 | 6 | 5 | 2 | 3 | 7 | 8 | 9 | 4 |
| 9 | 7 | 2 | 6 | 8 | 4 | 3 | 1 | 5 |
| 3 | 4 | 8 | 9 | 5 | 1 | 7 | 2 | 6 |
| 8 | 1 | 9 | 7 | 4 | 3 | 5 | 6 | 2 |
| 4 | 2 | 6 | 8 | 9 | 5 | 1 | 7 | 3 |
| 7 | 5 | 3 | 1 | 6 | 2 | 9 | 4 | 8 |

**№ 2**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 8 | 9 | 7 | 5 | 6 | 2 | 1 | 4 |
| 1 | 6 | 2 | 9 | 4 | 3 | 7 | 5 | 8 |
| 5 | 4 | 7 | 1 | 8 | 2 | 9 | 3 | 6 |
| 2 | 9 | 6 | 8 | 1 | 5 | 3 | 4 | 7 |
| 7 | 5 | 1 | 6 | 3 | 4 | 8 | 9 | 2 |
| 8 | 3 | 4 | 2 | 9 | 7 | 5 | 6 | 1 |
| 9 | 7 | 3 | 4 | 6 | 8 | 1 | 2 | 5 |
| 4 | 1 | 8 | 5 | 2 | 9 | 6 | 7 | 3 |
| 6 | 2 | 5 | 3 | 7 | 1 | 4 | 8 | 9 |

## ეს იცოდით?

❖ სიტყვა „ციფრი“ არაბული წარმოშობისაა. მათ ძველი ინდოელებისაგან ამ სიტყვის აღმნიშვნელი „სუნია“ თავისებური ინტერპრეტაციით თარგმნეს და უწოდეს „სიფრი“ ანუ „ციფრი“, რაც შემდგომში მთელ მსოფლიოში გავრცელდა.

❖ სიტყვა „შახმატი“ სპარსული „შახ მატ“-ისგან წარმოიშვა, რაც თარგმანში ნიშნავს: „მმართველი მოკვდა“.

❖ ბაქტერია და ბაცილა ერთი და იმავე მნიშვნელობის სიტყვაა. უბრალოდ პირველი ბერძნული წარმოშობისაა, მეორე — ლათინური.

❖ პირველი შეგრძნება, რომელიც ახალშობილს უვითარდება, შეხების შეგრძნება გახლავთ.

❖ ყველაზე ცოტა ბავშვი გერმანიაშია (მოსახლეობის 15%), ხოლო ყველაზე ბევრი — კენიაში (მოსახლეობის 51%).

❖ ბევრი ისტორიკოსი ფეხბურთის სამშობლოდ ჩინეთს მიიჩნევს და ირწმუნება, რომ ჩინელები ბურთს ჯერ კიდევ ჩვ.წ.აღ-მდე 1000 წელს თამაშობდნენ.

❖ როგორც მკვლევრები ირწმუნებიან, პირველი წვნიანი კერძი ბეჰემოთის ხორცით იყო დამზადებული დაახლოებით ჩვ.წ.აღ-მდე 6000 წლის წინ.

❖ ყველაზე დიდი ქანდაკება, რაც კი ოდესმე ადამიანს ოქროსაგან დაუმზადებია, ასურეთის დედოფლის, შამურამატის ბრძანებით, ჩვ.წ.აღ-მდე მე-9 საუკუნეში შექმნილი ქალღმერთ რეას ოქროს ქანდაკებაა, რომლის წონა 250 ტონას შეადგენდა. დღეს მისი კვალი შემორჩენილი არ არის.

❖ უძველესი სამეფო სასახლე, რომელიც დღესაც მოქმედია და იქ მეფე-დედოფალი ცხოვრობენ, ბრიტანეთში უინძორების სასახლე გახლავთ. მისი ასაკი 900 წელია.

❖ ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე მდიდარ პრეზიდენტად დღემდე ჯორჯ ვაშინგტონი მიიჩნევა. მისი უძრავ-მოძრავი ქონების ღირებულება დღევანდელი 900 მილიონი დოლარის ეკვივალენტი იყო.

❖ ინგლისის პრემიერმინისტრ უინსტონ ჩერჩილის წინაპრები დედის მხრიდან ინდიელები იყვნენ.

❖ ადოლფ ჰიტლერის უსაყვარლესი ყვავილი ედელვაისი იყო, რადგან მას ყველასათვის მიუწვდომელ მცენარედ მიიჩნევდა.

❖ ქალაქი, სახელწოდებით რომი, ყველა კონტინენტზე მდებარეობს, გარდა ანტარქტიდისა.

❖ ყველაზე მოკლე მდინარე მსოფლიოში როეა, რომელიც მონტანას შტატში მდებარეობს და მისი სიგრძე 61 მეტრია.



Cyan Magenta Yellow Black

ვარსკვლავთსახლები

# „მის მსოფლიო 2013" ფილიპინელი მსახიობი გახდა


■ მეგან იანგი

ინდონეზიაში მსოფლიოს ყველაზე ლამაზი ქალი შეარჩიეს. „მის მსოფლიო 2013"-ის გამარჯვებული კონკურსის დამაარსებლის, ერიკ მორლის ქვრივმა, ჯულიამ დაასახელა. წლევანდელ ლამაზმანად 23 წლის ფილიპინელი მსახიობი მეგან იანგი აღიარეს, რომელსაც გვირგვინი შარშანდელმა „მის მსოფლიომ", 24 წლის ჩინელმა იუ ვენსიამ დაადგა.

მეგან იანგი ამერიკაში დაიბადა. 10 წლის იყო, როდესაც მისი ოჯახი ფილიპინებზე გადავიდა საცხოვრებლად. უყვარს კინო, ვიდეოთამაშები და ჰარი პოტერის ფანია. 15 წლის იყო, როდესაც ტელეწამყვანის ამპლუა მოირგო, შემდეგ კი ფილიპინურ სერიალებში და ფილმებში გამოჩნდა. „მის მსოფლიოზე" გასვლის მიზანიც ის იყო, რომ უფრო პოპულარული მსახიობი გამხდარიყო მთელ მსოფლიოში.

მეგანი თავისი ცხოვრების დევიზს ასე აყალიბებს: „იფიქრო, იმოქმედო და ილაპარაკო გულიდან წამოსული ემოციებით". კითხვაზე, თუ რატომ უნდა, გახდეს „მის მსოფლიო", იანგმა განაცხადა: „ჩემთვის ჰუმანიზმი ყველაზე მთავარია. „მის მსოფლიოს" ტიტული საშუალებას მომცემს, ადამიანებს ერთმანეთი შევაყვარო. მაქვს უნარი, გადამტერებული ადამიანებიც კი შევარიგო".



წლევანდელი „მის მსოფლიო" იმით გახლდათ გამორჩეული, რომ გოგონებს საცურაო კოსტიუმებით პოდიუმზე გამოსვლა არ მოუხდათ. ფილიპინების მოსახლეობა, რელიგიური მოსაზრებით, ამის სასტიკი წინააღმდეგი იყო. ფინალის წინ ქვეყანაში სერიოზული საპროტესტო გამოსვლებიც კი მოეწყო. ინდუიზმის მიმდევრები საცურაო კოსტიუმიანი გოგონების დეფილეს თავიანთი რელიგიური მრწამსის შეურაცხყოფად მიიჩნევენ.

მეორე ადგილი და „ვიცე მის მსოფლიოს" ტიტული 20 წლის ფრანგმა მარინ ლორფელინმა აიღო, ხოლო მესამე ადგილი 23 წლის განელმა გარანზან შუტერმა.

საქართველოს წარმომადგენელმა თამთა შედანიამ კონკურსზე თავი ვერაფრით გამოიჩინა. ის 130 კონკურსანტს შორის ყოფნას დასჯერდა.

# ბრედ პიტმა ცოლს 300 ათასიანი კოლიე აჩუქა

ჰოლივუდის ყველაზე პოპულარული კინოწყვილი, ანჯელინა ჯოლი და ბრედ პიტი, რამდენიმეთვიანი განშორების შემდეგ კვლავ ერთად არიან. ანჯელინას ცოტა ხანი ქმრის გარეშე მოუწია ყოფნა — სანამ ის ბავშვებთან ერთად ავსტრალიაში ისვენებდა, მისი საყვარელი მამაკაცი ტორონტოში იყო ფილმ „მონობის 12 წლის" გადაღებებზე, იქიდან კი ინგლისში გაემგზავრა, რომ ეთამაშა ფილმში „მრისხანება".

ასეთი დატვირთული სამუშაო გრაფიკი არც ანჯელინას მოსწონდა და არც ბრედს,


■ ანჯელინა ჯოლი და ბრედ პიტი

ამიტომ მათ შეხვედრა ჰონგ კონგში დაგეგმეს, სადაც ანჯელინა 6 შვილთან ერთად გაემგზავრა. ბრედ პიტი საყვარელ ქალთან ხელცარიელი არ მისულა — 300 ათას დოლარად ღირებული ბრილიანტის კოლიე აჩუქა.

მას არც ანჯელინა ჩამორჩება საჩუქრებში. ცოტა ხნის წინ მან ბრედს კალიფორნიაში ჩანჩქერი აჩუქა თავისი მიწის ნაკვეთით. თურმე ბრედი ყოველთვის ოცნებობდა, ჩანჩქერის მახლობლად ჰქონოდა სახლი, რომლის მშენებლობა უკვე დაიწყო კიდეც.

# ზაკ ეფრონი ნარკოდამოკიდებულებას ებრძვის

25 წლის მსახიობი და ახალი თაობის სექსსიმბოლო, ზაკ ეფრონი, სერიოზულად იბრძვის ნარკოტიკებზე დამოკიდებულებისაგან გასათავისუფლებლად. წელს მსახიობმა უკვე მეორედ გაიარა სარეაბილიტაციო მკურნალობის კურსი, არადა, ყველას ეგონა, რომ მას ამ კუთხით პრობლემები არასოდეს შეექმნებოდა.

როგორც აღმოჩნდა, ზაკი 2 წელია, კოკაინის მომხმარებელია. მარტში კი გადაწყვიტა, ნარკოდამოკიდებულებისგან თავი დაეღწია და ინტენსიური თერაპიის რამდენიმეკვირიანი კურსი გაიარა. გამოჯანმრთელებული ზაკი ფილმ „მეზობლების" გადასაღებ მოედანზე დაბრუნდა, იქ კი ყველაფერი თავიდან დაიწყო... გადასაღებ მოედანზე აღარ გადიოდა, ისევ ნარკოტიკების გავლენის ქვეშ აღმოჩნდა. ფილმის გადაღებები შეწყდა და ზაკი კვლავ კლინიკაში აღმოჩნდა.



მიზეზებს შორის, რომელთა გამოც მსახიობი ნარკოტიკებს დაუმეგობრდა, თურმე მშობლებთან ურთიერთობაც არის. ზაკის მშობლები ცდილობენ, ვარსკვლავი შვილის ცხოვრება და კარიერა ყოველ ნაბიჯზე აკონტროლონ. ასევე პრობლემები აქვს გოგონებთან ურთიერთობაში და, რაც მთავარია, ისეთ წრეშია, სადაც ნარკოტიკები პოპულარულია.

ცოტა ხნის წინ სოციალურ ქსელში ზაკ ეფრონმა ასეთი რამ დაწერა: „ყველას ვურჩევ, კარგად დაფიქრდნენ, თუ ვისთან იმეგობრებენ, ამას შეუძლია ადამიანი გახადოს წარმატებული ან პირიქით, გაანადგუროს".



# გვინეტ პელტროუ: „მგონი, ღალატის პატიება ვისწავლე"

ცოტა ხნის წინ ეკრანებზე გამოვიდა ფილმი „მადლობა გაცვლისათვის", რომელიც სექსუალურ პრობლემებს ეხება. სწორედ ეს გახდა მიზეზი, რომ ფილმში მონაწილე მსახიობი გვინეტ პელტროუ საკუთარ ინტიმურ ცხოვრებაზე ალაპარაკებულიყო.

— მთელი ცხოვრება ღალატი ჩემი მთავარი პრობლემა იყო. რატომღაც, როცა მეგონა, რომ ჩემ გვერდით იყო მამაკაცი, რომელიც არასოდეს მიღალატებდა, სწორედ მაშინ ვდგებოდი ფაქტის წინაშე. მთელი ახალგაზრდობა ღალატმა გამიმწარა. ახლა 40 წლის ვარ და ამაზე აღარ ვფიქრობ. მგონი, ღალატის პატიებაც ვისწავლე. ერთგულება ყველაზე ღირებულია ურთიერთობებში. თუ შენ შეგიძლია, იყო ერთგული, ეს ნიშნავს, რომ ცხოვრებაში ბევრ ადამიანზე მაღლა დგახარ, — ამბობს მსახიობი.

myaccount.silknet.com

# მართეთ თქვენი ანგარიში ონლაინ




**გაიარეთ რეგისტრაცია მისამართზე* www.myaccount.silknet.com**

- მართეთ პირადი ანგარიში
- შეამოწმეთ ბალანსი
- ნახეთ ანგარიშის კოდური სიტყვა, სილქტივის ვიდეოთეკის პინ კოდები
- ისარგებლეთ ანტივირუსით
- გაიაქტიურეთ ტურბო ღილაკი, რომელიც საშუალებას მოგცემთ ოპტიკური ქსელის მომხმარებლებს გააქტიურებიდან 2 საათის განმავლობაში ისარგებლოთ 100 მბ/წმ სიჩქარი ინტერნეტით სულ რაღაც 1,50 ლარად

*ამ ეტაპზე რეგისტრაციის გავლა მხოლოდ ინტერნეტის აბონენტებს შეუძლიათ.

2 100 100
www.silknet.com

სილქნეტი
SILKNET